ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF TBILISI I. JAVAKHISHVILI STATE
UNIVERSITY
332

290
2001

ეკონომიკა
ЭКОНОМИКА
EKONOMICS

ეროვნული ბიბლიოთეკა

95

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF TBILISI I. JAVAKHISHVILI STATE
UNIVERSITY

332

ЭКОНОМИКА

EKONOMICS

ТБИЛИСИ 2001 TBILISI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
332

ეკონომიკა

თბილისი 2001

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

† დოც. გ. ბერკაცაშვილი, პროფ. ე. მექვაბიშვილი, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. ლ. ყორღანაშვილი (მთავარი რედაქტორი), პროფ. დ. ძნელაძე, პროფ. თ. ჭიაბრიშვილი, დოც. ფ. წოწკოლაური (პასუხისმგებელი მდივანი).

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

† Доц. Г. Беркацашвили, проф. Э. Меквабишвили, проф. Н. Пайчадзе, проф. Л. Корганашвили (главный редактор), проф. Д. Дзнеладзе, проф. Т. Чиабришвили, доц. П. Цоцколаури (ответственный секретарь).

EDITORIAL BOARD

Assist. Prof. † G. Berkatsashvili, Prof. E. Mekvabishvili, Prof. N. Paichadze, Prof. L. Korghanashvili (editor-chief), Prof. D. Dzneladze, Prof. T. Chiabrishvili, Assist. Prof. P. Tsotskolauri (managing secretary).

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

0601000000

ე ——————————

608(06)—01

ეროვნული ბიბლიოთეკა

2313

ნ. ცანავა

სამრეწველო რეფორმა საქართველოში

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ძირითადი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფო საწარმოების რეფორმა, რომელიც პრაქტიკულად ვლინდება საწარმოო რესტრუქტურირებისა (სტრუქტურული გარდაქმნებისა) და სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაციის ღონისძიებებში. ეს ღონისძიებები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და მნიშვნელოვნად განაპირობებს ეკონომიკური რეფორმების საერთო წარმატებას. ამ ორივე მიმართულებით გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს მრეწველობის დეპარტამენტის სისტემაში. კერძოდ, განხორციელდა საწარმოო რესტრუქტურირების პროცესის კონკრეტულ სიტუაციათა აღწერა-შეფასება და მოსალოდნელი პრაქტიკული შედეგების ანალიზი, სისტემატიზაცია ჩაუტარდა ამ მიმართულებით მიმდინარე სამუშაოებს და ჩამოყალიბდა რესტრუქტურირების პრაქტიკული მოდელი.

საწარმოთა რესტრუქტურირების ძირითადი მიმართულებები განხილულ იქნა მრეწველობის დეპარტამენტისა და საინჟინრო აკადემიის მიერ მოწყობილ ერთობლივ სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელმაც მოიწონა აღნიშნული სქემის მიხედვით კონკრეტულ მსხვილ საწარმოთა რესტრუქტურირების სამუშაოთა განხორციელება.

ღონისძიებები საწარმოო რესტრუქტურირების შესახებ მზადდება შემდეგი ძირითადი სქემის მიხედვით:

1. მმართველობითი სტრუქტურის სრულყოფა (საწარმოს რეორგანიზაცია);
2. მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისა და საწარმოთა პროფილის განსაზღვრა;
3. ტექნოლოგიური დანადგარების შერჩევა და ტექნოლოგიების დამუშავება;
4. საწარმოთა პრივატიზება;
5. ეკონომიკური და საკანონმდებლო საკითხების დამუშავება;
6. საზღვარგარეთთან ურთიერთობების განვითარება.

ამ მიმართულებით მსხვილ სამრეწველო საწარმოებში კონკრეტული სამუშაოები უკვე დაწყებულია. კერძოდ, მიმდინარეობს რუსთავის „ქიმკომბინატის" ფართომასშტაბიანი რესტრუქტურირება. შეიქმნა ახალი საწარმოო სტრუქტურული ერთეულები სს „მიონში", სგ „ორიონში", სგ „ორბში", საავიაციო გაერთიანებაში, რომელთაც სამეურნეო საქმიანობაში სრული დამოუკიდებლობა მიენიჭათ. აღნიშნულმა საწარმოებმა სამომხმარებლო ბაზრის გათვალისწინებით, მარკეტინგული შესწავლის საფუძველზე უკვე დაიწყეს რიგი ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება (კალორიფერი მკ-1000, სატელეფონო შემზღუდვე-

საქართველოს ეროვნული

ლები, დამცველი-სტაბილიზატორი, წყლის ტუმბო, 10 ადგილიანი სამხედრო კარვები და სხვა). შესაბამისად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს მრავალდარგოვან (ყოფილი ადგილობრივი მრეწველობა) საწარმოთა კომპლექსი. ამ კომპლექსის ჩამოყალიბება, როგორც ცნობილია, ძირითადად ორმა ფაქტორმა განაპირობა: ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ადგილებზე დამზადება-გადამუშავების და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების აუცილებლობამ.

შემდგომში ამ კომპლექსის საწარმოთა განვითარება სამწუხაროდ ძირითადად ქვეყნის გარედან შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე წარიმართა. 1990 წლის მდგომარეობით ამ ჯგუფის საწარმოთა ძირითად ასორტიმენტს მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა, რომლის ხვედრითი წონა საერთო მოცულობაში 58—60%-ს აღწევდა. ე. ი. სამრეწველო დანიშნულების ადგილობრივი რესურსების ათვისების დონე 50%-ს არ აღემატებოდა. ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების პირობებში კომპლექსის საწარმოებმა თითქმის მთლიანად შეწყვიტეს ფუნქციონირება. ამასთან, დარგში დღეისათვის შენარჩუნებული საწარმოთა შენობა-ნაგებობები თავისი კომუნიკაციებით, საგრძნობ პოტენციალურ შესაძლებლობებს შეიცავს მათი შემდგომი რესტრუქტურიზაციისათვის უპირატესად ადგილობრივი ნედლეულის ეფექტიანად და მაქსიმალურად გამოყენების თვალსაზრისით.

რესტრუქტურირების ერთიან ღონისძიებებში შემუშავებულია კონკრეტული მიდგომები მრავალდარგოვან საწარმოთა განვითარების ძირითადი მიმართულებების ჩამოსაყალიბებლად. კერძოდ, ჩვენს მიერ გამოყოფილია საწარმოთა სამი ძირითადი ჯგუფი:

1. საწარმოები, სადაც დღეისათვის გარკვეული მოცულობით შენარჩუნებულია ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე პროდუქციის წარმოება. ამ საწარმოებში ხელი უნდა შეეწყოს წარმოების მოცულობების შემდგომ ზრდას, ახალი კონკურენტუნარიანი ასორტიმენტის ათვისებას, არსებული ტექნოლოგიის გაფართოებას და ნაწილობრივ განახლებას, რაც უპირატესად ადგილობრივი ფინანსური წყაროების გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს.

2. საწარმოები, რომელთა არსებული შენობა-ნაგებობების ბაზაზე უნდა განხორციელდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და პერსპექტიული პროდუქციის ათვისება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბანკის გრძელვადიანი სესხები, ან განხორციელდეს კოოპერირებისა და ერთობლივი საწარმოების შექმნის საფუძველზე.

3. პერსპექტიული საწარმოები, რომელთა შექმნა მოითხოვს არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციას და ახალი ტექნოლოგიების შემოტანას, რაც ძირითადად უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინვესტორების დაინტერესებით და მათი მოზიდვით.

თითოეული ამ მიმართულების სამუშაოები მოითხოვს აუცილებელ მხარდაჭერას და ერთობლივ ძალისხმევას, როგორც ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების, ასევე მთავრობის მხრიდან, რაც, სამწუხაროდ, დღეისათვის სათანადო მხარდაჭერას ვერ პოულობს.

ამრიგად, რესტრუქტურიზაციის უმთავრესი მიზანია მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღორძინება და განვითარება და ამაზე დამოკიდებულებით სოციალური საკითხების გადაჭრა, რისთვისაც მაქსიმალურად ხელი უნდა შეეწყოს ყველა სასიცოცხლო დარგის ამოქმედებას იმ მინიმალური დონით, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ავტონომიურ ფუნქციონირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან გამომდინარე, მრეწველობის სტრუქტურული რეორგანიზაციის წარმატებით განხორციელება და სასურველი საბოლოო შედეგების მიღება პირდაპირ არის დამოკიდებული მისთვის ხელშემწყობი ეკონომიკური გარემოს შექმნაზე, ანუ სხვა სიტყვებით, აუცილებელ ცვლილებებზე ქვეყნის ეკონომიკურ, საფინანსო და საბანკო პოლიტიკაში. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს: ცვლილებები საბიუჯეტო პოლიტიკაში, რომელიც საწარმოებისათვის დღეისათვის მეტისმეტად მკაცრად შეზღუდულია, საგადასახადო პოლიტიკაში, კონკურენციის განვითარებისა და ბაზრის დაცვის უზრუნველყოფაში და სხვა. ცვლილებები საფინანსო და საინვესტიციო პოლიტიკაში, რამაც უნდა უზრუნველყოს საწარმოთა მოდერნიზაციის დაფინანსებისათვის გრძელვადიანი კრედიტების მიღების შესაძლებლობა, რომელიც დღეისათვის ბანკების საკრედიტო რესურსების შეზღუდვების გამო (ინფლაციის მინიმალური დონის შესანარჩუნებლად) თითქმის შეუძლებელია, კაპიტალის ბაზრების განვითარება, რაც ამჟამად მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაშია და სხვა. ყველა ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია და სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

განსაკუთრებულ შეფასებას და ანალიზს მოითხოვს პრივატიზაციის მიმდინარეობა ქვეყნის მრეწველობაში, რომელიც დღეისათვის სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის ძირითად განმსაზღვრელ მიმართულებას წარმოადგენს.

პრივატიზაციის პროცესი მრეწველობის სისტემაში უკანასკნელ წლებში დაჩქარებული ტემპით წარიმართა. დღეისათვის სააქციო საზოგადოებები დაფუძნებულია დეპარტამენტის 112 სამრეწველო საწარმოში, თუმცა, სამწუხაროდ, სახელმწიფო ქონების რეალურად გამოსყიდვის მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. მთლიანად გამოსყიდულია მხოლოდ 26 მცირე საწარმო, საკონტროლო პაკეტი არ გაიყიდა და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა 49 საწარმო. ამასთან 20%-ზე ნაკლები აქციები გაიყიდა 39 საწარმოში, ხოლო 5%-ზე ნაკლები 27 საწარმოში.

აქციონირებული საწარმოების მართვა თვისობრივად ახალ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს. ამ პროცესში სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის, მონაწილეობა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს საკუთრებაში დატოვებული აქციების მართვის გზით. სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა უნდა წარიმართოს ამ საწარმოთა სრული კორპორატიზაციის გზით, რაც მათი სამეურნეო დამოუკიდებლობის გარანტიებს შექმნის. ზარალიანი და დაბალრენტაბელური საწარმოების მიმართ მათი რესტრუქტურიზაციის პროცესში აუცილებელ შემთხვევებში უნდა გატარდეს სანაციური პოლიტიკა, სათანადო შეღავათების მინიჭებით, ხოლო სხვა ყველა ამ შესაძლებლობათა ამოწურვის შემდეგ ეს საწარმოები გამოცხადდეს გაკოტრებულად გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზით მანქანათმშენებლობის 18 მსხვილ საწარმოში 14 ათასი ტექნოლოგიური დანადგარიდან 20 წელზე მეტი ხნისაა 6 ათასი დანადგარი (40%), ქიმიურ მრეწველობის 8 მსხვილ საწარმოში 2306 დანადგარიდან — 1516 დანადგარი (65%), ხის დამამუშავებელ მრეწველობაში 3000-დან—700 (23%), მრავალდარგოვან (ყოფილ ადგილობრივ) მრეწველობაში მთელი 93%. ამასთან, 5 წლამდე ასაკის დანადგარების ხვედრითი წონა ფაქტიურად 1-2%-ს არ აღემატება. ამრიგად, ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების პარკი მრეწველობაში დღეისათვის საკმაოდ მოძველებულია და მისი განახლება 1990 წლიდან დაწყებული ძალზე ეპიზოდურად ან საერთოდ არ მიმდინარეობს.

წარმოების მოდერნიზაცია და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის სამუშაოების განხორციელება ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საწარმოო რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრუქტურირების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ამ სამუშაოებს წინ უსწრებს: არსებული ძირითადი საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, საწარმოო პროფილის განსაზღვრის შემდეგ ძირითადი საწარმოო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობათა დადგენა, მათი გამოუყენებელი ნაწილის კონსერვაცია ან ჩამოწერა და ა. შ. აღნიშნული სამუშაოები ჩატარებულია მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ქიმიური მრეწველობის და მრავალდარგოვანი მრეწველობის ძირითადი მსხვილი საწარმოების მიხედვით.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მჭიდროდ უკავშირდება უცხოურ ფირმებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას და ერთობლივი საწარმოების შექმნას და მათი მონაწილეობით ახალი პროდუქციის ათვისებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო სექტორებში 1991 წლიდან ფაქტიურად არ გამოიყენება არსებული დარგობრივი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალი შესაბამისი სახსრებისა და ადგილებიდან დაკვეთების უქონლობის გამო.

მთლიანად დარგობრივი სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების შემდგომი ბედის საკითხი მოითხოვს კონკრეტულ შესწავლას და შესაბამისი სამთავრობო მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას, რაც სამწუხაროდ დღეისათვის გაუმართლებლად ჭიანურდება.

უკანასკნელ პერიოდში გარკვეულად გაიზარდა უცხოეთის საქმიანი სამრეწველო წრეების დაინტერესება საქართველოს მრეწველობის საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობითა და პოტენციალით, სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციით და მთლიანობაში მრეწველობის აღორძინებისა და განვითარების პერსპექტივებით.

უცხოურ ინვესტიციებზე მოთხოვნათა განსაზღვრის, საწარმოთა განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევისა და ინვესტორთა სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის, ჯერ კიდევ 1993 წლიდან, მრეწველობის დეპარტამენტში დანერგილია საწარმოთა საინვესტიციო პასპორტებისა და ბიზნეს-გეგმების დამუშავების პრაქტიკა. ყოველწლიურად, როგორც წესი, წარმოებს მათი სრულყოფა და განახლება.

1996 წლის შედეგებით პასპორტები რუსულ და ინგლისურ ენებზე შედგენილია 130 მსხვილ საწარმოზე 177-დან. დამთავრების სტადიაშია პასპორტების შედგენის სამუშაოები დანარჩენ საწარმოებზე.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ჩატარებული მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოველ მეოთხე საწარმოში არის საზღვარგარეთელ პარტნიორებთან თანამშრომლობის რეალური პერსპექტივები. ორმხრივი თანამშრომლობის კონტრაქტები, ხელშეკრულებები და წინასწარ განზრახულობათა ოქმები გაფორმებულია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვარგარეთის 17 ქვეყნის სხვადასხვა ფირმასთან, საწარმოო კომპანიებთან, სახელმწიფო და კერძო იურიდიულ პირებთან, რომელთა საერთო რაოდენობა 50-ზე მეტია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საწარმოში, კერძოდ სს „ელვაში", სს „კედარსა" და ბათუმის საავეჯო დეტალების კომბინატში, შემოტანილი ინვესტიციები ჯერჯერობით არ არის რეგისტრირებული საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო რეგისტრაციის განმახორციელებელ სააგენტოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, ჩვენი აზრით, უცხოური ინვესტიციების რეგისტრაციის არსებული წესი არ არის სრულყოფილი, რომელიც შესაბამისი დარგობრივი უწყების გავლით უნდა ხორციელდებოდეს. პრაქტიკულად მათი მონაწილეობა ინვესტიციების განაწილებისა და აღრიცხვის საქმეში იგნორირებულია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ სამრეწველო ობიექტების ინვესტირება და მათი მხარდაჭერა არ ხორციელდება სამთავრობო დონეზე. უფრო მეტიც, მსოფლიოს წამყვან საფინანსო და საინვესტიციო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების დროს იხილება მხოლოდ ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და საბანკო დაწესებულებებისადმი ფინანსური დახმარების პრობლემები.

მიგვაჩნია, რომ უცხოელთათვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის აუცილებელია საქართველოში დაარსდეს პირველი კლასის სამრეწველო პროფილის ბანკი და სადაზღვევო კომპანია; ამასთან, ინვესტიციების შესახებ კანონით გარდამავალი პერიოდისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე გარკვეული შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის, ხოლო მრეწველობისათვის გამოყოფილი კრედიტი უნდა იყოს მინიმუმ 3-5 წლიანი ვადით არაუმეტეს 10%-იანი წლიური დარიცხვით.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების პირობებში თანდათან გააქტიურდება კერძო კაპიტალის ინვესტირების პროცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. დოგორჯგინაძე

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პრინციპები და თავისებურებანი საქართველოში

XX საუკუნის მიწურულს მსოფლიო ისტორიულმა პროცესებმა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განმტკიცების უნიკალური შანსი წარმოშვა. ამ შესაძლებლობის რეალიზაცია, ქართველი ხალხის სულიერ მისწრაფებასა და ცივილიზებული სამყაროს პოლიტიკურ თანადგომასთან ერთად, მოითხოვს დამოუკიდებელი სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ემყარება საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების მრავალგვარობას, ფუნქციონირებს ქვეყნის ერთიან სამეურნეო ეკონომიკურ სივრცეში და უზრუნველყოფს დარგების დაბალანსებულ განვითარებას, დარგობრივი და შიდადარგობრივი პროპორციების შეთანაწყობას, ორიენტირებულია, უწინარესად, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და რესურსების გამოყენებასა და საკუთარი ეროვნული ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ინტეგრირებულია მსოფლიო ეკონომიკურ სტრუქტურებთან და აქვს დამოუკიდებელი ეკონომიკური ორგანიზმისათვის ნიშანდობლივი ატრიბუტები: განვითარების სახელმწიფოებრივი სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია და მართვის, რეგულირებისა და კოორდინაციის შესაბამისი სტრუქტურები, კონვერტირებადი ეროვნული ვალუტა, საბიუჯეტო, საბანკო, საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო, სადაზღვევო და საბაჟო სისტემები, საკანონმდებლო-სამართლებრივი და საინფორმაციო ბაზა. უმთავრესად, სწორედ ამ პირობათა ერთობლიობა განსაზღვრავს ქვეყნის მეურნეობრივი კომპლექსის მთლიანობას, მის ეკონომიკურ სუვერენიტეტს, მეურნეობრივ თავისთავადობას.

კომუნისტური ეკონომიკის დემონტაჟისა და ახალი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების პარალელურად თავისთავადი ეროვნული ეკონომიკისა და მისი შესატყვისი ეკონომიკური სისტემის ფორმირება ურთულესი, ღრმა წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, რომელიც ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სამეურნეო ცხოვრებისადმი ეკონომიკური კავშირურთიერთობებისადმი იდეოლოგიზებული მიდგომებისაგან განთავისუფლება, ეკონომიკური ორიენტაციისა და პრიორიტეტების ცალმხრივობის, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურისა და პროპორციების ჩამოყალიბებაზე გარეშე ფაქტორების ხელოვნური გავლენის დაძლევა.

გარდატეხის ეტაპზე მდგომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი ეკონომიკური იდეოლოგია (დოქტრინა). ეროვნული ეკონომიკური სისტემა უნდა დაეფუძნოს მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, ეროვნულ თავისებურებებს, სოციალური და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური სისტემების არსებით ნიშან-თვისებებს — საწარმოო ძალების განვითარება, სპეციალიზაცია, ინტეგრაცია და ა. შ. ამასთან, მასში უნდა აისახოს მეურნეობრიობის მსოფლიო გამოცდილების თანამედროვე ტენდენციებიც.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ადასტურებს, რომ ქვეყანა დაადგა ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების გზას.

საბაზრო ეკონომიკამ თავის განვითარების გზაზე უნდა განვლოს შემდეგი ეტაპები:

— ბაზრის გაჯერება საქონლითა და მომსახურებით;

— კონკურენციის განმტკიცება;

— ეკონომიკური ზრდის მიღწევა;

— საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება [1].

საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ძირითადად კერძო საკუთრებაზე დამყარებულ მაღალგანვითარებულ საქონელწარმოებას და ცივილიზებულ მიმოქცევას, მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ფასებში, სრულყოფილი კონკურენციისა და ეფექტიანად მოქმედი ინფრასტრუქტურის პირობებში.

საბაზრო ინფრასტრუქტურაში იგულისხმება განვითარებული სატრანსპორტო სისტემა, სასაწყობო საშუალებანი, ეფექტიანი კავშირგაბმულობა, სადაზღვევო, სარეკლამო, საინფორმაციო, მარკეტინგული სამსახურები, მყარი ფულად-საფინანსო-საკრედიტო სისტემა, მაღალი დონის კომუნალური და სხვა მომსახურება, საბირჟო სტრუქტურები, ინჟირინგული, ლიზინგური, აუდიტორული, საკონსულტაციო მომსახურების ქსელი და ყოველივე ამის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ლიბერალური საბაჟო და საგადასახადო მექანიზმების ჩათვლით.

საბაზრო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ვაწყდებით ბევრ ისეთ პრობლემას, რომელიც ჩვენთვის უცხოა, მაგრამ კარგად არის ცნობილი დასავლეთის ქვეყნებისათვის. მათ გაუთვალისწინებლობას მივყავართ სერიოზულ შეცდომებამდე. ამიტომ აუცილებელია საფუძვლიანად დავეუფლოთ საბაზრო სისტემის რეგულირების გამოცდილებას, გამოვიყენოთ ეს გამოცდილება საბაზრო სამეურნეო მექანიზმის მშენებლობაში.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკის შექმნისათვის არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფო საკუთრების სრული ტრანსფორმაცია, დენაციონალიზაცია. აუცილებელია წარმოიქმნას საბაზრო ურთიერთობის სრულფასოვანი სუბიექტების საკმაო რაოდენობა, შეიქმნას მეწარმეთა საშუალო ფენა. ამიტომ ეროვნული ეკონომიკის ორგანული ნაწილი უნდა გახდეს ე. წ. შერეული ეკონომიკა, რომელიც გულისხმობს წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო და კერძო საკუთრების თანაარსებობას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ხელში უნდა აიღოს ისეთი ეკონომიკური ფუნქციები, როგორიცაა:

— ეკონომიკის სამართლებრივი ბაზის შექმნა;

— მაკროეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა;

— სოციალური ფასეულობის მართვა (დასაქმების უზრუნველყოფა);

— სამეწარმო საქმიანობის რეგულირება (ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, ანტიინფლაციური ღონისძიებების შემუშავება და ა. შ.);

— კონკურენციული გარემოს შექმნა, მისი გაფართოება და დაცვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რესურსების სამართლიანი განაწილებისა და გადანაწილების სამართლებრივი საფუძვლები;

— საზოგადოებრივ-საკომუნიკაციო სისტემების მუშაობის უზრუნველყოფა და სხვა.

სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი ბაზის შექმნას. მისი საშუალებით ხდება ბაზრის მონაწილეთა ურთიერთშეთანხმება, მეწარმეობრივი გარანტიის უზრუნველყოფა.

ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობის მინიმუმამდე დაყვანასა და ლიბერალიზაციის ღონისძიებების შედეგად საქართველო ფაქტობრივად „შოკური თერაპიის" გზას დაადგა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ეკონომიკური გარდაქმნების დაწყებას ფასების ლიბერალიზაციით. დღევანდელმა რეალობამ ნათლად ცხადყო ასეთი მიდგომის მცდარობა.

კლასიკური გაგებით, ფასების ლიბერალიზაციას მხოლოდ მაშინ მოაქვს დადებითი შედეგები, როდესაც ჩამოყალიბებულია საკუთრების შერეული ფორმები, შექმნილია პროდუქციის გარკვეული მარაგი და ფორმირებულია გარკვეული კონკურენციული გარემო. სამწუხაროდ, რეფორმების დაწყების წინ საქართველოში ამ სამი ელემენტიდან არც ერთი არ იყო რეალურად შექმნილი და ასეთ „შიშველ" ნიადაგზე, როდესაც წამყვან მესაკუთრედ სახელმწიფო გამოდიოდა, ყოველნაირი პროდუქცია დეფიციტური იყო და ძირითადად მონოპოლისტური მეურნეობა კარნახობდა ფასების პოლიტიკას, ფასების ლიბერალიზაციით ეკონომიკური გარდაქმნის დაწყება არასწორი პოლიტიკა იყო. ისე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ფასების ლიბერალიზაციას არც კი ჰქონია ადგილი, უბრალოდ მოხდა ფასების ზრდა და მონოპოლიური ფასების დაწესება ძირითად დეფიციტურ პროდუქტებზე. ასე თუ ისე ფასებში მომხდარ ტრანსფორმაციულ პროცესებს დღეს ფასების ლიბერალიზაციად თვლიან.

რასაკვირველია, ფასების ლიბერალიზაციაში თანდათანობითი, ევოლუციური მიდგომა დადებით შედეგს მოგვცემდა. ფასების გათავისუფლება უფრო ეფექტიანი იქნებოდა საკუთრების განსახელმწიფოებრიობის, მონოპოლისტ საწარმოთა ხვედრითი წონის ზრდის, ბაზრის საქონლით გაჯერებისა და კონკურენციული გარემოს შექმნის პირობებში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიშოროთ ილუზია იმის შესახებ, რომ ბაზარი თვითრეგულირებადი ფენომენია და მისი წყალობით ამ ეტაპზე შესაძლებელია ფასწარმოქმნის პრობლემების თვითრეგულირება. თვით ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი, სადაც საბაზრო ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ, ფართოდ გამოიყენება ბაზრის და მათ შორის ფასების სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები (ფასების ბლოკირება გარკვეული დროით, ფიქსირებული ფასების დაწყება, ფასების ზედა და ქვედა ზღვრის დადგენა და ა. შ.). საქართველოში კი, რომელიც ეს-ესაა დაადგა საბაზრო ურთიერთობისაკენ მიმავალ გზას, ბაზრის სამეურნეო მექანიზმის მარეგულირებელ როლთან ერთად რამდენადმე შენარჩუნებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს აქტიური როლი მაკროეკონომიკური პროცესების მართვაში.

საქართველოს დღევანდელ პირობებში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში დიდი ადგილი უჭირავს ანტიინფლაციურ ღონისძიებებს. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ მხრივ არსებობს ორი გზა — ფულის რეფორმის ჩატარება და ძვირი ფულის პოლიტიკის (ფულადი რესურსების შეზღუდვა) გატარება. მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ პერიოდში ინფლა-

ციის დაძლევის მიზნით ევროპის 24-მა ქვეყანამ ჩაატარა ფულის რეფორმა და მეტ-ნაკლებად გარკვეულ შედეგებს მიაღწია, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს პირობებში ამ მოდელის გამოყენება სარისკოდაა მიჩნეული.

დღემდე მთავრობამ საქართველოში ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე გზა — ფულადი რესურსების შეზღუდვის პოლიტიკა აირჩია, რაც მონეტარიზმის კონცეფციას და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს ეფუძნება. რა თქმა უნდა, ძვირი ფულის პოლიტიკით შესაძლებელია ინფლაციის მოთოკვა, მაგრამ ამ პროცესს თან უნდა ახლდეს წარმოების დაცემის საწინააღმდეგო ფაქტორების ამოქმედება. სხვა შემთხვევაში ძირითადი შედეგი მიღწეული იქნება, ინფლაცია დროებით დაიძლევა, საერთაშორისო ორგანიზაციები სესხს გასცემენ და წარმოების აუმოქმედებლობის შემთხვევაში ინფლაციის სპირალი კვლავ დაიწყებს დახვევას.

ჯერ არც ერთი ქვეყანა არ გადასულა საბაზრო სისტემაზე ეკონომიკის ასეთი ნგრევის პირობებში. ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ გონივრულად შევუხამებთ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პრინციპებს მიკროეკონომიკური გარდაქმნების ეფექტიან პრინციპებს.

როგორც დადასტურებულია პრაქტიკით, ეფექტიანი შეიძლება იყოს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, რომლის ფორმირების ძირითადი პრინციპები შემდეგია:

— ქვეყანაში შეიქმნას საკუთრების ყველა ფორმის (კერძო, კოლექტიური, სახელმწიფო) განვითარების თანაბარი პირობები მათი ეფექტიანობის ამაღლების ხელსაყრელი ეკონომიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური გარემო. მთავარია საკუთრების ყველა ფორმის პოტენციურ შესაძლებლობათა სწორად განსაზღვრა, თანამიმდევრული ამოქმედება, გამოყენება;

— ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა. აქ მთავარია, სახელმწიფოს ფუნქციების სწორად განსაზღვრა, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მმართველობით ურთიერთობათა სტრატეგიული და ტაქტიკური ინტერესების რეგულირება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების მეშვეობით;

— საჭიროა ეკონომიკის განვითარების სოციალური მიმართულების ისეთი პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანის კეთილდღეობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, ქონებრივი დიფერენციაციის გავლენის შერბილებას (და არა უარყოფას), სოციალური გარანტიების საიმედო სისტემის ჩამოყალიბებას [2].

სოციალური პოლიტიკის თანამიმდევრული ფორმირება ქვეყანაში აღებული რეფორმათა კურსის გაგრძელების სავალდებულო პირობაა. ბოლო ხანს ქვეყანაში მიღწეული პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა სახავს სახელმწიფო სახსრების თანამიმდევრული და მიზანმიმართული გამოყენების შესაძლებლობას სოციალურ პრობლემათა მოწესრიგებისათვის. ამის დადასტურება გახდა სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ შემუშავებული „1996—2000 წლებისათვის მოსახლეობის სოციალური დაცვის ძირითადი მიმართულებანი“.

ლიტერატურა:

1. რ. ასათიანი. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბ., 1993.
2. ნ. ჯითანავა. საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები). თბ., 1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ჩოჩოშვილი

ეკონომიკის აღმავლობა ინდუსტრიალიზაციის განვითარებით იწყება

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია მრეწველობის, როგორც საზოგადოებრივი წარმოების მთავარი დარგის განვითარებაზე. მრეწველობა ქმნის საკუთარი წარმოებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, ზემოქმედებს იქ მიმდინარე პროცესების სრულყოფაზე და ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას. მრეწველობა, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობა აღჭურავს სახალხო მეურნეობას უახლესი ტექნიკით.

მრეწველობის ეკონომიკური თავისებურება განსაზღვრავს მის წამყვან როლს გაფართოებულ კვლავწარმოებაში. მას მიეკუთვნება წამყვანი როლი ეროვნული შემოსავლის გადიდებაში. სწორედ მრეწველობის განვითარებით მიაღწიეს მოწინავე ქვეყნებმა ეკონომიკის განვითარების მაღალ დონეს.

XX საუკუნის მეორე ნახევარი არის განვითარებული ქვეყნების სტრუქტურული ცვლილების პერიოდი. ქვეყნებს შორის განვითარდა სხვადასხვა სახის კავშირები, გაფართოვდა მრეწველობის დარგთაშორისო კოოპერირება, ფართო ხასიათი მიიღო საერთაშორისო შრომის დანაწილებამ. საერთაშორისო კავშირურთიერთობა განვითარდა აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. გაჩნდა „ახალი ინდუსტრიული ქვეყნები" და დაიწყო მათი სახალხო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ძირეული ცვლილება. „ახალინდუსტრიული ქვეყნები" ყველა პარამეტრის მიხედვით გამოეყო განვითარებადი ქვეყნების სისტემას და ჩადგა განვითარებული ქვეყნების რიგში.

საქართველო ახლა განვითარებადი ქვეყანაა. მისი ეკონომიკა თანდათან იკრეფს ძალას. ნელი ტემპით, მაგრამ მაინც დაადგა აღმავლობის გზას, თუმცა სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის მხრივ მაინც დაბალია ზრდის ტემპი. ამის ძირითადი მიზეზია ყოფილი საბჭოთა კავშირის პირობებში არსებული კოპერირებითი კავშირი, რომელიც მასთან ერთად დაიშალა და ყველა ყოფილი რესპუბლიკების ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ახლა ქვეყნის მრეწველობის წამყვანი ობიექტების სრული სიმძლავრით ამოქმედება შეუძლებელია უცხო ინვესტიციის გარეშე. უცხო ინვესტორებს საკუთარი ინტერესი ამოძრავებს და უმეტეს შემთხვევაში ნაკლებად აინტერესებს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის აღმავლობა.

საინტერესოა და უნდა შევისწავლოთ „ახალინდუსტრიული" ქვეყნების გამოცდილება, თუ რა გზით მიაღწიეს ეკონომიკის აღმავლობის მაღალ ტემპს. გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებად ქვეყნებს „ახალინდუსტრიულმა“ ქვეყნებმა მოგვცეს განვითარების ახალი მოდელი, ესენია: აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია აზიის „ახალინდუსტრიული“ ქვეყნები. ეს ქვეყნები სანიმუშონი არიან ბევრი განთავისუფლებული ქვეყნისათვის, როგორც სახალხო მეურნეობის შინაგანი დინამიკის, ისე საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის მიხედვით.

ცნობილია, რომ განვითარებადი ქვეყნები იყოფიან ოთხი საფეხურის მიხედვით. პირველს მიეკუთვნებიან: სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჰონ-კონგი, ლათინური ამერიკის ქვეყნები — არგენტინა, ბრაზილია და მექსიკა; მათ კვალს მისდევს და მეორე საფეხურს მიეკუთვნება: მალაიზია, ტაილანდი, ინდოეთი, ჩილე; მესამე საფეხურს განეკუთვნება: კვიპროსი, ტუნისი, თურქეთი, ინდონეზია; მეოთხე საფეხურს კი—ფილიპინები, ჩინეთის სამხრეთ პროვინცია და სხვა. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი ინდუსტრიალიზაციის ზონები, რომელნიც თავიანთ გამოცდილებას ავრცელებენ ახალ რეგიონებზე.

ჩვენი დაკვირვებით საჭიროა „ახალინდუსტრიული“ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და ჩვენი პირობების შესაბამისად გამოყენება, და მათ რიგებში ჩასადგომად მისწრაფება. „ახალინდუსტრიული“ ქვეყნების სტატუსის მიკუთვნება ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთოდიკით, რომელიც მოითხოვს შემდეგი მაჩვენებლების გათვალისწინებას:

— მოსახლეობის ერთ სულზე შიდა საერთო პროდუქტის მოცულობა;

— მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი;

— გადამუშავებითი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა შიდა საერთო პროდუქტში (ის უნდა იყოს 20%-ზე მეტი);

— სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის მოცულობა და მისი ხვედრითი წონა მთლიანად ექსპორტში;

აღნიშნული მოთხოვნის მიხედვით ჩვენს ქვეყანას დასჭირდება საკმაოდ დიდი პერიოდი, თუ ახლავე განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცა ინდუსტრიული დარგების განვითარებას. ამისათვის ჩვენს ქვეყანას გააჩნია დიდი სამეცნიერო პოტენციალი, ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ზემოთ მოტანილი მეთოდიკის პირობებით „ახალინდუსტრიული“ ქვეყნები არა მარტო განსხვავდებიან სხვა განვითარებადი ქვეყნებისაგან, არამედ, ბევრ შემთხვევაში, წინაც უსწრებენ განვითარებულ ქვეყნებს. ასე მაგალითად, ტაივანმა 1953—1993 წწ. შიდასაერთო პროდუქცია 170-ჯერ გაზარდა (მოსახლეობა კი 25-ჯერ), საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 334-ჯერ. ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა 8,7%, თანაც შენარჩუნებული იქნა ინფლაციის დაბალი დონე — 3,6%.

აზიის „ახალინდუსტრიული“ ქვეყნების შედეგია, რომ 30 წლის (1960—1990) განმავლობაში აზიის რეგიონის ეკონომიკის ზრდის ტემპმა მთლიანად წელიწადში 5% შეადგინა, მაშინ, როცა ევროპის ქვეყნების ეკონომიკის საშუალო წლიურმა ზრდამ — 2%. ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი აქვს სამხრეთ კორეას —8%; სინგაპურს—8%; მალაიზიას— 9%-ზე მეტი: ამ ქვეყნებმა 1960 წლიდან 1990 წლის დასაწყისამდე წლიური შემოსავალი 4-ჯერ, ხოლო ცხოვრების დონე — 7-ჯერ გაზარდა.

აზიის „ახალინდუსტრიულმა“ ქვეყნებმა კარგად გამოიყენეს აშშ, გერმანიისა და იაპონიის გამოცდილება და უფრო მოკლე პერიოდში ნედლეულის ექსპორტიდან გადაინაცვლეს მზა პროდუქციის ექსპორტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებმა ინტენსიურად გამოიყენეს ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო

შიგა და გარე რეზერვები: უცხოური კაპიტალი, ტექნიკა და ტექნოლოგია. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი აშშ შეასრულა, რათა თავისი გავლენა განემტკიცებინა კომუნისტურ ქვეყნებთან შედარებით.

აზიის „ახალინდუსტრიული" ქვეყნებისათვის დამახასიათებელია კაპიტალის დაბანდება უმეტესად გადამუშავებით მრეწველობაში. ლათინური ამერიკის ქვეყნებში კი ეკონომიკის განვითარება წარიმართა ვაჭრობით, მომსახურების სფეროთი და მრეწველობით. „ახალინდუსტრიული" ქვეყნების ეკონომიკაში ძნელად მოიპოვება დარგი, უცხოური კაპიტალი რომ არ იყოს დაბანდებული.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა და ევროპის სოციალისტურმა ქვეყნებმა დაიწყეს ეკონომიკის დამოუკიდებლად განვითარება და მსოფლიო მეურნეობის ჩვევების შეძენა, თუმცა სსრკ ყოფილ რესპუბლიკებში, გარკვეული მიზეზების გამო (ეთნოკრიზისი, სამოქალაქო ომი), ეს პროცესი მძიმედ მიმდინარეობს. ახლა მიმდინარეობს მსოფლიო მეურნეობის ფორმირება და ის მრავალფეროვანია. იგი მოიცავს განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებს, განვითარებად ქვეყნებსა და ეკონომიკური სისტემის გარდამავალი ტიპის ქვეყნებს.

მსოფლიო მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციაა ქვეყნის ჩაკეტილი ეროვნული მეურნეობის გადაყვანა ღია ტიპის ეკონომიკაზე, ე. ი. ეკონომიკის ფორმირებას ხელი შეუწყო საექსპორტო წარმოების გადიდებამ და სტიმულირებამ. დადებითად იმოქმედა უცხო ქვეყნების ფირმათაშორის კოოპერირებაზე. განვითარდა საგარეო ეკონომიკური კავშირები, შეიქმნა მყარი სამართლებრივი საფუძველი, გაადვილდა საზღვარგარეთიდან ინვესტიციების, ტექნოლოგიის, სამუშაო ძალისა და ინფორმაციის მოზიდვა, რამაც ხელი შეუწყო განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის აღმავლობას.

ცალკეული ქვეყნების ღია ეკონომიკაზე გადასვლას ხელი შეუწყო ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობამ. შეიქმნა ფილიალები და საწარმოები. დაიწყო სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო შეზღუდვების შემცირება. საერთაშორისო გაცვლაში ლიბერალიზაციის კურსის გატარებამ უზრუნველყო ეროვნული მეურნეობის საგარეო პირობებთან შეხამება და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიური მონაწილეობა.

ღია ეკონომიკა გულისხმობს მის მთლიანობას, ერთიან ეკონომიკურ კომპლექსს, რომელიც ინტეგრირებულია მსოფლიო მეურნეობასა და მსოფლიო ბაზართან. ღია ეკონომიკა არის მეურნეობის სხვადასხვა ფორმის ერთობლივი გამოყენება, მეწარმეობის თავისუფალი ზონის ორგანიზაცია, საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია და ა. შ.

ღია ეკონომიკის უპირატესობა გულისხმობს:

— წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავებას;

— რესურსების რაციონალურად გამოყენებას;

— მსოფლიო გამოცდილების განზოგადებას.

მრავალი წლის დაკვირვებიდან ჩანს, რომ მსოფლიო მეურნეობის განვითარების გენერალური მიმართულება და ქვეყნებს შორის კავშირის საფუძველია საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ბაზარი. ახლა ამ საქმეში გარკვეულ როლს ასრულებს ტრანსნაციონალური კორპორაცია.

ტრანსნაციონალური კორპორაციის საექსპორტო პოლიტიკა ორიენტირებულია მსოფლიო ბაზარზე, პარტნიორების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. თუმცა აქაც ჯერჯერობით პრიორიტეტი განვითარებულ ქვეყნებს ენიჭება, რადგანაც მათი ბაზარი მყარი და ტევადია. ისინი ადვილად ცვლიან საექსპორტო პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქციის ნომენკლატურას „ახალინდუსტრიული“ ქვეყნების მიღწევები ლოგიკური გაგრძელებაა დასავლეთ ევროპის ქვეყნების, იაპონიის „ეკონომიკური საოცრების“. აზიის „ახალინდუსტრიული“ ქვეყნების მიღწევებს 4-ჯერ ნაკლები დრო დასჭირდა, ვიდრე იაპონიას და ნაკლები, ვიდრე აშშ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას „ახალინდუსტრიული“ ქვეყნების დონემდე დასჭირდება უფრო ნაკლები დრო. ამის საიმედო გარანტი კი არის დასავლეთ ევროპის ქვეყნების, აშშ და იაპონიის ყურადღება და ხელშეწყობა. ამას ემატება ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა, ბუნებრივი რესურსები, მაღალი მეცნიერული პოტენციალი და მოსახლეობის შრომისმოყვარეობა.

„ახალინდუსტრიული“ ქვეყნების ადგილი და როლი მსოფლიო მეურნეობაში განისაზღვრება შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობით, საგარეო ბაზრის ორიენტაციითა და მსოფლიო ექსპორტში მისი წვლილის მკვეთრი აღმავლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები (ფილიპინების გარდა) 1990-იანი წლების დასაწყისში შევიდნენ 10 მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნის რიცხვში მანქანათმშენებლობის პროდუქციის მნიშვნელოვანი სახეობის წარმოებისა და ექსპორტის მიხედვით, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი ჩადგა მსოფლიო ლიდერთა შორის. აზიამ, წყნარი ოკეანის რეგიონმა სავაჭრო ბრუნვის მიხედვით პირველად 1990-იან წლებში გაუსწრო ევროპის ქვეყნებს. მათ აშშ ბაზარზე გააქვთ საკუთარი ავტომობილებისა და ელექტროტექნიკის 30%, ქსოვილებისა და სამკერვალო ნაწარმის 50%; „ახალინდუსტრიულმა“ ქვეყნებმა შექმნეს მძლავრი საფინანსო ცენტრები (სინგაპურსა და ჰონკონგში), რომლებიც ოპერაციების მასშტაბით თითქმის გაუთანაბრდა ისეთ მოწინავე მსხვილ საფინანსო ცენტრებს, როგორიცაა ლონდონი, პარიზი, ციურიხი და ა. შ.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დაიწყო ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარების ახალი ფაზა და, რაც დრო გადის, ეს ციკლი უფრო და უფრო მცირდება. დაიწყება მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით გათანაბრების პერიოდი ამ საქმეში საქართველო ჯერ-ჯერობით მოკრძალებულად გამოიყურება. ვერ მოხერხდა მრეწველობის განვითარების დიდი პოტენციალის გამოყენება. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ძნელდება საწარმოო ძალების გამოყენება, რადგანაც წარმოების საშუალებანი მორალურად ცვდება და ექსპლოატაციისათვის ნაკლებეფექტიანია. საქართველოს მრეწველობაში დასაქმებული საწარმოო პერსონალი ნაყოფიერი და შემოქმედებითი შრომის უნარით არ ჩამოუვარდება ნებისმიერი ქვეყნის მშრომელებს. ახლა მრეწველობის წამყვან საწარმოებში მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა. ამ საწარმოებში საწარმოო სიმძლავრის აღდგენა და სრული გამოყენება ტექნიკის შეცვლისა და კადრების მომზადების გარეშე თითქმის შეუძლებელია. ბევრ სამრეწველო საწარმოში დაიკარგა კვალიფიციური შრომის შინაარსი. კვალიფიციური შრომა გულისხმობს ისეთ სამუშაო ძალას, რომელსაც აქვს თეორიული მომზადება და პრაქტიკული ჩვევები. სოციალისტური შრომიდან კაპიტალისტური შრომის წესზე გადასვლა ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის შრომას მოითხოვს. ტექნიკის განვითარებასთან ერთად საჭიროა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა, მწარმოებელთა ურთიერთობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. კაპიტალისტური წარმოება მოწოდებულია დააკმაყოფილოს ბაზრის მოთხოვნა მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქციით, რაც მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვს. ეს პროცესი ახლავე უნდა დაიწყოს და თანდათან განვითარდეს, თორემ მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების სრული სიმძლავრით ამოქმედება გაჭირდება.

„ახალინდუსტრიულმა" ქვეყნებმა მრეწველობის განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს მშრომელთა ტექნიკური და ორგანიზაციული დონის ამაღლებით, წარმოებული პროდუქციის მეცნიერებატევადობის გადიდებით.

მაღალი ტექნიკური დონის საწარმოებში იცვლება პროფესიული სტრუქტურა, ჩნდება ახალი პროგრესული პროფესიები, რომელიც სპეციალურ მომზადებას საჭიროებს. რადგანაც თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი წარმოების მართვა მოითხოვს ელექტროტექნიკის, რთული მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ხელსაწყოების გამართვას, ელექტროსქემების რემონტს და ნახაზების გარჩევას. ამიტომ საჭიროა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესზე გარდამავალ პერიოდში დავინახოთ ის ცვლილებები, რომელსაც მომავლისათვის იწვევს ტექნიკური პროგრესი. ეს კი მოითხოვს მუშებისა და სპეციალისტების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანია ძალზე შენელებული ტემპით მიმდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ბილაშვილი

მოქნილი საწარმოო სისტემები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და მათი ეფექტიანობა

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე საწარმოთა გადაყვანამ ისინი უაღრესად რთული პრობლემის წინაშე დააყენა: საწარმოთა მანამდე არსებული სპეციალიზებული მოწყობილობა, ტექნოლოგიური ხაზები და წარმოების ორგანიზაციული ფორმები ველარ პასუხობს ბაზრის მუდმივადცვალებად მოთხოვნას წარმოების კონიუნქტურაზე. ამ შეუსაბამობას განსაკუთრებულად ექვემდებარება ის საწარმოები, სადაც განვითარებულია პროდუქციის მასობრივი და მსხვილსერიული წარმოება.

ბაზრის მოთხოვნათა მუდმივ ცვალებადობასთან საწარმოების ადაპტაციის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მოქნილი წარმოების განვითარებით. ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მრეწველობაში დაიწყეს მოქნილი საწარმოო სისტემების დანერგვა, მაგრამ საგეგმო ეკონომიკის პირობებმა და საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესმა ხელი შეუშალეს მის განხორციელებას.

მოქნილი საწარმოო სისტემა ითვალისწინებს პროდუქციის მოქნილ ავტომატიზებულ წარმოებას და შეიძლება დაიყოს 5 ფუნქციურ ქვესისტემად: ტექნოლოგიური, ოპერაციათაშორისი, მართვის, წარმოების ტექნოლოგიური მომზადებისა და სერვისის. მოქნილი საწარმოო სისტემა უზრუნველყოფს გარკვეულ დიაპაზონში მრავალნომენკლატურული პროდუქციის წარმოებას, რაც მიიღწევა უმოკლეს დროში და მცირე დანაკარგებით ახალი პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლით.

მოქნილი საწარმოო სისტემის მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს პროდუქციის სწრაფი შეცვლა ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად. ტექნოლოგიური ხაზების კომპლექსი, რომელიც ამ მოთხოვნილებას პასუხობს, ხასიათდება გარკვეული მოქნილობით. საერთოდ, მოქნილობაში უნდა ვიგულისხმოთ საწარმოო სისტემის შეგუება იმ დინამიკური ცვლილებებისადმი, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საწარმოო პროგრამაზე. საწარმოო სისტემა ითვლება მოქნილად და ყოველგვარი დანახარჯების გარეშე (ან მცირე დანახარჯების დროს) სწრაფადგარდასაქმნელად, როდესაც საწარმოო პროგრამის შეცვლის დროს არ იცვლება მისი ელემენტების რიცხვი და სახე და, აგრეთვე, მისი კავშირების სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო სისტემის მოქნილობა თავისთავად რთული სახის თვისებაა. იგი განისაზღვრება ტექნოლოგიური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული, პარამეტრული და სიმძლავრის ნიშნის მოქნილობით [1, 10].

ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი უ რ ი მ ო ქ ნ ი ლ ო ბ ა ხასიათდება მოწყობილობის გადაწყობისუნარიანობით და პროდუქციის მრავალნომენკლატურიანობით. რაც უფრო მრავალია პროდუქციის ნომენკლატურა, მით უფრო მაღალია მისი საწარმოო სისტემის მოქნილობა. ბუნებრივია, აგრეთვე, რომ საწარმოო სისტემის ტექნოლოგიური მოქნილობა განისაზღვრება მასში შემავალი აპარატების, მოწყობილობის, რობოტების, ტექნოლოგიური ხაზების, ხელსაწყოების, სისტემის პროგრამული მართვის მოქნილობით.

საწარმოო სისტემის ტექნოლოგიური მოქნილობა შეიძლება დახასიათდეს, აგრეთვე, ახალი ნაკეთობის გაშვების კოეფიციენტით, რომელიც გვიჩვენებს რამდენჯერ მცირეა მოწყობილობის გადაწყობაზე გაწეული დანახარჯები ჩვეულებრივი ტექნოლოგიით მისი დამზადების ხარჯებთან შედარებით. რადგან გადაწყობის პროცესი მაინც დაკავშირებულია გარკვეული დანახარჯების გაწევასთან, საწარმოო სისტემის ტექნოლოგიური მოქნილობა წვრილსერიულ წარმოებაში უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ერთეულოვან წარმოებაში.

ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ-ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი მ ო ქ ნ ი ლ ო ბ ა მიიღწევა მოწყობილობაში (მანქანაში, დანადგარში) ელემენტების შეტანით ან მოხსნით, ტექნოლოგიურ ხაზზე მოწყობილობათა რაოდენობის, თანამიმდევრობის, სახეობების შეცვლით [2, 36—40] და სხვა. რადგან მოწყობილობის გადაწყობის პროცესზე დრო იხარჯება, იგი იწვევს საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვან ვაზრდას ჩვეულებრივი ტექნოლოგიის პირობებში, მაგრამ ავტომატიზებული მოქნილი საწარმოო სისტემის გამოყენების დროს გადაწყობის ხანგრძლივობა მიისწრაფვის მინიმუმისაკენ და იწვევს საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის შემცირებას. ამრიგად, საწარმოო სისტემის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოქნილობა შეიძლება დახასიათდეს მოწყობილობის გადაწყობის სიჩქარითა და პროდუქციის საწარმოო ციკლის ხანგრძლივობით.

ს ა წ ა რ მ ო ო ს ი ს ტ ე მ ი ს პ ა რ ა მ ე ტ რ უ ლ ი მ ო ქ ნ ი ლ ო ბ ა ხასიათდება მისი უნარით, რომ მუშაობის ცვალებად პირობებში დასახულ ზღვრებში შეინარჩუნოს გარკვეული პარამეტრები — მწარმოებლურობა, სიზუსტე, იმედიანობა, ეკონომიკური ეფექტიანობა და სხვა. ამ მოქნილობამ უნდა უზრუნველყოს წარმოების ობიექტის შეცვლის შესაბამისად საწარმოო სისტემის ერთი მდგრადი მდგომარეობიდან მეორეში გადაყვანა. ასეთი გადაყვანა ხასიათდება საწარმოო სისტემის დინამიკური მოქნილობით და მისი მაჩვენებლებია: სისტემის გადაყვანის დრო, სიჩქარე, სიზუსტე, პარამეტრების ცვლილების ზღვრები, სისტემის მდგრად მდგომარეობათა რიცხვი. ამდენად, საწარმოო სისტემის (მოწყობილობის) დინამიკური მოქნილობა არის მისი თვისება, რომელიც საშუალებას იძლევა არსებითი დანახარჯებისა და რეკონსტრუქციის გარეშე მიღწეული იქნეს მრავალნომენკლატურული პროდუქციის წარმოება.

საწარმოო სისტემის ტექნოლოგიური და პარამეტრული მოქნილობა შეიძლება განისაზღვროს ჩვენს მიერ შეთავაზებული შემდეგი საანგარიშო ფორმულით:

$$K_{\text{მოქ}} = \frac{n_{\text{ნიკ}} - n_{\text{ტექნ}}}{n_{\text{ტექნ}}}, \qquad (1)$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც $K_{მოკ}$ საწარმოო სისტემის მოქნილობის კოეფიციენტია; $n_{ნაკ}$—საწარმოო სისტემიდან მიღებული პროდუქციის ნომენკლატურის რაოდენობა; $n_{ტექნ}$—საწარმოო სისტემაში მოქმედი წამყვანი ტექნოლოგიური მოწყობილობის რაოდენობა. იმ შემთხვევაში, როცა საწარმოო სისტემაში მხოლოდ ერთი წამყვანი ტექნოლოგიური მოწყობილობა გამოიყენება, გვექნება:

$$K_{მოკ} = n_{ნაკ} - 1 . \qquad (2)$$

იმ შემთხვევაში, როცა ერთი წამყვანი ტექნოლოგიური მოწყობილობიდან ერთი ნომენკლატურის პროდუქცია იწარმოება ($n_{ნაკ} = n_{ტექნ}$), მაშინ $K_{მოკ} = 0$.

სიმძლავრის მიხედვით საწარმოო სისტემის მოქნილობა ხასიათდება მისი უნარით პროდუქციაზე მოთხოვნილების ნომენკლატურული და რაოდენობრივი ცვლილების პირობებში უზრუნველყოს სიმძლავრის გარკვეულ პარამეტრებში საწარმოო პროცესის განხორციელება. სიმძლავრის მიხედვით საწარმოო სისტემის მოქნილობა ($K'_{მოკ}$) შეიძლება განისაზღვროს ჩვენს მიერ დამუშავებული საანგარიშო ფორმულით:

$$K'_{მოკ} = \frac{M_{მაქს} - M_{მინ}}{M_{საშ}} , \qquad (3)$$

სადაც $M_{მაქს}$, $M_{მინ}$, $M_{საშ}$ არის საწარმოო სისტემის მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო საწარმოო სიმძლავრე.

მაშასადამე, სიმძლავრის მიხედვით საწარმოო სისტემის მოქნილობა შეიძლება განისაზღვროს მაქსიმალურ და მინიმალურ საწარმოო სიმძლავრეთა შორის არსებული სხვაობის შეფარდებით საშუალო სიმძლავრესთან. როცა $M_{მაქს} = M_{მინ}$, სიმძლავრის მიხედვით მოქნილობა ნულის ტოლია ($K'_{მოკ} = 0$).

აქ გვინდა აღვნიშნოთ საწარმოო სისტემების მოქნილობის კიდევ ერთი თავისებურების შესახებ. ცალკეული ტექნოლოგიური დანადგარების (მოწყობილობის, მანქანის, აპარატის და სხვა) გამოყენების დროს მადომინირებელი ხდება ტექნოლოგიური, პარამეტრული და სიმძლავრის მიხედვით მოქნილობა. ტექნოლოგიური ხაზის, საამქროსა და საწარმოს მოქნილობის განსაზღვრის დროს დიდ მნიშვნელობას იძენს სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოქნილობაც. მაგალითად, საწარმოში შეიძლება საამქროები რაღაც ნიშნებით იყონ სპეციალიზებულნი, ხოლო საწარმო — უნივერსალური. საწარმოსთვისაა დამახასიათებელი, აგრეთვე, დივერსიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური საქმიანობის მოქმედების სფეროების გაფართოებას წარმოების სხვა დარგებში შეღწევის გზით, რაც გამოიხატება გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებით, რომელიც არ უკავშირდება ძირითად წარმოებას [3, 19]. ამ შემთხვევაში საწარმოს მოქნილობა, ჩვენი აზრით, შეიძლება განისაზღვროს არამაპროფილებელი პროდუქციის ხვედრი წონით საწარმოს პროდუქციის საერთო რაოდენობაში (მოცულობაში).

მოქნილ საწარმოო სისტემას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ობიექტს, ახასიათებს შემდეგი თავისებურებები [4, 11—12]: 1) მოქნილი საწარმოო სისტემის დანერგვა ითხოვს დანახარჯებს როგორც ძირითად წარმოებაში, ისე დამხმარე წარმოებაში, მომსახურე მეურნეობაში და ზოგიერთ სხვა წარმოებაში; 2) სისტემა უზრუნველყოფს სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით ბაზრის ხშირადცვალებად მოთხოვნილებაზე რეაგირებას და ამის საფუძველზე ფას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოქმნის პოლიტიკის გატარებას; 3) სისტემა უზრუნველყოფს მავნე პირობებში მომუშავეთა გამოთავისუფლებას და მუშათა რიცხვის შემცირებას; 4) სისტემა უზრუნველყოფს პროდუქციის დამზადების ხარჯების შემცირებას შემდეგი მიზეზების გამო: წარმოების ავტომატიზაცია, მოწყობილობის გადაწყობის დროის შემცირება, წარმოების ტექნიკური მომზადებისა და კონტროლის პროცესების ავტომატიზაცია, პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების და კონკურენტუნარიანობის ამაღლება მომხმარებლისადმი ზუსტად და დროულად მისი მიწოდების გამო, გამოსაშვები პროდუქციის მრავალჯერადი განახლებისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებების შემცირება და სხვა.

1990 წელში დამუშავდა „მოქნილი საწარმოო სისტემების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდიკა" [5], რომელშიც ამ მიზნით შეთავაზებულია ორი კრიტერიალური მაჩვენებელი: სახალხო-სამეურნეო ეკონომიკური ეფექტი და სამეურნეოანგარიშებრივი მოგება. მათ შორის, საწარმოს სამეურნეოანგარიშებრივი მოგება ისაზღვრება პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან თვითღირებულების, საბალანსო მოგებიდან დაწესებული გადასახადების და ანარიცხების გამოკლებით. მოქნილი საწარმოო სისტემის სახალხო სამეურნეო ეფექტის განსაზღვრა კი ხდება ამ სისტემის დანერგვის საფუძველზე წარმოების მოდერნიზაციიდან მიღებული ამონაგებისა და სისტემის დანერგვაზე გაწეული დანახარჯების სხვაობით. უნდა აღინიშნოს, რომ მოქნილი საწარმოო სისტემის დანერგვისა და წარმოების მოდერნიზაციის ღონისძიებებში მონაწილეთა რიცხვი შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს, დაწყებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით და დამთავრებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებით. ამასთანავე, თითოეული მონაწილის მიერ გაწეული დანახარჯები მრავალგვარია და დამოკიდებულია მონაწილეობის ხასიათზე. ამიტომ, ზემოაღნიშნული სხვაობა დგინდება კონკრეტული პირობების მიხედვით.

მიუხედავად ამისა ცხადია, რომ მოქნილი საწარმოო სისტემების გამოყენება ერთადერთი სწორი გზაა ბაზრისა და საწარმოების ინტეგრაციის ამოცანათა გადასაჭრელად. ასეთი სისტემების დანერგვა და განვითარება განსაკუთრებით საჭიროა ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში. მოქნილი საწარმოო სისტემები თავიდან აგვაცილებს დამატებითი ინვესტირების, რეკონსტრუქციაზე საწარმოთა ხანგრძლივი გაჩერების, არასაჭირო ძირითადი ფონდების დაგროვების და მრავალ სხვა არასასურველ მოვლენას, ასეთი სისტემების გამოყენება დაკავშირებულია მრავალი სახის დადებითი ეფექტის წარმოქმნასთან, რაც ზემოთ იყო აღნიშნული.

ლიტერატურა:

1. Гибкие автоматизированные производственные системы, под. ред. Л. С. Ямпольского, Киев, Техника, 1985.
2. Крюков Р. В. Гибкая технология домостроительного производства, Л., СИ, 1969.
3. ძნელაძე დ. პ. ბიზნესის სფეროში გამოყენებული უცხო სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1993.
4. Зыкова И. М. и др. Об основных методологических принципах оценки социально-экономической эффективности гибких производственных систем, журн. Технология, серия — Гибкие производственные системы и робототехника, М., 1991.
5. Методика определения экономической эффективности гибких производственных систем, М., ЦЭМИ, 1990.

გ. ერქომაიშვილი

ბიზნესი და მისი როლი ეროვნულ ეკონომიკაში

ნებისმიერი ქვეყნის პროგრესის მთავარი წარმმართველი ძალა ბიზნესია, რამდენადაც იგი ინდივიდუალური, საზოგადოებრივი და საკაცობრიო ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროა მოგების, შემოსავლის ან სხვა სახის სარგებლობის საფუძველზე.

სიტყვა ბიზნესი (ინგლ. business) თავდაპირველად ინგლისში და აშშ.-ში გაჩნდა და ასახავდა თავისუფალ მეწარმეობას, რომელიც თან სდევდა ამ ქვეყნებში XVIII—XIX საუკუნეების სამრეწველო რევოლუციას.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ვხვდებით ბიზნესის სხვადასხვა განმარტებას. ზოგი მას საქმიანობას უწოდებს, ზოგიერთი კი — საქმოსნობას. ასე მაგალითად, „ბიზნესი" ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს საქმიანობას პირადი გამდიდრების მიზნით. შინაარსობრივად იგი გამოხატავს საქმიანობას პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთშეხამების საფუძველზე" [3,3].

„ბიზნესი — ეს არის ცოდნისა და კომერციული საქმიანობის, კონკრეტული სახეების მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია პიროვნებების მიერ საქონლის გამოშვებაზე (რაიმე მომსახურებაზე და ა. შ.), რომელსაც აქვს მომხმარებლისათვის სასარგებლო თვისებები, აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და ყველაფერი ეს უკავშირდება მოგების მიღებას" [25,19].

„ბიზნესი არის ეკონომიკური და ყველა სხვა სახის საქმიანობა, რომელიც იძლევა მოგებას, შემოსავალს ან სხვა სარგებლობას მატერიალური დოვლათის წარმოების საფუძველზე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით" [7, 79].

„ბიზნესი" ინგლისური სიტყვაა და საქმიანობას ნიშნავს" [4,4].

ბიზნესი — საქმიანობა. ბიზნესმენის სრულყოფილი ფორმა ერთ სიტყვად შერწყმული საქმოსანია [1,3].

აუცილებელია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდეს ბიზნესის ცნების ადეკვატური ერთი ცნება და, ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს სიტყვა საქმიანობა, ხოლო შინაარსობრივად ბიზნესი წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ახალი საფეხურია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეწარმეობის დონისა და ეფექტიანობის ამაღლება მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად, რის საშუალებითაც პირადი ინტერესებით ხდება საზოგადოებრივი ინტერესების გათავისება.

ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცივილიზებული და ძლიერი ბიზნესის ფორმირება, რომელსაც სახელად ქართული ბიზნესი დაერქმევა.

საქართველოში ბიზნესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში არსებობდა, როცა არენაზე გამოდიოდნენ ვაჭრები, მეწარმეები, რომლებიც ეწეოდნენ მომგებიან სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო დარგების ორგანიზაციას.

მიუხედავად ცალკეული მეწარმეების მცდელობისა, საქართველო წარმოადგენდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანას, რომელსაც ცალმხრივად განვითარებული მრეწველობა და წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა ჰქონდა. რუსეთის კაპიტალიზმი მას ითრევდა საქონლის მსოფლიო საქონელმიმოქცევაში, ქმნიდა ბაზარს მისი ფაბრიკებისათვის.

საბჭოურ პერიოდში კერძო საკუთრება და მეწარმეობა სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულად იყო მიჩნეული. „მეწარმეობა", „საქმოსნობა", „კომერსანტობა" საზოგადოებაში სალანძღავ სიტყვებად ითვლებოდა და მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობით იხმარებოდა.

ინიციატივიანი, თაოსანი მეურნეებისადმი ასეთმა უსამართლო მიდგომამ თავისუფალი მეწარმეობის სულისკვეთების ადამიანები არალეგალურად აამოქმედა. ყოველივე ამან ქართველი მეწარმის ნიჭი და ენერგია მიმართა არა იქითკენ, თუ როგორ გაეუმჯობესებინა საქმიანობა და მიეღო გაზრდილი მოგება, არამედ როგორმე თავი აერიდებინა ბიუროკრატიული ბარიერებისა და ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისათვის.

დღეს, როცა საქართველოს ეკონომიკის საბაზრო მექანიზმზე გადასვლა ხდება, მეწარმეობამ თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიჭიროს როგორც ადამიანთა ცნობიერებაში, ისე ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში.

ახლო წარსულის საქართველოში მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ეკონომიკის შედარებითი ლიბერალიზაციის შედეგად სწრაფი ტემპით განვითარდა კერძო სექტორი, თუმცა მაშინდელ კოოპერატივთა უმრავლესობა (დაახლოებით 75—80%) სახელმწიფო საწარმოთა წიაღში ფორმირდებოდა და მათზე იყო დამოკიდებული, რაც ერთგვარად უსაფრთხოების გარანტიაც იყო. ფსიქოლოგიურად დამწყები მეწარმეები ჯერ არ იყვნენ მზად დამოუკიდებლად განეხორციელებინათ თავიანთი საქმიანობა. კოოპერატივების შექმნა სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე ხელსაყრელი იყო თავად ამ საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის. ამ მომენტისათვის კოოპერატივების მიმართ ტარდებოდა შედარებით ლიბერალური პოლიტიკა, ხოლო სახელმწიფო საწარმოების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე (მომსახურებაზე, სამუშაოზე) დაწესებული იყო ფიქსირებული ფასი; კოოპერატივის ფასსა და სახელმწიფო საწარმოს ფასს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლეოდა.

ამგვარად, საწყის ეტაპზე მეწარმეობა და კერძო სექტორი ყალიბდებოდა როგორც სახელმწიფო სექტორის დანამატი. ვერ გამოიკვეთა მეწარმეობის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის კონტურები.

რამდენადაც საწარმოო სფერო საქართველოში ამჟამად თითქმის პარალიზებულია, დღეისათვის ბაზარი ძირითადად იმპორტირებულ საქონელზეა დამოკიდებული. იგი მოუქნელია და არ რეაგირებს მოთხოვნა-მიწოდების ცვალებადობაზე.

მეწარმეობის განვითარებას აფერხებს არსებული საკანონმდებლო ბაზაც. „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად დაწესებული მინიმალური საწესდებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალის ოდენობა, საწარმოთა რეგისტრაციის, აგრეთვე ლიცენზირებისათვის გაწეული ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება დამწყებ მეწარმეებს. მათთვის განსაზღვრულია მხოლოდ უმნიშვნელო შეღავათები, ხოლო მოქმედი საწარმოები იჭყლიტება, ერთი მხრივ, გადასახადების სიმრავლის, მეორე მხრივ, საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეულ დებულებათა ორაზროვნების გამო, რაც მრავალ გაუგებრობას იწვევს საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაში.

ურთულესი პირობებია შექმნილი სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სფეროში. საწარმოთა პრივატიზების შედეგად ვითარება თვისობრივად არ შეცვლილა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 25—30%) უმოქმედოდაა, ხოლო 40—45 პროცენტი მუშაობს უმნიშვნელო დატვირთვით. ამასთან, მეწარმეთა უმრავლესობას არ გააჩნია სათანადო უნარი და განათლება, რათა დაგეგმონ და განახორციელონ თავისი საქმიანობა საწარმოო სფეროში და მონაწილეობა მიიღონ კონკურენციულ ბრძოლაში, ამიტომ ამჯობინებენ მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსები დააბანდონ უმარტივეს სავაჭრო ოპერაციებში. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არსებული საბანკო სფერო ვერ უზრუნველყოფს საწარმოო სფეროს დაკრედიტებას. მეწარმეს დიდი ბრძოლა სჭირდება იმისათვის, რომ უმნიშვნელო კრედიტი მიიღოს.

ვერ ხერხდება საწარმოებში ინვესტიციების მოზიდვა. თუმცა უცხოელი ინვესტორებისათვის განსაზღვრულია მაქსიმალურად ხელსაყრელი საგადასახადო შეღავათები. ასევე არ ხერხდება უცხოური კრედიტებისა და დახმარებების ეფექტიანი გამოყენება. იგი ხშირად არაორგანიზებულად, ცალკეული დარგობრივი უწყებების დონეზე ნაწილდება.

ამგვარად, საქართველოში მეწარმეობის განვითარება თვითდინებაზეა მიშვებული. იგი მოცილდა თავის ობიექტურ საფუძველს და ვითარდება სუბიექტური ნიშნის მიხედვით, რის გამოც ვერ ხერხდება მისი სოციალურ მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანა. ყოველივე ეს დროთა განმავლობაში გამოიწვევს სოციალური კონფლიქტების მომწიფებას, რაც ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის მიზეზი შეიძლება გახდეს. ამიტომ აუცილებელია საქართველოში ავაღორძინოთ, ხელი შევუწყოთ პირველ რიგში მცირე და საშუალო ბიზნესის, შემდეგ მათი განვითარების კვალდაკვალ—მსხვილი ბიზნესის ჩამოყალიბებას.

ქართული ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა ამაღლდეს სახელმწიფოს როლი მის განვითარებაში, გაძლიერდეს მისი მაკროეკონომიკური რეგულირების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი საზოგადოებრივი და ეკონომიკური კლიმატის უზრუნველყოფის ფუნქციები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცეს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების განხორციელებას, მსხვილი ბიზნესის ფორმირებას.

ქართული ბიზნესის საერთო სტრატეგიული ამოცანებიდან უმთავრესია: არსებული ეკონომიკური და სოციალური კრიზისის რაც შეიძლება სწრაფი დაძლევა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება; სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

საქართველოში მცირე ბიზნესის ფუნქციონირების მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს კვების მრეწველობა, რომელზედაც მწვავედ იმოქმედა ეკონომიკურმა კრიზისმა. შემცირდა მისი დიდმნიშვნელოვანი დარგების — ჩაის, ღვინის, ციტრუსების, ხილბოსტნეულის კონსერვების, მინერალური წყლების, თამბაქოს — ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის დარგების პროდუქციის წარმოება, კერძოდ, ნატურალური დაფასოებული ჩაის წარმოება დაეცა 2,6-ჯერ, შამპანურის

39-ჯერ, კონიაკის 14-ჯერ, ხილბოსტნეულის კონსერვების 34-ჯერ, მინერალური წყლების 13-ჯერ, ხორცის 63-ჯერ, რძის 29-ჯერ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ პურის წარმოება ფუნქციონირებდა მისი სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე და 1995 წელს პურპროდუქტების წარმოებაზე მოდიოდა 66,2%.

1990 წელთან შედარებით 1995 წელს უმნიშვნელოდ გაიზარდა ასევე უალკოჰოლო სასმელების, ლიქიორ-არყის, თამბაქოს წარმოება, დანარჩენი ყველაფერი შემცირდა, შაქრის წარმოება კი მთლიანად შეწყდა.

კვების პროდუქტების დეფიციტი შეავსო უცხოური წარმოების პროდუქტებმა. საქართველო გახდა თურქეთის, ირანის, კორეის და ა. შ. ქვეყნების უხარისხო საქონლის გასაღების ბაზარი.

კვების მრეწველობის საწარმოთა ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესი ეტაპია მათი პრივატიზაცია. 1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხორცის, ჩაისა და ღვინის მრეწველობაში ყველაზე დიდი ხვედრი წონით შესაბამისად 61,51 და 49%-ით წარმოდგენილია სააქციო საზოგადოებები. ცხიმზეთების, თამბაქოს და საკონსერვო მრეწველობაში მაღალია სახელმწიფო საწარმოების ხვედრი წონა 80, 66 და 35 პროცენტი. მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში ყველაზე დიდი ხვედრი წონით წარმოდგენილია იჯარა გამოსყიდვით — 44 პროცენტი.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე კვების მრეწველობის საწარმოთა პრივატიზებაში ფართო მასშტაბით უნდა მიიღოს მონაწილეობა უცხოელმა პარტნიორებმა (მსგავსად გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერისა", რომელმაც შეისყიდა რამდენიმე ჩაის ფაბრიკის აქციათა საკონტროლო პაკეტი და აქტიურად მუშაობს როგორც ნედლეულის მწარმოებლებთან, ასევე ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან). ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მუშაობა მეღვინეობის, ხილბოსტნეულის კონსერვების, ეთერზეთების და სხვა დარგებში. შექმნილ ვითარებაში ასევე დიდ როლს ასრულებს უცხოური კრედიტებისა და დახმარებების ეფექტიანი გამოყენება. ამ მხრივ მდგომარეობა სავალალოა. ნამდვილ მეწარმეებს ძალიან უჭირთ აღნიშნული კრედიტების მიღება.

საქართველოს კვების მრეწველობაში მცირე საწარმოები შეიძლება შეიქმნას:

1. ნაკლებად გამოყენებული სანედლეულო რესურსების ბაზაზე.

საკონსერვო მრეწველობაში დაახლოებით 1/4-ს შეადგენს ნარჩენი და მეორადი პროდუქტი. ამ შემთხვევაში მცირე საწარმო შეიძლება შექმნას სახელმწიფო ან სხვა სამრეწველო საწარმოებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სააქციო და სხვა საზოგადოებებმა, შრომითმა კოლექტივებმა და ცალკეულმა მოქალაქეებმა.

2. მსხვილი საწარმოების დაშლის ბაზაზე.

ასეთ შემთხვევაში მსხვილი საწარმოების დაშლა მაშინაა რაციონალური, თუ ცალკეულ რგოლებს შორის არ არის მჭიდრო საწარმოო კავშირები. შესაძლებელია ტექნოლოგიური ციკლის დაყოფა ცალკეულ ოპერაციებად და მათ ბაზაზე მცირე საწარმოთა ასოციაციების შექმნა.

მაგრამ ზოგიერთი ქვედარგისათვის საწარმოთა დანაწილების ტექნოლოგიური პრინციპი დაუშვებელია, რამდენადაც ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების რგოლებს აქვს მჭიდრო საწარმოო კავშირები. მაგალითად, პურფუნთუშეულის და ასევე ზოგიერთი სხვა სახის საკონდიტრო მრეწველობა. ასეთ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში მცირე საწარმოების შექმნა შესაძლებელია ცალკეული საწარმოო უბნების ბაზაზე. მაგალითად, ეროვნული ტკბილეულის წარმოება.

ასოციაციის შემადგენლობაში მომუშავე ცალკეული საწარმო დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავის ვალდებულებებზე, ჰყავს თავისი კლიენტები, ასაღებს თავის პროდუქციას. ასეთი გაერთიანებების ნაკლია სხვადასხვა სახის წარმოების დამოკიდებულება ნედლეულის პირველად გადამუშავებაზე. ამ სახის გადასაწყვეტად შესაძლებელია პირველადი წარმოების ორ წარმოებად დაყოფა, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტები იქნებიან.

მცირე საწარმოების შექმნა შესაძლებელია, აგრეთვე, მოქმედი საწარმოს შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფის დამოუკიდებელ ბალანსზე გამოყოფის საფუძველზე.

კვების მრეწველობის მიმართულების ბიზნესურმა ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა ბიზნესის ორგანიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ: წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას; მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას; გარანტირებული ბაზრების შერჩევასა და შენარჩუნებას; შრომის საერთაშორისო, რეგიონთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დანაწილების მოთხოვნებს; ახალი ბაზრის ათვისებას; არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. თითოეული მეწარმე უნდა გრძნობდეს მხარდაჭერას სახელმწიფოსაგან. უპირველეს ყოვლისა, სპეციალური კანონმდებლობით დაცული უნდა იყოს მცირე საწარმოთა უფლებები და თავისუფლებები, მათი შექმნა და შეუფერხებელი ფუნქციონირება ეკონომიკის ნებისმიერ დარგში. აუცილებელია განვითარდეს ბიზნეს-გეგმების შედგენის პრაქტიკა და ამით ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მეტად მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების, გრძელვადიანი კრედიტების სახელმწიფო და კერძო სექტორზე ობიექტურად განაწილება.

ლიტერატურა:

1. ნ. ალექსიძე., გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი", ნოემბერი, 1996.
2. ო. გიორგობიანი, კვების მრეწველობის ეკონომიკა, თბ., 1995.
3. ო. საღარეიშვილი, ე. ხარაიშვილი, ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი, თბ., 1995.
4. ლ. ქარჩავა, როგორ გავხდე ბიზნესმენი, თბ., 1993.
5. ო. ქეშელაშვილი, ბიზნესის ორგანიზაცია, თბ., 1995.
6. დ. ძნელაძე, მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თბ., 1992.
7. თ. ჩიკვაიძე, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", ტ. I, თბ., 1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. სანიკიძე

მცირე ბიზნესის ძირითადი თავისებურებანი

მცირე ბიზნესი საბაზრო-ეკონომიკური სისტემის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ხასიათდება მცირე ბიზნესის სწრაფი ზრდით. იგი ძირითადად გავრცელებულია საბაზრო ეკონომიკის კერძო სექტორში. მაგ: აშშ-ში მცირე საწარმოთა რაოდენობა შეადგენს მთელი საწარმოო კომპანიების 99%. აქედან მათი ძირითადი მასა (80%) უმცირესი საწარმოებია, სადაც 10 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია უმცირეს, მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა გამიჯვნის კრიტერიუმები. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კრიტერიუმია დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც სხვადასხვა რაოდენობრივი პარამეტრით ხასიათდება. მაგ.: აშშ-ს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მცირეს მიეკუთვნება იურიდიულად დამოუკიდებელი ფირმები 10-დან 500 კაცამდე დასაქმებულთა რაოდენობით. იტალიაში 20-დან 100-მდე, საფრანგეთში 10-დან 50 კაცამდე, დიდ ბრიტანეთში 100 კაცამდე დასაქმებულით და სხვ.

დიდ ბრიტანეთში 80-იან წლებში მცირე ბიზნესის განვითარება გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა სტაგნაციაში მყოფი ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის, ვინაიდან მან დიდი როლი შეასრულა დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების აღორძინების პრობლემების გადაჭრაში.

მცირე ბიზნესის განვითარება კონკურენციული საბაზრო გარემოს ჩამოყალიბების კატალიზატორია. იგი ერთდროულად ხელს უწყობს თანამედროვე სტანდარტებისა და ცხოვრების სტილის გავრცელებას როგორც ქალაქში, ისე სოფლად, რაც საბოლოო ანგარიშით განაპირობებს მსხვილი საქალაქო აგლომერაციის ზრდის შეზღუდვას.

მცირე ბიზნესი არსებითი ხასიათის თავისებურებებით გამოირჩევა, რაც დიდად ზრდის მის უპირატესობებს მსხვილ საწარმოებთან შედარებით.

არც თუ დიდი ხნის წინათ თანამედროვე მონოპოლიის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მსხვილ ფირმებს გააჩნიათ ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა მცირე ფირმებთან შედარებით — ეკონომიის შესაძლებლობა წარმოების მასშტაბების გამო. წარმოების მასშტაბების ზრდასთან ერთად მიმდინარეობს ეკონომია, რომელიც გამოწვეულია გრძელვადიანი საშუალო დანახარჯების შემცირებით ერთეულ პროდუქციაზე, ამის გამო მსხვილი საწარმოები უფრო რენტაბელურია მცირესთან შედარებით. ხშირად წარმოების მასშტაბთან დაკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული ეკონომია გამოწვეული იყო პროდუქციის გასაღების ბაზრების გაფართოებით(როგორც შიდა, ისე გარე).

პიტერ დრუკერი აღნიშნავდა, რომ ძალიან მსხვილი კორპორაცია დროთა განმავლობაში აწყდება სერიოზულ სიძნელეებს და ხდება უმართავი. მისი აზრით „გიგანტიური კორპორაციების ერა უახლოვდება დასასრულს, მომავალი მცირე ფირმებს ეკუთვნით, რომლებსაც შეუძლიათ შედარებით სწრაფად მოერგონ მიმდინარე ცვლილებებს".

ბოლო წლებში მსხვილმა კომპანიებმა დაიწყეს თავიანთი საწარმოების რეორგანიზაცია. უმსხვილესი კორპორაციების ხელმძღვანელებმა, როგორიცაა „ჯენერალ ელექტრიკი", „ფორდ მოტორსი" დაიწყეს უდიდესი საწარმოო კომპლექსების შეცვლა მცირე ქარხნებით. მაგ: „ჯენერალ ელექტრიკის" საწარმოო განყოფილებამ, რომელიც უშვებდა მოტორებს თვითმფრინავებისათვის, ორი გიგანტური საწარმო გაყო 8 მცირე საწარმოდ.

ამასთან, კომპანიები ხშირად ქმნიან სპეციალიზებულ საწარმოებს, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციის მცირე ნომენკლატურას და შეუძლიათ შედარებით სწრაფად მოახდინონ რეაგირება მოთხოვნილებაზე და იყვნენ უფრო კონკურენტუნარიანი.

სოციალისტური ეკონომიკის პირობებში მთლიანად იგნორირებული იყო მცირე საწარმოების როლი; ეს განაპირობა კონცენტრაციის განუხრელი ზრდის კანონის სოციალიზმისეულმა გაგებამ. მრეწველობაში წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლებას ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, რადგანაც წარმოების კონცენტრაცია უზრუნველყოფს მართვის ცენტრალიზაციას და ამდენად ხელისუფლების მონოპოლიზმს ეკონომიკაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირე ბიზნესი არსებითი ხასიათის თავისებურებებით გამოირჩევა:

— სწრაფი რეაგირება სამომხმარებლო ბაზრის ცვლილებების მიმართ;

— მოქნილობა და ოპერატიულობა თავის საქმიანობაში;

— სწრაფად შეუძლია განაახლოს თავისი ძირითადი კაპიტალი, დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, დააჩქაროს სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების დანერგვა;

— უფრო მეტად აძალებს დააჩქაროს ინოვაციური პროცესი, მიაღწიოს სამეცნიერო-კვლევითი და საგამომგონებლო სამუშაოთა ვადებისა და მათზე გაწეული ხარჯების არსებით შემცირებას;

— შეიმუშაონ წარმოების ორგანიზაციისა და გაძღოლის სრულიად ახალი ფორმები და მეთოდები;

— ლოკალური მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენება;

— მცირე სამეურნეო დანახარჯებით დიდი ეფექტის მიღება;

— ადგილობრივი პირობების თავისებურებებზე ადაპტაციის დიდი უნარი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მცირე ფირმების ეკონომიკური უპირატესობა მდგომარეობს მათი პროდუქციის შედარებით სიიაფეში, მათ შესაძლებლობაში, შეამცირონ წარმოების დანახარჯები ვიწრო სპეციალიზაციის ხარჯზე, წარმოების შედარებით იაფი საშუალებებით, შედარებით დაბალი ხელფასის დონით. მათი შექმნისათვის საჭიროა შედარებით ნაკლები საწყისი კაპიტალი. მცირე ბიზნესის რენტაბელობის ზრდას ხელს უწყობს კაპიტალის შედარებით (თითქმის 2—2,5-ჯერ) მაღალი ბრუნვადობა. ამასთან მცირე ფირმები მთლიანად იყენებენ თავიანთ მოსამსახურეებსა და მოწყობილობებს, გააჩნიათ მარაგების შედარე-

ბით დაბალი დონე, არა აქვთ დაუდგმელი მოწყობილობები და გამოუყენებელი ფართობი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ მთელ მსოფლიოში აღინიშნება მცირე ბიზნესის აყვავება. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ არ შეიძლება მისი აბსოლუტიზება და პანაცეად მიჩნევა. მას არ შესწევს ძალა ძვირადღირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელებისათვის, რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრისათვის. აღსანიშნავია, რომ მცირე ბიზნესი ძალზედ მგრძნობიარეა ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებისადმი, ზოგჯერ მასზე გამანადგურებელ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარების ციკლური ხასიათი. ამასთან, მცირე ბიზნესის წარმართვის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა კრედიტზე პროცენტული განაკვეთის დონე. საქმე ისაა, რომ ისინი განუწყვეტლივ განიცდიან კაპიტალის ნაკლებობას და მსხვილ კომპანიებთან შედარებით უფრო მეტად არიან დამოკიდებული მიმდინარე ბრუნვის დაკრედიტებაზე. ბანკები კი საერთოდ გაურბიან მცირე ფირმების დაკრედიტებას, ცდილობენ გაწეული რისკისათვის მათგან, როგორც ნაკლებსაიმედო მსესხებლებისაგან, ჩვეულებრივზე უფრო მაღალი პროცენტის დაწესებით მიიღონ კომპენსაცია. ბიზნესის მცირე მასშტაბები წვრილ საწარმოებს არ აძლევს საშუალებას გამოიყენონ კაპიტალის მოზიდვის სხვა წყაროები; მაგ.: გამოუშვან აქციები. მათ უჭირთ ისეთი ინვესტორების მოძებნა, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან თავიანთი სახსრების ამ ფირმების საქმეში დაბანდებით. მცირე ბიზნესის პრობლემებს კიდევ უფრო ართულებს ინფლაციური პროცესების გაძლიერება. სახელდობრ, ფასების გადიდების გამო იზრდება მცირე საწარმოთა მოთხოვნილება ფულადი სახსრებისადმი როგორც ხარჯების დასაფარავად, ისე რეზერვების შესავსებად. ინფლაციის დროს მათ არ შეუძლიათ თავიანთ პროდუქციაზე საბაზრო ფასებისა და დანახარჯების დონის კონტროლირება, რაც გაცილებით ხელმისაწვდომია მსხვილი ფირმებისათვის. ყოველივე ამის გამო მცირე საწარმოები ხშირ შემთხვევაში ვერ უძლებენ კონკურენციას და კოტრდებიან. მაგ.: დიდი ბრიტანეთის დასაქმების სამინისტროს მონაცემებით, მცირე ფირმების „სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა“ 7 წელია.

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად მცირე ბიზნესის უარყოფით მხარეებს უდავოდ ფარავს დადებითი, რამაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში კანონზომიერი გახადა გიგანტებთან მცირე ფირმების თანაარსებობა. ამ უკანასკნელთა სიცოცხლისუნარიანობას დიდად უწყობს ხელს მათ დასაცავად გამიზნული სახელმწიფო პოლიტიკა.

ამერიკელი ეკონომისტები, აანალიზებენ რა მცირე ბიზნესის მოქმედებას ბაზარზე, გამოყოფენ მცირე ფირმების სამ ძირითად ჯგუფს: პირველს ისინი მიაკუთვნებენ ფირმებს, რომლებიც ხასიათდებიან წარმოებისა და გასაღების შედარებით მუდმივი მოცულობით. მეორეს — ფირმებს, რომლებსაც უკავიათ ზოგჯერ მონოპოლიური პოზიცია ადგილობრივ ბაზარზე. მესამეს — ფირმები, რომლებიც ბაზარზე გამოდიან ახალი სახის საქონლითა და მომსახურებით.

პირობითად მცირე ფირმები შეიძლება დავყოთ ფირმებად, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ კონცერნებთან და ფირმებთან, რომლებიც ეკონომიკურად და იურიდიულად დამოუკიდებელნი არიან. მცირე ფირმები მსხვილ კომპანიებზე დაქვემდებარების დონის მიხედვით იყოფიან ორ ძირითად ჯგუფად: აუტსაიდერები და სატელიტები. აუტსაიდერები ინარჩუნებენ შედარებით დამოუკიდებლობას მსხვილი მონოპოლიური კომპანიებისაგან. ისინი აწარმოებენ მონოპოლისტის მსგავს პროდუქციას და განსაზღვრულ პირობებში გამოდიან მათ კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურენტებად. აუტსაიდერებს არ შეუძლიათ ეფექტიანად გაუწიონ კონკურენცია მონოპოლისტებს; ისინი ემორჩილებიან მათ, იცავენ კონცერნების მიერ ნაკარნახებ პირობებს, სხვა შემთხვევაში მათ შეიძლება გაუმკლავდნენ არაჯენტლმენური მეთოდებით.

სატელიტები ის ფირმებია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მსხვილ მონოპოლიებთან როგორც წარმოებით, ასევე ფინანსურად. არსებობს სატელიტების ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფის ფირმებია დილერები, ხოლო მეორე ჯგუფის — სუბმიმწოდებლები, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან მსხვილი კორპორაციებისათვის პროდუქციის მიწოდებაზე.

დილერები ასრულებენ დიდ როლს კორპორაციის პროდუქციის გასაღების ბაზრის დაპყრობაში.

80-იანი წლებიდან მსხვილი და წვრილი საწარმოების სამეურნეო ინტეგრაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემა, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია „ფრანჩაიზინგის" სახელწოდებით. ფრანჩაიზინგის არსი ისაა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე ხანგრძლივი ფირმათაშორისო თანამშრომლობის კონტრაქტის დადებით მეთაური, როგორც წესი, მსხვილი კომპანია (ფრანჩაიზერი) განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურავს მცირე, დამოუკიდებლად მოქმედ ან შექმნილ საწარმოს (ოპერატორს), რაც კონკრეტულ გამოხატულებას პოვებს განსაზღვრული სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციისას საკუთარი სავაჭრო მარკების სარგებლობის უფლების მინიჭებაში. სახელშეკრულებო ურთიერთობა მათ შორის აგებულია შემდეგნაირად: მეთაური კომპანია საწარმო-ოპერატორისაგან მოითხოვს ერთეულ თავდაპირველ გასამრჯელოს ბაზარზე მისი სახელით მოქმედების უფლებისათვის. ასეთი გადასახადი მაგ.: აშშ-ში საშუალოდ შეადგენს 10—23 ათას დოლარს; მისი ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სფეროში ხორციელდება ფრანჩაიზინგი. რაც შეეხება კაპიტალდაბანდებას, იგი ხორციელდება, როგორც მეთაური კომპანიის მიერ ძირითადი ფონდების ფირმა-ოპერატორზე არენდით გადაცემის გზით, ასევე, ამ უკანასკნელთა საკუთარი ან ნასესხები საშუალებებით. საარენდო ობიექტებია: შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და მასალები, ინვენტარი, სავაჭრო პუნქტისათვის ავეჯი და სხვა. გარდა ამისა, მეთაურ კომპანიას შეუძლია წვრილ მეწარმეს მისცეს შეღავათიანი კრედიტი 2—3 წლის ვადით, აიღოს მისთვის სესხი ბანკში ან იყოს მისი თავდები სესხის მიღებისას. ფრანჩაიზერი სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესულ საწარმოებს უწევს საბუღალტრო და სტატისტიკურ დახმარებას, გასაღების საკითხებთან დაკავშირებით აძლევს რეკომენდაციებს, ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებას და სხვა. თავის მხრივ ფირმა — ოპერატორებს ენიჭებათ პასუხისმგებლობა მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხარისხისათვის, სავაჭრო მარკის რეპუტაციისათვის და სხვა.

კონტრაქტში ფიქსირებულია მიმდინარე გადასახადებისა და მოგებიდან ანარიცხების ოდენობა. იმის გამო, რომ მხოლოდ მსხვილ ფირმებს შეუძლიათ განახორციელონ ძვირადღირებული სარეკლამო ღონისძიებები, რომლებზეც დიდადაა დამოკიდებული კონკურენციულ ბრძოლაში მცირე ფირმების წარმატებები, ხშირ შემთხვევაში, მეთაური კომპანიები ფირმა — ოპერატორისაგან მოითხოვენ რეგულარულ გადასახადს მათი სავაჭრო მარკით რეკლამის სარგებლობისათვის (საშუალო ამონაგების 1-დან 5%-მდე). როგორც წესი, მხარეებს შორის ხელშეკრულება იდება 5—10 წლით, მაგრამ ზოგჯერ ვარირება ხდება 3-დან 20 წლამდე. თუ ფირმა—ოპერატორი დაარღვევს ხელშეკრულებას და ზიანს მიაყე-

ნებს მეთაური კომპანიის რეპუტაციას, ამ უკანასკნელს ნებისმიერ მომენტში შეუძლია, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაარღვიოს მასთან ხელშეკრულება.

ფრანჩაიზინგი ხელსაყრელია კონტრაქტის მონაწილე ორივე მხარისათვის. მცირე ბიზნესისათვის, მსხვილი კომპანიების მხარდაჭერის გარეშე ძნელია „მზის ქვეშ" ადგილის მოპოვება. მათი დამოუკიდებლად ფუნქციონირების პირობებში ძალზე დიდია გაკოტრების რისკი, შეზღუდულია კაპიტალის წყაროები, დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენება, ძნელია მომხმარებლების ნდობის მოპოვება და სხვა. ფრანჩაიზინგის მეშვეობით წვრილი ფირმები დიდი კაპიტალისა და სამეურნეო გამოცდილების უქონლობის პირობებში მსხვილი ფირმების ეგიდით ახერხებენ საკუთარი საქმის გახსნას. მეწარმე—ოპერატორები სარგებლობენ მათი სავაჭრო მარკით და მოიპოვებენ ავტორიტეტს ბაზრებზე, რაც დამოუკიდებლად არსებობის პირობებში გაცილებით ძნელად მისაღწევია. თავის მხრივ ფრანჩაიზინგის მეშვეობით მეთაურ კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა, გადაჭრან ორი პრობლემა: გააფართოონ თავიანთი პროდუქციის გასაღების ბაზრები და სამეურნეო ბრუნვაში, მოსახლეობის დანაზოგის ჩართვის გზით, მიიზიდონ დამატებითი კაპიტალი.

თუ გავითვალისწინებთ მცირე ბიზნესის უპირატესობათა რეალიზაციის მნიშვნელობას, შეიძლება ითქვას, რომ ის საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურება, რელიეფური და ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის განსახლების სისტემა, დასაქმების რეგიონული სტრუქტურა თავისთავად გულისხმობს მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ქსელის გაფართოების აუცილებლობას.

მცირე ბიზნესი საქართველოს ეკონომიკურ სისტემაში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ტრადიციული, მივიწყებული დარგების აღდგენა-ჩამოყალიბების საქმეში. წვრილი და საშუალო ზომის საწარმოთა ქსელის შექმნა ობიექტური აუცილებლობით გამოიწვევს კონკურენციული მექანიზმის სრულყოფილად მოქმედებას და ამით ხელს შეუწყობს საბაზრო გარემოს სრულყოფილად ჩამოყალიბებას.

ზ. ღუდუშაური
ნ. ღუდუშაური

მცირე ბიზნესის განვითარებას სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება

წამყვან საბაზრო სახელმწიფოებში მომხდარი „ეკონომიკური სასწაულები" ემყარებოდა სამეურნეო წესრიგს. სამეურნეო წესრიგი, პირველ რიგში, კონკურენციულ წესრიგს გულისხმობს და მის მისაღწევად მეწარმეობის, მათ შორის მცირე მეწარმეობის, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორის, განვითარებას მოითხოვს.

დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი წელია, რაც ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპისა და აზიის განვითარებული ქვეყნები აქტიურ ღონისძიებებს ატარებენ მცირე მეწარმეობის, ანუ მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. მანამდე მცირე ბიზნესი უპერსპექტივო სექტორად ითვლებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, მცირე ბიზნესის განვითარება მხოლოდ 80-იან წლებში იქცა სტაგნაციაში მყოფი ეკონომიკის გამოცოცხლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად. ამ ქვეყნების მთავრობები მცირე ბიზნესის დახმარებისათვის სპეციალურ სამსახურებსაც კი ქმნიან, რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მის წარმატებებში. ასე მაგალითად, აშშ-ში შექმნილია მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, რომელიც მოწოდებულია ფინანსური დახმარება გაუწიოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს. დიდ ბრიტანეთში შექმნილია მცირე ფირმების კვლევის ე. წ. ბოლტონის კომიტეტი, საფრანგეთში შექმნილია 50-მდე ორგანიზაცია, რომლებიც მცირე საწარმოებს აძლევენ შეღავათიანი კრედიტის მიღების გარანტიას. გერმანიაში შექმნილი სახელმწიფო სამსახურებიც შუამავლობენ მცირე საწარმოებს გადასახადების შემცირებასა და დაბალპროცენტიანი კრედიტების მიღებაში.

მთავრობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს მცირე ბიზნესი აზიის ქვეყნებშიც — იაპონიაში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში. სწორედ სახელმწიფოს მხარდაჭერითაა, რომ სამხრეთ კორეის ბანკები სესხების 35%-ზე მეტს აძლევენ მცირე ფირმებს შეღავათიანი პროცენტით [1,79].

ზემოთ თქმულის შედეგია ის, რომ როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებში, წვრილ და საშუალო საწარმოთა რიცხვი მუდმივად იზრდება. მართალია, ამ საწარმოთა სასიცოცხლო ციკლი 5—6 წელია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ ადგილზე არ ჩნდება ახალი. პირიქით, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ყოველწლიურად უფრო მეტი ახალი წვრილი საწარმო იხსნება, ვიდრე ისპობა. აშშ-ში ყოველ წელს 700 ათასი ახალი ფირმა იხსნება და აქედან ყველაზე მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცირესი საწარმოებია. ამასთან იმ ქვეყნებში, სადაც წვრილ საწარმოებს აქტიური სახელმწიფო დახმარება აქვთ, მათი გაკოტრების პროცენტიც დაბალია. ის ფაქტი, რომ იაპონიაში წლის განმავლობაში კოტრდება წვრილ და საშუალო საწარმოთა არაუმეტეს 5%, ხოლო აშშ-ში თითქმის 30% [2,137], იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ საწარმოთა დახმარების იაპონური მექანიზმი უფრო ქმედითია, ვიდრე ამერიკული.

მცირე და საშუალო ბიზნესმა იმდენი სიკეთე მოუტანა ინდუსტრიულ ქვეყნებს, რომ მას აღარ დაურჩა მოწინააღმდეგე. დასავლეთში მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფ განვითარებას უკავშირებენ მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მრავალ ისეთ თვისებას, რომლითაც ისინი ჯობნიან მსხვილ საწარმოებს. ეს თვისებებია: ოპერატიული რეაგირება ბაზრის მოთხოვნაზე, დინამიკურობა, მობილურობა, კომერციული რისკისადმი დიდი მზადყოფნა, ინვესტიციების უკუგების მცირე ვადები, მოგების მაღალი ნორმა, დიდი რაოდენობით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კონკურენციული საბაზრო გარემოს ჩამოყალიბება და ა. შ. რაღა თქმა უნდა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს აქვთ უარყოფითი მხარეებიც, მაგრამ ამ უარყოფითს უდავოდ ფარავს დადებითი. ამის დასტურია მთელ მსოფლიოში მცირე ბიზნესის აყვავება.

ვითვალისწინებთ რა საზღვარგარეთის გამოცდილებას, ვასკვნით, რომ მცირე ბიზნესის სამეწარმო ენერგიას საქართველოს ეკონომიკის აღორძინებაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლია, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შეიქმნება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ეფექტიანი სახელმწიფო სისტემა. ამისათვის პირველ რიგში და, ამასთან, სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული კანონი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ, ისე როგორც ეს რუსეთში მოხდა. მართალია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1991 წელს მიიღო დადგენილება „მცირე საწარმოთა შექმნისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ" და დარგობრივი ჭრილით მცირე საწარმოს, როგორც საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სტატუსიც დაამტკიცა, მაგრამ შემდეგში, კერძოდ 1994 წლის 28 ოქტომბერს ქვეყანაში მიღებულმა კანონმა „მეწარმეთა შესახებ" გააუქმა მცირე საწარმო, როგორც საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კანონიც არ ზღუდავს მის მიერ დაშვებული ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის საწარმოს (ინდივიდუალური, სოლიდარული პასუხისმგებლობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის და სხვა) გახსნას მცირე ან საშუალო სიდიდით, მაგრამ ამ კანონში არ ჩანს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტიმულატორები, არაა განსაზღვრული მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოთა განმსაზღვრელი კრიტერიუმები და არც მათი საბოლოოდ დაზუსტებული იურიდიული სტატუსი.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობამ ახლავე უნდა შექმნას კანონი თუ არა, კანონის ძალის მქონე დოკუმენტი, რომელშიც მარტივად და ნათლად იქნება ნაჩვენები მცირე და საშუალო საწარმოთა სტატუსი, მათი სიდიდის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტები. ეს პრიორიტეტები და, აგრეთვე, შემზღუდავი მექანიზმი უნდა დამუშავდეს დარგობრივ ჭრილში ამ დარგის კომპეტენტური სპეციალისტების მიერ და მხოლოდ სათანადო აპრობაციის შემდეგ გადაეცეს სათანადო სამსახურს საკანონმდებლო ძალის მისაცემად.

ამ საქმეში ძალიან გამოგვადგება მცირე ბიზნესის მხარდამჭერი დარგობრივი ორგანოები, რომელთა შექმნა, ისე როგორც მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სპეციალური სამთავრობო ორგანოსი, მეტად აუცილებელი და საშური საქმეა.

ეს ორგანოები ფაქტობრივად შექმნიან საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესს (დაეხმარებიან მათ კონსულტაციებით, მთავრობაში უფლებების დაცვით, შეღავათიანი კრედიტების მიცემით და ა. შ.), შემდეგ კი იზრუნებენ მისი განვითარებისათვის.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ კანონის, თუ კანონის ძალის მქონე დოკუმენტის მოქმედების სიმყარეს დროში. ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ კანონების ხშირი ცვლა იწვევს სიტუაციის მაქსიმალურ დესტაბილიზაციას და რწმენის დაკარგვას კანონმდებელი ორგანოების მიმართ. ყველამ ვიცით, თუ რა უარყოფითი რეზონი მიიღო მეწარმეთა ფენაში სამეწარმო საქმიანობის შესახებ კანონის ორჯერ შეცვლამ, საგადასახადო კანონმდებლობის ასევე ორჯერ შეცვლამ და სხვადასხვა შესწორება-დამატებებმა. ასეთ დროს მეწარმე ლოდინს ამჯობინებს. იგი თავს იკავებს საქმის დაწყებიდან, დაწყებულ საქმეს კი აჩერებს. ეს კი აგვიანებს მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას და საბოლოო ჯამში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ამიტომ ამჯერად მიღებული ახალი კანონი, თუ კანონის ძალის მქონე დოკუმენტი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სრულყოფილი და უნივერსალური. იგი არა მხოლოდ ახლანდელ, არამედ მომავალ მეწარმეთა მოთხოვნებსაც უნდა პასუხობდეს. ეს კი მაშინ მოხდება, თუ ეს კანონი ქართველების ეკონომიკურ მენტალიტეტთან იქნება სრულ შესაბამისობაში და არ იქნება ნათარგმნი რომელიმე სხვა ქვეყნის კანონიდან, რაგინდ განვითარებულიც არ უნდა იყოს იგი.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას საქართველოში არ ყოფნის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებიც. მცირე საწარმოებს ფაქტობრივად ის ხალხი ხსნის, რომლებიც საბჭოურ პერიოდში ცხოვრობდნენ „ხელფასიდან ხელფასამდე" და, ბუნებრივია, რომ მათ საკუთარი საქმის წამოსაწყებად არა აქვთ საკმარისი სიდიდის სახსრები. ამიტომ მათთვის სახელმწიფო დახმარებაა საჭირო. ჩვენ ვიცით, რომ ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს ეს არ შეუძლია, მაგრამ ხომ შეიძლება სახელმწიფოს ინიციატივით გაიხსნას მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სპეციალური საკრედიტო-საინვესტიციო ბანკი, რომელიც მისცემს მათ მოკლე და გრძელვადიან კრედიტებს დაბალი პროცენტით და, ამასთან, არ მოითხოვს გირაოს.

როგორც წესი, ახლანდელი კომერციული ბანკები სესხებს მხოლოდ გირაოთი იძლევიან. გირაოდ ძირითადად მიიღება მეწარმის საცხოვრებელი სახლი. საცხოვრებელი სახლები ის ერთადერთი ქონებაა, რომელიც აქვთ დამწყებ მეწარმეებს და მათი გირაოში ჩადება ისეთ სამართლებრივად მოუწესრიგებელ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დიდად აშინებთ მათ. ბინის დაკარგვით ისინი არათუ უსაქმოდ და ულუკმაპუროდ, არამედ უსახლკაროდაც რჩებიან, მეწარმეთა 30%-მა უკვე გადაიტანა ეს თავის თავზე. ამის გამო სხვები უფრო ფრთხილნი გახდნენ, მაგრამ ამან შეანელა სამეწარმო საქმიანობა და, საბოლოო ჯამში, საბაზრო ეკონომიკის ფორსირებული განვითარება. აი ამიტომაა საჭირო საქართველოში მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სპეციალური ბანკი, რომელსაც სახელმწიფო შექმნის და რომლის რისკს სახელმწიფო იკისრებს. ეს რისკი რომ მაქსიმალურად შემცირდეს, საჭიროა ამ ბანკს თავისთან ჰქონდეს მცირე ფირმების სამეურნეო საქმიანობის შემსწავლელი დიაგნოსტიკური ცენტრი და აუდიტორული სამსახური.

საქართველოს ქალაქების და რაიონების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა კარგად იციან, რომ 10 ახლად გახსნილი მცირე თუ საშუალო საწარმოდან ერთი-ორი თუ მუშაობს, ყველა დანარჩენი ქაღალდზე დარჩა, სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ, რომ ვერ დაიქირავეს სათავსი და ვერ აიღეს შეღავათიანი სასტარტო სესხი გირაოს გარეშე. ასეთ დღეში ძირითადად საწარმოო სფეროს ობიექტებია. ეს კი ის საწარმოებია, რომელთა სარგებლიანობა საზოგადოებისათვის გაცილებით მეტია, ვიდრე არაწარმოებითი სფეროს ობიექტებისა. ამ სფეროს დარგები — მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა სახალხო მეურნეობის საკვანძო დარგებია და ისინი ამჟამად მწვავე ეკონომიკურ დეპრესიას განიცდიან (1995 წელს ფაქტობრივად არ უმუშავია სამრეწველო საწარმოთა 44,7%-ს, სოფლის მეურნეობა 1945 წლის დონემდეა დასული, არ მუშაობს სამშენებლო ორგანიზაციების 90%). სათანადო ხელშეწყობის პირობებში ამ დარგებში ახლადგახსნილი კერძო მცირე და საშუალო საწარმოები ნაწილობრივ მაინც შეძლებდნენ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებას და შეავსებდნენ იმ გარღვევას, რაც სახელმწიფო საწარმოებმა დაუშვეს.

ძალზე შეაფერხა მცირე მეწარმეობის განვითარება ქვეყანაში საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 11 აპრილის № 196 დადგენილებამ, რომელმაც სავალდებულო გახადა საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია. ამჯერად რეგისტრაცია მოხდა არა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში (მერია, გამგებლობა), სადაც საწარმოებმა პირველადი რეგისტრაცია გაიარეს და ამისათვის საკმაოდ დიდი კანონიერი თუ უკანონო ხარჯი გაიღეს, არამედ რაიონულ სასამართლოებში. მეორადი რეგისტრაციისათვის მოსაკრებლის სიდიდემ შეადგინა: კოოპერატივისთვის 30, სააქციო საზოგადოებისათვის 90, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის 40, სახაზინო საწარმოსათვის 25, კომანდიტური საზოგადოებისთვის 20, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის 15 და ინდივიდუალური საწარმოსათვის 5 ამერიკული დოლარის ეკვივალენტური ეროვნული ვალუტა. ამას ემატება დოკუმენტების შეცვლის, ბეჭდის და შტამპის დამზადებისა და სხვა ხარჯი, რაც მეტი თუ არა, კიდევ 100—150 ლარამდე გროვდება. ეს თანხა დამწყები მეწარმესათვის, რომელიც რიგიანად ჯერ არც ამოქმედებულა (უმრავლესობა კი საერთოდ არ ამოქმედებულა), მეტად მძიმე გადასახდელია. აკი ამიტომაც ვერ ჩატარდა საწარმოთა სრული ხელახალი რეგისტრაცია და ორჯერ მოხდა მისი გადავადება. რეგისტრაცია ამჟამად დამთავრებულია, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ მრავალი მცირე ფირმა ფინანსური გაჭირვების გამო ვერ გატარდა რეგისტრაციაში და ამ მიზეზით გაუქმდა. ჩვენი აზრით, საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იგი უნდა ჩატარებულიყო უფასოდ, რადგან მათ მეპატრონეებმა ერთხელ უკვე გადაიხადეს ყველა საჭირო მოსაკრებელი და გასწიეს ყველა სხვა ხარჯიც.

მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში სჭირდება ინჟინერინგული, კონსულტაციური და ინფორმაციული დახმარებაც. იაპონიის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, იაპონიის მცირე ფირმებს უფასოდ გადაეცემათ სახელმწიფოს სამეცნიერო ცენტრებში დამუშავებული სიახლეები და საჭირო შემთხვევაში დაუყოვნებლივ და ამასთან, სიმბოლურ ფასებში ეგზავნებათ ტექნიკური მრჩეველი ინჟინრული კონსულტაციისა და პრაქტიკული დახმარებისათვის.

იაპონიაში არსებობს სახელმწიფო საკონსულტაციო ტერიტორიული ცენტრები, რომლებიც შეიქმნენ მცირე საწარმოთა კომპლექსური მართვის უზრუნველსაყოფად ჯერ კიდევ 1948 წელს, ისევე როგორც საზოგადოებრივი საკონსულტაციო ჯგუფები. აქ მომუშავე კონსულტანტები ეხმარებიან მცირე ფირმებს საგადასახადო საქმის, ბუღალტრული აღრიცხვის, სამეურნეო სამართლისა და ზოგიერთი სხვა საკითხის გარკვევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ინფორმაციულ დახმარებას, ამ ხაზით იაპონიაში არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო კორპორაცია, რომელიც კურირებას უწევს რეგიონულ საინფორმაციო ცენტრებს. ეს ცენტრები ასწავლიან კომპიუტერულ ტექნიკას და აძლევენ ამ საკითხებზე კონსულტაციებს მცირე ფირმების წარმომადგენლებს.

თუ ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ საბაზრო ეკონომიკის საფუძველი არის მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც სახელმწიფოს აქტიური დახმარების გარეშე ვერ განვითარდება. ამის მაგალითს იაპონიაც იძლევა და სხვა ქვეყნებიც. საქართველოს მთავრობამ და ფართო საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს მცირე ბიზნესის განვითარებას და მისთვის დროც გამონახოს და სახსრებიც.

ლიტერატურა:

1. რ. ასათიანი, მომსახურება და საბაზრო სისტემა, თბ., 1993, გვ. 79.
2. А. Виленский. Государственная политика Японии по отношению к малым и средним предприятиям, ж. «ЭКО», № 6, 1992, с. 137.
3. Ханс-Петер Циммерманн. К большому успеху в малом бизнесе, М., АО «Интерэксперт», 1996.
4. Мерлин и Том Росс. Большие идеи для малого бизнеса, М., изд-во «Торговый дом», 1996.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. შუგლაძე

ბიზნესისა და მენეჯმენტის შესახებ

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოვიდა ბევრი საბჭოური პერიოდის ლექსიკონებიდან საერთოდ ამოღებული ან კიდევ ადრე ამ ლექსიკონებში არასწორად განმარტებული ცნება, ტერმინი, კატეგორია. ამასთან ერთად, უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია ახალი სასწავლო დისციპლინები. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს „ბიზნესი", „მეწარმეობა", „კომერცია", „მარკეტინგი", „მენეჯმენტი" და ლექციების წაკითხვა შესაბამის საგნებში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია დაზუსტდეს მოტანილი ტერმინების შინაარსი, სასწავლო დისციპლინების სახელწოდება და, რაც მთავარია, სასწავლო პროგრამები. ჩვენს მიერ დაისვა საკითხი მენეჯმენტის კათედრის შექმნისა და ეკონომიკური პროფილის კათედრების სასწავლო პროგრამების გადასინჯვა-დაზუსტების შესახებ რექტორატის წინაშე (აპრილი, 1994 წ.).

საქმე ისაა, რომ ჯერჯერობით არ არის მიღწეული დასახელებული ცნებების ერთნაირი გაგება, ოთხ ფაკულტეტზე სხვადასხვა კათედრის წევრები კითხულობენ ლექციებს განსხვავებული (ინდივიდუალური) სასწავლო პროგრამით და სასწავლო დისციპლინების სახელწოდებაც განსხვავებულია. ბევრს მიაჩნია, რომ ბიზნესი და მეწარმეობა სხვადასხვა აზრის მატარებელი ცნებებია [1, 6], ზოგიერთი კი ვარაუდობს, რომ ბიზნესი ამოიწურება ვაჭრობით, მეწარმეობა — წარმოებით [2,2]. ზოგჯერ კი ისინი გაიგივებულია ერთმანეთთან [3,70]. ლექსიკონებში კომერცია მხოლოდ ვაჭრობის სინონიმადაა გამოცხადებული. აღნიშნულიდან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ ბიზნესმენი და კომერსანტი ვაჭარია (საქმოსანია), ხოლო მეწარმეა — მწარმოებელი. არის ბიზნესმენისა და მენეჯერის ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებიც [4,3]. ასწავლიან შემდეგ მეცნიერულ დისციპლინებს: „ბიზნესის საფუძვლები", „მეწარმეობის საფუძვლები", „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა" (ზოგჯერ ცალკე ასწავლიან მცირე ბიზნესს), „მენეჯმენტის საფუძვლები", „მენეჯმენტი", „თანამედროვე მენეჯმენტი". ანალოგიური მდგომარეობაა მარკეტინგის სწავლებაშიც და ა. შ.

ბიზნესი (ინგლ. — საქმე) წარმოადგენს საქმიანობას, რომელსაც ეწევა ადამიანი მოგების მისაღებად პროდუქციის ან მომსახურების შექმნის და რეალიზაციის გზით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესი იჭრება ადამიანთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების ყველა სფეროში: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, მომსახურება, განათლება, კულტურა, ტურიზმი და სხვ.

საერთოდ, აღიარებული საერთაშორისო კრიტერიუმებით ბიზნესი შეიძლება იყოს ინდივიდუალური (საოჯახო), მცირე, საშუალო და დიდი. დასავლეთში ინდივიდუალურ და საოჯახო ბიზნესს აგრეთვე უწოდებენ წვრილ ბიზნესს. ამ კატეგორიის საწარმოებს (ფირმებს) მიეკუთვნება სტრუქტურები რაოდენობით 1-დან 7—10 კაცამდე, მცირეს — რაოდენობით 300 კაცამდე, საშუალოს — 500-მდე (ცალკეულ შემთხვევებში 500—1000 კაცი), მსხვილ ფირმებს — 1000-ზე მეტი კაცი.

აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, მცირე და საშუალო ფირმები ქმნიან ეკონომიკის დინამიკურ ნაწილს. განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესი დომინირებს წარმოებაში, მშენებლობაში, ვაჭრობაში, მომსახურებაში, მეცნიერებაშიც კი. გამონაკლისია აეროკოსმიური და ელექტრონული დარგები, გარკვეულწილად საავტომობილო მრეწველობა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მაგისტრალური გზაა მცირე ბიზნესის ფართოდ განვითარება. სწორედ ამ გზით შეიძლება მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო დანაპირების — მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა, უმუშევრობის მინიმუმამდე დაყვანა და საქართველოს ეკონომიკის აღორძინება.

ბიზნესის რამდენადმე კერძო შემთხვევაა მეწარმეობა. საქმიანობის ეს სახეობა პირდაპირ კავშირშია ადამიანთან — მეწარმესთან, რომელიც ეწევა ბიზნესს, იწყებს რა ახალ საქმეს მოგების მიღების მიზნით საკუთარი ან ნასესხები სახსრებით პირადი რისკის საფუძველზე. მეწარმეობაც ისეთი მრავალფეროვანი საქმიანობაა, როგორც ბიზნესი, მაგრამ, როგორც წესი, მეწარმეობა გულისხმობს ახალი საქმის (იდეის, პროექტის) განხორციელებას. არსებობს კიდევაც ამერიკელი ავტორების რ. ხიზრიჩისა და გ. პიტერსის წიგნი — „მეწარმეობა, ანუ როგორ დავიწყოთ საკუთარი საქმე და მივაღწიოთ წარმატებებს". რომელიც თარგმნილია და გამოცემული ქართულ ენაზე (1994 წ.). ბუნებრივია, რომ ბიზნესთან შედარებით მეწარმეობის მასშტაბი მცირეა და იგი მეტწილად მცირე ბიზნესს განეკუთვნება. ამასთან ერთად, ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სამეწარმო საქმიანობა, რამდენადაც ბიზნესს მიეკუთვნება ნებისმიერი ცალკეული ერთჯერადი კომერციული გარიგების განხორციელებაც საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს მოგების (შემოსავლის) მიღებას. თანამედროვე გაგებით, ბიზნესის სინონიმია კომერცია, რომელიც საბოლოო ანგარიშში გულისხმობს კომერციული (მომგებიანი) ოპერაციების განხორციელებას. ამის გამო საწარმოები (ფირმები) იყოფა ორ ჯგუფად: კომერციულ და არაკომერციულ (ამ უკანასკნელის მიზანი არ არის მოგების მიღება) ორგანიზაციებად.

ბიზნესის მთავარი სუბიექტია ბიზნესმენი (ინგლ. საქმიანი კაცი), ანუ კომერსანტი, რომელიც წარმოადგენს მსხვილ მესაკუთრეს, დიდი ქონების, კაპიტალის მფლობელს (კაპიტალი, რომელიც ბრუნვაშია და მოაქვს მოგება). მეწარმეც ბიზნესის სუბიექტია, მაგრამ არა დიდი ქონების (კაპიტალის) პატრონი. დღეს საქართველოში მთავარი ამოცანაა მეწარმეთა, ბიზნესმენთა (კომერსანტთა) ფართო ფენის ჩამოყალიბება და მათთვის მხარდაჭერა, რამაც უნდა უზრუნველყოს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. აღიარებულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თანამედროვე მძლავრ ამერიკულ ეკონომიკას საფუძველი ჩაუყარეს ისეთ-მა გამბედავმა მეწარმეებმა, როგორებიც იყვნენ როკფელერი, დიუპონი, მორგანი, მელონი, ჰენრი ფორდი და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოში დ. სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, ხოშტარიას, მ. ლაღიძის და სხვების ნაყოფიერი მეწარმეობრივი საქმიანობა. თანამედროვე ეტაპზე მეწარმეობა, ბიზნესი უფრო და უფრო დგება მომხმარებლებისა და მთელი საზოგადოების სამსახურში. ეს გამოწვეულია იმით, რომ თუ ბიზნესს არა ჰყავს მომხმარებელი (კლიენტი), იგი არ არის ბიზნესი ან მალე არ იქნება ბიზნესი (აშშ-ში გავრცელებულია რვა მითი ბიზნესის შესახებ და ბიზნესის ათი მცნება). გარდა ამისა, მთელ რიგ სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, მიღებულია კანონები მეწარმეთა შესახებ და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ.

ზოგიერთი ავტორი აყენებს საკითხს ზემოთ მოტანილი უცხოური ტერმინების ნაცვლად ვიხმაროთ ქართული შესატყვისი. მაგალითად, „ბიზნესმენი" შეიცვალოს სიტყვით „საქმოსანი" [5,2], მაგრამ სიტყვები „საქმოსანი" და „საქმიანი" არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან და მათი შინაარსი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ერთტომეული)გადმოცემულია შემდეგნაირად: **საქმოსანი** (საქმოსნისა) — ვინც თავის საქმიანობაში პირადი, პრაქტიკული (ჩვეულებრივ კომერციული) მიზნებით ხელმძღვანელობს. **საქმიანი** — მუდამ საქმის მცოდნე; საქმის მოყვარული; საქმის მცოდნე, — მოსაქმე, გამრჯელი. თუ მივიღებთ შემოთავაზებულ ტერმინს, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიას უნდა ეწოდოს საქმოსნობის მეცნიერებათა აკადემია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს საერთაშორისო ბიზნესის ენად აღიარებულია ინგლისური ენა და ბევრმა ინგლისურმა ტერმინმა მოიპოვა ინტერნაციონალური მნიშვნელობა.

აყენებენ საკითხს „მარკეტინგის" ნაცვლად ვიხმაროთ „ბაზართმცოდნეობა" [6,14], რაც მიუღებელია. მარკეტინგი, როგორც ბიზნესის ფილოსოფია, გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ბაზართმცოდნეობა. პირველ რიგში მარკეტინგი გულისხმობს მყიდველთა გადახდისუნარიან მოთხოვნილებათა შესწავლას (ბაზრის კომპლექსურ გამოკვლევას), მათ დაკმაყოფილებას დროსა და სივრცეში, აგრეთვე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აქტიურ ზემოქმედებას ბაზარზე და გადახდისუნარიან (საბაზრო) მოთხოვნილებათა ფორმირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად მარკეტინგს განსაზღვრავენ როგორც საწარმოების (ორგანიზაციების) მართვის სისტემას და ფაქტობრივად მას მენეჯმენტთან აიგივებენ. მაგრამ მენეჯმენტი (ინგლ.—მართვა) პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს წარმოების (ეკონომიკის, ბიზნესის) მართვას, წარმოების მართვის პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას წარმოების ეფექტიანობისა და მისი მომგებიანობის ამაღლების მიზნით. ამრიგად, მენეჯმენტი მოიცავს საწარმოს (ფირმის) მუშაობის ყველა მიმართულების, მათ შორის მარკეტინგული საქმიანობის მართვასაც. ამიტომ ლოგიკურია საუბარი საწარმოს მხოლოდ მარკეტინგული მართვის, ე. ი. წარმოება-გასაღების საქმიანობის ბაზარზე ორიენტაციით განხორციელების შესახებ (ამ საკითხებზე უფრო ვრცლად იხილეთ ჩვენი სტატიები: „მარკეტინგი და მისი გამოყენების პირობები", ჟურნ. „ეკონომისტი", 1990, № 9 და „მენეჯმენტი საბაზრო ეკონომიკის პირობებში", ჟურნ. „ეკონომიკა", 1994, № 1—3).

მენეჯმენტს უპირატესად ხმარობენ ბიზნესთან მიმართებაში და მას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ბიზნესის მართვის ფილოსოფია. როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო სტრუქტურებში (დაწყებული ადგილობრივი მმართველობით და დამთავრებული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებით) მართვას, უნდა ვიხმაროთ „სახელმწიფო მართვა" ან „ადმინისტრაციული მართვა" და არა მენეჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტი. საქმე ის არის, რომ თუ ადმინისტრაციულ — მბრძანებლური სისტემის დროს სახელმწიფო და მისი დარგობრივი სამინისტროები (უწყებები) ასრულებდნენ სამეურნეო მართვის ფუნქციებს (დაქვემდებარებულ საწარმოებს, გაერთიანებებს უგეგმავდნენ საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს, უნაწილებდნენ რესურსებს და ა. შ.), საბაზრო ეკონომიკის პირობებში ისინი თავისუფლდებიან ასეთი ფუნქციებისაგან და სამეურნეო მართვის მთელი ციკლი სრულდება საწარმოებსა და ორგანიზაციებში. სახელმწიფო სამეურნეო მართვის ფუნქციების ნაცვლად კისრულობს ეკონომიკის (ბიზნესის) რეგულირების ფუნქციებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მან შეასრულოს მენეჯერის როლი, როგორც ეს მიაჩნია ზოგიერთ ავტორს [6,136]. მენეჯერი (ინგლ. — მმართველი) ბიზნესის (სამეურნეო საქმიანობის) სფეროში მომუშავე პირია, რომელსაც ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია (ფირმის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, განყოფილებათა უფროსები, მათი მოადგილეები და ა. შ.) მაშინ, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ სახელმწიფო მოხელეები (მინისტრი, დეპარტამენტის თავმჯდომარე, მათი მოადგილეები, სამმართველოს უფროსები და მათი მოადგილეები, ქალაქის, რაიონის მერები, გამგებლები, მათი მოადგილეები და ა. შ.).

ამავე დროს დაუშვებელია მენეჯერისა და ბიზნესმენის გაიგივებაც, რასაც ადგილი აქვს ლიტერატურაში, პრესაში. როგორც აღინიშნა, ბიზნესმენი მსხვილი მესაკუთრეა, ფირმის (კომპანიის) პატრონია, ხოლო მენეჯერი — პროფესიონალი მმართველი, რომელსაც ბიზნესმენი სხვა სპეციალისტებთან (მუშაკებთან) ერთად ქირაობს. არის შემთხვევები, როდესაც ბიზნესმენი თვითონ მართავს თავის ფირმას, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისია და არ იძლევა ბიზნესმენისა და მენეჯერის გაიგივების საფუძველს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი აცხადებს ბიზნესმენის მომზადების თაობაზე, რაც მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას. ბიზნესმენობა მდგომარეობაა და არა სპეციალობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით აუცილებელია ჩვენს უნივერსიტეტში მოწესრიგდეს ახალი მეცნიერული დისციპლინების სწავლება, რომ იგი წარიმართოს სათანადო დონეზე. ამისათვის მიზანშეწონილია უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე არსებული საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის ბაზაზე შეიქმნას (გამოეყოს აღნიშნულ კათედრას) მარკეტინგის საუნივერსიტეტო კათედრა (ამის შესახებ ჩვენ ერთი წლის წინათ დავაყენეთ საკითხი კათედრის სხდომაზე), რომელიც უზრუნველყოფს ამ საგნის სწავლებას დაზუსტებული პროგრამებით უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე. ამ კათედრაზე უნდა მოხდეს მარკეტინგის პრობლემაზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა მაქსიმალური კონცენტრაცია. უნივერსიტეტში აბიტურიენტების მიღება უნდა გამოცხადდეს მარკეტინგის სპეციალობით (ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭებით), რაც ხელს შეუწყობს სრულფასოვანი სპეციალისტების მომზადებას არა მარტო საქონელმიმოქცევის სფეროსათვის, როგორც ახლა ხორციელდება (ცხადდება ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობა, რაც არასწორად მიგვაჩნია), არამედ ეკონომიკის (ბიზნესის) ყველა სფეროსათვის.

უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე (ადრე „სპეცფაკულტეტი" — ბიზნესის უმაღლესი სკოლა), სადაც პირველად საქართველოში დაიწყო ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის დისციპლინებში ლექციების წაკითხვა სათანადო პროგრამების საფუძველზე და გამოიცა შესაბამისი სასწავ-

ლო-მეთოდური ლიტერატურა (ლექციების კურსები, პროგრამები, ცნობარები და სხვ.), უნდა შეიქმნას ბიზნესისა და მენეჯმენტის კათედრა. ამ კათედრაზე თავი უნდა მოეყაროს ბიზნესისა და მენეჯმენტის პრობლემებზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც შესაბამის დისციპლინებში წაიკითხავენ ლექციებს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე.

აღნიშნული კათედრების ჩამოყალიბება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის წარმართვას საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ყოველმხრივ ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას და იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რომლებსაც ადგილი აქვთ ახალ მეცნიერულ დისციპლინათა სწავლება-ინტერპრეტაციის საქმეში.

ლიტერატურა

1. ს. ეიზნინი, ვ. კრუპნოვი, როგორ გახდე ბიზნესმენი (ამერიკული გამოცდილება), თბილისი, 1992.
2. თ. ლომთაძე. ინტერვიუ ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარესთან. გაზ. „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი", 1996 წ., № 11.
3. ვ. მაქსოევი. მეწარმეობისა და ბიზნესის საფუძვლები საქართველოში, თბილისი, 1995, (რუს. ენაზე).
4. ნ. ალექსიძის და ი. ნაცვალაძის ლექციებიდან. გაზ. „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი". 1996 წ., № 12.
5. ნ. ალექსიძე. ბიზნესის არსი. მენეჯმენტის ფიგურა.., გაზ, „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი", 1996, № 12.
6. ო. ქეშელაშვილი. ბიზნესის ორგანიზაცია, თბილისი, 1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. შოშიტაშვილი

მართვის ორგანიზაციის ზოგიერთი თავისებურება საქართველოში

ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში სტიქიურად დაიწყო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სტრუქტურების მოშლა. ცნობილია, რომ ადამიანთა ნებისმიერი ერთობლივი საქმიანობის პროცესში მონაწილეთა შორის მყარდება კავშირები, ყალიბდება ორგანიზაციული ურთიერთობანი, რაც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ეკონომიკურ ურთიერთობებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო ძალების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და მართვის ერთიანობას. მათი ურთიერთმოქმედების „შესაყარზე" ურთიერთშევსებისა და ურთიერთგანპირობებულობის ხარისხის მიხედვით იქმნება სრულიად ახალი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემები.

წარმოების განსაზოგადოების პროცესის გაღრმავების კვალობაზე აქტუალური ხდება ერთობლივი საქმიანობის მართვის აუცილებლობა. ეკონომიკური განვითარების ეტაპის თავისებურება განსაზღვრავს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ-მმართველობით ურთიერთობათა დიალექტიკურ კავშირს, მათ ურთიერთგანპირობებულობას, ეკონომიკის განვითარების პროცესებზე მათი ზემოქმედების მექანიზმის ფორმირების პრინციპს.

ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობანი იზოლირებულად არ ფუნქციონირებენ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულ პრინციპებზე შექმნილი მექანიზმებით მოქმედებენ და გავლენას ახდენენ არა მარტო უშუალოდ წარმოების განვითარების პროცესზე, არამედ ამ პროცესში მონაწილეთა კავშირურთიერთობებზე. დროულად აძლევენ „ბიძგს" პროცესის საჭირო მიმართულებით წარმართვას, განსაზღვრავენ რა ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ეტაპის შესაბამისი პრინციპების, სამართლებრივი ბაზის, საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობანი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ურთიერთობანი კი არ არის, არამედ უაღრესად დინამიკური და ინტენსიურად ცვალებადია და კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით საჭიროებენ მუდმივ სრულყოფას.

საბაზრო ინსტიტუტების სტრუქტურა არ ამოიწურება მარტო მწარმოებლის, შუამავლის, მომხმარებლის ურთიერთმოქმედებით. საქონლის მოძრაობაში მონაწილეობს ინფრასტრუქტურა, თავისი შინაარსით ინტეგრირებული სისტემა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სატრანსპორტო კომუნიკაციებს, სასაწყობო მეურნეობას. ბაზრის ყველა ამ ელემენტს თავისი შინაგანი მეტად რთული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურა აქვს, ეყრდნობა მოძრაობის განსაზღვრულ პრინციპებს, აყალიბებს გარკვეული ხასიათის ურთიერთობას პარტნიორებთან, საფინანსო, ფულად-საკრედიტო მექანიზმებთან და სხვ. ამიტომ აუცილებელია საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბება-ორგანიზაცია, ინფრასტრუქტურის ქსელის, საბაზრო ინფორმაციის მიღება, კრედიტის, საბიუჯეტო დახმარების ორგანიზაცია, შესაბამისი მექანიზმებით მწარმოებლისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვა, საშინაო და საგარეო ბაზრების ურთიერთობათა ისეთი დონის განსაზღვრა, როცა ეროვნული წარმოების გარკვეული საქონელი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით იქნება დაცული.

საქართველოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბაზრო სტრუქტურების ყველა მონაწილის ცალ-ცალკე საქმიანობა ქაოსის ხასიათს აძლევს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთულ პროცესს. იმისათვის, რომ ეს გარდაუვალი პროცესი ქაოსით არ წარიმართოს, აუცილებელია მთლიანად პროცესის სისტემური ანალიზი და ამის საფუძველზე განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და პარამეტრების სწორად განსაზღვრა, მათი რეალიზაციის გარემოს ფორმირება და ა. შ.

სტიქიურობა თავისთავად არ ნიშნავს ქაოსს, სტიქიურობა მიკროეკონომიკის ელემენტების განვითარებაში მოასწავებს ბუნებრივი თვითრეგულირების, თვითდინებითი თვითორგანიზებულობის პროცესს, რაც ადამიანის ნებას არ ემორჩილება. იგი თავისებური სისტემური კანონზომიერებათა მატარებელი მთლიანობითი სისტემაა, ამიტომ იგი ძლიერია. მისი მოთოკვა ძალუძს მხოლოდ სათანადო ეკონომიკურ გარემოს ისე, რომ არ დაარღვიოს სტიქიის კანონზომიერება, გარემომ უნდა შეუქმნას მას სათანადო კალაპოტი.

ქაოსი სულ სხვა რამეა. იგი არ მოასწავებს ბუნებრივ თვითორგანიზებულობას, არამედ ასახავს სრულ დეზორგანიზებულობას თუნდაც ბუნებრივ პროცესებშიც. ამიტომ, აქ ეკონომიკური გარემო არ ასრულებს მომთოკავის როლს; მისთვის დამახასიათებელია სრული უწესრიგობა, არეულ-დარეულობა, უწესრიგო მართვა.

საბაზრო ეკონომიკას არეგულირებს გარემო, მის ფარგლებში კი საბაზრო ქაოსს გამორიცხავს საყოველთაო კონკურენცია. თუმცა ორივე სტიქიური მოვლენებია, მაგრამ მათ შეუღლებას ბუნებრივი პროცესების მოწესრიგებისათვის ახორციელებს სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული პოზიტიური გარემო.

ამრიგად, საქართველოში იყო უფრო ქაოსი, ვიდრე სტიქიურობა. ამჟამად, ქაოსიდან სტიქიურობაში გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით, ე. ი. საბაზრო მექანიკური წარმონაქმნიდან საბაზრო მთლიანობით სისტემაზე გადასვლას სახელმწიფოებრივად რეგულირებულ გარემოში ახასიათებს სტიქიური განვითარება.

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგებმა ნათლად დაადასტურა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სრულებით არ ნიშნავს დაგეგმვის, მართვის ორგანიზაციული მეთოდების, ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობის უგულებელყოფას. კაპიტალისტურმა საბაზრო ეკონომიკამ დიდი გზა განვლო. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იყო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დონე და ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ქვეყნების განვითარების ისტორიული და ეროვნული ტრადიციების თავისებურებათა გათვალისწინებით იქმნებოდა და საპირისპირო პოზიციებზე ყალიბდებოდა ეკონომიკური დოქტრინები, რომელთა საერთო გამაერთიანებელი აზრის აკუმული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება ხდებოდა (ხდება) ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობის აღიარებაში.

სახელმწიფო მონაწილეობს არა უშუალოდ წარმოების პროცესის მართვაში, არამედ იმ გარემოს ფორმირებაში, რომელმაც ეკონომიკის დემოკრატიულ საწყისებზე განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. ჩარევა უნდა იყოს კვალიფიციური. ამიტომ სახელმწიფოს ამოცანაა, შეარჩიოს ეკონომიკაზე ზემოქმედების ისეთი ბერკეტები, რომლებიც სუბიექტების ქცევას, საბაზრო სისტემის წონასწორობას არეგულირებენ. ასეთთა რიგს განეკუთვნება საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, ფასების რეგულირების მექანიზმი, საბაჟოს ფუნქციონირება და, საერთოდ, ეკონომიკური პოლიტიკა. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოება, პიროვნება, საკუთრება და, საერთოდ, ბუნებრივ-ისტორიული, ეროვნულ-კულტურული და სხვა გარემო.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის მარტო შეცვლა როდია. იგი საწარმოო ძალების, მეურნეობრივი სტრუქტურის გარდაქმნებისათვის გლობალურ ღონისძიებათა გატარებაა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ძვირადღირებული პროცესია. იგი მოითხოვს დიდ ინვესტიციებს. ამასთან აუცილებელია საკუთრებით ურთიერთობათა რადიკალური, მაგრამ გეგმაზომიერი გარდაქმნა. პრივატიზაცია სწრაფად უნდა ჩატარებულიყო იქ, სადაც მეურნეობრიობის მცირე ფორმების შექმნის შესაძლებლობებია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას სახელმწიფომ სწორად უნდა განსაზღვროს სოციალური მიზნები. მისი როლი განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტების არჩევაშიც, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის ხელის შეწყობაში და ა. შ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთულ პროცესში სახელმწიფო და კერძო მეურნეობის საქმიანობის ბალანსირება, სახელმწიფო და საბაზრო სტრუქტურების ეფექტიანი ურთიერთქმედება სახელმწიფოსა და ბაზრის ინტერესებს გარკვეულწილად შეეხება, საჭიროებს მარეგულირებელ მექანიზმს. ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის დღევანდელ ეტაპზე, ჩვენი აზრით, ასეთ მექანიზმს წარმოადგენს დაგეგმვა, პროგნოზირება, პროგრამირება. რამდენადაც ეს საკამათო საკითხია, საჭიროა აღინიშნოს, რომ აქ, უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია არა გეგმაზე ძველებური გაგებით, არამედ მაორიენტირებელ დამაკვალიანებელ სავარაუდო დაგეგმვაზე.

ბაზარზე ორი ძალა მოქმედებს: კონკურენცია და სახელმწიფოებრივი რეგულირება. კონკურენცია მამოძრავებელია. იგი თითქოს უნდა აწონასწორებდეს სიტუაციას, მაგრამ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ გარდამავალ ეტაპზე, როცა კონკურენციის სათანადო პირობები რეალურად არ შექმნილა, აუცილებელია სწორად განისაზღვროს ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი, გარემოს ფორმირებაში მისი მარეგულირებელი როლი.

მწარმოებლისა და გამყიდველისათვის კონკურენცია მატერიალურად და ფსიქოლოგიურად რთულ გარემოს ქმნის. კონკურენციისას გამყიდველი რომ არ გაკოტრდეს, ეძებს კლიენტთა ახალ წრეს, მწარმოებელი—მყიდველს, სახელმწიფო კი მოვალეა შექმნას საბაზრო ურთიერთობათა წონასწორობის გარემო. მწარმოებელს სახელმწიფო ეხმარება. გარდა ამისა, დიდია სახელმწიფოს როლი ინფორმაციის მიწოდებაში, საბაზრო ეკონომიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქონლის ხარისხის, ფასების სწორ ორიენტაციას. იგი მწარმოებელს ეხმარება ოპტიმალურად განსაზღვროს თავისი საქმიანობა, გამყიდველს

მოუძებნოს საჭირო მწარმოებელი, მყიდველს — ეძებოს და შეიძინოს ის საქონელი, რომელიც მას სჭირდება. ამასთან სახელმწიფო ვალდებულია სწორად განსაზღვროს საგადასახადო შენატანები და სხვ.

შერეული ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმვის სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. მაგალითად, იაპონიაში, სადაც საბაზრო სტრუქტურები და საზოგადოებრივი ხელისუფლების ინსტიტუტები ურთიერთშეთანხმებით ფუნქციონირებენ, დაგეგმვის ეფექტიანობა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ არ წამოჭრილიყო მოთხოვნილება სახელმწიფოებრივი საკუთრების ფართოდ გავრცელებაზე. ბრაზილიაში, სადაც თანამედროვე ბაზარი და სოციალური ინსტიტუტები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არაეფექტიანად ფუნქციონირებდნენ, სახელმწიფო საწარმოები გახდა აუცილებელი პირობა მოდერნიზაციის უზრუნველყოფისა და ეკონომიკის გადამწყვეტი სექტორების შექმნისათვის. იტალიაში, სადაც მთავრობას ძლიერი პოზიციები არა აქვს და მუდმივად იცვლება მისი შემადგენლობა, სახელმწიფომ იკისრა გრძელვადიანი დაგეგმვის გარკვეული ამოცანების გადაწყვეტა. ინდოეთში, სადაც ძლიერია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მეწარმეობა, მაგრამ სუსტია კაპიტალწარმოქმნის სტრუქტურები, დაგეგმვა და სახელმწიფოს საკუთრება აუცილებელია მრეწველობის საბაზრო და მომსახურების სფეროს დარგების განვითარებისათვის. აშშ, სადაც ბაზრის იდეოლოგია ძალიან ძლიერია, სიახლეების გავრცელების სტიმულირებისა და სამრეწველო პოლიტიკის განხორციელებისათვის სახელმწიფოს დასჭირდა გამოეყენებინა სამხედრო ტექნიკის დარგში გამოკვლევების და დამუშავების პირდაპირი დაფინანსება.

დასავლეთის ქვეყნებში დაგეგმვას, როგორც ამა თუ იმ პროცესზე ზემოქმედების მექანიზმს, მარტო სახელმწიფოს ან მთავრობების პროგრამატივად არ თვლიან. კონკურენციულ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც კარგად გეგმავს, სწორ პროგნოზს აკეთებს, ვინც მოქმედების რეალურ პროგრამებს შეადგენს და განახორციელებს.

დაგეგმვას ხშირად მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემასთან აიგივებენ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ცნობილ „სოციალისტურ ეკონომიკაში" დაგეგმვა იყო ამ სისტემის ძირითადი დირექტიული იარაღი. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დაგეგმვამ თავის დროზე დადებითი როლიც შეასრულა. მაგალითად, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის აღდგენა, კოსმოსის ათვისება და სხვ. ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, განსაკუთრებით წარმოების განსაზოგადოების, შრომის დანაწილების გაღრმავების კვალობაზე სუბიექტური ფაქტორის ზემოქმედებით დაგეგმვამ „წონასწორობა" დაკარგა და იგი ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. სოციალისტურმა გარემომ ვერ შეძლო ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა. ამის გამო დღეს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზად დაგეგმვის მეთოდების გამოყენებას თვლიან. მაშინ, როდესაც ეს გამოიწვია დირექტიულ ეკონომიკაში დაგეგმვის დირექტიულობის მოშლამ „ვითომ" ეკონომიკის დემოკრატიზაციისათვის. უფრო მეტად ამას ისინი აკეთებენ, ვისაც ფსევდომეცნიერული მიდგომები აქვთ პრაქტიკის მიმართ, ნიჰილისტურ პოზიციებზე დგანან, ვერ ამჩნევენ წარსულ-აწმყო-მომავლის ურთიერთკავშირებს.

საბაზრო ეკონომიკაში დაგეგმვა სტრატეგიული ხასიათისაა. მაკრო, მეზო, მიკრო, რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში პროპორციების, ტემპების ფორმირება-პროგნოზირება, დარგთაშორისი კავშირების განვითარების რაციონალური მიმართულებების განსაზღვრა, სამეურნეო სუბიექტების, ორგანიზაციული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურების, მიზანმიმართული მოქმედების, კვლავწარმოების პროცესის ორგანიზაციის, კოორდინაციის ხელსაყრელი პირობების განსაზღვრა-სტრატეგიული დაგეგმვის ამოცანაა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ინდიკატური დაგეგმვის მეთოდი. იგი წარმატებით გამოცადეს ბევრ ქვეყანაში (საფრანგეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა და სხვ.). მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გეგმას არა აქვს დირექტიული ხასიათი. იგი კოორდინაციის ინსტრუმენტი ხდება. ასეთი გეგმები ასრულებენ საბაზრო ორიენტირების როლს. ინდიკატური დაგეგმვის მიზანია კერძო სექტორის შექმნა, როგორც ეკონომიკის სახელმწიფო კონტროლის საფუძველი, დააფიქსიროს სფეროები, სადაც არსებული მწვავე პრობლემები მოითხოვენ უფრო აქტიურ სახელმწიფო ჩარევას, განსაზღვროს მისი მონაწილეობის მასშტაბი და ხასიათი.

ინდიკატური გეგმის როლი მნიშვნელოვნად იზრდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. მასში ზოგიერთი ახალი ნიშან-თვისება გამოვლინდება იმ სპეციფიკური გარემოს ზემოქმედებით, რომელშიც ეკონომიკური პროცესი მიმდინარეობს. ინდიკატური გეგმა უნდა ეყრდნობოდეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსურ ანალიზს, ეკონომიკურ პოლიტიკას, ასახავდეს საწარმოო ძალების განვითარების დონეს, საკუთრებით ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებს, კვალიფიციური შრომითი რესურსების პოტენციალს, საგარეო საბაზრო სტრუქტურებში ეროვნული მეურნეობის მონაწილეობის ხარისხს და სხვ.

ინდიკატური გეგმის შედგენისას მთავარია სწორად განვსაზღვროთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპები, ამოცანები ან ჯგუფი ამოცანებისა, დაკონკრეტდეს მათი განხორციელების თანამიმდევრობა, ობიექტურად შეფასდეს ის გარემო, რომელშიც ამოცანათა რეალიზაცია ხდება, დადგინდეს დასახული მიზნის განხორციელების საშუალებები, მექანიზმი.

ინდიკატური გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ორგანიზაციულ ინსტრუმენტს წარმოადგენს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელებისათვის ხელსაყრელი გარემოს შემადგენელ ღონისძიებათა დასახვა და ცხოვრებაში გატარება. იგი მიზანშეწონილია შედგეს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. ინდიკატური გეგმის განსაზღვრისას უნდა დავეყრდნოთ შერეული, მრავალწყობიანი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების აუცილებლობას და ამჟამინდელი ეკონომიკური ცხოვრების კომპლექსურ ანალიზს. დღეს უმთავრესია ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების აღდგენა, მისი სტაბილიზაციის პროცესების მომზადება. ინდიკატურ გეგმაში ეს მოთხოვნა სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ინდიკატური გეგმის შესრულება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ასახავს იგი რეალურ ცხოვრებას, რამდენად სრულყოფილია მისი მაჩვენებელთა სისტემა და რაოდენ არის შეუღლებული სახელმწიფოს მიერ გარემოს მართვასთან.

ე. ჩოხელი

დარგობრივი მართვის რეორგანიზაციის მიმართულებები გარდამავალ პერიოდში

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად მრეწველობის დარგობრივი მართვის რეორგანიზაციის ძირითადი გზების შესამუშავებლად აუცილებელია ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის, სამომხმარებლო ბაზრის, მეწარმეობის განვითარების დონის, საბაზრო ინფრასტრუქტურის და სხვა აუცილებელი პირობების გათვალისწინება.

მრეწველობა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, წარმოების ორგანიზაციის ფორმებითა და გამოშვებული პროდუქციის ხასიათით ეკონომიკის მეტად რთული დარგია; მისი რეორგანიზაცია და მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა სათანადო მოსამზადებელ პირობებს და კარგად დასაბუთებულ პროგრამებს საჭიროებს. სტრუქტურულმა და ორგანიზაციულმა ნგრევამ შესაძლოა მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს, რაც ისედაც დასუსტებულ წარმოებას მთლიანად მოშლის და მის აღდგენას შემდგომ ათეული წლებიც არ ეყოფა.

დარგობრივი მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური საფუძვლების რეორგანიზაციისათვის შეიძლება განხილულ იქნეს ორი ალტერნატიული ვარიანტი: ახალი ტიპის სამინისტროს (დეპარტამენტის) შენარჩუნება და დარგობრივი მართვის ყველა სახის ადმინისტრაციული ორგანოს ლიკვიდაცია, ქვემდგომი რგოლების (საწარმოო სტრუქტურების) სახელმწიფო კონტროლის ყოველგვარი ფორმებისაგან განთავისუფლება.

პირველ შემთხვევაში სახელმწიფო მართვის ორგანოებს და ძირეულ სამეურნეო რგოლებს შორის მყარდება ახალი ეკონომიკური ურთიერთობანი. სამინისტროსა და ძირეულ რგოლებს შორის ისეთი მატერიალური დამოკიდებულების სისტემის შექმნა, როდესაც ზემდგომი ორგანოების მიერ უხარისხო გადაწყვეტილების შემთხვევაში უნდა მოხდეს გამოწვეული დანაკარგებისა და ზარალის კომპენსაცია ქვემდგომი რგოლების სასარგებლოდ. პასუხისმგებლობის ასეთი სისტემა მნიშვნელოვნად შეზღუდავს სამინისტროების უშუალო ჩარევას საწარმოთა საქმიანობაში და მეტ დამოუკიდებლობას მიანიჭებს საფინანსო-საკრედიტო და საწარმოო-სამეურნეო საქმიანობაში. პარალელურად შესაძლოა განხორციელდეს სამინისტროთა ბევრი ფუნქციის დელეგირებაც.

მეორე ალტერნატივა საბაზრო სამეურნეო მექანიზმის ვარიანტია, როდესაც, როგორც სახელმწიფო, ისე საბაზრო სტრუქტურები ზემოდან (იგულისხმება სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები) ყოველგვარი კონტროლისა და შეზღუდვების გარეშე მუშაობენ.

ორივე ვარიანტი საქართველოს მრეწველობისათვის სუფთა სახით, ცალ-ცალკე, ჩვენი აზრით, მიუღებელია, რადგან ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო ყოველი მათგანის დამოუკიდებლად განხორციელება პრაქტიკულად ძნელი მისაღწევია. იმისათვის, რომ სახელმწიფოს მართვის ორგანოები და ძირეული სტრუქტურები თანაბარუფლებრივ ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, საჭიროა დაცულ იქნეს სულ ცოტა ორი პირობა, რომ სამინისტრო (დეპარტამენტი) უნდა გადაიქცეს სამეურნეო სუბიექტად, ე. ი. შემოსავლები მიიღოს საკუთარი მოქმედების შედეგების მიხედვით, ისე როგორც ამას დარგის მიხედვით, საზოგადოებრივი წარმოების ყოველი მონაწილე იღებს, მას უნდა ჩამოერთვას უფლება ადმინისტრაციული წესით ჩაერიოს ქვემდგომის რგოლების მუშაობაში, მით უფრო შემოსავლების განაწილებაში ან ზარალის დაფარვაში სხვა სამეურნეო რგოლების ხარჯზე, მაგრამ სამინისტროსთვის ასეთი ფუნქციების შეწყვეტა ფაქტიურად გამოაცლის მას ზემოქმედების ძალას და მხოლოდ მრჩევლის როლში აღმოჩნდება. გარდამავალ პერიოდში დარგის საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ რესურსების და შემოსავლების რეგულირებას ეხება და სხვა ფუნქციები მეორე პლანზე გადადის, იმისათვის, რომ სამინისტროს აპარატს გარკვეული ინტერესები ამოძრავებდეს, ე. ი. ქვემდგომ რგოლებს განუსაზღვროს ნორმატივები, ლიმიტები, ფონდები და სხვა. ამ გზით იგი სამინისტროს, როგორც დარგის მართვის უმაღლეს ორგანოს, მოქმედებას ეკონომიკურ საფუძველს მისცემს; ცხადია, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში სამინისტროს განკარგულებაში სამეურნეო საქმიანობის ასეთი ძირითადი ფუნქციების თავმოყრა არ მოხერხდება, რადგან რესურსებისა და სახსრების განაწილების ცენტრალიზაციას ეკონომიკური დასაბუთება არ აქვს. ამის გარეშე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციულ-განკარგულებითი ორგანო, მოექცევა ფორმალურ ჩარჩოებში და დაკარგავს მმართველი ორგანოს ფუნქციებს, ე. ი. თვითლიკვიდაციით დაამთავრებს ფუნქციონირებას.

ხოლო რაც შეეხება დარგის ერთიანი ადმინისტრაციული მართვის სრულ ლიკვიდაციას გარდამავალ პერიოდში, მას შესაძლოა მოყვეს არანაკლებ ნეგატიური მოვლენები, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, რადგან ათეული წლების მანძილზე აგებული სამეურნეო კავშირების ადმინისტრაციული რეგულირების სისტემის მოშლა (რასაც ფაქტობრივად სამინისტრო ახორციელებდა) დესტრუქციულ გავლენას მოახდენს დამოუკიდებელ საწარმოთა ფუნქციონირებაზე, რაც არასასურველია ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციის პირობებში, რადგან ასეთი კავშირების უეცარი მოშლა გამოიწვევს საზოგადოებრივი წარმოების პროცესში მატერიალურ-საფინანსო წონასწორობის დარღვევას, რაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს წარმოების სფეროს. საბაზრო მექანიზმის მარეგულირებელი როლი გარდამავალ პერიოდში საკმაოდ ნელა ყალიბდება, ხოლო ცენტრალური მართვის ორგანოების სრული ნგრევა მნიშვნელოვნად დასცემს საწარმოო პოტენციალის გამოყენებას და წარმოების სფერო ფაქტობრივად უმართავ მდგომარეობაში გადავა. ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია გარკვეული პერიოდით შემოღებულ იქნეს შიგადარგობრივი მართვის ისეთი ასოციაციური ფორმების შექმნა, როგორიცაა კონცერნები, კორპორაციები და სხვა სახის გაერთიანებები, რომელიც იმოქმედებს სამეურნეო რეფორმების და სახელმწიფო საკუთრების პრივატიზების პროგრამების რეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზაციის პროცესში. ასეთი ორგანოები, როგორც წესი, ძირეულ სამეურნეო რგოლებთან თანაბარუფლებრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს დაამყარებს და ერთდროულად სამინისტროების რიგ ფუნქციებსაც შეასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ მართვის ასეთი ასოციაციური ფორმების შემოღებით მთლიანად არ მოისპობა მათ მიერ უშუალოდ ადმინისტრაციულ-განკარგულებითი ხასიათის ფუნქციების შესრულება (რაც ეწინააღმდეგება საბაზრო ურთიერთობებს), მაგრამ ვიმეორებთ, რომ ეკონომიკური რეფორმების პერიოდში ეს აუცილებელია, მხოლოდ იმ პირობით, რომ საბაზრო სამეურნეო მექანიზმის ფორმირების და მათი მარეგულირებელი როლის თანდათანობით გაძლიერების საფუძველზე ეს ფუნქციები ძალას დაკარგავს და ასეთი გაერთიანებებიც თავიანთ მნიშვნელობასაც ამოწურავს.

თუ დარგობრივი მართვის ორგანოებში დროებით მაინც შენარჩუნებული იქნება ცენტრალური რგოლი სამინისტროს ან სხვა უწყების სახით, მაშინ მას უნდა დაეკისროს შემდეგი ფუნქციები და განესაზღვროს უფლება-მოვალეობის შემდეგი წრე:

მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ შედეგებზე, რომელიც ქვემდგომ რგოლებში შეუძლებელია მიღწეულ იქნეს მათი მაორგანიზებელი როლის შეზღუდულობის გამო. ამასთან პასუხისმგებლობის განაწილება უნდა მოხდეს ძირეული საწარმოო რგოლებიდან და არა ისე, როგორც მიღებული იყო ტრადიციულად. პერსპექტივაში უნდა განხორციელდეს საპასუხისმგებლო ფუნქციების თანდათანობით კონცენტრაცია მართვის იერარქიული საფეხურების ყველაზე დაბალი დონის მიხედვით. ეს პროცესი პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს საბაზრო სამეურნეო მექანიზმის თანდათანობით განმტკიცების პროცესს.

დარგის მართვის იერარქიულ სისტემაში მართვის ყოველი საფეხურის (ორგანოს) უფლებრივი კომპეტენცია ადეკვატური უნდა იყოს პასუხისმგებლობის იმ ზომისა, რომელიც მას აკისრია საბოლოო მიზნის რეალიზაციის პროცესში. თუ მართვის მაღალ საფეხურს (სამინისტროს, უწყებას) არ შესწევს ეკონომიკური პასუხისმგებლობის უნარი ამა თუ იმ ფუნქციის რეალიზაციის პროცესში, მას უნდა ჩამოერთვას განკარგულებებისა და დირექტივების გაცემის უფლება მისი ძირეული რგოლებისათვის გადაცემის მიზნით.

მართვის ცენტრალური ორგანოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საფინანსო რესურსების მობილიზაცია და ცენტრალიზაცია შედარებით ძვირადღირებული დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დაფინანსების მიზნით, აგრეთვე სარეზერვო-საფინანსო ფონდების შექმნა ცალკეულ რგოლებში დაძაბული საფინანსო მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით სუბსიდიების გაცემის გზით. ასეთი ოპერაციების შესრულება უნდა მოხდეს დარგობრივი საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების ან სპეციალიზებული კომერციული ბანკების ფორმირების გზით, რომელიც ძირითადად დარგის განვითარების ინტერესებს მოემსახურება. ამავე ორგანიზაციების საშუალებით მოხდება დარგის მასშტაბით ფასიანი ქაღალდების როგორც პირველადი განთავსება, ასევე მეორადი მიმოქცევის ორგანიზაცია, ყველა სახის დარგობრივი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების საბაზრო რეგულირებაში მოქცევა და კომერციულ საწყისებზე გადაყვანა.

ცალკე უნდა გამოიყოს დარგობრივი მართვის უმაღლესი რგოლის როლი და პასუხისმგებლობის ფუნქცია დარგის საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარების საქმეში, აგრეთვე პროდუქციის ხარისხის და გამო-

ყენებული ტექნოლოგიის ნორმატიული რეგულირების საკითხი. სავალდებულო არ არის, რომ მთელი პასუხისმგებლობის ფუნქცია მხოლოდ მართვის უმაღლესმა აპარატმა შეასრულოს, უფრო მიზანშეწონილია ამ ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცეს საუწყებო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებს იმ ანგარიშით, რომ მართვის ზედა რგოლმა პრაქტიკულად განახორციელოს ამ საკითხების დაგეგმვა, საჭირო რესურსების განაწილება და მათ გამოყენებაზე კონტროლი, ამ სამუშაოთა დარგის ორგანიზაცია და სხვა. ძირეულმა სტრუქტურებმა ამ ორგანიზაციებთან შესაძლოა ურთიერთობანი სერვისული მომსახურების გზით დაამყარონ ხელშეკრულების საფუძველზე სამინისტროს პირდაპირი ჩარევის გარეშე.

მართვის მაღალი დონის ხაზობრივი და ფუნქციური ორგანოები, რომლებიც ფაქტიურად მართვის დარგობრივ აპარატს წარმოადგენს, პრაქტიკულად გადადის სერვისულ მომსახურებაზე ოპერატიული მართვის ფუნქციების მინიმუმამდე დაყვანის პირობებში. უკანასკნელის რეალიზაციის დროს ძირეულ რგოლებთან მყარდება სამეურნეო ხელშეკრულებითი ურთიერთობა, გატარებული ღონისძიებების სრული სამეურნეო ანგარიშიანობის და საფინანსო პასუხისმგებლობის პირობებში. ასეთი ურთიერთობანი ვრცელდება ყველა სამეურნეო რგოლზე, დამამზადებელი, გადამამუშავებელი, საშუალედო მომსახურებისა და გამსაღებელი რგოლების მთელი ციკლის მიხედვით, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება ყოველი მათგანის ინტერესები. ამავე საფუძველზე ხდება წვრილი და საშუალო სიდიდის და მსხვილ საწარმოთა ურთიერთობის შეთანაწყობილი მოქმედება.

დარგობრივი მართვის უმაღლესი ორგანო (სამინისტრო, დეპარტამენტი და სხვ.) საწარმოო მმართველობითი ფუნქციებიდან მთლიანად უნდა განთავისუფლდეს და გარდაიქმნას მეთოდური მიმნიშნებელი რეკომენდაციებით ინდიკატური მართვის ორგანოდ, რომელიც შეიმუშავებს ინვესტიციურ, სტრუქტურულ და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის რეალიზაციისათვის სათანადო წარმმართველი ღონისძიებების სახით. ასეთი პროგრამული გაანგარიშებები მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში ახალი საბაზრო ტიპის სტრუქტურების ფორმირებისას. მთელი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს სამეურნეო ანგარიშით და სრული ხარჯდაფარვადობის პირობით.

რეორგანიზაციის საწყის ეტაპზე საჭიროა განისაზღვროს იმ საწარმოთა წრე, რომლებიც ახალი ტიპის გაერთიანებებად უნდა გარდაიქმნას, ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულებს შორის რესურსული და ორგანიზაციული კავშირების და ინტეგრაციის ცენტრის განსაზღვრა, ხოლო ამის საფუძველზე დადგინდეს საბაზრო სტრუქტურის მომავალი ფორმა.

სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ჯერ კიდევ ცენტრალიზებული წესით ახორციელებენ ინვესტიციების, სახელმწიფო დაკვეთების, ზოგიერთი დეფიციტური ნედლეულისა და სხვა რესურსების განაწილებას, მართვის არსებული სპეციფიკის გამო ჯერჯერობით სრულ ეკონომიკურ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. აუცილებელია თანდათანობით, შესაბამისი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული ზემოქმედებით ისინი იძულებული გახდნენ პასუხი აგონ ამ გადაწყვეტილებათა შედეგებზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია დარგობრივი მართვის რიგი სამინისტროები და უწყებები, მათი უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვის მიუხედავად ძველ ადმინისტრაციულ-

მბრძანებლურ სისტემას უნარი აქვს რიგი ფუნქციების რეანიმაციისა და ალ-
დგენისა, რაც საკმაოდ დიდ სიძნელეებს წარმოშობს ეკონომიკური რეფორმე-
ბის განხორციელების გზაზე. ამიტომ ყველაზე მთავარი, რაც უნდა გაკეთდეს, ის
არის, რომ, ერთი მხრივ, შეიცვალოს ძველი ტექნოლოგიური სისტემის რესურ-
სული ბაზა, ხოლო, მეორე მხრივ, დაირღვეს ბაზარზე დარგობრივი მართვის
მაღალი რგოლების მონოპოლია. ეს, პირველ რიგში, ნიშნავს მათი ძალაუფ-
ლების შეზღუდვას, საწარმოო რესურსებზე, ნედლეულზე და საბიუჯეტო სა-
შუალებებზე დირექტიული გამგებლობის უფლებების დაკარგვას. ამისათვის სა-
ჭიროა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სანქციასთან ერთად, მიღებულ იქნეს ზო-
მები სამეურნეო მექანიზმის რეფორმისათვის.

ამრიგად, ჩვენ შევეხეთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის მრეწველო-
ბის დარგობრივი მართვის რეორგანიზაციის ძირითად საკითხებს ზოგად ფორ-
მებში. ხოლო რაც შეეხება მრეწველობის ცალკეულ დარგს, იგი უნდა განხორ-
ციელდეს დიფერენცირებულად, თვითეული დარგისათვის დამახასიათებელი სპე-
ციფიკური ნიშნების გათვალისწინებით ცალ-ცალკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. მასურაშვილი

სამშენებლო საწარმოთა სტრატეგიული მართვის ძირითადი მიმართულებები

საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე მიმდინარე რადიკალური გარდაქმნების პროცესში მშენებლობის არსებული სისტემის ძირეული რეორგანიზაცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთული პროცესი მოითხოვს სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებას მშენებლობის დარგის გარდასაქმნელად. ამ მხრივ კი ბევრი პრობლემაა დაგროვილი. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და ძნელად პროგნოზირებადი ინფლაციის ტემპები პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სამშენებლო ორგანიზაციათა ფუნქციონირებას. საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების შეუმოწმებელი ამოქმედების შედეგად პრაქტიკულად გაპარტახების პირასაა მისული დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ცოტა ხნის წინ ორგანიზაციის ფორმები ატარებდნენ სტატიკურ და მონოლითურ ხასიათს. ყველა დანაყოფის მიმართ გამოიყენებოდა ერთიანი ორგანიზაციის პრინციპი. როდესაც ღებულობდნენ ახალ სტრუქტურებს, გულისხმობდნენ, რომ იგი დარჩება უცვლელი დიდი ხნის განმავლობაში. 40-იანი წლების მეორე ნახევარში სიახლეების დანერგვასთან დაკავშირებით გაჩნდა პირველი დინამიკური ტიპის სტრუქტურა. სტრუქტურების შესაბამის პერიოდებს უკავშირდება სისტემები. სტრუქტურა და მართვის სისტემა ურთიერთმოქმედებენ, როგორც სამშენებლო საწარმოს „ანატომია და ფიზიოლოგია". ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ „სამშენებლო ბლოკების" პრინციპი მართვის სისტემის დაპროექტებაში, დამაკმაყოფილებელი, რომელიმე ამა თუ იმ საწარმოს მოთხოვნილებისა. პირველ რიგში გაანალიზებული იქნება მართვის სისტემების ძირითადი ტიპები და დინამიკა. შემდეგ განხილული იქნება უფრო მეტად გავრცელებული „სამშენებლო ბლოკები" და, ბოლოს, „ბლოკების" გამოყენება აუცილებელი სისტემების შერჩევის პროცედურაში. სამშენებლო საწარმოსათვის მართვის სისტემის შესარჩევად ორი ფაქტორი არის გადამწყვეტი: 1) გარეშე პირობების მოთხოვნები და 2) საწარმოს ხელმძღვანელთა მიერ წამოყენებული მოთხოვნები. თუ საწარმო ცდილობს ოპტიმალური რენტაბელობის უზრუნველყოფას მისი მოცემული საქმიანობისათვის, მაშინ მან უნდა შეარჩიოს მართვის ისეთი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელი არასტაბილურობის დონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემის შერჩევისას პირველად უნდა ჩამოყალიბდეს ის მახასიათებლები, რომლებიც უახლოესი 5—7 წლის განმავლობაში განსაზღვრავენ საწარმოს მდგომარეობას. მეორე მეთოდი არის არასტაბილურობის დონის განსაზღვრა, რომელიც სამი ფაქტორის გამოყენებით ხდება. ესენია: ჩვეულებრივი მდგომარეობა, ცვლილებათა ტემპი და მომავლის განსაზღვრებადობა. მესამე მეთოდით ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი სისტემის გამოყენება სჭირდება საწარმოს (კონტროლის, გრძელვადიანი დაგეგმვის თუ სტრატეგიული მართვის). მეოთხე მეთოდით შეირჩევა მოულოდნელობაზე და ცვლილებათა სიჩქარეზე საჭირო რეაქცია.

ეს ოთხი მეთოდი განსაზღვრავს იმ სისტემათა შეთანაწყობას, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიულად უფრო მომგებიანი მოქმედების სისტემის შერჩევისათვის. იმის გამო, რომ გარეშე პირობები თანდათან განუსაზღვრელი ხდება, საჭიროა შეიქმნას უფრო რთული და უფრო მოქნილი მართვის სისტემა. თუმცა არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეიძლება მართვის სისტემების უფრო გამარტივება, გრძელვადიანი დაგეგმვის ვადის შემცირება და სხვ. ინგლისელი მეცნიერის რ. ეშბის მოსაზრებით, იმისათვის, რომ წარმატებით გადავწყვიტოთ არსებული პრობლემები, საჭიროა გადაწყვეტილების მიღების სიჩქარე და სირთულე დაემთხვეს მოვლენათა ცვლილებების სიჩქარესა და სირთულეს, ე. ი. საჭიროა უფრო რთული სისტემების შექმნა. თუ ხელმძღვანელობას არ სურს გაართულოს საწარმოს მართვის სისტემები, მაშინ მან უნდა გაამარტივოს საწარმოს სტრატეგიული პოზიცია არასტაბილური საქმიანობის მიტოვებით. მე-20 საუკუნის განმავლობაში არასტაბილურობის ზრდამ გამოიწვია საწარმოთა მართვის სულ უფრო რთული და დეტალიზებული სისტემების შემუშავება. შეიქმნა სისტემათა ორი ტიპი: დაკავშირებული პოზიციის განსაზღვრასთან (გრძელვადიანი და სტრატეგიული დაგეგმვა, მართვა სტრატეგიული პოზიციის ამორჩევით) და დაკავშირებული დროულ რეაქციასთან, რომლითაც საწარმო მოულოდნელად მომხდარ ცვლილებებზე რეაგირებს დროულად. მართვის სისტემის შერჩევა კონკრეტული სამშენებლო საწარმოსათვის ხდება იმ გარემოს არასტაბილურობის დონის მიხედვით, რომელშიც ის მოქმედებს.

განვიხილოთ მართვის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და კონტროლი. აშშ მართვის სისტემები პირველად შექმნეს და განავითარეს საქმიანმა საწარმოებმა, რაც გამოიხატებოდა წარმოების მზარდი მოცულობის, სირთულისა და სწრაფადცვლად გარე პირობებზე რეაქციით. საწარმოთა წინაშე დადგა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანები. საწარმოთა შორის საზღვრები გაიმიჯნა და გარდაქმნები ძალიან იშვიათად ხდებოდა. ფორდის უბრალო სტრატეგიიდან („გამოეშვათ ნებისმიერი ფერის ავტომობილი, ოღონდაც ის ყოფილიყო შავი") გამომდინარე დავალებები, მდგრადი მმართველობის წინაშე გართულდა. დღეს მმართველობა წყვეტს დივერსიფიკაციის პრობლემებს გლობალურ მასშტაბებში, რეაგირებს შიდა და გარე სოციალურ-პოლიტიკურ მოთხოვნებზე და ყველანაირ აუცილებლობაზე იცვლება სამშენებლო საწარმოს შიგნით მუშაობა. სისტემები პირველად შეიქმნა წამყვან საწარმოებში. შემდეგ კი მათ მაგალითს მიბაძეს სხვა საწარმოებმა და თავის საწარმოში დანერგეს იგივე სისტემები. რამდენადაც მართვის ყველა სისტემა მოწოდებული იყო გადაეწყვიტა მიმდინარე და გადაუდებელი პრობლემები, მთელი მისი განვითარების პროცესი ლოგიკურ თანამიმდევრობას არ ატარებდა. ყოველი ახალი სისტემა ცხადდებოდა უფრო

სრულყოფილად, ვიდრე ძველი და ამიტომაც იცვლებოდა ყველა ძველებური მიდგომა. ასე მაგ.: გრძელვადიანი დაგეგმვა, რომელიც შემოვიდა ბიუჯეტის დამუშავების, მიმდინარე ფინანსური გეგმების ნაცვლად, ხოლო მოგვიანებით უკანასკნელის ადგილი დაიკავა სტრატეგიულმა მართვამ.

მართვის განვითარების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ორი დასკვნა: 1) მმართველობის სისტემების განვითარება ექვემდებარებოდა ლოგიკას, რომელსაც კარნახობდა იმ ამოცანების განსხვავებული ხასიათი, რომლებიც მმართველობის წინაშე იდგა; 2) ყოველი მომდევნო სისტემა, ჩვეულებრივ არა მხოლოდ ცვლიდა წინა სისტემას, არამედ მისგან იღებდა ყველა მის მიღწევას, ამდიდრებდა და აფართოებდა მას. ეს დასკვნები საშუალებას გვაძლევს, რომ მართვის გამოცდილების დაგროვება განვიხილოთ, როგორც მეთოდოლოგიური მასივი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართვის სისტემის განვითარება გამოიწვია საწარმოთა შორის საზღვრების გაფართოებამ. ამერიკის საწარმოების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ყოველთვის აქვს მუდმივი მიზანი, წამოსული შიგნიდან: აწარმოოს უკეთესად და ეფექტიანად. ამ ორი ზემოქმედების გამო განუწყვეტლივ იბადებოდა ახალ-ახალი მიდგომები მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისადმი. დაახლოებით 1910 წელს ჩამოყალიბდა „ფუნქციური სტრუქტურა", რასაც თან მოჰყვა მასთან დამოკიდებულებაში ალტერნატიული სტრუქტურების უმრავლესობა. ეს სტრუქტურებია: დივიზიური, მრავალეროვნული, მატრიკული და ინოვაციური სტრუქტურა. ყველა ამ ორგანიზაციულ ფორმას საერთო აქვს ფუნქციური სტრუქტურის ხასიათთან — ისინი აკონკრეტებენ პასუხისმგებლობას, დავალებებს და ორგანიზაციული ქვეჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებას.

საჭიროა თუ არა ისეთი მართვა, როცა ორგანიზაცია ექვემდებარება სამინისტროს, გაერთიანებას, ტრესტს და ა. შ. საბაზრო ეკონომიკაში პრინციპულად ერთი პატრონი „ბაზარი" არსებობს. ამ პოზიციებიდან გამომდინარე, მხოლოდ ბაზარია უმაღლესი ხელმძღვანელი. სწორედ ამიტომ კურსი უნდა იყოს აღებული ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე, რომელიც გულისხმობს: 1) საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციების წახალისებას; 2) სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულატორების, საგადასახადო პოლიტიკის, კრედიტების, ლიცენზირების და სხვ. შემუშავებას; 3) პროექტების, მშენებლობის პროცესის ინტეგრირებას საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციების დონეზე.

ამჟამად მშენებლობაში ჩამოყალიბდა ძლიერი მონოპოლიზებული კონგლომერატი ორგანიზაციებისა. ეს გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: 1) საერთო ინვესტიციური პოლიტიკით, რომელიც ახალისებდა მსხვილი ობიექტების შექმნას; 2) გაბატონებული აზრით იმის შესახებ, რომ მხოლოდ მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციები, ტრესტები, სახლთმშენებელი კომბინატები და ა. შ. არიან მაღალეფექტიანნი, რენტაბელურნი და სხვ. 3) სპეციალიზაციით მშენებლობაში, რომელიც მიმდინარეობდა ორი მიმართულებით, დარგობრივი და ტექნოლოგიური. დარგობრივმა სპეციალიზაციამ მიგვიყვანა სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების და სახლმშენებელი კომბინატების მოუქნელ სტრუქტურებამდე, რომლებიც მონოპოლისტებად იქცნენ — რაც ზღუდავდა მათ მოქნილობას. ასეთივე მონოპოლიური ეფექტი მოიტანა ტექნოლოგიურმა სპეციალიზაციამ. შეიქმნა ცალკეული მსხვილი სტრუქტურები ერთგვაროვანი სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობის საწარმოებლად — მიწის, ფუნდამენტის (საძირკვლის), ელექტროსამონტაჟო, სანტექნიკური, გარე და შიდა მოპირკეთების სამუშაოები და სხვ. 4) მონოპოლიზებული იყო აგრეთვე საპროექტო-საძიებო სამუშაოები. მშენებლობის

პროექტები შეირჩეოდა არა საკონკურსო წესით, არამედ „ზევიდან". ადვილი შეიმჩნევია, რომ მონოპოლიზმი და ბაზარი შეუთავსებელია, რადგან ბაზრის ძირითადი პრინციპია კონკურენცია. სწორედ ამიტომაც მოთხოვნა-მიწოდების ბაზარზე დემონოპოლიზაციის ღონისძიებანი პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადოს წარმოების კონცენტრაციის ყველა პროცესს და დავიწყოთ ყველა სტრუქტურის დეკონცენტრაცია. მშენებლობის გარკვეულ დარგებში მონოპოლიზმი ძნელად მოსასპობია — მაგალითად, უნიკალური ნაგებობების მშენებლობაზე, რომელთა აგება მხოლოდ სპეციალიზებულ ორგანიზაციებს შეეძლებათ. დემონოპოლიზაცია სამშენებლო კომპლექსში აისახება სამშენებლო-საწარმოო სტრუქტურების მიზანმიმართულ გამსხვილებაზე და აქციონირების ხერხით განსახელმწიფოებაზე. დემონოპოლიზაციის მეორე მიმართულებაა—დარგობრივი სამინისტროს მიერ სამართლებრივი და ეკონომიკური ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუშლის მონოპოლიურ სტრუქტურებს ინვესტიციების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, პროექტირების და სხვა ბაზარზე გაბატონებაში.

მრავალფეროვნების თვალსაზრისით საჭიროა განვითარდეს სამშენებლო-საწარმოო სტრუქტურების: — 1) საკუთრების ფორმების; 2) ზომების სტრუქტურების და 3) მართვის სტრუქტურების — რეორგანიზაცია. მართვის სისტემის რეორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოს დარგის მართვის ორგანოების სტრუქტურებისა და ფუნქციების ცვლილებას. ამრიგად, სამშენებლო კომპლექსში უნდა ფუნქციონირებდეს მთლიანად დამოუკიდებელი ფირმები და მათი სხვადასხვა სტრუქტურული საბაზრო გაერთიანებები (ჰოლდინგი, ასოციაცია, კონცერნი), რომლებიც ერთმანეთთან დაამყარებენ ხელშეკრულებით ურთიერთობებს. სამშენებლო კომპლექსის ყველა ფირმა, განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა, უნდა იყოს თანაბარ ეკონომიკურ პირობებში. სამშენებლო კომპლექსში საბაზრო ურთიერთობების ძირითადი რეგულატორი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს საგადასახადო პოლიტიკა, საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა, ლიცენზირება და არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ხარაიშვილი

აგრობიზნესის ორგანიზაციული ფორმები და მასზე მოქმედი ფაქტორები

აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოსვლისა და სასურსათო პრობლემის გადასაწყვეტად განსაკუთრებით აქტუალურია აგრობიზნესის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმების შერჩევა და მათი ურთიერთშეთანხმება. სამომხმარებლო ბაზრის ფუნქციონირების საფუძველია სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების განვითარება მათი ინტენსიფიკაციის საფუძველზე, რაც გადაწყვეტს მოსახლეობის სურსათით მომარაგების პრობლემას.

აგროსამრეწველო კომპლექსში რადიკალური აგრარული რეფორმა სასურსათო კომპლექსის რეორგანიზაციით უნდა დაიწყოს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის საჭიროა შეიქმნას ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო. ამ უკანასკნელი პრობლემის გადაწყვეტაში ცენტრალური როლი საკუთრების და მეურნეობრიობის ფორმების არჩევამ უნდა შეასრულოს. აქვე შევნიშნავთ, რომ აგრობიზნესის განვითარების ეკონომიკური საფუძველი კერძო საკუთრებაა, თუმცა საჭიროა შეიქმნას პირობები სხვა ფორმების განვითარებისთვისაც.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს შერეული მრავალწყობიანი ეკონომიკის განვითარებას. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კერძო, სახელმწიფო და კოლექტიურ საკუთრებას და მათი შესაბამისი მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ერთობლიობას. აგრობიზნესის სფეროში ასეთი ტიპის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მისი ორგანიზაციული ფორმების ეფექტიან ფუნქციონირებას.

რეფორმების მიმდინარეობის პროცესში კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე შექმნილი საწარმოები დღეს შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე დადგენილი ნორმების მიხედვით ფუნქციონირებენ. ამავე დროს გამოუყენებელია მეურნეობრიობის ახალი ფორმების მასშტაბები, უგულებელყოფილია შინაგან ძალთა მობილიზაციის მანევრირება. არაა შექმნილი ეკონომიკური არგუმენტაციის ხელშემწყობი პირობები. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის კერძო სექტორი ჯერ კიდევ ძალიან სუსტია და მას არ შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ სისტემაზე. რამდენადმე გართულებული და დაუსრულებელია სახელმწიფო საწარმოთა აქციონირება. საკუთრების ფორმებს შორის ასეთი დისპროპორცია ხელს უშლის ეკონომიკური გამოცოცხლების ტენდენციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალწყობიანი ეკონომიკური სისტემის დროს აგრობიზნესში საკუთრების და მეურნეობრიობის თითოეულ ფორმას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული გარემო. ამასთან, საკუთრების არც ერთ ფორმას არ უნდა ჰქონდეს ხელოვნურად შექმნილი უპირატესობა. საწყის ეტაპზე საკუთრების ყველა ფორმისათვის თანაბარი პირობები უნდა შეიქმნას, შემდეგ კი ეკონომიკური გარემოს და სიტუაციური ცვლილებების მიხედვით შესაძლებელია განსხვავებული თანაფარდობა ჩამოყალიბდეს.

საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის შექმნისა და შემდგომში მისი წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ყოველმხრივ მოფიქრებული და დასაბუთებული ღონისძიებათა სისტემის დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს დარგთაშორისი ურთიერთობების რეგულირებას როგორც აგროსამრეწველო კომპლექსის საზღვრებში, ისე ქვეყნის მასშტაბით. ასეთი პროგრამა უნდა ემსახურებოდეს სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას. რა თქმა უნდა, პროგრამის რეალიზაციაზე გავლენას მოახდენს დროის ფაქტორი.

აგროსამრეწველო სექტორში საკუთრების ფორმების ოპტიმალური თანაარსებობა და შესაბამისი ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება პასუხს გასცემს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: როგორი უნდა იყოს აგროსამრეწველო სექტორის სტრუქტურა, როგორ უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დაბალანსებული განვითარება, რა ღონისძიებებია საჭირო საბაზრო ურთიერთობებზე სწრაფი გადასვლისათვის, როგორ განხორციელდეს მეურნეობათა რეორგანიზაცია და როგორ ჩამოყალიბდეს თანამედროვე ფერმერული მეურნეობები, რამდენი და რა სახის ინვესტიციებია საჭირო აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოდერნიზაციისათვის და ა. შ.

სტრატეგიულ მიმართულებათა ჭრილში უნდა განვიხილოთ სოციალური პრობლემების გადაწყვეტაც. მით უმეტეს, რომ საქართველოში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები ამ კუთხით მეტად არასასურველი აღმოჩნდა. დღეისათვის მთავარია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიის აგებისას განისაზღვროს ისეთი კონცეპტუალური პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებს.

მრავალწყობიანი და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგია შესაბამისობაში უნდა იყოს ტაქტიკასთან. აუცილებელია ზუსტი გაანგარიშებები როგორ და რა გაკეთდეს ამა თუ იმ დროის მონაკვეთში აგრობიზნესის ამა თუ იმ სფეროში.

დღეისათვის ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე დგას ამოცანა, დააკმაყოფილოს მოსახლეობა აუცილებელი და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით. სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა კი აგრობიზნესის შესაბამისი ორგანიზაციული ფორმების არსებობას მოითხოვს.

აგრობიზნესში წარმოების გაძღოლის უმარტივეს ფორმას წარმოადგენს ერთპიროვნულ მფლობელობაზე დამყარებული ფერმერული მეურნეობები. კერძო ფერმერული მეურნეობა წარმოების ორგანიზაციის ყველაზე იაფი ფორმაა. მას მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია: 1. აგრობიზნესის ამ ფორმის დაარსება ადვილია და მცირე დანახარჯებთან არის დაკავშირებული; 2. ერთპიროვნული მფლობელობის დროს ფერმერს გადაწყვეტილების მიღება შეუძლია დამოუკიდებლად გარედან ჩარევის გარეშე. კერძოდ, მას შესაძლებლობა აქვს გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სამუშაო დღის ხანგრძლივობა. ფასების დადგენა პროდუქციაზე, წარმოების მასშტაბების გადიდება ან შემცირება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ა. შ., 3. წარმოების ორგანიზაციის ამ ფორმის დროს ფერმერი ინდივიდუალურად მიიღებს და განაგებს მოგებას; 4. დაცულია კონფიდენციალობა.

ერთპიროვნულ მფლობელობაზე დამყარებულ საქმიანობას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. ჯერ ერთი, დიდი მოგების შემთხვევაში ფერმერი გადასახადების დიდი განაკვეთის მოქმედების დიაპაზონში ხვდება, თუმცა სამეურნეო საქმიანობაში ოჯახის წევრების ჩართვით მას შეუძლია პრობლემის ნაწილობრივ გადაწყვეტა (ოჯახის წევრები ცალ-ცალკე ექვემდებარებიან პერსონალურ შეღავათებს და ამით პრობლემის სიმწვავე მცირდება). გარდა ამისა, კერძო ფერმერული მეურნეობა თეორიულად ნებისმიერი მასშტაბის შეიძლება იყოს. მაგრამ როგორც გამოცდილება აჩვენებს, უმეტესი მათგანი მცირე ბიზნესის სფეროს განეკუთვნება. ეს უკანასკნელი კი ზღუდავს ფერმერთა ფინანსურ შესაძლებლობებს. კერძო ფერმერული მეურნეობის უარყოფით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ ფერმერი შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს. მაშასადამე, სამეურნეო საქმიანობაზე და მის შედეგებზე იგი ერთპიროვნული პასუხისმგებელია და სავსებით მოსალოდნელია, რომ წაგების შემთხვევაში ან ვალების დაფარვის მიზეზით, იგი აღმოჩნდეს პირადი ქონების გაყიდვის საშიშროების წინაშე. აგრობიზნესის ამ ფორმის უარყოფითი მხარეა ისიც, რომ მისი სიცოცხლისუნარიანობა ხანმოკლეა.

აგრობიზნესის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა შეიძლება იყოს პარტნიორობა. იგი წარმოადგენს ორი ან მეტი პიროვნების გაერთიანებას და თითოეული მათგანი ფირმის მეპატრონედ ითვლება. პარტნიორობა შეიძლება იყოს: 1. სრული, როდესაც ყველა წევრს გააჩნია თანაბარი პასუხისმგებლობა და უფლებები; 2. შეზღუდული, როდესაც ერთი ან რამდენიმე პიროვნება გვევლინება მთავარი პარტნიორის როლში, ისინი მართავენ ყველა სახის საქმიანობას და ძირითადი პასუხისმგებლებიც არიან სამეურნეო შედეგებზე. დანარჩენი წევრები პასიური ინვესტორების როლში არიან, ამიტომ ისინი შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორებად იწოდებიან და მათი პასუხისმგებლობა მხოლოდ დაბანდებული კაპიტალით განისაზღვრება.

პარტნიორობის დადებითი მხარე ის არის, რომ აგრობიზნესის ამ ფორმის დროს ხდება ფინანსური სახსრების, სხვა სახის რესურსებისა და მეწარმეთა უნარის გაერთიანება. ასეთი გაერთიანებით კი შესაძლებელია წარმოების მასშტაბების გადიდება ან ძვირადღირებული ქონების შეძენა და გამოყენება. გარდა ამისა, სავსებით მოსალოდნელია, რომ სამეურნეო საქმიანობაში ჩაებან შვილები მოგებიდან წილის მიღების მიზნით.

პარტნიორობის ნაკლოვანი მხარეებიდან შეიძლება აღინიშნოს: პარტნიორების შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. რომელიმე პარტნიორის დაშვებული შეცდომა (პროფესიული ან საქმიანი) დანარჩენი წევრების უკმაყოფილებას იწვევს, რადგანაც ფინანსურ შედეგებზე პასუხისმგებელია ყველა წევრი. ნაკლოვან მხარედ უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ წევრებს შორის ყოველთვის არსებობს პოტენციური კონფლიქტების შესაძლებლობა. მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, დღეისათვის პარტნიორობა აგრობიზნესის მისაღები ფორმაა. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებელია პარტნიორების მაქსიმალურად დასაშვები რიცხვი იყოს 20. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება.

წარმოების კორპორაციულ საწყისებზეა დაყრდნობილი თანამშრომლობის ისეთი სახე, როგორიცაა აგროკონსორციუმი. მისი ფუნქციონირების პირობებში იქმნება სასოფლო-სამეურნეო და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაბარუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პირობები. ასეთი გაერთიანების ძირითადი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვა და გამოყენება.

აგროკონსორციუმი კოოპერაციის ახალი ფორმაა და მას უფლება აქვს დამოუკიდებლად შექმნას სასოფლო-სამეურნეო დამამზადებელი, სავაჭრო, საპროექტო, სარემონტო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა დარგთაშორისი საწარმოები. იგი დამოუკიდებლად შეიმუშავებს, ამტკიცებს და რეალიზაციას უკეთებს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობის თუ მომსახურების საკუთარ პროგრამებს. აგროკონსორციუმში შემავალი საწარმოები ფუნქციონირებენ ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის საფუძველზე, რის შედეგადაც გამორიცხულია ადმინისტრაციული დაქვემდებარება და შექმნილია მეურნეობრიობის რეალური პირობები.

მრავალდარგობრივ საწარმოთა გაერთიანების რთულ კომპლექსს წარმოადგენს აგროკონცერნი, სადაც ერთ სისტემაშია თავმოყრილი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების პროცესი, დამზადება, ტრანსპორტირება, შენახვა, გადამუშავება, მარკეტინგი და სხვა ფინანსური საქმიანობა. აგროკონცერნებმა შეიძლება შემდეგი ძირითადი ფუნქციები შეასრულონ: 1. გააანალიზონ აგროკონცერნში შემავალი ფილიალების მიმდინარე საქმიანობა; 2. განსაზღვრონ ინვესტიციების და მეცნიერ-ტექნიკური პროგრესის ახალი სფერო და დარგები; 3. შეიმუშაონ და დაამტკიცონ დაგეგმვისა და მართვის ძირითადი მიმართულებები.

თანამედროვე ეტაპზე აგრობიზნესის განვითარების ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს აგრარულ სექტორში სამრეწველო საწარმოთა ფუნქციონირება. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში მრეწველობასთან შედარებით შემოსავლების დონე დაბალია. აგრობიზნესში სამრეწველო დარგების განვითარება ლოგიკურად გამოიწვევს შემოსავლების გაზრდას.

წვრილი ფერმერული მეურნეობები ვერ გადაწყვეტენ ქვეყნის სურსათით მომარაგების პრობლემას და ვერც მსოფლიო ბაზარზე გასვლას შეძლებენ. ამიტომ აგრარული რეფორმა პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს აგრობიზნესის წარმოების მასშტაბების გადიდებას, მათ სრულყოფას და მოდერნიზაციას. ეს კი შეიძლება განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების შეთანაწყობით. ასეთი შეთანაწყობის პირობებში უფრო რაციონალურად გამოიყენება შრომითი და სანედლეულო რესურსები.

სოფლის მეურნეობაში სამრეწველო საწარმოთა განვითარება, უპირველეს ყოვლისა, აგრარული და სამრეწველო სექტორების ერთობლივი საქმიანობის სფეროში უნდა მოექცეს. მაშასადამე, სამრეწველო საწარმოები შეიძლება არსებობდეს როგორც ინდივიდუალურ კერძო, ასევე პარტნიორობისა და კორპორაციის საკუთრების ჩარჩოებში.

სამრეწველო საწარმოთა განვითარება რესპუბლიკის ეკონომიკის აგრარული სექტორის განმტკიცებისა და აღმავლობის აუცილებელი პირობაა. შეიძლება ითქვას, რომ თავისი არსით და ბუნებით აგრობიზნესის ორგანიზაციის ეს ფორმა ახალი კატეგორიაა და სამეურნეო საქმიანობის თვალსაზრისით ისინი შეიძლება შემდეგი სახის იყოს: სამრეწველო, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვება, მომსახურება, მშენებლობა, სატრანსპორტო მომსახურება და სხვა. როგორც თეორიული განმარტებიდან ჩანს, აგრობიზნესის დასახელებული ფორმა მემცენარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის და მეცხოველეობის დარგების მიღმა იქმნება სოფლის ტერიტორიაზე და ხელს უწყობს შრომითი და ადგილობრივი ყველა სახის რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მეორე სფეროს დარგობრივი სტრუქტურა იმის რეალურ საშუალებას იძლევა, რომ აგრარულ სექტორში განვითარდეს სამრეწველო საწარმოთა ბიზნესი. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა: ხელშემწყობი მიკრო- და მაკროეკონომიკური გარემო პირობების შექმნა. ვგულისხმობთ როგორც შეღავათიან კრედიტებს, ასევე სუბსიდიებს, ტარიფებს და სხვა მატერიალური პროგრამების შემუშავებას. როგორც საშინაო, ასევე საგარეო ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობისათვის, ალბათ, საჭირო იქნება აგრობიზნესის სამრეწველო სექტორის ხელახალი შექმნა ახალი ტექნოლოგიებით და შესაბამისი მარკეტინგული სამსახურით.

ლ. ჯოხაძე

შრომის ბაზრის მდგომარეობა საქართველოში

უმუშევრობა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

საბაზრო ეკონომიკაში საქონელი, მომსახურება და სამუშაო ძალა იყიდება შესაბამის ბაზრებზე. შრომის ბაზარზე, როგორც სხვა ბაზრებზე, სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას აქვს ადგილი.

1996 წლის ბოლოსათვის საქართველოს შრომითმა რესურსებმა დაახლოებით 3,1 მლნ შეადგინა. 1990 წელთან შედარებით მათი რიცხვი 3,4%-ით, ხოლო 1988 წელთან შედარებით — 3,6%-ით, შემცირდა.[1]

შრომითი რესურსების საერთო რაოდენობაში 94% შრომისუნარიანი მოსახლეობაა, 6% კი შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული დასაქმებული მოსახლეობაა.

აღნიშნული პერიოდისათვის ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 45% აქტიური მოსახლეობაა, რომლის 79% დასაქმებულია, ხოლო 21 უმუშევრები არიან. უმუშევრობის განსაკუთრებით მაღალი დონეა 25 წლამდე ასაკის მოსახლეობაში, და იგი საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით 2-ჯერ მაღალია, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ისინი ახლახან გამოვიდნენ შრომის ბაზარზე.

უმუშევრობის დონე ქალებში (21,3%) 1,6 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში. ეკონომიკაში დასაქმებულებმა 1,7 მლნ კაცი შეადგინა, რაც 1988—1990 წლებთან შედარებით შემცირებულია თითქმის 37%-ით. ასეთი შემცირება ძირითადად გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი უმუშევრობის გაჩენით, წარმოების დაცემით, ქვეყნის გარეთ სამუშაოდ გასულთა ზრდით. მარტო სოფლებიდან ჩვენი ქვეყნის გარეთ სამუშაოდ წასულთა რიცხვმა 50 ათასს გადააჭარბა (1996 წ.).

ეკონომიკის დარგებში დასაქმებულთა 77%-მდე დაქირავებულია, ხოლო 23%—თვითდასაქმებული.

შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გარკვეული თანაფარდობის არსებობა სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. ოფიციალური ინფორმაციით ეს თანაფარდობა დარღვეულია. რეგისტრირებულ 58 ათას უმუშევარზე მხოლოდ 1,4 ათასი თავისუფალი სამუშაო ადგილი მოდის.

---

[1] აქ და შემდგომ ციფრები აღებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო წლებში კვლავ გრძელდებოდა საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაკთა ხანგრძლივი დროებით უხელფასო შვებულებაში გაშვება, დროებითი უმუშევრობა. მათმა რაოდენობამ 40 ათასს გადააჭარბა.

უმუშევრებს მიეკუთვნება ყველა შრომისუნარიანი პირი, რომელიც სამუშაოს ეძებს. უმუშევრობის დონე ცვალებადი სიდიდეა და ბევრად არის დამოკიდებული სხვადასხვა მიზეზებზე (საწარმოო ციკლის დაქვეითებაზე, აღმავლობაზე, სტრუქტურულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე, შემწეობაზე და სხვ.).

სრული დასაქმება არ ნიშნავს უმუშევრობის აბსოლუტურ არარსებობას. „სრული დასაქმება" განისაზღვრება როგორც დასაქმება, რომელიც სამუშაო ძალის 100%-ზე ნაკლებია. უმუშევრობის დონეს სრული დასაქმების პირობებში ეწოდება უმუშევრობის ბუნებრივი დონე.

უმუშევრობის დონე განისაზღვრება როგორც უმუშევრობისა და სამუშაო ძალის თანაფარდობა (უმუშევრობა: სამუშაო ძალაზე X 100). უმუშევრობის გარკვეული დონე ითვლება ნორმალურად და გამართლებულად, რადგან ხელს უწყობს კონკურენციას. უმუშევრობის ბუნებრივი დონე 4—6%-ის ფარგლებშია.

უმუშევრობა არის გამოუმუშავებელი პროდუქცია. ეს ნიშნავს პირდაპირ ეკონომიკურ ხარჯებს (დანაკარგებს) მთელი საზოგადოებისათვის. როდესაც ადამიანები რჩებიან უმუშევრები, ეს ნიშნავს, რომ წარმოება მცირდება იმასთან შედარებით, რაც სრული დასაქმების პირობებშია შესაძლებელი. ამის შედეგად ქვეითდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. ოუკენის კანონის თანახმად, თუ უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ერთი პროცენტით აღემატება ბუნებრივ დონეს, მაშინ მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა, მისი ჩამორჩენა პოტენციურად შესაძლებელი წარმოებისაგან შეადგენს 2,5%-ს. ეს თანაფარდობა (1:2,5), ანუ თანაფარდობა უმუშევრობის დონესა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობის შემცირებას შორის, შესაძლებლობას გვაძლევს გამოვთვალოთ პროდუქციის აბსოლუტური დანაკარგი ნებისმიერი უმუშევრობის დონის პირობებში. რადგან საქართველოში 1996 წელს უმუშევრობის დონე შეადგენს 21%-ს, იგი 15%-ით აღემატება ნავარაუდევ ბუნებრივ დონეს. თუ ამ 15%-ს გადავამრავლებთ ოუკენის კოეფიციენტზე (2,5), მაშინ მივიღებთ, რომ 1996 წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობის ჩამორჩენა შეადგენდა 37,5%-ს. ამ წელს ეროვნულ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების მოცულობამ (მთლიანმა გამოშვებამ) 8,7 მლრდ ლარი შეადგინა. ამ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკამ დაკარგა 3 მილიარდამდე (2962,5 მლნ ლარი) ლარის პროდუქცია (8,7 მლრდ X 37,5%) იმის გამო, რომ ეკონომიკაში უმუშევრობის ფაქტობრივი ნორმა (21,0%) აღემატებოდა უმუშევრობის ბუნებრივ დონეს (6%). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სათანადოდ არ არის მოწესრიგებული აღრიცხვა, ე. ი. სინამდვილეში არა გვაქვს რეალური სურათი, სავარაუდოა, რომ დანაკარგები უფრო მეტია.

უმუშევართა 80% უმაღლესი განათლებითაა (პედაგოგები, ინჟინრები, მედიცინის მუშაკები და სხვ.). ბევრმა კვალიფიციურმა მუშაკმა დატოვა ქვეყანა.

უმუშევრობა ართულებს სოციალურ დაძაბულობას და ქმნის მკაცრ საზოგადოებრივ კლიმატს, ბევრი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

ცნობილია, რომ უმუშევრები, რომლებიც ღებულობენ შემწეობას — დახმარებას (თუმცა ასეთი ცოტაა), აქტიურად არ ეძებენ სამუშაოს და ხშირად უარს ამბობენ, მათი აზრით არამიმზიდველ შეთავაზებაზე, რაც ამცირებს დაქირავების ტემპის მაჩვენებელს.

ის ფაქტი, რომ უმუშევრობის დაზღვევა ადიდებს მის ბუნებრივ დონეს, არ ნიშნავს. ამ პოლიტიკის არასასურველობას, მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი უქმნის რწმენას მუშებს გარკვეული შემოსავლის მისაღებად. უმუშევრობისათვის შემწეობის სხვადასხვა სისტემის შეფასება საკმაოდ რთული პრობლემაა და იგი სერიოზული გამოკვლევის საგანია.

1991 წელს მიღებული კანონი „დასაქმების შესახებ" მოძველდა, არის ახალი ვარიანტი. დასაქმების პროგრამის შესაბამისად უნდა მომზადდეს იმ რაოდენობის კადრები, რამდენზეც მოთხოვნა იქნება.

საქართველოდან გასულთა შრომის დაცვას ჩვენ ვერ ვახერხებთ. ისინი ხშირ შემთხვევაში არალეგალურად მუშაობენ სხვადასხვა მოტივით (დევნილები, კერძო მიწვევით და სხვ.). ეს საკითხები მიგრაციის დეპარტამენტმა უნდა დაარეგულიროს.

შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი გზაა მოქნილი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, იმ მუშაკების მომზადება-გადამზადებას, რომლებიც გამოთავისუფლდნენ წარმოებიდან ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად. ან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ კვლავ სურთ ჩაებან სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ დაკარგეს კვალიფიკაცია იმის გამო, რომ უვლიდნენ ბავშვებს ან ოჯახის შრომისუნარდაკარგულ წევრებს ან ინვალიდებს.

1996 წელს ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში შრომის ანაზღაურება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაუმჯობესდა, მაგრამ იგი ჯერ ძალიან შორსაა საარსებო მინიმუმისაგან. 1996 წლის დეკემბერში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმმა საქართველოს ქალაქების გასაშუალებული ფასებით 104,4 ლარი შეადგინა, თბილისის ფასებით 108,8 ლარი, ხოლო საშუალო (ე. ი. ოთხსულიანი) ოჯახისათვის საარსებო მინიმუმმა შესაბამისად 183,2 და 190,9 ლარი.

საჭიროა განხორციელდეს სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სრულ და ეფექტიან დასაქმებას, შრომითი რესურსების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების გათვალისწინებით.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დამკვიდრებასთან ერთად უფრო სრული ინფორმაცია იქნება შრომის ბაზრის შესახებ და დაისახება შესაბამისი ღონისძიებანი მისი რეგულირებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. აგუაშვილი

მოსახლეობის დასაქმების პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ადამიანი და მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ყოველი ცივილიზებული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია. საზოგადოება ეფექტიანად ვერ იფუნქციონირებს, თუ ცხოვრების ყველა სფეროში არ მიაგნო მასების შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ახალ გზებს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის შრომითი რესურსების მობილიზაციისა და მათი რაციონალური გამოყენების პრობლემის ღრმად შესწავლასა და გაანალიზებას.

სტაბილიზაციის პროცესებისა და წარმოების გამოცოცხლების კვალობაზე პირველად უკანასკნელი პერიოდის მანძილზე აღინიშნება დადებითი ტენდენციები ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა დასაქმება. 1997 წლის III კვარტლის წინასწარი მონაცემებით ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვია 2431,8 ათასი, ე. ი. დასაქმებულია საქართველოს შრომითი რესურსების 93%. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაბამისი აღრიცხვის არარსებობის გამო ეს მაჩვენებელი არ ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, წვრილი მოვაჭრეების, ხელოსნების, მეწარმეების და სხვათა სახით, რომელთა რაოდენობაც საექსპორტო შეფასებით 300 ათას კაცს აჭარბებს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მილიონამდე კაცი გახდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე, რაც ასევე დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

მნიშვნელოვანი ტენდენციაა ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში კერძო საკუთრების დომინირება; ეს ძირფესვიანი გარდატეხაა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სამი მეოთხედი ამჟამად კერძო სექტორში იქმნება. მნიშვნელოვნად იზრდება კერძო სექტორში დასაქმებულთა სვედრითი წონა. 1997 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 1879,5 ათას კაცს, რაც მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა 77%-ია.

1996—97 წლებში ეკონომიკის ზოგიერთ დარგში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა რიგი სამთავრობო ღონისძიებები, ხელფასები მოემატათ განათლებისა და მეცნიერების დარგის მუშაკებს, მმართველობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, მაღალი რანგის სპეციალისტებს და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი მონაცემებით ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 35—38 ლარს, ხოლო არასაბიუჯეტო სექტორში კი 45 ლარს მიაღწია. კერძო სექტორში კი ეს მაჩვენებელი 120-დან — 140 ლარამდე მერყეობდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1996 წლის ბოლოს ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 15—16 ლარს, ხოლო საბიუჯეტო სფეროში 9 ლარს შეადგენდა, თვალსაჩინოა ის პროგრესი, რომელიც მოსახლეობის შემოსავლების გაუმჯობესების მიმართულებით იქნა მიღწეული.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციებისა, ქვეყანაში ცხოვრების დონის ოფიციალური მაჩვენებელი კვლავ ძალზე დაბალია.

ოფიციალური სტატისტიკით სიღარიბის ზღვარი 1997 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით საშუალო ოჯახისათვის (სულადობა 3,78) 171,4 ლარია. საქართველოში საშუალოდ წინასწარი შეფასებით 74% ოჯახებისა სიღარიბის ზღვარს ქვევით იმყოფება.

უმუშევრობა კვლავ რჩება საქართველოს საშინაო ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე მწვავე პრობლემად. 1997 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შრომის სახელმწიფო ბირჟაზე რეგისტრირებულია 148,0 ათასი სამუშაოს მაძიებელი, მათგან 142,7 ათასი, ანუ 98% უმუშევარია. აქედან ნახევარზე მეტი უმუშევარია მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ხოლო 481 კაცი იძულებით გადაადგილებული პირია. უმუშევრობის ოფიციალურმა დონემ 4,4% შეადგინა. რეგისტრირებული უმუშევრობის რიცხოვნების შემცირების სხვა მიზეზებთან ერთად (რეგისტრაციიდან მოხსნა, დასაქმება და სხვა) ერთ-ერთ ძირითად მიზეზად კვლავ რჩება ის, რომ უმუშევრების გარკვეული ნაწილი ისევ და ისევ არ აკითხავს შრომის სახელმწიფო ბირჟას.

უმუშევართა ოფიციალურ სტატისტიკაში ხვდებიან ის პირები, რომლებიც აქტიურად ეძებენ სამუშაოს, ხოლო ფარულ უმუშევართა დიდი ჯგუფი, რომლებსაც სურს მუშაობა, მაგრამ ოჯახური ან სხვა მიზეზის გამო არ შეუძლია ან იმედი გადაეწურა სამუშაოს მოძებნის, ოფიციალური სტატისტიკის მიღმა რჩება.

1997 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შრომის ბირჟებზე რეგისტრირებულია მხოლოდ 1379 თავისუფალი სამუშაო ადგილი, ამ პერიოდისათვის ბირჟის მეშვეობით დასაქმდა 2972 კაცი. საწარმოებსა და ორგანიზაციებში ბირჟების მეშვეობით დასაქმებულების წილმა საწარმოში ახლად მიღებული მუშაკების მხოლოდ 1,2% შეადგინა.

უმუშევრობის საერთო დონის შესახებ ინფორმაცია არ ქმნის ნათელ წარმოდგენას შრომის ბაზრის მრავალმხრივ პრობლემებზე. რეალურ სინამდვილეში საერთო შრომის ბაზარი არ არსებობს, ის დანაწევრებულია, არსებობს მრავალი პროფესიული რეგიონული, სეგმენტირებული ბაზარი, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი მახასიათებლებით. მის ცალკეულ სეგმენტებში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი შეუსაბამობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, უპირველეს ყოვლისა, პროფესიულ-საკვალიფიკაციო, ასევე რეგიონული ხასიათის, რომლებიც ბოლო წლებში ძლიერდება.

თანამედროვე ეტაპზე არის ცდები შეფასდეს მოთხოვნა და მიწოდების განვითარების პერსპექტივები ცალკეული პროფესიებისა და დარგების მიხედვით. ინფორმაციის უკმარისობისა და კვალიფიკაციის საკითხის შეფასების სირთულის გამო, ცალკეული პროფესიების განვითარების პერსპექტივების საკითხი რჩებაღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს სამუშაო ადგილების რაოდენობასა და შრომითი რესურსების რაოდენობას შორის გარკვეული ბალანსის მიღწევა. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მიწოდება და მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, უნდა ვიცოდეთ არა მარტო რაოდენობა, არამედ ასევე დასაქმების სტრუქტურა, მისი ცვლილებების მიმართულებები.

დასაქმების პრობლემის გადაჭრა მოითხოვს შრომისუნარიანი მოსახლეობის, დარგებისა და შრომის ნაყოფიერების პერსპექტიული ზრდის პროგნოზს, მიგრაციის ანალიზს, სპეციალისტთა კადრების მომზადებას სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, განათლების სისტემაში სიმძიმის ცენტრის გადატანას ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და რაოდენობრივი მაჩვენებლის შემცირებას, შრომის ბაზრის რეგულირებას და დასაქმების რაციონალური პოლიტიკის გატარებას. სწორედ სახელმწიფო დასაქმების ორგანოებმა და კერძოდ, შრომის ბირჟებმა უნდა აიღოს თავის თავზე ამ ფუნქციის შესრულება.

მოთხოვნა-მიწოდების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებში ცვლილებების აღრიცხვის გარეშე ეფექტიანი დასაქმების პროგრამის შექმნა შეუძლებელია. ამ მიზნით უნდა შეიქმნას დასაქმების ორგანოების, შრომის ბირჟების ფართო ქსელი, რეგიონული ბირჟებისა და წარმომადგენლობის სახით, რომლებიც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე გაცილებით ზუსტად განსაზღვრავენ შრომითი რესურსების გამოყენების მიმართულებებს, მოგვცემენ ცნობებს კადრების შემადგენლობის, თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების შესახებ. გააკეთებენ სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნის ანალიზს, გაატარებენ შესაბამის ღონისძიებებს დაუსაქმებელი მოსახლეობის შრომითი მოწყობის, მომზადებისა და გადამზადების სფეროში, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს დასაქმების პოლიტიკის მიზნობრივ წარმართვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების პოლიტიკა არის ნაწილი იმ გლობალური ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო და მისი წარმატება დიდად არის დამოკიდებული ცალკეული რგოლების (იგულისხმება ადამიანები, საწარმოები, შრომის ბირჟები) ხარისხიან ფუნქციონირებაზე.

ნ. ლაცაგიძე

მინიმალური ხელფასის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საკითხები

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედების შენარჩუნება სამუშაო ძალის გამოყენებაზე. ამასთან, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ძალის ბაზრის დაცვას, რაშიც მოფიქრებულ და მოქნილ საბაზრო პოლიტიკასთან ერთად დიდი როლი უნდა შეასრულოს სამუშაო ძალის ფასწარმოქმნის პოლიტიკამაც. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს მუშახელის მიზანმიმართული გამოყენება და შექმნას ოპტიმალური პირობები სამუშაო ძალის ბაზრის განვითარებისათვის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ხელფასის რეგულირების საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა უმთავრესად ატარებს არაპირდაპირ, ირიბ ხასიათს. მისი მთავარი ფუნქციაა მოსახლეობის შემოსავლების მინიმალური დონით უზრუნველყოფა, რისთვისაც სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების მეშვეობით ატარებს შესაბამის საგადასახადო პოლიტიკას, ადგენს მინიმალური ხელფასის სიდიდეს და ა. შ.

მძაფრი ინფლაციისა და კრიზისების პერიოდში სახელმწიფო არეგულირებს ხელფასს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის შესაბამისად მისი (ხელფასის) ზედა საზღვრის დადგენით ან განსაზღვრავს ფასების მატების მიხედვით ხელფასის ინდექსაციის სიდიდეს.

სამთავრობო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ცენტრშია მინიმალური ხელფასის პრობლემა — მისი განსაზღვრა და რეგულირება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ არაერთხელ განიხილა და მიიღო კონვენციები და რეკომენდაციები დაქირავებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაში მინიმალური გარანტიების შესახებ. ამ თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 131-ე კონვენცია „მინიმალური ხელფასის დადგენის შესახებ, განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მონაწილეობით", რომელიც მიღებულ იქნა 1970 წელს. კონვენციაში ხაზგასმულია, აგრეთვე, რომ ეს საკითხი წყდება მეწარმეთა ორგანიზაციებისა და მშრომელთა დაინტერესებულ წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

მინიმალური ხელფასის კონკრეტულ სიდიდეს ქვეყნის მასშტაბით ადგენს, როგორც წესი, საკანონმდებლო ორგანო, ხოლო ცალკეულ დარგში ან რეგიონში განისაზღვრება მეწარმეთა კავშირებისა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. საწარმოებმაც თავიანთი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით შესაძლოა დაადგინონ მინიმალური ხელფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ, მინიმალური ხელფასის დადგენა სატარიფო შეთანხმებების შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს სამ დონეზე: სახელმწიფო დონეზე — საკანონმდებლო აქტით, დარგის დონეზე — დარგობრივი სატარიფო შეთანხმებით და საწარმოს დონეზე — კოლექტიური შეთანხმებით (ხელშეკრულებით).

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა მინიმალური ხელფასის შესახებ საკანონმდებლო აქტების შემუშავებას. მისი მიზანი და ამოცანები ცალკეულ ქვეყნებში რამდენადმე განსხვავებულია. მინიმალური ხელფასის დადგენისას განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ორიენტაციას აკეთებენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის კონვენციებზე. მისი დადგენა სახელმწიფოს მხრიდან თავისებური სახის ხელისშემშლელი ფორმაა ბაზრის ცხოველმყოფელობაში იმასთან დაკავშირებით, რომ უზრუნველყოს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების სოციალური დაცვა, რომელთა მონაწილეობის შესაძლებლობები კოლექტიურ მოლაპარაკებებზე გარკვეული მიზეზების გამო შეზღუდულია. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება პროფკავშირებში გაუწევრიანებელ და არაკვალიფიციურ მუშებს.

მინიმალური ხელფასის განსაზღვრის წესი მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში განსხვავებულია და მისი დადგენის საკმაო გამოცდილება არსებობს. ასე მაგალითად, პირველი საერთო ეროვნული კანონი შრომის შესახებ აშშ-ში იყო „კანონმდებლობა სამართლიანი შრომის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1938 წელს. იგი ითვალისწინებდა მინიმალური ხელფასის შემოღებასაც. ამ უკანასკნელს უნდა უზრუნველეყო ყოველი მომუშავის მოფიქრებული, დასაბუთებული ანაზღაურება და შეემცირებინა სიღარიბის დონე. აშშ-ში დადგენილ იქნა მინიმალური ხელფასის საათობრივი განაკვეთი 25 ცენტის ოდენობით. იგი ვრცელდებოდა მუშა მოსამსახურეთა 43%-ზე (სამმართველო პერსონალის გარდა). 1991 წლისათვის მისმა ოდენობამ შეადგინა 4,25 დოლარი და მოიცვა მომუშავეთა 88% (სამმართველო პერსონალის გარეშე) [5,98].

იმ ქვეყნებში, სადაც კოლექტიური ხელშეკრულებების სისტემა მოიცავს მშრომელთა დიდ ნაწილს, მაგალითად: გერმანია, იტალია, ავსტრია, დანია, ფინეთი, შვეცია, მინიმალური ხელფასის გარანტია ვრცელდება მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფის მოქალაქეებზე. ძირითადად მომუშავე შინახელოსნებზე. მოცემულ შემთხვევაში მისი დადგენის მიზანია სახელმწიფოს მხრიდან კოლექტიური სახელშეკრულებო ურთიერთობებით რეგულირების სფეროს გარეშე მყოფი მშრომელთა ინტერესების დაცვა.

ინგლისსა და ირლანდიაში გარანტირებული შემოსავლები აქვთ მრეწველობის სხვადასხვა დარგის მომუშავეებს, რომელთა პროფკავშირები ძალზე სუსტია ან საერთოდ არ ფუნქციონირებენ და, აგრეთვე, ხელფასის განაკვეთები დაბალია.

საფრანგეთში, საბერძნეთში, ლუქსემბურგში, ჰოლანდიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში მოქმედებს ფიქსირებული მინიმალური დონეების გლობალური სისტემა. პრაქტიკულად კერძო სექტორში დაკავებული ყველა მომუშავე მოცულია ამ სისტემით. კანადაში გარანტირებული მინიმუმი დგინდება ტერიტორიული ნიშნის მიხედვთ.

ევროპის ქვეყნებში მინიმალური ხელფასი დგინდება საშუალო ხელფასის დონის მიხედვით. ევროპის ეკონომიკური კავშირის ინიციატივით 1969 წელს შექმნილი კომპეტენტური საერთაშორისო კომისიის დასკვნის მიხედვით სამართლიანად ითვლება მინიმალური ხელფასი, რომელიც აღწევს საშუალო ეროვნული ხელფასის 68%-ს. ამ დონეს ინარჩუნებს ბევრი განვითარებული ქვეყანა. ასე მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალითად, დიდ ბრიტანეთში მინიმალური ხელფასი შეადგენს საშუალო ხელფასის 2/3, საფრანგეთში 55—63% და ა. შ. [1,99].

ყოფილ საბჭოთა კავშირში ხელფასის განსაზღვრის საფუძვლად მიღებული იყო მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის ღირებულება. ასეთივე მიდგომა გამოიყენება დღეს დსთ-ს ქვეყნების პრაქტიკაში.

მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (მსბ) სასურსათო და არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ნაკრების ღირებულებითი გამოხატულებაა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მოცემულ საზოგადოებაში მიღებულ მინიმალურად აუცილებელ დონეზე. იგი არ უნდა იყოს მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებსა და ნორმატივებზე ნაკლები.

მინიმალური ხელფასი კი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სამუშაო ძალის ბაზარზე მისი (სამუშაო ძალის) ღირებულების ქვედა ზღვარი, რომელიც შეესაბამება ჯანმრთელობისათვის ნორმალურ პირობებში შესრულებული მარტივი სამუშაოს ანაზღაურებას.

მინიმალური ხელფასის ოდენობა საკმარისი უნდა იყოს ერთი მომუშავის მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, მისი ეკონომიკური არსი გამოიხატება მომუშავის შრომის უნარის შენარჩუნებასა და სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებაში.

მინიმალური ხელფასის სიდიდე (ოდენობა) უნდა უზრუნველყოფდეს მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის ღირებულებას, ეს უკანასკნელი კი შრომისუნარიანი პიროვნების საარსებო მინიმუმს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მინიმალური ხელფასი საქართველოში, ისევე როგორც დსთ-ს სხვა ქვეყნებში, მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტზე მნიშვნელოვნად ნაკლებია. ასე მაგალითად, 1994 წლისათვის მინიმალური ხელფასი რუსეთში საარსებო მინიმუმის 21,8%-ს, უკრაინაში 30,4%-ს შეადგენდა, ხოლო იმავე წლისათვის მინიმალური ხელფასი საშუალო ხელფასის მიმართ იყო: ბელორუსიაში 17,7%, ყაზახეთში 11,5%, რუსეთში 9,0%, ტაჯიკეთში 37,7%, თურქმენეთში 29,6%, უკრაინაში 17,1% [4,8].

რაც შეეხება საქართველოს, აღნიშნულის მხრივ ასეთი სურათი გვაქვს: მინიმალური ხელფასი მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის ღირებულების 74%-ს შეადგენდა 1985 წელს, 71%-ს 1990 წელს, მომდევნო წლებში თანაფარდობა კიდევ უფრო შემცირდა — 1991 წელს 40%-მდე, 1992 წელს 22%-მდე, 1993 წელს 1,34%-მდე, 1995 წელს 2,51%-მდე, ხოლო 1996 წლის მარტისათვის 3,12%-მდე.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმმა 1996 წლის დეკემბრის მდგომარეობით 104,4 ლარი შეადგინა; იგივე მაჩვენებელი საშუალო მომხმარებლისათვის ქვეყანაში იყო 91,6 ლარი, ხოლო საშუალო (ე. ი. 4 სულიანი) ოჯახისათვის შესაბამისად შეადგენდა 181,6 ლარს (შევნიშნავთ, რომ მინიმალური დაუბეგრავი ხელფასი მხოლოდ 9 ლარია).

ნორმალურ პირობებში ხელფასი უნდა უზრუნველყოფდეს არა მხოლოდ შრომისუნარიანობის კვლავწარმოებას, არამედ კვალიფიკაციის მიღებასაც. გამოკვლევებით დადგენილია, რომ თუ კვებაზე იხარჯება ბიუჯეტის 70%-ზე მეტი, კვალიფიკაციის ამაღლება არ ხდება. კვებაზე დანახარჯები ოჯახის ბიუჯეტის გარკვეული ნაწილია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში და ასე უნდა იყოს ჩვენთანაც. მაგალითად, საფრანგეთში სურსათზე იხარჯება ოჯახის შემოსავლის დაახლოებით 18—20%, იაპონიაში 23—25%, იტალიაში 19—20%, აშშ-ში 18—

ეროვნული ბიბლიოთეკა

20% (მდიდარ ოჯახებში 15 ათას დოლარზე მეტი შემოსავალი ერთ სულზე, 6—8%).

დღევანდელ ეტაპზე მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმის დონეზე უნდა დადგინდეს, არავითარი აზრი არა აქვს მისი საკანონმდებლო წესით განსაზღვრას, თუ ის არ გაამართლებს თავის ეკონომიკურ შინაარსს. მინიმალური ხელფასის დადგენის მიზანი უნდა იყოს დაქირავებულ მომუშავეთა სოციალური დაცვის გარანტია. მისი განსაზღვრისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებანი: მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნილებები; ქვეყანაში ხელფასის საერთო დონე; ცხოვრების ღირებულება და მისი ცვლილება; ეკონომიკური განვითარების პირობები და ა. შ.

ეკონომისტებს შორის დღესაც გრძელდება დისკუსია მინიმალური ხელფასის განსაზღვრის თაობაზე. მისი მოწინააღმდეგეები აღნიშნავენ, რომ ეფექტიანი მინიმალური ხელფასის დადგენა (საბაზრო წონასწორობის ფასზე ზევით) იწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირებას, რადგანაც მეწარმესათვის ხელსაყრელია დაიქირაოს მუშათა რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობა. ხელფასზე დანახარჯების ამაღლებამ ზოგიერთი ფირმა შეიძლება გამოიყვანოს საქმიანი აქტიურობის მდგომარეობიდან. ამის შედეგად მრავალი ღარიბი და მცირეშემოსავლიანი მუშა, რომელთა დასახმარებლადაც გათვალისწინებულია მინიმალური ხელფასი, აღმოჩნდება უმუშევარი.

მეორე არგუმენტი მინიმალური ხელფასის დადგენის საწინააღმდეგოდ ის არის, რომ მას არ გააჩნია საკმაო მიზანმიმართულება სიღარიბის დონის შესამცირებლად.

მინიმალური ხელფასის დადგენის მომხრეები აღნიშნავენ რა საწინააღმდეგოს, ასაბუთებენ, რომ მისმა მომატებამ შეიძლება გამოიწვიოს არა უმუშევრობა, არამედ სამუშაო ადგილების ზრდაც კი. უფრო მეტიც, ხელფასის ეფექტიანი მინიმუმის დადგენა გამოიწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, რის გამოც სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდი გადაიწევს მარჯვნივ და გადაიფარება უმუშევრობის ნებისმიერი ეფექტი. მინიმალურმა ხელფასმა შეიძლება მოახდინოს შოკური ეფექტი დამქირავებლებზე. ფირმებში, რომლებიც დაბალანაზღაურებად მუშებს იყენებენ, ადგილი აქვს სამუშაო ძალის არაეფექტიან გამოყენებას. მინიმალური ხელფასის დადგენასთან დაკავშირებით ხელფასის განაკვეთების ამაღლება გავლენას მოახდენს ამ ფირმებზე და გაუღვიძებს სამუშაო ძალის ეფექტიანად გამოყენების სურვილს, რის შედეგადაც ამაღლდება შრომის ნაყოფიერება. მეორე მხრივ კი მტკიცდება, რომ უფრო მაღალი ხელფასი იწვევს რეალური შემოსავლების ზრდას, ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ენერგიულობას, მომუშავეთა მოტივაციის ამაღლებას, რაც შრომას უფრო ეფექტიანს ხდის.

მინიმალური ხელფასის შესახებ მეცნიერული დასკვნების შეჯერებით შეიძლება მივიდეთ იმ აზრამდე, რომ იგი იწვევს განსაზღვრულ უმუშევრობას. მისი ზემოქმედება სიღარიბეზე ორმხრივია: ის, ვინც კარგავს სამუშაოს, კიდევ უფრო ღატაკდება, ხოლო ვინც დასაქმებული რჩება, თავს აღწევს სიღატაკეს და უზრუნველყოფილია საარსებო მინიმუმით.

მინიმალური ხელფასის შემოღებით გამოწვეული უმუშევრობა (ისევე როგორც უმუშევრობის სხვა სახეები), უნდა დაარეგულიროს დასაქმების ქმედითმა სახელმწიფო პოლიტიკამ. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს უმუშევართა სოციალური დაცვა, მათი მომზადებისა და გადამზადების ორგანიზაცია და ა. შ.

უნა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მინიმალური ხელფასის განსაზღვრისა და რეგულირების საკანონმდებლო ბაზა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს შრომის ანაზღაურებისა და მინიმალური ხელფასის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობას. ჩვენი აზრით, მასში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი საკითხები: მინიმალური ხელფასის არსი და მისი გაანგარიშების მეთოდი, ხელფასის სახელმწიფო რეგულირების როლი, სფერო და საზღვრები, ხელფასის საგადასახადო სისტემა, მინიმალური ხელფასის ინდექსაცია ინფლაციის ტემპების შესაბამისად, სამეურნეო სუბიექტების მიერ მინიმალური ხელფასის გაცემის გარანტია, მინიმალური ხელფასის განმსაზღვრელი ორგანოები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ლიტერატურა

1. მ. ცარციძე, ნ. ღაცაბიძე, სამუშაო ძალის ბაზარი და ხელფასის ორგანიზაციის მექანიზმი, თბილისი, 1996.
2. სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობა (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი), თბილისი, 1996.
3. Концепция организации оплаты труда в народном хозяйстве в условиях рыночных отношений. Москва, 1992.
4. Реформирование организации заработной платы (анализ, опыт, предложения). Москва, 1994.
5. Рональд Дж. Эренбург, Роберт С. Смит, Современная экономика труда (теория и государственная политика), гл. 3, Москва, 1996.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ჯულაყიძე

საპენსიო სისტემის რეფორმა: მიმართულებები და მოდელები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პროცესის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ რამდენად ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. სამართლიანობა, ანუ ის, თუ როგორ განაწილდება სიკეთე ან ზარალი გარდამავალ პერიოდში, უეჭველად მნიშვნელოვანია. მაგრამ გარდამავალ პერიოდში, მოქალაქეთა კეთილდღეობა — არა მარტო სამართლიანობის საკითხია. შრომის ნაყოფიერება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური ზრდის ფაქტორში, დამოკიდებულია მომუშავეთა ცოდნაზე, კვალიფიკაციაზე, მოტივაციაზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამიტომ სიღარიბესთან ბრძოლა, ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და მისი საბაზრო ეკონომიკასთან შესაბამისობაში მოყვანა იწვევს ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ სამართლიანობას და პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებისთვისაც ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად საჭირო რეფორმები შეუძლებელი აღმოჩნდება, თუ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში წარმოიქმნება იმის შეგრძნება, რომ გარდაქმნა ხორციელდება მათი ინტერესების გაუთვალისწინებლად.

რა გავლენა მოახდინეს გარდაქმნებმა ცხოვრების დონეზე, დასაქმებასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია შემდეგ ოთხ ფაქტორზე: შემოსავლების და სიმდიდრის განაწილებაში უთანაბრობის ზრდა; ეკონომიკური ზრდა; სამუშაო ძალის მობილურობა და ხანშიშესულთა მდგომარეობა.

ყურადღებას გავამახვილებთ ამ უკანასკნელ ფაქტორზე. წარმოების დაცემამ ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპისა და ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში გავლენა იქონია ხანშიშესულთა მდგომარეობაზე. მათი ცხოვრების დონე შემცირდა. მაგრამ ახალგაზრდებთან შედარებით ხანშიშესულებს რეფორმის გრძელვადიანი სიკეთით სარგებლობის მცირე იმედი აქვთ. ამასთან, ინფლაციის გამო, ბევრმა მათგანმა დაკარგა დაგროვილი თანხა. ამიტომ განსაკუთრებით აქტუალურია საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა. არსებობს მოხუცებულთა მხარდაჭერის არაერთი ხერხი და ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის ეს ჯგუფი კარგადაა დაცული. თუმცა სახელმწიფო შემოსავლების დონის მკვეთრი დაცემის ფონზე პენსიაზე გაწეული ხარჯების სიმცირე სერიოზული პრობლემების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოიშვა ჩაკეტილი წრე: მრავალრიცხოვანი პენსიონერების საპენსიო უზრუნველყოფაზე დიდი ხარჯები (პოლონეთში იგი შეადგენდა მშპ-ის 16 პროცენტს 1994 წელს) იწვევს ხელფასიდან ანარიცხების გადიდებისა და, შესაბამისად, დასაქმებულთა რიცხვის შესახებ მონაცემების დაფარვას, რაც, თავის მხრივ, იწვევს გადარიცხვის ნორმის ამაღლებას. უმრავლეს ქვეყნებში პენსიის სიდიდე მცირეა პენსიონერთა მრავალრიცხოვნობის გამო. უმუშევრობა, არაოფიციალური შრომითი საქმიანობის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, ადრეული საპენსიო ასაკი—ეს ის მიზეზებია, რომლებმაც გამოიწვია საპენსიო ფონდში გადამრიცხველთა რაოდენობის პენსიონერთა რიცხვთან შეფარდების დაბალი მაჩვენებელი. მაგალითად, პოლონეთში ყოველ პენსიონერზე მოდის შრომისუნარიანი ასაკის 4,6 კაცი, მათგან გადარიცხვას ახდენს მხოლოდ 1,9. ბულგარეთში ერთ პენსიონერზე მოდის ერთზე ცოტათი მეტი მუშაკი, რომელიც ახდენს გადარიცხვას საპენსიო ფონდში. როგორც საშუალოვადიანი პროგნოზი აჩვენებს, ამ ქვეყნებში ასეთი სიტუაცია დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს.

სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ამ ჩაკეტილი წრის გარღვევა. მიუხედავად განუწყვეტელი დებატებისა, აქამდე ძალზე მცირე არის გაკეთებული სოციალური პოლიტიკის შესაცვლელად (აქ იშვიათი გამონაკლისია ლატვია და ჩეხეთი). არსებითად, საშუალო საპენსიო ასაკი (პენსიის გადახდის დაწყების ასაკი) უმრავლეს ქვეყნებში შემცირდა. საპენსიო რეფორმას პოლიტიკური ასპექტიც აქვს, რადგანაც საპენსიო გადარიცხვების უდიდეს ნაწილს ახდენენ დამსაქმებელნი, ხოლო, თავის მხრივ, პენსიონერებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე.

შექმნილი სიტუაციის შეცვლის მიზნით მნიშვნელოვანი რეფორმა ჩატარდა ლატვიაში. რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებულია საპენსიო უზრუნველყოფაზე სახელმწიფო ხარჯების შემცირება, მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფისათვის განსაკუთრებული შეღავათების გაუქმება, პენსიაზე ვადამდე გამსვლელთათვის პენსიის ზომების შემცირება და დახმარების გაზრდა იმათთვის, ვინც აგრძელებს მუშაობას და აკეთებს გადარიცხვებს. ივარაუდება, რომ ამ ღონისძიებათა წარმატების შემთხვევაში 2000 წლისათვის მოსალოდნელი გადარიცხვების თანხის დაახლოებით მეოთხედის ეკონომია მოხდება, დაზოგილი სახსრები საპენსიო ფონდის მეორად სისტემაში იქნება მიმართული, სადაც ისინი შეინახება რეზერვის სახით ან ფონდების ფინანსური მენეჯერების მიერ ინვესტიციების სახით გამოიყენება. არსებითად ლატვიის ახალგაზრდა და ხანშიშესულთა თაობებმა ერთმანეთში დადეს ხელშეკრულება. პენსიონერები დაეთანხმნენ არ მოითხოვონ დახმარებათა გაზრდა, ხოლო მომუშავეებმა თავის თავზე აიღეს გადიდებული გადარიცხვების ტვირთი საკუთარი მოხუცებულობის უზრუნველყოფის იმედით.

თუ რეფორმა ბოლომდე იქნება მიყვანილი, იგი მოიტანს დიდ სიკეთეს. საპენსიო უზრუნველყოფაზე შემცირდება სახელმწიფო ხარჯები. შეწყდება დავა საპენსიო ასაკზე, რადგან მოქალაქეები თვითონ გადაწყვეტენ როდის გავიდნენ პენსიაზე. პენსიასა და გადარიცხვებს შორის პირდაპირი დამოკიდებულება ეკონომიკის ოფიციალურ სექტორში დააბრუნებს მუშაკებს.

რამდენად გამართლებული იქნება განსაკუთრებული პირობები მივცეთ არსებულ პენსიონერებს? გარდამავალი პერიოდის ქვეყნების უმრავლესობაში ინფლაციამ მოხუცებულთა დანაზოგი გაანადგურა. ახალგაზრდებისგან განსხვავებით მათ არ შეუძლიათ თავიანთი ზარალის კომპენსაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამიტომ, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვნილი იქნეს სპეციალური მიდგომა უფროსი თაობის წარმომადგენლების მიმართ. ნაწილობრივ ეს უკვე მოხდა: წინა საპენსიო ასაკის პირებს საშუალება მიეცათ ადრე გასულიყვნენ პენსიაზე და ბევრ ქვეყანაში შენარჩუნებულია პენსიონერების და მომუშავეთა შემოსავლის არსებული თანაფარდობა. პენსიონერებს შეიძლება მიეცეთ შეღავათები აქციების, ვაუჩერებისა და საბინაო ფონდის განაწილებისას. მატერიალური ფასეულობის დაუფლებას შეუძლია უფროსი თაობის პოზიციების გამაგრება: პენსიონერმა, რომელიც ფლობს საცხოვრებელ ფართს, შეუძლია დაუტოვოს იგი თავის შვილებს, დაუთმოს იგი შვილებს რეგულარული ფულადი დახმარების სანაცვლოდ ან გამოიყენოს ბინა სესხის, ან ანუიტეტის მიღებისას გარანტიის სახით.

მაგრამ საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მემკვიდრეობითაა მიღებული წინა რეჟიმისაგან, საჭიროებს რადიკალურ რეფორმას. ხარჯები სოციალურ დახმარებაზე, ისევე როგორც სახელმწიფო ხარჯები მთლიანად, აუცილებელია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი შემცირების ტენდენციის მქონე სახელმწიფო სექტორთან, რომელიც ადგილს უთმობს კერძო სექტორს. ბევრმა ქვეყანამ უნდა შეამციროს ხარჯები საპენსიო დახმარებაზე. შეზღუდოს პენსიის ზომები ან შეამციროს პენსიონერთა რიცხვი, მაგალითად, საპენსიო ასაკის გაზრდის გზით და შრომისუუნარობის გამო პენსიათა ბოროტად გამოყენების აღკვეთის გზით. უახლოეს მომავალში ღარიბთა დახმარება უნდა იქცეს პრიორიტეტულ ამოცანად. ზოგიერთ ქვეყანაში ეს შეიძლება ნიშნავდეს ერთი დონის დახმარების შემოღებას. ეს შესაძლებელს გახდის შემცირდეს ხარჯები. მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს უკმაყოფილება. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაში უნდა იქნეს ნაპოვნი კომპრომისი სასურველსა და შესაძლებელს შორის.

ჩინეთში ფართო აღიარება მოიპოვა საპენსიო უზრუნველყოფის ერთიანმა სისტემამ (რომელიც ითვალისწინებს დახმარების ზომების რეგულირებას ინფლაციის მიხედვით), რომელიც მოიცავს ყველა საქალაქო საწარმოს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძოს. მიზანშეწონილია სოციალური დახმარების მართვის და დახმარებათა გაცემის სისტემების საწარმოთა კონტროლიდან გამოყვანა. საჭიროა ზუსტად განისაზღვროს გადარიცხვათა ზომები, რომელსაც ახორციელებენ დამსაქმებელნი და სახელმწიფო მართვის სხვადასხვა დონეები, ასევე გადარიცხვა უნდა აწარმოონ ხელფასიდან.

სახელმწიფო პენსიათა უმრავლესობა გაიცემა მიმდინარე შემოსავლებიდან (მიმდინარე ანარიცხების საფუძველზე) მაშინ, როცა კერძო საპენსიო პროგრამათა უმრავლესობა (როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი) ფინანსდება მთელი შრომითი ცხოვრების მანძილზე დაგროვებული დანაზოგების ხარჯზე. არის მომენტები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფის რეფორმის ამა თუ იმ ვარიანტის არჩევისას. თუმცა საბოლოო არჩევანი დამოკიდებულია საწყის პირობებზე.

რეფორმის აუცილებელი ელემენტები. პირველი უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საპენსიო რეფორმის ჩატარებისას, არის თანაფარდობა საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. სახელმწიფო ხარჯების სფეროში წარმოქმნილ სირთულეებზე უშუალოდ უნდა გამახვილდეს ყურადღება; კერძო საპენსიო პროგრამები ვერ გადაწყვეტენ ზედმეტი სახელმწიფო ხარჯების პრობლემას, განსაკუთრებით ფართო პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც შენარჩუნებულია გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში. ამას გარდა, ნე-

ბისმიერი საფინანსო რეფორმა ასე თუ ისე, უნდა დაფინანსდეს. ფონდური პენსიების სისტემის არსებულზე დანამატის სახით შექმნა მოითხოვს კაპიტალის დაგროვებას მომავალში პენსიის გასაცემად. ეს იგივეა, რაც ადამიანებს მოვთხოვოთ ერთდროულად დაფარონ სესხი ორ სახლზე—თავისაზე და მშობლებისაზე. ამ ანალოგიით შეიძლება დავინახოთ, რომ თუ მშობლების სახლი არაა დიდი, ხოლო შვილების შემოსავლები იზრდება (ასე ხდება ჩილეში, ჩინეთში), მაშინ დამატებითი გადასახადი არ წარმოადგენს დიდ პრობლემას. ხოლო თუ მშობლების სახლი დიდია და მთლიანად გამოსასყიდი, ხოლო შვილების შემოსავალი დაბალია ან მცირდება (ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის და ახალი დამოუკიდებელი ქვეყნები), მაშინ მშობლების სახლის დასაფინანსებლად საჭიროა მოიძებნოს სხვა წყაროები. ფინანსირების ალტერნატიული წყაროებია სახელმწიფო ქონების დაბეგვრა და გაყიდვა, ასევე სესხი. ამიტომ კერძო საპენსიო პროგრამების შემოტანა უნდა იყოს იმ სტრატეგიის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ასევე საპენსიო უზრუნველყოფის სახელმწიფო დაფინანსებას. სახელმწიფო პენსიების ხარჯვის კონტროლს უნდა მიექცეს ყურადღება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებსაც წინ უდევთ უფრო მასშტაბური და გრძელვადიანი რეფორმების განსახორციელებლად ეკონომიკური და ინსტიტუციური ბაზის შექმნა.

მესამე უმნიშვნელოვანესი ელემენტია კანონმდებლობა და ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ მუშაკთა ინტერესების გათვალისწინებას, რომლებიც გადარიცხვას და პენსიონერების ინტერესების დაცვას ახდენენ; ეს, თავის მხრივ, სახელმწიფო აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას მოითხოვს. გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში არ არსებობს წესი, რომელიც საფინანსო ბაზრის საქმიანობას არეგულირებს, მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის შეთანხმებული და სავალდებულო ნორმები. მათი შემოტანა რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა, მაგრამ განსაკუთრებით აუცილებელია კერძო საპენსიო პროგრამის შესაქმნელად. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს მსხვილი საპენსიო ფონდები, უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ინვესტიციების განაწილება არ განისაზღვრებოდეს პოლიტიკური მოტივებით. და ბოლოს, ფონდური პენსიების სისტემაში საჭიროა „დასამწიფებელი" დრო. საჭიროა დაახლოებით ორმოცი წელი, რათა დანაზოგებმა უზრუნველყონ მომუშავენი მოხუცებულობის დროს, თუმცა ეს პროცესი შეიძლება დაჩქარდეს, თუ საპენსიო ფონდებს განკარგულებაში გადაეცემათ პრივატიზებული საკუთრება.

იწყებს რა ეკონომიკის გარდაქმნას, მთავრობას აქვს არა მარტო ვალდებულებები, არამედ საკმაოდ დიდი საკუთრებაც. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეროვნული სიმდიდრის საერთო თანხა დაახლოებით ოთხჯერ აღემატება მშპ-ის ზომებს: მიწა, საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობები (კომერციული დანიშნულების შენობების ჩათვლით) — ქონების თითოეული ეს სახე შეფასებულია დაახლოებით მშპ-ის ტოლად; აღჭურვილობა, სასაქონლო-მატერიალური მარაგი, ხანგრძლივი მოხმარების საქონელი და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ეკვივალენტურია კიდევ სამი მშპ-ის. შეიძლება თუ არა ამ სიმდიდრის ნაწილი გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს ისეთი სოციალური ვალდებულებების დასაფინანსებლად, როგორიცაა საპენსიო უზრუნველყოფა?

სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია. ბოლივიაში სახელმწიფოს ხელში არსებული უმრავლესი პრივატიზებული კომპანიების აქტივები ჩაიდო კერძო საპენსიო ფონდებში. თეორიულად ასევე შეიძლება მოიქცნენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. მათ განკარგულებაში არა მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა აქციებია. მათ აქვთ ობლიგაციებიც, რომლებიც საწარმოთა ბალანსზეა. ობლიგაციებს აქვთ დათქმული ღირებულება და უფრო საიმედოა, ვიდრე ჩვეულებრივი აქციები, ისინი კრედიტორებს შესაძლებლობას აძლევენ თვალყური ადევნონ კომპანიის საქმიანობას. უძრავი ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საპენსიო შემწეობის დასაფინანსებლად. მაგალითად, ჩინეთში ზოგიერთმა საწარმომ, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება პენსიის გადახდის, მიიღეს გადაწყვეტილება მათ გამგებლობაში მყოფი საცხოვრებელი ფართი გადაეცათ შვილობილ საწარმოსათვის საკუთრების მართვის უფლებით, იმ მიზნით, რომ მას შეძლებოდა აეღო სესხი პენსიის გასაცემად უძრავი ქონების გარანტიით. პენსიონერის გარდაცვალების შემდეგ უძრავი ქონება გაიყიდება აუქციონზე.

თუმცა ეს მეთოდები მიმზიდველია, მათი პრაქტიკაში განხორციელება არც ისე იოლია. პირველი, ყველა ქონება როდი იმყოფება ცენტრალური მთავრობის განკარგულებაში. კომერციული დანიშნულების უძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი კონტროლირდება ხელისუფლების რეგიონული და საქალაქო ორგანოების მიერ. მცხოვრებლები პრაქტიკაში ძალიან დიდ უფლებებს ფლობენ თავიანთ საცხოვრებლებზე, მაშინაც კი, თუ ის სახლი, სადაც ისინი ცხოვრობენ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს ან ეკუთვნის სახელმწიფო საწარმოს. მეორე, ფონდური საპენსიო პროგრამები მოითხოვენ შესაბამისი ნორმატიული დებულებების მიღებას, ზედამხედველობითი ორგანოების არსებობას, საბრუნავი კაპიტალის ბაზრებს და დამოუკიდებელ პროფესიონალ კადრებს ასეთი ფონდების სამართავად. ყველაფერი ეს დროს მოითხოვს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ალტერნატიული გზა მოითხოვს ნაკლებ ძალისხმევას. სახელმწიფო ქონება შეიძლება უბრალოდ გაიყიდოს, მაგრამ ეს ძნელი განსახორციელებელია იმ პირობებში, როცა მყიდველები, რომელთაც აქვთ კაპიტალი, არც ისე ბევრნი არიან. მთავრობამ შეიძლება გაყიდოს საკუთრება სწრაფად და დაბალ ფასებში იმ იმედით, რომ ახალი მფლობელიდან აიღოს ქონებრივი გადასახადი და კაპიტალის საბაზრო ღირებულების გადიდების გადასახადი. მაგრამ პრაქტიკაში შესაბამისი საგადასახადო სამმართველოს შექმნა, განსაკუთრებით იმ სამსახურების, რომლებიც დაიწყებენ ასე რთული გადასახადების ამოღებას, ასევე მოითხოვს გარკვეულ დროს.

პოლიტიკის ვარიანტები. საბოლოო ჯამში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები უნდა შეჩერდნენ საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაზე, რომელიც მოიცავს სამ ელემენტს: სახელმწიფო პენსია, რომელიც გაიცემა მიმდინარე შემოსავლებიდან; ფონდური პენსიები, რომლებიც გაიცემა, როგორც წესი, კერძო პროგრამებიდან და იმ შემთხვევაში, როცა ფონდური კომპონენტი სავალდებულოა, კიდევ ერთი, მესამე დონე, რომელიც შედგება კერძო ფონდური პენსიისაგან. ამ ჩარჩოში ყოველმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი უნდა იყოს თანაფარდობა ყველა სამი კომპონენტის ზომებს შორის, და როგორი უნდა იყოს ყოველი მათგანის სტრუქტურა.

როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პენსიის ზომები და როგორ უნდა აისახოს მათში შემოსავლების გადანაწილების პრინციპი? ღარიბ ქვეყნებს არ შეუძლიათ გასწიონ დიდი ხარჯები საპენსიო უზრუნველყოფაზე. ამ შემთხვევაში ყველაზე იაფი ხერხი მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის დახმარების ეფექტიანობის ამაღლებისა არის ერთიანი პენსიის შემოღება. ბიუჯეტის პრობლემების გადალახვის კვალობაზე წარმოიშვება ახალი შესაძლებლობანი, მაგალითად, ერთიანი პენსიის ზომების გადიდება (როგორც ჰოლანდიაში) ან ისეთი პენსიის დანიშვნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც, თუნდაც ნაწილობრივ, ასახავს წინა გადარიცხვების ზომებს (როგორც აშშ-სა და ინგლისშია).

როგორ უნდა შეიქმნას კერძო საპენსიო ფონდი—ინდივიდუალური ანგარიშების საფუძველზე (როგორც არგენტინასა და ჩილეშია), თუ დამსაქმებლებს ასევე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შექმნან საპენსიო პროგრამები, როგორც ეს მრავალ ევროპულ ქვეყანაში კეთდება? არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რისკის რომელ ნაწილს იღებს თავის თავზე პოლიტიკური ხელმძღვანელობა. კიდევ ერთი საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ და რა ხარისხით უნდა იყვნენ პენსიონერები დაცული ზარალისა და მაღალი ინფლაციისაგან რისკის წინააღმდეგ: პენსიონერები არ უნდა იყვნენ უფრო მეტი რისკის ქვეშ, ვიდრე მომუშავე მოსახლეობა, რადგან კერძო საპენსიო სისტემის კრახმა საბაზრო ეკონომიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე შეიძლება ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკური მხარდაჭერა შეარყიოს.

საპენსიო პროგრამაში მონაწილეობა უნდა იყოს თუ არა სავალდებულო? პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ პენსიების გაცემას მიმდინარე ხარჯებიდან, ამას მოითხოვენ თვითონ თავისი ბუნებიდან გამომდინარე. ზოგიერთი ექსპერტი მხარს უჭერს დაბალ სახელმწიფო პენსიებს და სავალდებულო მონაწილეობას კერძო საპენსიო პროგრამებში. თუმცა სავალდებულო მონაწილეობის მოთხოვნა დაკავშირებულია ზოგიერთ სირთულესთან. ჩეხეთში, სადაც სახელმწიფო პენსია უზრუნველყოფს შემოსავლების დონეს, მინიმალური საარსებო მინიმუმის დონეზე მაღლა, ხარჯები კონტროლდება ნაწილობრივ საპენსიო ფოხდების, ანაბრებისა და გადარიცხვების წასახალისებლად საგადასახადო შეღავათების საშუალებით. თუმცა პოლიტიკურად მიზანშეწონილად იქნა აღიარებული ახალ კერძო საპენსიო პროგრამებში სავალდებულო გადარიცხვების შემოღება. ეს ამოცანა არ იქნება ადვილი გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნებისათვის, სადაც არც ისე დიდი ხნის წინათ ინფლაციამ თითქმის სრულიად გაანადგურა კერძო დანაზოგები.

საპენსიო უზრუნველყოფის პაკეტები. როგორ განისაზღვროს საპენსიო პროგრამების ოპტიმალური თანაფარდობა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში? ტიპური სისტემა, რომელიც მიღებულია დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში, მოიცავს სახელმწიფო პენსიებს, რომლებიც გაიცემა მიმდინარე შემოსავლებიდან და უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმზე მაღალი შემოსავლების დონეს. ამასთან ერთად არსებობს სახელმწიფოს მიერ რეგულირებული კერძო საპენსიო ფონდები. იმ ქვეყნებში, სადაც კერძო საპენსიო დაზღვევის მინიმალური დონე არის სავალდებულო, მოქალაქეებს უფლება აქვთ გააკეთონ დამატებითი შენატანები. სამ ჩამოთვლილთაგან საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ყოველ ელემენტს აქვს თავისი მიზანი. სახელმწიფო პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს მოსახლეობის ღარიბ ფენებზე დახმარებას და ხარჯების გადანაწილებას (ამ ამოცანას იგი ხშირად ცუდად ასრულებს). სისტემის მეორე კომპონენტის მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდებს შორის შემოსავლების განაწილებაში, ხოლო მესამე ინდივიდუალური უპირატესობის რეალიზაციის საშუალებას იძლევა. ასეთი მიდგომის დროს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საზოგადოებრივ სოლიდარობას, ხოლო რისკი საკმაოდ ფართოდ განაწილდება. თუმცა ამ დროს შესაძლებელია სერიოზული ფინანსური სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური ზრდის შენელებულ ტემპთან და მოსახლეობის სწრაფ დაბერებასთან. ალტერნატიული მიდგომა, რომელიც ნაკლები ხარისხით ეყრდნობა სახელმწიფო საპენსიო უზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოფას, გამოყენებულია სინგაპურსა და ჩილეში. ჩილეში სახელმწიფო პენსია მინიმალური შემოსავლის გარანტიაა, რომელსაც ემატება კერძო საპენსიო პროგრამიდან გადახდილი პენსია; პირები, რომელთა შემოსავალი აღემატება ამ მინიმუმს, სახელმწიფო პენსიას არ ღებულობენ. უმრავლესი ჩილელი პენსიონერის შემოსავალი უზრუნველყოფილია ერთი ან რამდენიმე რეგულირებადი საპენსიო ფონდის ხარჯზე. ამ მიდგომისას, თუ არ ჩავთვლით პენსიებზე დანამატს გარანტირებულ მინიმუმამდე, არ ხდება შემოსავლების გადანაწილება მოსახლეობის შეძლებულ და ღარიბ ფენებს შორის, ასევე ახალგაზრდა და ხანშიშესულ თაობებს შორის.

კონკრეტული ვარიანტის არჩევა დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომელსაც ისახავს ქვეყნის მთავრობა და არსებულ შეზღუდვებზე. ჩილემ და აზიის ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელთაც აქვთ მაღალეფექტიანი ეკონომიკა, კურსი აიღეს ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე. ამან განაპირობა საპენსიო უზრუნველყოფის უფრო ინდივიდუალური სისტემის შექმნა, რომელიც დაზოგვის მაღალი დონის სტიმულირებას ახდენს. გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთი ქვეყანა განიცდის უფრო სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის სიძნელეებს, ვიდრე განვითარებული საბაზრო ურთიერთობების მქონე ქვეყნები, რომელთაც რთული საბანკო სისტემა, კაპიტალის ბაზარი და შედარებით მყარი ფასები აქვთ.

ლიტერატურა

1. Special report; Pension Reform, EDI FORUM, Volume one. Number four, 1997,
2. World Development Report 1996, Oxford University Press. WB, Dec, 1996;

ლ. ფირცხალაიშვილი

ჯანდაცვის მომსახურება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში

ჯანდაცვა ეკონომიკის დარგია, რომელსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში. ამ დარგის საწარმოთა ფუნქციონირება უზრუნველყოფს ქვეყანაში შრომითი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას და უშუალო გავლენას ახდენს მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესსა და მოცულობაზე. ჯანდაცვის სისტემაში შემავალი საწარმოების საქმიანობის შედეგს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა წარმოადგენს. ჯანდაცვის მუშაკთა შრომის შედეგი, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდებაში ვლინდება.

თანამედროვე პირობებში ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში ჯანდაცვა აქტიურად მონაწილეობს შრომითი რესურსების კვლავწარმოებასა და ფორმირებაში. ნებისმიერ ქვეყანაში მოთხოვნები მწარმოებლურ ძალაზე თანდათანობით იზრდება და რთულდება; სულ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს დაგროვილი ცოდნის დონეს და პროფესიულ გამოცდილებას; კვალიფიციური მწარმოებლური ძალის სწავლების პროცესი დროში სულ უფრო ხანგრძლივი, ხოლო ღირებულების მხრივ სულ უფრო ძვირადღირებული ხდება; მშრომელთა მიერ მიღებული ცოდნა კი გამოისყიდება და დადებით უკუგებას აძლევს საზოგადოებას ხანგრძლივი დროის შუალედში, ე. ი. თვით კვალიფიციური მწარმოებლური ძალის კვლავწარმოების ხასიათი მოითხოვს მწარმოებლური აქტივობის, გაგრძელებას, ხოლო თანამედროვე ინდუსტრიული წარმოება მოითხოვს მომუშავეთა უფრო დიდ ინტელექტუალურ და ნერვულ ენერგიას, ვიდრე ადრე. შესაბამისად ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების საქმეში მნიშვნელოვნად იზრდება ჯანდაცვის როლი.

ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში ჯანდაცვის მუშაკთა შრომის შედეგები ვლინდება ისეთ მაჩვენებლებში, როგორიცაა: ბავშვთა სიკვდილიანობა; მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა; მომუშავეთა შრომისუნარიანობა.

ქვეყნის ეროვნული მეურნეობის მასშტაბით ინვესტიციების ეფექტიანობის კრიტერიუმად ჯანდაცვაში შეიძლება გამოდგეს, ერთი მხრივ, დაავადების შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, სიკვდილიანობის შემცირება. თავის მხრივ, დაავადების შემცირება და სიკვდილიანობის შემცირება ადიდებს ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში მწარმოებელთა რიცხვს, უზრუნველყოფს შრომით პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობას, საბოლოოდ კი იზრდება საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის სიდიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უშუალო გავლენას ახდენს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. პრაქტიკა ადასტურებს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ძირითადად დაკავშირებულია სამედიცინო დახმარების მოცულობის ზრდასთან.

მოსახლეობის სხვადასხვა ფენა ჯანდაცვის მომსახურებით მკვეთრად განსხვავებული სახით სარგებლობს. ცნობილია ის ფაქტიც, რომ მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობა უფრო ხშირად ავადმყოფობს, ვიდრე შეძლებული, მაგრამ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მომსახურების მაღალ ფასთან დაკავშირებით, დაბალანაზღაურებად ფენებს ყოველთვის არ შეუძლიათ ისარგებლონ ექიმთა დახმარებით, თუნდაც აუცილებლობის შემთხვევაში.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სიღარიბესთან ერთად მკვეთრად იზრდება ქრონიკულ დაავადებათა გამო შრომისუუნარობა. რთულია განისაზღვროს სოციალური უთანასწორობით განპირობებული ჯანდაცვის მომსახურების საზოგადოებრივი დანაკარგები ფულად ფორმაში. ეს დანაკარგები დაწყებული ბავშვთა მძიმე ფორმის დაავადებიდან, რომელიც შემდეგ კვალს ამჩნევს მთელ მათ ცხოვრებას და უმეტეს შემთხვევაში განაპირობებს მათ ინვალიდობას, იწვევს ადრეულ სიბერეს, მომუშავეთა შრომის უნარის დაკარგვას, საბოლოო ჯამში კი—ქვეყნის ეროვნული შემოსავლის შემცირებას.

ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობს ქვეყნის მთელი მოსახლეობა. ინვესტიციები ჯანდაცვის სისტემაში ქვეყნის მწარმოებლური ძალის კვლავწარმოების მიზნით, შეიძლება წარმოვიდგინოთ საწარმოო კაპიტალდაბანდებების ანალოგიურად იმ აზრით, რომ ისინი, თავის მხრივ, წარმოადგენენ წარმოების ძირითად დანახარჯებს. რადგან ჯანდაცვის მუშაკთა შრომის შედეგი ვლინდება მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სიცოცხლისუნარიანობისა და შრომისუნარიანობის გადიდებაში, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიური ეროვნული მეურნეობის უკუგების შეფასებისას გათვალისწინებული იქნეს ამ დარგში გაწეული დანახარჯები.

ჯანდაცვის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობის ღირებულება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში შედგება ისეთი სიდიდეებისაგან, როგორიცაა: მის სისტემაში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასი; მიმდინარე მატერიალური დანახარჯები; გამოყენებული ძირითადი ფონდები; დაბანდებულ კაპიტალზე მოგება;

ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის შედეგის ღირებულებითი შეფასება საკმაოდ რთულია. ასევე რთულია ჯანდაცვის დაფინანსებისათვის საჭირო სიდიდის დადგენა. იმისათვის, რომ განისაზღვროს ჯანდაცვის დაფინანსების მოცულობა, საჭიროა ვიცოდეთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: ქვეყნის ბიუჯეტიდან გაწეული დანახარჯები; მოსახლეობის მიერ სამედიცინო დაზღვევის მიზნით სადაზღვევო კომპანიებში მოხვედრილი ფულადი საშუალებების მოცულობა; პირადად სამედიცინო მომსახურების შეძენაზე გაწეული დანახარჯები.

ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა საკმაოდ მძიმე წინაპირობები შექმნა ჯანდაცვის დაწესებულებების შესანარჩუნებლად და ფუნქციონირებისათვის. ჩვენს ქვეყანაში როგორც ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებები, ისე მოსახლეობა მოუმზადებელი შეხვდა სამედიცინო სამსახურის საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ფუნქციონირების დაწყებას, ამან კი, თავის მხრივ, საგრძნობლად დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა. (ამ ზარალის ღირებულებითი შეფასება საკმაოდ ძნელია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მხრივ, მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა, ხოლო, მეორე მხრივ, საბჭოთა სივრციდან გამოსვლამ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური პირობები შექმნა. უმუშევრობის ზრდამ, ინფლაციამ, მოსახლეობის დანაზოგების გაყინვამ საგრძნობლად დააქვეითა მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემცირდა მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, რამაც თავისი კვალი დაამჩნია ჯანდაცვის დაწესებულების საქმიანობას, რადგან საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსების ძირითად წყაროს თვით მომხმარებელთა პირადი შემოსავლები წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას დღეისათვის არ შესწევს უნარი გადაიხადოს მკურნალობის ხარჯები, სახელმწიფო კი უძლურია დაფაროს მოსახლეობისათვის აუცილებელი მკურნალობის ყველა ხარჯი; სწორედ ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავრცელდეს სადაზღვევო მედიცინა დიფერენცირებულად (ხელფასის, პენსიის სიდიდის გათვალისწინებით), ისე, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის ერთობლივი დანახარჯები სამედიცინო მომსახურებაზე ყოველწლიურად გაიზრდება, თუ ქვეყანაში ცხოვრების დონე ამაღლდება, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს როგორც ჯანდაცვის დაწესებულებათა მუშაობის პირობებს, ისე მოსახლეობისათვის ჯანდაცვის დაწესებულებების მხრივ მომსახურების გაწევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ჩაგელიშვილი

ტარიფებისა და ფასების განსაზღვრის მეთოდოლოგიის საკითხები კავშირგაბმულობაში

საბაზრო სტრუქტურებზე გადასვლამ მრავალი პრობლემა წარმოშვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წინაშე. საჭირო გახდა ახალი ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. ამ დარგთა შორის აღმოჩნდა კავშირგაბმულობის დარგიც, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ქსელად არის ცნობილი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაზრის შესწავლას, პარტნიორების მოზიდვას, მარკეტინგულ საქმიანობას, საინფორმაციო კომუნიკაციათა ქსელს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან კავშირისა და პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარება, მსოფლიო ბაზარზე გასვლა და იქ სათანადო ადგილის მოპოვება მოითხოვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ კავშირგაბმულობის ქსელს, რაც შეუძლებელია თანამედროვე კავშირგაბმულობის მრეწველობის განვითარების გარეშე.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინაშე მდგომ პრობლემებს შორის აღსანიშნავია ტექნიკურად დასაბუთებული და სწორად დადგენილი ტარიფებისა და ფასების სისტემა, რადგანაც იგი წარმოადგენს დარგის განვითარებისა და წინსვლის ეკონომიკურ საფუძველს.

როგორც ცნობილია, კავშირგაბმულობის საწარმოებში გამოიყენება ფასების ორი სისტემა: კავშირგაბმულობის ტარიფები და საწარმოს პროდუქციის ფასები. სამეურნეო ანგარიშის პირობებში, თვითდაფინანსების პრინციპის განხორციელება შეუძლებელია ტექნიკურად დასაბუთებული ფასებისა და ტარიფების სისტემის გარეშე, რომელიც უნდა ასახავდეს პროდუქციისა და მათი მომსახურების ფაქტობრივ დანახარჯებს.

ამიტომ, კავშირგაბმულობის დარგში სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის ღონისძიებათა შორის ძირითადი ამოცანაა კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციის ეკონომიკურად დასაბუთებული ნომენკლატურისა და ფასების შემუშავება. კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციის ფასების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს თითოეული სახეობის პროდუქციაზე საშუალო დარგობრივი თვითღირებულება, რომელსაც ემატება მოგების გარკვეული ოდენობა, რომელიც განისაზღვრება კავშირგაბმულობაში მოქმედი ტარიფებით. ამგვარად, კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციის ფასი გარკვეულწილად

ახასიათებს კავშირგაბმულობის პროდუქციის დარგობრივ ღირებულებას. ფასების სისტემის განსაზღვრის მეთოდიკა წლების განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს. 50—60-იან წლებში დაგროვების პროცენტი გამოითვლებოდა ხელფასის ფონდთან შეფარდებით და შეადგენდა საშუალოდ 55%-ს. დაგროვების აღნიშნული პროცენტი ვრცელდებოდა კავშირგაბმულობის მთელ დარგზე როგორც ფიქსირებული კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციის ყველა სახეზე. შემდგომ წლებში დაგროვების განსაზღვრის მეთოდიკა შეიცვალა და დაგროვების ერთიანი ფიქსირებული სიდიდის ნაცვლად მთელ დარგში დადგენილ იქნა დაგროვების დიფერენცირებული სიდიდე კავშირგაბმულობის დარგის ჯგუფების მიხედვით. დიფერენცირებული ნორმების დაგროვების დადგენა უფრო ფართოდ გამოიყენებოდა, მაგრამ იგი დამოკიდებულია მოქმედი ტარიფების ეკონომიკურ შინაარსზე. იმდენად, რამდენადაც კავშირგაბმულობის მომსახურების ბევრ სახეზე ტარიფები მკვეთრად განსხვავდება თვითღირებულებისაგან, დაგროვების დიფერენცირებული დონე, რომელიც გაითვლებოდა მოქმედი ტარიფების საფუძველზე, არ შეიძლება იყოს ობიექტური კრიტერიუმი კავშირგაბმულობის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისათვის.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციაზე აუცილებელი გახდა ფასების სრულყოფა, რამდენადაც პროდუქციის ნომენკლატურა და ფასებიც მთლიანად არ პასუხობენ მეურნეობის ახალ სისტემას. მოქმედი ფასების ძირითადი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სათანადოდ არ ასრულებენ შიდა საბითუმო ფასების ფუნქციებს, ფასები კავშირგაბმულობის ბევრ მომსახურებაზე არ იყო დიფერენცირებული სხვადასხვა ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ პროდუქციის თვითღირებულებაზე, ისინი ვერ უზრუნველყოფენ კავშირგაბმულობის საშუალებათა ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას, ვერ პასუხობენ მეურნეობის ახალი სისტემის მოთხოვნებს, რის გამოც საჭირო ხდება მათი გადასინჯვა. სრულყოფას მოითხოვს, აგრეთვე, პროდუქციის ნომენკლატურაც, ვინაიდან სწორად შემუშავებულ და დასაბუთებულ ნომენკლატურაზე დამოკიდებულია პროდუქციის მოცულობის სწორად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, საკუთარი შემოსავლები და მოგებაც.

კავშირგაბმულობის საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის ძირითადი პრინციპი — დანახარჯების დაფარვა საკუთარი შემოსავლებით — ხორციელდება არა უშუალოდ ტარიფების საფუძველზე, არამედ ფასების სპეციფიკური კატეგორიის ბაზაზე. ამ მიზნით, ყოველი დარგის მიხედვით დადგენილია პროდუქციის განსაზღვრული ნომენკლატურა, რომელიც მოცემული კონკრეტული საწარმოსათვის ახასიათებს მისი სამეურნეო საქმიანობის სასარგებლო შედეგს. პროდუქციის ყოველ სახეზე საწარმოს დადგენილი აქვს შესაბამისი ფასი.

იმდენად, რამდენადაც კავშირგაბმულობის საწარმოთა ფასები კავშირგაბმულობის სფეროში ასრულებენ საბითუმო ფასების ფუნქციებს, მათი აგება და დიფერენცირება უნდა ხდებოდეს იმავე პრინციპებზე, როგორც სამრეწველო საწარმოთა საბითუმო ფასებზე.

ფასების სისტემის აგებისა და სრულყოფის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ძირითადი ობიექტური პირობების გათვალისწინებას და ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირებას. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირება სახალხომეურნეობრივი პრობლემაა, რაც მოითხოვს ყველა დარგის მომუშავეთა სისტემატურ ყურადღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეისათვის, პრაქტიკაში მოქმედი ფასები არ ითვალისწინებს მომსახურების ხარისხს. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი, როდესაც საწარმოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისას საქმე გვაქვს დამატებით დანახარჯებთან, რომლებიც არ კომპენსირდება არც ფასების სისტემის გზით და არც სხვა რომელიმე მაჩვენებლით. მაგალითად, სასოფლო სატელეფონო ქსელში, ჯერ კიდევ 6,5 პროცენტი ყველა სადგურებისა მუშაობს 24 საათზე ნაკლებს. ჩვეულებრივად სატელეფონო სადგურის მომსახურებისათვის ერთცვლიან სამუშაო პირობებში არ არის გათვალისწინებული სპეციალური საშტატო ერთეულის გამოყოფა. თუ სადგური გადაიყვანება ორცვლიან სამუშაო რეჟიმზე, მაშინ ხელით შეერთების დამყარებისას აუცილებელია ერთი ტელეფონისტი მაინც, თუ იზრდება სატელეფონო სადგურის მუშაობის დრო და იზრდება მომუშავეთა რაოდენობა, მაშინ კავშირგაბმულობის საწარმოები ეწევიან დამატებით საექსპლოატაციო ხარჯებს. ამ შემთხვევაში იზრდება სატელეფონო კავშირის მოქმედი დრო, ანუ უმჯობესდება მომსახურების ხარისხი, რაზედაც საწარმო გაიღებს დამატებით ხარჯებს. მაგრამ ეს ხარჯები არაფრით არ კომპენსირდება, იმდენად, რამდენადაც ფასი ერთი სატელეფონო აპარატის შენახვაზე და ტარიფი სატელეფონო აპარატით მოხმარებაზე დადგენილია ერთიანი სისტემით, რომელიც არ ითვალისწინებს სატელეფონო კავშირის მოქმედების დროს, რაც, ვფიქრობთ, არასწორია. ჩვენი აზრით, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალი დიფერენცირებული სისტემის შემუშავებისას.

თუ განვიხილავთ კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის ხარისხის მაჩვენებელთა სისტემას სტიმულირების მეთოდების თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ორი ჯგუფის მაჩვენებლები:

პირველი ჯგუფი — ესენია ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა მიღწევა რეგლამენტირებულია ექსპლუატაციის მოქმედი წესებით, ნორმატივებითა და სტანდარტებით. იგი ხარისხის მაჩვენებლების მეტად ფართო ჯგუფია, რომელთა სტიმულირება ხდება მატერიალური წახალისების გზით, სანქციების მიხედვით ხარისხის მაჩვენებელთა დარღვევაზე და პრემირების გზით მათი გაუმჯობესების შემთხვევაში.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა გაუმჯობესება კავშირგაბმულობის საწარმოებში მოითხოვს დამატებით დანახარჯებს და რომლებიც თავიანთი ხასიათით არ მიეკუთვნებიან იმ მაჩვენებელთა რიცხვს, რომელთა შესრულება აუცილებელია ყველა საწარმოსათვის ტექნიკური ნორმების, ექსპლოატაციის წესების და სხვათა შესაბამისად. ამ ჯგუფის მაჩვენებელთა გაუმჯობესების სტიმულირება, ჩვენი აზრით, უნდა მოხდეს უპირველესად ფასების სისტემის გზით. კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც საწარმოს საქმე აქვს დამატებით დანახარჯებთან, რომლებიც არ აუმჯობესებენ კავშირგაბმულობის მუშაობის ხარისხს მომხმარებლის თვალსაზრისით, მაგრამ აუცილებელნი არ არიან კავშირგაბმულობის სფეროს განვითარების ინტერესებისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ტექნიკური პროგრესისათვის.

კავშირგაბმულობის ყველა ქვედარგის მიხედვით საჭიროა დადგინდეს ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა, რომელთა გაუმჯობესება მოითხოვს დამატებით დანახარჯებს. ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯების კომპენსირება უნდა ხდებოდეს ან ფასების სისტემის, მათი დიფერენცირების გზით, ანდა კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციის ნომენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლატურით. იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირგაბმულობის მომსახურება უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა, მათი ანაზღაურება უნდა მოხდეს გადიდებული ტარიფებით.

კავშირგაბმულობის მომსახურების სახეებზე ტარიფების დადგენა დაფუძნებულია ფასწარმოქმნის საერთო პრინციპებზე. ამიტომ, ვლაპარაკობთ რა მოქმედი ტარიფების სრულყოფის გზებზე კავშირგაბმულობაში, აუცილებელია, პირველ ყოვლისა, ვაჩვენოთ ის მნიშვნელობა, რომელიც საჭიროა ტარიფების უფრო მეტად მიახლოვებისას საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯების დონესთან. ფასებსა და ტარიფებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებანი. ამავე დროს, მათ ფუნქციონირებაში არსებობს საერთო ნიშნებიც. სწორედ ამ საერთო და სხვადასხვა ნიშნების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირგაბმულობის ტარიფების სრულყოფისათვის.

ტარიფებისა და საბითუმო ფასებს შორის სხვაობის განსაზღვრისათვის საჭიროა კავშირგაბმულობის მომსახურების ყველა სახე დაიყოს ორ ჯგუფად: კავშირგაბმულობის მომსახურებანი, რომლითაც სარგებლობენ საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებანი და მომსახურებანი, რომლებითაც სარგებლობს მოსახლეობა.

დაუსაბუთებლად გადიდებული ან შემცირებული ტარიფების არსებობა არა მარტო ამახინჯებს ეკონომიკურად სწორ ურთიერთობებს საწარმოებს შორის, არამედ მას მივყავართ წარმოების ეფექტიანობის დამახინჯებულ განსაზღვრამდე.

კავშირგაბმულობის მეურნეობაში არსებობს თვითღირებულების მაჩვენებლის განსაზღვრის მრავალწლიანი პრაქტიკა, მომსახურების ნომენკლატურის დაყოფით. ასეთი დამუშავება მეტად რთულია და დიდი მოცულობის სამუშაოებსაც წარმოადგენს. კავშირგაბმულობის მომსახურების თვითღირებულების გათვლა კავშირგაბმულობის მეურნეობისათვის არ წარმოადგენს პრობლემატურსა და გაუგებარ საკითხს, მაგრამ საჭიროა გაკეთდეს შემდგომი გამოკვლევები პერსპექტიულ პერიოდში კავშირგაბმულობის მომსახურების თვითღირებულების მაჩვენებლის განსაზღვრის მეთოდიკის სფეროში.

ზემოთ აღნიშნული ტარიფების საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაიჭრას, ვინაიდან დარგის განვითარება და მისი მძლავრი ტექნიკური პოტენციალის რეალიზაცია ბევრადაა დამოკიდებული კავშირგაბმულობის დარგში სწორი ტარიფებისა და ფასების სისტემაზე, რომელიც, როგორც შემოსავლების ზრდის, ასევე მომავალი წინსვლის საფუძველიცაა.

ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ დადგინდეს და დაწესდეს კავშირგაბმულობის დარგის მომსახურების ყველა სახეზე ისეთი ტარიფები, რომლებიც ასახავენ წარმოების პროცესის ფაქტობრივ დანახარჯებს, ხოლო რაც შეეხება გადამხდელუნარიანობას საზოგადოებრივი ფენების მხრივ, ეს სახელმწიფო პრეროგატივაა და მან უნდა შესძლოს, რაც შეიძლება მალე განახორციელოს მოსახლეობის სოციალური დაცვის ფუნქცია. გარდა აღნიშნულისა, კავშირგაბმულობის სფეროში უნდა დაწესდეს ქალაქის სატელეფონო ქსელში ტარიფიკაციის ორმაგი სისტემა. მუდმივი სააბონენტო გადასახადი ერთიანი ან დიფერენცირებული და დროითი, რომელიც დამოკიდებული იქნება ლაპარაკის ხანგრძლივობაზე. ტარიფიკაციის ასეთ სისტემას გააჩნია რიგი უპირატესობანი. პირველ რიგში უზრუნველყოფილი იქნება აბონენტებს შორის გადასახადის უფრო სამართლიანი განაწილება: ვინც უფრო ხშირად და დიდხანს ლაპარაკობს, მან მეტიც უნდა გადაიხადოს. მეორე მხრივ, მიღწეული იქნება სა-

ქალაქთაშორისო სატელეფონო შეერთებათა სათანადო ხვედრითი წონა აბონენ-
ტების მიერ ადგილობრივი ქსელის დაკავებათა შემცირების გზით. მიზანშეწო-
ნილად მიგვაჩნია სასოფლო სატელეფონო კავშირზე ტარიფიკაციის გამარტივება:
ამანათების, ფასიანი გზავნილებების და სხვა სახეებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სატელეფონო და სატელეგრაფო არხების
არენდის გადასახადი. საარენდო გადასახადის მოცულობა უნდა დადგინდეს
ანალოგიური არხების განსაზღვრული ნორმატიული გამოყენებიდან გამომდინარე,
საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკზე და სხვა სახეებზე. ამავე დროს,
საარენდო გადასახადის მოცულობა უნდა იყოს ისეთი, რომ მრავალ სამინის-
ტროსა და უწყებას შეეძლოს კავშირგაბმულობის არხების იჯარით აღება სა-
ერთო მოხმარების ქსელზე და მათთვის ეს უფრო ხელსაყრელი იყოს, ვიდრე სა-
კუთარი კავშირგაბმულობის საშუალებების შეძენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ღვედაშვილი

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებს შორის დიდ როლს ასრულებს ტურიზმის მეურნეობა, რომლის მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკისათვის მკვეთრად გაიზარდა თანამედროვე ეტაპზე.

ტურიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, რომელსაც გააჩნია უნიკალური ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეკონომიკური წინაპირობები რეკრეაციულ ზონად გადაქცევისათვის. ტურიზმი ჩვენი ქვეყნის სპეციალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ნათლად ასახავს მის სახეს.

ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს მთელი რიგი ეკონომიკური ფაქტორები: ფასები, ტურისტისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფონდის მრავალფეროვნება, მომსახურების სისტემის სრულყოფა და ა. შ.

ტურისტული მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ევროპის მთიანი ქვეყნების ეკონომიკაში, რომელთა მატერიალური წარმოების დარგების განვითარება დიდ სიძნელეებს განიცდის რთული ბუნებრივი პირობების გამო. ამიტომ ტურიზმი მიჩნეულია მთიანი რაიონების სამეურნეო ცხოვრების აღმავლობის მძლავრ სტიმულატორად. განსაკუთრებით კარგი პერსპექტივები არსებობს საშუალო და მაღალმთიან ზონაში სამთო-სათხილამურო სპორტისა და ზამთრის დასვენების ორგანიზაციისათვის.

საერთაშორისო ტურიზმი გახდა უცხოური ვალუტის მიღების ერთ-ერთი სერიოზული წყარო. ამიტომ მრავალი ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოები ხელს უწყობს მის განვითარებას. მთელი რიგი ქვეყნები, რომელთაც უარყოფითი საგაჭრო ბალანსი აქვთ, ფარავენ მას ტურისტებისაგან მიღებული შემოსავლებით. მაგალითად, ირლანდია ტურიზმიდან ერთ სულზე მიღებული შემოსავლის ოდენობით მეორე ადგილზეა, შვეიცარიის შემდეგ. ტურისტების საშუალო წლიური რაოდენობა აქ 2,5 მლნ კაცს აღემატება, ხოლო მათგან მიღებული შემოსავალი 60 მლნ ფუნტ სტერლინგს, რომლითაც იფარება იმპორტის 50 პროცენტი. რაც შეეხება ვალუტის მიმწოდებელ სახელმწიფოებს, მათ შორის გამოირჩევა ამერიკა, გერმანია და დიდი ბრიტანეთი.

საერთაშორისო ტურიზმთან ერთად, ფართო გავრცელება ჰპოვა ადგილობრივმა ტურიზმმა, განსაკუთრებით აშშ-ში, რომლის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მოგზაურობს ათეულ მილიონობით ამერიკელი მოქალაქე. საფრანგეთში ის პირები, რომლებიც ქვეყნის შიგნით მოგზაურობენ, შეადგენენ ტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისტთა საერთო ნაკადის 80%-ს, დიდ ბრიტანეთში — 85%-ს, გერმანიაში — 61%-ს და ა. შ. სამამულო ტურიზმი იძლევა ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავლის 70%-ს დიდ ბრიტანეთში, 46%-ს — იტალიაში, 44%-ს შვეიცარიაში.

მასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენად იქცა შიდა ტურიზმი ევროპის მრავალ ქვეყანაშიც.

საერთოდ, ტურიზმის ინდუსტრიის მომსახურე მეურნეობის და ინფრასტრუქტურის ინტენსიური განვითარება უნდა მოხდეს შერჩევითი მიდგომის საფუძველზე. კერძოდ, შერჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ დარგებს, რომლებიც მომავალში შეიძლება ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბდნენ ან გამოყენებულ იქნენ პროგრესული დარგების განვითარებისათვის (მაგალითად, საკურორტო მეურნეობაში ორიგინალური სამეურნეო აპარატის შემუშავება და წარმოება, ისეთი დარგების განვითარება, რომელთა პროდუქციას ალტერნატიული საგარეო ბაზარი ექნება და ა. შ.).

ტურიზმის განვითარება ძირითადად უნდა განხორციელდეს ხარისხობრივი გაუმჯობესების გზით. ეს ეხება ორ ურთიერთდაკავშირებულ სფეროს — ტურისტთა ბაზარს და ტურიზმის მატერიალურ ბაზას, რომელიც სარეკრეაციო კულტურის ფენომენსა და რენტაბელობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურიზმის გაფართოებას დიდი ბუნებრივი პოტენციალი აქვს, მისი ეკონომიკური პირობები ვერ უზრუნველყოფს დარგის განვითარებას ტურისტთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე. ამდენად, განვითარება უნდა მოხდეს არსებული რაოდენობის ხარისხობრივი ცვლილების გზით, ე. ი. ეკონომიკურად მომგებიან ტურისტთა წილის გაფართოებით.

ამის განხორციელებისათვის აუცილებელია ხარისხობრივად გაუმჯობესდეს მომსახურების დონე. დღეისათვის ძირითადად უკვე ათვისებულია საქართველოს საუკეთესო რეკრეაციული ტერიტორიები, მაგრამ ხშირად მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია, ამიტომ დარგის შემდგომი განვითარება ძირითადად ექსპლოატაციაში მყოფი რეკრეაციული ტერიტორიების, ბაზების რეკონსტრუქციის გზით უნდა განხორციელდეს.

ტურიზმის განვითარება ორი მიმართულებით უნდა მოხდეს — კომერციული (ძირითადად უცხოური ბაზრისათვის) და სოციალური (ადგილობრივი მოსახლეობისათვის). კომერციული ტურიზმი გულისხმობს დარგის ეკონომიკურად მომგებიან ფუნქციონირებას მომსახურების მაღალი ფასებით. დღევანდელ პირობებში კომერციულმა ტურიზმმა უნდა შეასრულოს ვალუტის და, საერთოდ, საფინანსო შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროს როლი, რისი პერსპექტივაც საქართველოს გააჩნია.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური ტურიზმის განვითარება განპირობებულია ამჟამად საქართველოს მოსახლეობის რეკრეაციული მოთხოვნილებების არასრული დაკმაყოფილებით და იმით, რომ კომერციული ტურიზმი, მაღალი ფასების გამო, ვერ იქნება ხელმისაწვდომი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მნიშვნელოვნად არის განვითარებული ტურიზმის ისეთი სახეებიც, რომელიც დასვენებას არ ისახავს მიზნად. მაგალითად, ბიზნესტურიზმი (ანუ საქმიანი ტურიზმი), საკონგრესო ტურიზმი და სხვა.

საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან რეკრეაციულ ტერიტორიაზე უპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატესობა უნდა მიეცეს კომერციული ტურიზმის განვითარებას. დროებით უნდა გამოყენებულ იქნეს საქართველოს საუკეთესო რეკრეაციული რესურსებიც უცხოური ტურიზმისათვის, საიდანაც მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლებას. ეს და სხვა პრობლემები კი დღეისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

დღეს საჭიროა უცხოური საინვესტიციო პროგრამები, მაგრამ ბიზნესის პრინციპებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეკრეაციის ნორმატიული პრინციპები. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი სიახლე არ შეიძლება იყოს პროგრესული და სასარგებლო. საჭიროა ავამოქმედოთ საუკეთესო რეზერვები და შემოქმედებით ტალანტებს მივცეთ მწვანე გზა. ამავე დროს, უცხოელი კონტინგენტის მოზიდვისათვის საჭიროა: სამკურნალო-ტურისტულ დაწესებულებათა სტატუსი, მაღალი ტურისტული სერვისი და სხვა.

ტურისტულ ორგანიზაციათა მართვისათვის კადრების შერჩევა-მომზადება სპეციფიკურობით ხასიათდება და მისი პროგრამები და კრიტერიუმები გადასინჯვას საჭიროებს ახალი მეთოდოლოგიური კონცეფციის საფუძველზე.

ტურიზმის შემდგომი განვითარება საქართველოში წარმოუდგენელია სწორედ საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების გარეშე. მიზანშეწონილია ტურიზმის დარგში სპეციალისტების მომზადება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასწავლო გეგმებში შესაბამისი კორექტივების შეტანით (როგორც ამას აქვს ადგილი დასავლეთის ქვეყნებში).

ტურიზმის განვითარებისათვის საერთო პრობლემების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მასთან დაკავშირებული მატერიალური წარმოების დარგების შექმნა, ტურისტების მოსალოდნელი მრავალრიცხოვანი ნაკადის მომსახურების მიზნით საჭიროება იქმნება კვების მრეწველობის ათეულობით საწარმოს მშენებლობის და მოხმარების ადგილებში ზოგიერთი სპეციფიკური „ტურისტული“ საქონლის წარმოების ორგანიზაციისა. აუცილებელია ასევე სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავება ტურისტულ რაიონებში მცირედ ტრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. კირვალიძე

ტელევიზორების მოხმარების ვადის გამოთვლის თავისებურებანი

ტექნიკურად რთული საქონლის მოთხოვნის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე. წარმოებაში მეცნიერული მიღწევების დანერგვის გავლენის აღრიცხვა მოთხოვნის მრუდზე ძალზე ძნელია. თუმცა იგი არსებით გავლენას ახდენს საქონლის მოხმარების ვადებზე, სასაქონლო პარკის შევსებასა და განახლებაზე.

ყველა სახის ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ტექნიკურად რთული საქონლის მოხმარებაზე, იყოფა ორ ჯგუფად: მორალური და ფიზიკური ცვეთა.

ფიზიკური ცვეთა შეიძლება იყოს თანაბარი, არათანაბარი და ზოგჯერ ნახტომისებური; საქონლის მორალურ ცვეთას აჩქარებს ბაზარზე ახალი სრულყოფილი მოდელის მიწოდება.

ფიზიკური და მორალური ცვეთის კომპლექსური ზემოქმედების საფუძველზე ხანგრძლივი მოხმარების საქონლის მოხმარების ვადები ემორჩილება გარკვეულ მათემატიკურ კანონზომიერებას.

ანკეტური გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ტელევიზორების მოხმარების ვადები ემორჩილება ნორმალურ განაწილებას, რომლის სიმკვრივის დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ ფორმულა:

$$\varphi(y)=\frac{1}{\sqrt{2\pi}}\,e^{-\frac{x^2}{2}}$$

ფუნქციის გრაფიკი წარმოადგენს სიმეტრიულ მრუდს, მაქსიმუმით განაწილების ცენტრში და მინიმუმით კიდურა მაჩვენებლებისათვის.

ჩვენს შემთხვევაში თეორიული განაწილება განისაზღვრება მხოლოდ ორი პარამეტრით: საშუალო მოხმარების წლები — $\bar{x}$ და საშუალო კვადრატული გადახრა — σ, სადაც

$$x=\frac{x_i-\bar{x}}{\sigma}$$

არის ფუნქციის არგუმენტი, რომელიც წარმოადგენს შესასწავლი მაჩვენებლის ცალკეული მნიშვნელობების გადახრას მათი საშუალო სიდიდიდან. σ — საშუალო კვადრატული გადახრა. იგი შემდეგნაირად განისაზღვრება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n}(\bar{x} - x_i)^2}{n-1}}.$$

არგუმენტის რიცხვითი მნიშვნელობის განსაზღვრის შემდეგ ვგებულობთ ფუნქციის მნიშვნელობებს გაუს-დაპლასის ფუნქციის შესაბამისი ცხრილიდან.

შემდეგ, ჩვენი ამოცანაა, განვსაზღვროთ ტელევიზორების მოხმარების ვადების განაწილების სიხშირეები %-ად, რისთვისაც ვიყენებთ **ფორმულას:**

$$f_n = \frac{F(y) \cdot \Sigma t}{\sigma},$$

სადაც, Σt 100-ის ტოლია.

საბოლოოდ თეორიული განაწილების მიხედვით განვსაზღვრავთ ტელევიზორების მოხმარების საშუალო ვადას შეწონილი საშუალო არითმეტიკულის დახმარებით. ტელევიზორებზე მაკრომოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის ქვეყანაში არსებული ოჯახების რაოდენობას გავყოფთ ტელევიზორების მოხმარების საშუალო ვადაზე.

ქვემოთ ილუსტრირებულია ტელევიზორების მოხმარების ვადის განსაზღვრა. ეს სიდიდე დოგმა არ არის, იგი დროთა განმავლობაში იცვლება.

თავდაპირველად ვანგარიშობთ მოხმარების წლების საშუალო კვადრატულ გადახრას, რომელიც მიღებულია ანკეტური გამოკითხვების შედეგად. გამოკითხვით დადგინდა, რომ ტელევიზორების მოხმარების ვადა არ აღემატება 18 წელს, საშუალო მოხმარება კი 9,5 წელია.

$$\sigma = \sqrt{\frac{484}{17}} = \sqrt{28,47} = 5,3.$$

ფუნქციის არგუმენტი განისაზღვრება ორი პარამეტრით — საშუალო მოხმარების წლები და საშუალო კვადრატული გადახრა.

$$X_1 = \frac{|1-9,5|}{5,3} = \frac{8,5}{5,3} = 1,6$$

იგივე მნიშვნელობას მიიღებს X_{15}

$$X_2 = \frac{|2-9,5|}{5,3} = \frac{7,5}{5,3} = 1,4$$

იგივე მნიშვნელობას მიიღებს X_{17}

$$X_3 = X_{16} = 1,2$$
$$X_4 = X_{15} = 1,03$$
$$X_5 = X_{14} = 0,85$$
$$X_6 = X_{13} = 0,66$$
$$X_7 = X_{12} = 0,47$$
$$X_8 = X_{11} = 0,28$$
$$X_9 = X_{10} = 0,09$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისი ცხრილის საშუალებით ვპოულობთ ფუნქციის რიცხვით მნიშვნელობებს:

$$F_1 = F_{18} = 0{,}1109$$
$$F_2 = F_{17} = 0{,}1497$$
$$F_3 = F_{16} = 0{,}1942$$
$$F_4 = F_{15} = 0{,}2347$$
$$F_5 = F_{14} = 0{,}2780$$
$$F_6 = F_{13} = 0{,}3209$$
$$F_7 = F_{12} = 0{,}3572$$
$$F_8 = F_{11} = 0{,}3836$$
$$F_9 = F_{10} = 0{,}3973$$

ამის შემდეგ შეიძლება განვსაზღვროთ ტელევიზორების მოხმარების წლების განაწილება %-ში.

$$f = \frac{0{,}1109 \cdot 100}{5{,}3} = 2{,}1$$

$F_1 = 2{,}1\%$	$F_7 = 7\%$	$F_{13} = 6{,}1\%$
$F_2 = 3\%$	$F_8 = 7{,}2\%$	$F_{14} = 5{,}2\%$
$F_3 = 4\%$	$F_9 = 8\%$	$F_{15} = 4{,}4\%$
$F_4 = 4{,}4\%$	$F_{10} = 8\%$	$F_{16} = 4\%$
$F_5 = 5{,}2\%$	$F_{11} = 7{,}2\%$	$F_{17} = 3\%$
$F_6 = 6{,}1\%$	$F_{12} = 7\%$	$F_{18} = 2{,}1\%$

მიღებული მონაცემებიდან ვგებულობთ, რომ ტელევიზორების 2,1%-ის სასიცოცხლო ასაკია მხოლოდ ერთი წელი. ტელევიზორების 7%-ის მოხმარების ვადაა 12 წელი და ა. შ.

$$\bar{x} = 1 \times 2{,}1 + 2 \times 3 + 4 \times 3 + 4{,}4 \times 4 + 5{,}2 \times 5 + 6{,}1 \times 6 + \times 7 + 7{,}2 \times 8 + 8 \times 9 +$$
$$+ 8 \times 10 + 7{,}2 \times 11 + 7 \times 12 + 6{,}1 \times 13 + 5{,}2 \times 14 + 4{,}4 \times 15 + 4 \times 16 + 3 \times 17 +$$
$$+ 2{,}1 \times 18 = \frac{680{,}4}{100} \approx 7 \text{ წელი}.$$

ტელევიზორების მოხმარების საშუალო ვადაა 7 წელი.

ტელევიზორების მაკრომოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზირებისას, გარდა მოხმარების ვადებისა, უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ფართო მოხმარების საქონლის ფასების თანაფარდობა. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოთხოვნის მოცულობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. მაღლაკელიძე

კონკურენტუნარიანობის მარკეტინგული უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხი

გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლა დღის წესრიგში აყენებს კონკურენტუნარიანობის პრობლემას. წამყვანი ფირმები იძულებულნი არიან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საბაზრო სიტუაციის შეფასებას, იმ ფაქტორების გამოკვლევას, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ე. ი. ახორციელებენ კომპლექსურ მარკეტინგულ გამოკვლევებს და მიღებულ შედეგებს იყენებენ ოპერატიულ და სტრატეგიულ დაგეგმვაში.

წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ფირმებს შორის ჩატარებული მრავალჯერადი გამოკითხვები ადასტურებენ, რომ საქონლის სამომხმარებლო არჩევანს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი ხარისხი, თუმცა ბოლო წლებში თვითონ ხარისხის ცნებამ განიცადა არსებითი ცვლილებები. ნაწარმის (მომსახურების) ხარისხის ცნებაში უცხოელი სპეციალისტები გულისხმობენ მის უნარს ოპტიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნები. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს იაპონიის გამოცდილება, რომელმაც მოკლე დროში მოახერხა ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და სამრეწველო ზესახელმწიფოდ გადაიქცა, იმავდროულად განიმტკიცა თავისი პოზიციები მსოფლიო ბაზარზე.

იაპონიის მაღალ კონკურენტუნარიან ქვეყნად გადაქცევას პირველ რიგში ხელი შეუწყო სწორმა სამეცნიერო-ტექნიკურმა პოლიტიკამ, მრეწველობაში ტექნოლოგიის უახლესი მიღწევების დანერგვამ. 1950—1978 წლებში იაპონიამ 21 ათასი სალიცენზიო ხელშეკრულება დადო უცხოეთის ფირმებთან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. დანახარჯებმა შეძენაზე ამ პერიოდში შეადგინა 8,5 მლრდ დოლარი. ეს ხარჯები შემდგომში მრავალჯერ ანაზღაურდა. პატენტებისა და ლიცენზიების საფუძველზე იაპონიაში შეიქმნა მთელი რიგი თანამედროვე წარმოებები, სიღრმისეულად გარდაიქმნა მრეწველობა. მაგრამ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავდა არა მხოლოდ თანამედროვე მრეწველობის შექმნას, რომელიც გამოუშვებდა კონკურენტუნარიან პროდუქციას, არამედ ისეთი ღონისძიებების შემუშავებასაც, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გარანტირებულ რეალიზაციას მსოფლიო ბაზარზე. იაპონიის მიერ მსოფლიო ბაზრის დაპყრობაში დიდი რო-

ლი შეასრულეს ამ ქვეყნის უდიდესმა წარმატებებმა მარკეტინგის სფეროში, რომელსაც ზოგჯერ „იაპონური მარკეტინგის სასწაულსაც“ უწოდებენ.

მარკეტინგის განვრცობისა და გამოყენების პროცესი იაპონიის მარკეტინგულმა საზოგადოებამ ხუთ სტადიად დაყო.

წინამარკეტინგული სტადია (1946—1953 წწ.) — ძირითადი სასურსათო და სამრეწველო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის პერიოდია. ამ პერიოდში მიმდინარეობდა ტექნოლოგიებისა და მარკეტინგული გამოცდილების გადმოღება მრეწველობით განვითარებული ქვეყნებიდან, ძირითადად აშშ-დან ტარდებოდ. ბაზრის უკიდურესად გამარტივებული გამოკვლევები ამერიკული მეთოდიკით და შეიქმნა კომერციულ მეცნიერებათა იაპონური საზოგადოება.

მეორე სტადია იყო მარკეტინგის შესწავლისა და ათვისების (1954—1963 წწ.) პერიოდი. ამ პერიოდში გაძლიერდა ინტერესი მარკეტინგის, როგორც მეცნიერებისადმი, ასევე, მისი პრაქტიკული გამოყენებისადმი მენეჯერებისა და მეცნიერების მხრიდან. მარკეტინგის გავრცელების სტადია (1964—1969 წწ.) მესამე პერიოდია, როდესაც საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის სყიდვითუნარიანობა, გაძლიერდა მიდრეკილება ფუფუნების საგნებისადმი, შეიქმნა სამომხმარებლო საზოგადოება, რომელმაც სტიმული მისცა მარკეტინგის განვრცობას. იაპონელმა მრეწველებმა მოახდინეს წარმოების დივერსიფიკაცია და დაიწყეს საექსპორტო ოპერაციები.

მეოთხე სტადია იყო (1970—1973 წწ.) მარკეტინგის მოქმედების სფეროსა და ფუნქციების გაფართოების პერიოდი. ახალი სოციალური პრობლემების აღმოცენებასთან და გამძაფრებასთან დაკავშირებით მარკეტინგის კონცეფციამ მოიცვა ისეთი საკითხებიც, როგორიცაა: ენერგეტიკული რესურსების კრიზისი, ბუნების დაცვისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები და ასე აღმოცენდა სოციალურ-ეთიკური მარკეტინგი, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ მეცნიერების განვითარებაში.

ბოლო სტადია, რომელიც დაიწყო 1974 წელს და დღესაც გრძელდება, განისაზღვრება როგორც გლობალური მარკეტინგი. ამ სტადიისათვის დამახასიათებელია ბაზრების გაჯერება, დარგების სწრაფი განვითარება, სრულყოფილი ტექნოლოგიების გამოყენება. მარკეტინგი კონცენტრირებულია კონკურენტუნარიანობის მოპოვებასა და შენარჩუნებაზე მსოფლიო ბაზარზე. მარკეტინგულ საქმიანობაში დიდ მნიშვნელობას იძენს სტრატეგიული დაგეგმვის საკითხები, რომელთა საკვანძო პუნქტებია უცხოელი მომხმარებლების მოთხოვნების გათვალისწინება პროდუქციის ასორტიმენტული სტრუქტურის შემუშავებისას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, საბაზრო კვოტების გადიდება და სავაჭრო ბარიერების ლიკვიდაცია.

იაპონიის, როგორც ერთ-ერთი წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოს გამოცდილება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ არ არის საკმარისი შევქმნათ კონკურენტუნარიანი პროდუქცია, არამედ ასეთი პროდუქციის წარმატებით რეალიზაციისათვის აუცილებელია სპეციალური სამსახური — მარკეტინგის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის გადაადგილებას როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე. მაშასადამე, კონკურენტუნარიანობა და მარკეტინგი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია და ფაქტიურად ისინი ერთმანეთს ავსებენ.

ფირმების კონკურენტუნარიანობა ბაზრებზე მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მათი ინოვაციური აქტიურობით, ე. ი. უნარით შექმნან და დანერგონ ახალი პროდუქცია. მაგრამ ბაზარზე გამოტანილ ყოველ სიახლეს როდი მოაქვს

მაღალი შემოსავალი მისი მწარმოებლისათვის. კონკურენტული უპირატესობით სარგებლობენ მხოლოდ ის ფირმები, რომლებიც გონივრულად იყენებენ მარკეტინგის თანამედროვე საშუალებებს თავიანთ საქმიანობაში.

ახალი, განსაკუთრებით მეცნიერტევადი კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის მიზნით ფირმები იყენებენ შემდეგ ინფორმაციას:

— პროდუქციის დანიშნულება და გამოყენების სფერო;
— მოთხოვნის თავისებურებები;
— მოთხოვნისა და მოხმარების გეოგრაფიული განაწილება;
— ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები;
— ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელი ფირმები;
— ანალოგიური პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დონე;
— ანალოგების ნომენკლატურა (ასორტიმენტი);
— ძირითადი ცნებები წარმოების ტექნოლოგიის შესახებ;
— შესაძლო ხარისხობრივი ცვლილებები სასაქონლო მასაში;
— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაძლო ზეგავლენა გამოშვების პროცესში მყოფ პროდუქციაზე (ტექნიკური დონე, ეკონომიკური მაჩვენებლები, სრულყოფის ტემპები და ა. შ.);
— კონკურირებადი ფირმების საწარმოო სიმძლავრეების მდგომარეობა;
— წამყვანი ფირმების საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის ანალიზი მსოფლიო ბაზარზე.

თუ დღეისათვის ფირმა გადაწყვეტს შესთავაზოს ბაზარს კარგად ცნობილი საქონელი თუნდაც ძალზე დაბალი ფასით, ადრე თუ გვიან მას მაინც გამოაძევებენ უფრო იღბლიანი კონკურენტები. ამასთან, ისინი ამას მოახერხებენ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშეც, უბრალოდ ანალოგიური საქონლის ზოგიერთი პარამეტრის სრულყოფით. მაგალითად, 30-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ კორეის ვიდეოფირების მწარმოებლებმა გადაწყვიტეს გამოეძევებინათ იაპონელები აღნიშნული პროდუქციის ამერიკის ბაზრიდან. სამუშაო ძალის ღირებულება სამხრეთ კორეაში 6-ჯერ დაბალია, ვიდრე იაპონიაში. თანამედროვე ტექნოლოგიისა და მასალების გადმოღება არ წარმოადგენდა არავითარ სირთულეს კორეელი მწარმოებლებისათვის. მაგრამ ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. იაპონურ კომპანიებს ერთი წელიც არ დასჭირდათ იმისათვის, რომ აემაღლებინათ თავიანთი ვიდეოფირების ხარისხი და იმავდროულად შეემცირებინათ ხარჯები ისე, რომ სამხრეთ კორეის პროდუქციაზე აშშ-ში ფაქტიურად მოთხოვნა აღარ იყო.

ამიტომ, თუ ფირმა გამოდის ბაზარზე ტრადიციული საქონლით, მან უნდა იზრუნოს არა მხოლოდ ფასის შემცირებაზე, არამედ ხარისხის მუდმივ ამაღლებაზე, თავისი პროდუქციის თუნდაც ზოგიერთი სამომხმარებლო თვისების გაუმჯობესებაზე. ამასთან, ფირმამ უნდა იცოდეს, თუ კერძოდ საქონლის ხარისხის რომელი მაჩვენებელია მომხმარებლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი. სწორედ ასეთი საკითხების გადაჭრაში ეხმარება ფირმას მარკეტინგის სამსახური.

ტრადიციული საქონლის მუდმივი სრულყოფის ტაქტიკა უზრუნველყოფს ფირმისათვის ბაზრის წილის, რეალიზაციის მოცულობისა და შემოსავლების განუხრელ გადიდებას. უმნიშვნელო გაუმჯობესებანი პროდუქტში შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა მარტო კონსტრუქციული სრულყოფით, არამედ მათ შეიძლება მიიღონ სხვადასხვა სახის დამატებითი მომსახურების ფორმაც. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ ვგეგმავთ ბაზარზე გასვლას ტრადიციული ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად ცნობილი ნაწარმით (მომსახურებით), თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, თუ რა სახის ცვლილებები შევიტანოთ მასში, რამდენად ღრმა უნდა იყოს ეს ცვლილებები და რამდენად სწრაფად განხორციელებადი, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მუდმივი ზრდა. ამასთან საჭიროა ჩვენი მოქმედების სტრატეგიული დასაბუთებაც, ე. ი. უნდა შევაფასოთ მუშაობის პერსპექტივები მოცემულ ბაზარზე და განვჭვრიტოთ მიზნობრივი მომხმარებლების საპასუხო რეაქცია ყოველგვარ ცვლილებაზე. მიზნობრივ მომხმარებლებთან მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს გასაღების მასტიმულირებელი ღონისძიებებით (რეკლამა, პროპაგანდა და ა. შ.). ასეთი სახის ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება თანამედროვე მარკეტინგის განუყოფელი ნაწილია.

ამრიგად, თანამედროვე წარმოება, ანუ როგორც მას უწოდებენ, მსოფლიო კლასის წარმოება, უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ პარამეტრებს:

1. ფლობდეს მაღალი მოქნილობის ხარისხს და შესაბამისად შეეძლოს ასორტიმენტის სწრაფი განახლება;

2. წარმოების ტექნოლოგია იმდენად გართულდა, რომ საჭიროა მართვის, კონტროლისა და შრომის დანაწილების ახალი ფორმები;

3. მოთხოვნები ხარისხისადმი არა მარტო გაიზარდა, არამედ მიიღო სრულიად ახალი შინაარსი. დღეს საკმარისი არ არის გამოვუშვათ კარგი პროდუქცია, საჭიროა ვიზრუნოთ მისი გასაღებისა და გასაღების შემდგომი მომსახურების ორგანიზაციაზე;

4. მკვეთრად შეიცვალა წარმოების ხარჯების სტრუქტურაც. თანდათანობით იზრდება პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ორიენტაცია მხოლოდ შრომის პირდაპირი დანახარჯების შემცირებაზე ნაკლებად უწყობს ხელს წარმოების საერთო ეფექტიანობის ამაღლებასა და კონკურენტუნარიანობის გამყარებას.

მსოფლიო დონის წარმოების ფორმირება მოითხოვს სრულიად განსხვავებულ მიდგომას პროდუქციის ხარისხის მართვისა და მიწოდების ორგანიზაციისადმი, წარმოების სრულყოფის ახალ მეთოდებს, რომლებიც შესაბამისობაში მოვლენ თანამედროვე მარკეტინგის მოთხოვნებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ლაშხია

მარკეტინგის პროგრამული უზრუნველყოფა

მარკეტინგის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფირმები, რომლებიც აწარმოებენ სამრეწველო მოწყობილობებს და საწარმოო დანიშნულების საქონელს, განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ ორგანიზაციის პრობლემებს, ამასთანავე მართვის სისტემების სრულყოფას და შიდასაფირმო დაგეგმვას.

ფირმის მიერ საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენა, მიზნობრივი ბაზრის შესაბამისი მარკეტინგის კომპლექსის დამუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება საჭიროებს მარკეტინგის მართვისათვის აუცილებელი ისეთი სისტემების არსებობას, როგორიცაა: მარკეტინგის დაგეგმვა, კონტროლი, მართვის სამსახური და მარკეტინგული ინფორმაცია.

მარკეტინგის, როგორც მართვის სისტემის, ეფექტიანობის ამაღლება თითქმის წარმოუდგენელია სათანადო პროგრამის დამუშავების გარეშე. მარკეტინგის პროგრამა წარმოადგენს მარკეტინგული საქმიანობის გეგმის ქვაკუთხედს, რომელშიც აისახება ფირმის მოღვაწეობის შინაარსი კონკრეტული ვადების, ადგილისა და შემსრულებლების მიხედვით. მისი დახმარებით განისაზღვრება პროდუქციის წარმოების რაოდენობა და ასორტიმენტული სტრუქტურა, ბაზრის სეგმენტი, წარმოების და მიმოქცევის ხარჯების მოცულობა და დონე, საქონელმოძრაობის ფორმები, ფასები, შემოსავალი და სხვა.

ფირმის მარკეტინგის პროგრამის შესასრულებლად საჭიროა მისი კონკრეტიზაცია ცალკეული ჯგუფისა და დასახელების საქონლის მარკეტინგის პროგრამაში. ეს უკანასკნელი მოიცავს იმ ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული საქონლის მაღალრენტაბელობასა და კონკურენტუნარიანობას.

მარკეტინგის პროგრამის საფუძველზე მუშავდება ფირმის მარკეტინგის გეგმა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტრატეგიულ და ტაქტიკურ გეგმათა ერთობლიობა. პერსპექტიული მმართველობითი საქმიანობის შინაარსი ჩადებულია სტრატეგიულ გეგმაში, რომლის კონკრეტიზაცია ხორციელდება მარკეტინგის ტაქტიკურ გეგმებში.

მარკეტინგის პროგრამა მუშავდება კომპანიის მიერ გამოშვებულ ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფებზე.

მარკეტინგის პროგრამა არეგულირებს ფირმის საწარმოო პროგრამას, ხელს უწყობს საწყობებში პროდუქტის ოპტიმალური მარაგების მოცულობის გაანგარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებას. წარმოადგენს რა საბაზო პროგრამას, კომპანიის ეკონომიკური მაჩვენებლების განმსაზღვრელს, იგი ემსახურება საბიუჯეტო ფინანსირების მოცულობის გაანგარიშებას.

ამასთან კავშირში მარკეტინგის პროგრამა გვევლინება საფუძვლად შიდა და საექსპორტო საქონლის ფასების დონისა და დინამიკის, აგრეთვე კომპანიის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის (მოგების ნორმა და მოცულობა, რენტაბელობა და ა. შ.).

სისტემური მიდგომის გამოყენებით წარმოების მართვასთან საშუალებას აძლევს კომპანიებს გადაწყვიტონ წარმოების მთავარი პრობლემა — წარმოების მოქნილი შეწყობა მუდმივად კორექტირებად საწარმოო პროგრამასთან, რომელიც რეგულირდება მარკეტინგის პროგრამით.

მარკეტინგული საქმიანობის დამამთავრებელ ეტაპს და ფირმის მიერ მარკეტინგის პროგრამის შემადგენელ ბაზას წარმოადგენს ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა და მყიდველის მოთხოვნების გამოვლენა.

პროგრამა უზრუნველყოფს ურთიერთმოქმედებას გასაღების აპარატისა საწარმოო ქვეგანყოფილებებთან ნაწარმზე მოთხოვნილებების განსაზღვრის მიზნით და ვადაზე წარმოების გრაფიკით; აგრეთვე გულისხმობს პროდუქციის ოპტიმალური მარაგების, ტექნიკური მომსახურების დეტალური და ფინანსური პროგრამების შექმნას, ამასთან მარკეტინგის პროგრამის თითოეულ ელემენტს აქვს ღირებულებითი შეფასება და დაკავშირებულია ბიუჯეტთან.

ყველა საწარმოო, ფინანსური, მეცნიერულ-ტექნიკური, გასაღების პროგრამის საფუძვლად იღებს ბაზრის კომპლექსური შესწავლის რეზულტატებს. ისინი გამოიყენებიან წარმოების პროგრამის დამუშავებისათვის, ფასების დადგენისათვის, სპეციფიკაციის შემუშავებისათვის, პროდუქციის ნომენკლატურის, ვადის, კონსტრუქციაში და მოდიფიკაციაში მოცულობის შეცვლის განსაზღვრისათვის.

ბაზრის კონკრეტული ანალიზი საფუძველია ფასების პოლიტიკის დადგენისა, ბაზარზე სამუშაო გეგმების შემუშავებისა, გასაღების რაციონალური მეთოდების შერჩევისა და ა. შ. ასეთი ანალიზის შედეგები გამოიყენება რეკლამის ძირითადი ფორმებისა და მეთოდების, მომსახურების ორგანიზაციის შემუშავებისათვის.

ბაზრის განვითარების პროგნოზი ემსახურება წარმოების მოცულობის ზრდას, კაპიტალდაბანდების განსაზღვრას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოკვლევას, გასაღების სისტემების ტექნოლოგიისა და ფირმის საქმიანობის სხვადასხვა სფეროების სრულყოფას. მუშავდება გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები.

გრძელვადიან გეგმებში შედის წარმოების და გასაღების წლიური და კვარტალური პროგრამები. აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამ და სხვა პროგრამების შემუშავების და გამოყენების რეგულარული კორექტირება.

შესაბამისი საქონლის ბაზრის განვითარების ცვლილებების გათვალისწინებით, ეს გარემოება მოითხოვს მუდმივ დაკვირვებას ბაზრის კონიუნქტურაზე და მისი განვითარების პერსპექტივაზე.

ფირმა, რომელიც მარკეტინგის პრინციპებზე აპირებს თავის საქმიანობის წარმართვას, მუდმივ ამუშავებს პროგრამებს გამოშვებულ და გამოსაშვებ საქონელზე. ეს განაპირობებს წარმოებისა და ექსპორტირების წარმატებით განხორციელებას შესაბამისი ბაზრის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე მსხვილი ან საშუალო ამერიკული სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ადგენს მოკლევადიან ან გრძელვადიან გეგმებს პროდუქტის წარმოებასა და გასაღებაზე. მთელ ამ თავის საქმიანობას ახორციელებს მარკეტინგის პრინციპებზე.

გრძელვადიანი პროგრამები მუშავდება 5-დან 20 წლამდე ვადით. პერიოდი, რომელზეც იქმნება პროგრამა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი დრო სჭირდება მარკეტინგში მთავარი გადაწყვეტილების შემუშავებას.

გრძელვადიან პროგრამაში ატარებენ ცდას, რათა შესაძლებელი სიზუსტით გამოვიცნოთ ბაზრის განვითარების ტენდენცია—მიმართულება დროის ხანგრძლივ პერიოდში. ამისათვის ფირმა მიისწრაფვის მოახდინოს ბაზრის არსებული ტენდენციების ექსტრაპირება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა გამოთვალოს, გაითვალისწინოს ცვლილებანი ბაზრის საფირმო მოთხოვნის სტრუქტურაში.

მარკეტინგის მოკლევადიანი პროგრამები გათვლილია ყოველთვის 1—2 წელზე. გრძელვადიანისაგან განსხვავებით ისინი დეტალურებია და არეგულირებენ საქონლის ნომენკლატურას, რაოდენობას და ფასებს.

მარკეტინგის პროგრამების შედგენა არა მარტო ზრდის ფირმის ოპერაციების ეფექტიანობას, არამედ ამსუბუქებს გადაწყვეტილების მიღებას მის ყოველდღიურ საქმიანობაში. ამ შემთხვევაში ინიშნება მმართველი მარკეტინგის საკითხებში, რომელიც აკონტროლებს ცალკეული ელემენტების შესრულებას.

მსხვილ ფირმებში ყველა ეს პუნქტი მიეკუთვნება ფირმის ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც ფლობს ფართო უფლებამოსილებას. ადმინისტრაცია პასუხს აგებს გასაღების კოორდინაციასა და ინტეგრაციაზე, ინფორმაციაზე და სამეცნიეროკვლევით სამუშაოებზე, რეკლამასა და საბაზრო საქმიანობაზე. თუ ფირმა დანერგავს მარკეტინგის სისტემას, მას უნდა ჰყავდეს სპეციალისტები იმ საკითხებში, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია.

მარკეტინგის განყოფილებას ექვემდებარება შესაბამისი სამსახურები, მაგ., ბაზრის, გასაღების, რეკლამისა და ა. შ. კომპლექსური შესწავლის ქვეგანყოფილებები.

ბაზრის შესწავლის კომპლექსურ სამსახურში შედის ექსპერტებისა და ტექნიკური სპეციალისტების ჯგუფი, რეკლამის სამსახურში — რეკლამის ეფექტიანობის, ძირითადი ფორმებისა და საშუალების, კონკრეტული ბაზრის ექსპერტების ჯგუფები და ა. შ.

აღნიშნულის გამო მარკეტინგის პროგრამის როლს და მისი გამოყენების პრინციპებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში — კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობაში.

ლ. ყორღანაშვილი

მარკეტინგის როლი საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში

საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირებისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმების დამკვიდრების პირობებში საწარმოებსა და ფირმებს მიეცათ დამოუკიდებელი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა. საგარეო ვაჭრობა საქმიანობის ის სფეროა, რომლისგანაც საქართველო საბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად მოწყვეტილი იყო, რადგან საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება ჰქონდათ სსრკ საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის სისტემების შეზღუდული რაოდენობის საგარეო სავაჭრო ორგანიზაციებს. ამასთან, მსოფლიო მეურნეობაში სსრ კავშირის მნიშვნელოვანი წილის მიუხედავად, მისი წილი მსოფლიო ვაჭრობაში უმნიშვნელო (80-იან წლებში 3,5—4,7% ზღვრებში მერყეობდა) იყო.

ცნობილია, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილება (შდ) წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორია. მასში მონაწილეობით სახელმწიფოები იღებენ სარგებელს. თეორიულად საბჭოთა კავშირი აღიარებდა შდ-ში მონაწილეობის აუცილებლობას, მაგრამ პრაქტიკაში ავტარკია იყო გაბატონებული. ასეთ სიტუაციაში იმპორტი განიხილებოდა როგორც ეკონომიკაში არსებული დეფიციტის შევსების საშუალება, ხოლო ექსპორტი — როგორც გარდაუვალი „ბოროტება", რომელიც იძლეოდა სავალუტო შემოსავლებს ამ დეფიციტის დასაფარავად. ამასთან, გეგმიანი ეკონომიკის პირობებში ექსპორტისათვის საქონლის გამოყოფა ხდებოდა უკანასკნელ რიგში და იგი, როგორც წესი, საწვავი და ნედლეული იყო.

შდ-სა და მსოფლიო ვაჭრობაში პასიური როლის გამო, წარმოების ძირითადი დარგები (მცირე გამონაკლისის გარდა) ფაქტობრივად საგარეო ვაჭრობაში არ მონაწილეობდნენ და კონკურენციის არარსებობის პირობებში არაეფექტიანნი იყვნენ. ამასთან, შდ-ში სსრ კავშირის უმნიშვნელო როლის მიუხედავად, შრომის საკავშირო სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე შეიქმნა ერთიანი ინტეგრირებული საწარმოო კომპლექსები ურთიერთგადახლართული და ურთიერთდაკავშირებული ეროვნული მეურნეობებით. შრომის საერთაშორისო დანაწილება ისეთნაირად განხორციელდა, რომ ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ კავშირების გაწყვეტამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. განსაკუთრებით სავალალო სიტუაციაში აღმოჩნდა საქართველო, რომლის მატერიალური წარმოება

(კვების მრეწველობის ცალკეული დარგების გარდა) მთლიანად სხვა რესპუბ-ლიკებიდან შემოტანილ ნედლეულზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, 1989 წელს მრეწველობის პროდუქციის შემოტანა იმპორტის ჩათვლით 218,8 მლნ მანეთით აღემატებოდა გატანას, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — 292,1 მლნ მანეთით, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში — 200,4 მლნ მანეთით და ა. შ. სულ მატერიალურ წარმოებაში კი 384,8 მლნ მანეთით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კვების პროდუქტები (მარცვლეული, ხორცი, კარაქი, შაქარი, მცენარეული ზეთი და ა. შ.) და გაჰქონდა არასასიცოცხლო მნიშვნელობის კვების პროდუქტები (ჩაი, ციტრუსები, ღვინო და ა. შ.). შემოტანა-გატანის ასეთი სტრუქტურა იმ პერიოდში არსებით როლს არ ასრულებდა, მაგრამ იგი სავალალო აღმოჩნდა დამოუკიდებელი ქვეყნის მოსახლეობისათვის, რადგან სახელმწიფო თითქმის მთლიანად იმპორტზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ამას დაემატა იმპორტირებისათვის საჭირო სახსრების უქონლობა, ენერგეტიკული კრიზისი, საშინაო ომები და ა. შ. ენერგეტიკული რესურსების დეფიციტმა განაპირობა მრეწველობის კატასტროფული დაცემა, ეროვნული მეურნეობის ნგრევა, საგარეო ვალის ზრდა. 1996 წელს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა შეადგინა 448 მლნ ამერიკული დოლარი, ხოლო საგარეო სავაჭრო ბრუნვამ — 846,6 მლნ დოლარი. აქედან 647,3 მლნ დოლარი, ანუ 76,5% იმპორტი იყო. ამ წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 83 ქვეყანასთან, აქედან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი — 70 ქვეყანასთან.

როგორც ცნობილია, იმპორტი ქვეყნის დანახარჯებს ზრდის, ამიტომ ამ დანახარჯების შემცირება საგარეო ბაზარზე ეფექტიან საქმიანობას მოითხოვს. ეს, თავის მხრივ, საჭიროებს სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას, ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რაც, სამწუხაროდ, საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეებს ხშირად არ გააჩნიათ. სწორედ ამიტომ ისინი ხშირად საეჭვო შუამავლებისა და არაკეთილსინდისიერი პარტნიორების ხელში ხვდებიან. აღნიშნულის გამო, მრავალი კონტრაქტი გაფორმდა ქვეყნისათვის მძიმე პირობებით, გაიცა გარანტიები საეჭვო ფირმებზე და ა. შ. კანონზომიერ მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ საქართველოში შემოტანილი საქონლის ფასი ხშირად მსოფლიო ფასსაც კი აღემატება, ხოლო გატანილის მნიშვნელოვნად ნაკლებია. ამ სიტუაციის ახსნა მარტო არაპროფესიონალიზმითა და საგარეო ბაზრების არასაკმაო ცოდნით არ შეიძლება, რადგან აქ სახეზეა გარკვეული წრეების მატერიალური ინტერესი.

საგარეო ბაზარზე გასვლისას ექსპორტიორს უნდა შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობების შეფასება, რადგან, როგორც წესი, ბაზარზე ახალი ექსპორტიორი და მისი საქონელი ფაქტობრივად არავის სჭირდება. იმპორტიორს ასევე ესაჭიროება საბაზრო სიტუაციაში გარკვევა, ხელსაყრელი პარტნიორის შერჩევა და ა. შ. შესაბამისად, ექსპორტ-იმპორტის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მარკეტინგის გამოყენება, რადგან იგი ბაზარზე პრაქტიკული საქმიანობის სახელმძღვანელოა. ის, ვინც იყენებს მარკეტინგს, ფლობს სიტუაციას ბაზარზე და შეუძლია თავის სასარგებლოდ მისი გამოყენება. მარკეტინგის დანიშნულებაა წარმოებისა და გასაღების პროცესების გაერთიანება ერთ მთლიან შეკრულ ციკლში „წარმოება — ბაზარი — კონკრეტული მომხმარებელი — მოგების მაქსიმიზაცია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო მარკეტინგი დაკავშირებულია ფირმების საერთაშორისო საქმიანობასთან და მოიცავს საწარმოო და კომერციული საქმიანობის სფეროს საზღვრების გადაკვეთით. სწორედ აღნიშნულის გამო, საერთაშორისო მარკეტინგში ჩვეულებრივ იგულისხმება ტრანსნაციონალური (მულტინაციონალური) კორპორაციების მარკეტინგი. ზოგიერთი კლასიფიკაციით გამოყოფენ საექსპორტო, საიმპორტო და პირდაპირი ინვესტიციების მარკეტინგს. მარკეტინგის ეს სახეები საერთაშორისო მარკეტინგის შემადგენელი ნაწილებია, რადგან იგი გულისხმობს საქონლისა და მომსახურების გაცვლას ორმხრივი მიმართულებით (ექსპორტი და იმპორტი), ხოლო პირდაპირი ინვესტიციები ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკურ პოლიტიკაში შედის. აღნიშნულის მიუხედავად, საექსპორტო, საიმპორტო და პირდაპირი ინვესტიციების მარკეტინგის გამოყოფა ჩვეულებრივ ხდება ამ ყოველ კონკრეტულ ოპერაციაზე ყურადღების კონცენტრაციის მიზნით. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფირმის საერთაშორისო საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ამ სამი ოპერაციის ურთიერთკავშირში განხილვა.

საგარეო ბაზარზე გასვლისას მისი სუბიექტები განიცდიან სხვადასხვა ფაქტორებისა და პირობების ზემოქმედებას. ეს ზემოქმედება მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია საქმიანობის მასშტაბები და სფეროები. შესაბამისად, უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად, უპირველესად, საჭიროა მარკეტინგის გარემოში მიმდინარე პროცესების გააზრება.

საერთაშორისო მარკეტინგის გარემო სისტემატურად იცვლება: იქმნება ახალი შესაძლებლობები, აგრეთვე პრობლემები. უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო მარკეტინგის გარემოში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებსა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობაზე მოქმედ ფაქტორებს მიეკუთვნება:

საბჭოთა კავშირის დაშლა, გერმანიის გაერთიანება, პოსტსოციალისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაცია და მათი ბაზრების ათვისების შესაძლებლობა;

კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება მსოფლიოს სამ ძირითად ცენტრს (აშშ, დასავლეთი ევროპა, იაპონია) შორის, აგრეთვე ამერიკის, როგორც მსოფლიო ლიდერის როლის შესუსტება;

ეკონომიკური დიფერენციაციის გაღრმავება განვითარებად ქვეყნებს შორის, მსოფლიო ეკონომიკაში „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების" როლის ამაღლება (ეს ქვეყნები კონკურენციას უწევენ მსოფლიოს სამ ძირითად ცენტრს არა მარტო მსოფლიო ბაზარზე, არამედ აგრეთვე განვითარებული ქვეყნების ბაზრებზედაც);

სამეურნეო ცხოვრების ტრანსნაციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების „ბლოკური", „რეგიონული" ხასიათი;

სასაქონლო ბაზრების გლობალიზაცია და მათი მონოპოლიზაციის დონის ამაღლება, საერთაშორისო წარმოების მასშტაბების ზრდა და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავება, ფირმისშიდა ვაჭრობის გაძლიერება;

საერთაშორისო სავალუტო სისტემის ჩამოყალიბება, კაპიტალის მიგრაციის გაძლიერება მრეწველობით განვითარებულ ქვეყანათა შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგიაზე ორიენტაცია, კაპიტალის დაბანდება „მაღალი ტექნოლოგიების" სწრაფადგანვითარებად დარგებში (ელექტრონიკა, რობოტტექნიკა, ინფორმატიკა და ა. შ.);

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის (საბაჟო ტარიფების დემონტაჟის) პირობებში განვითარებული ქვეყნების მიერ შიდა ბაზრების დაცვის გაძლიერება არასატარიფო ზომების გამოყენებით;

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედება მონოპოლიათა სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკაზე. მონოპოლიათა სტრუქტურებში სამეცნიერო, საპროექტო და საწარმოო ქვედანაყოფების ინტეგრაციის აუცილებლობა ახალი სამეცნიერო-ტექნიკური იდეიდან მზა პროდუქციის გასაღების საბაზრო სტრატეგიამდე ერთიანი კომპლექსის უზრუნველყოფის მიზნით.

საგარეო ვაჭრობაში მარკეტინგის გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია კონკურენციის გამძაფრებით, აგრეთვე მსოფლიო მეურნეობაში კონსიუმერიზმის გაძლიერებით. კონსიუმერიზმი მომხმარებელთა ინტერესების დაცვაზე გამიზნული მოძრაობაა, ამიტომ იგი ნაკლებად ეგუება ბიზნესის ძირითად ფუნქციას — რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებას. მისი ზემოქმედებით კომპანიები იძულებულნი არიან გაითვალისწინონ მომხმარებელთა ინტერესები, მაგრამ, ამასთან, მათ სურთ მოგების მაქსიმიზაცია. აღნიშნული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების შეხამება კი მხოლოდ მარკეტინგის გამოყენებით შეიძლება.

საგარეო ვაჭრობაში ფრიტრედერობის (თავისუფალი ვაჭრობის) ტენდენციის გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიუხედავად, თითქმის ყველა ქვეყანა მაინც ცდილობს ექსპორტის სტიმულირებასა და იმპორტის შეზღუდვას. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებისადმი ასეთი დამოკიდებულება აიხსნება შემდეგი მიზეზებით: 1. საჭიროა საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორება, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ეროვნული ვალუტის სტაბილურობასა და ინფლაციის დონეს; 2. ექსპორტისაგან მიღებული შემოსავალი იძლევა ქვეყნისათვის საჭირო იმპორტის ანაზღაურების შესაძლებლობას; 3. ქვეყნის დავალიანების დონე და მის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები უშუალოდაა დაკავშირებული საგარეო სავაჭრო სალდოზე.

აქტიური სავაჭრო ბალანსი მრავალმხრივ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის დონეზე. მართალია, ექსპორტის შედეგად ქვეყნის შიგნით წარმოებული საქონელი, რომელზედაც გარკვეული ხარჯებია გაწეული, სხვა ქვეყანაში გაედინება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ხელს უწყობს წარმოების გაფართოებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების ზრდას.

საქართველოსათვის ექსპორტის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მისი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 1996 წელს მხოლოდ 5,5%-ს შეადგენდა და 1993 წელთან შედარებით 14,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

საქართველოსათვის მომგებიანი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის რეალიზაცია უცხოური ბაზრის კარგ ცოდნას მოითხოვს. ეს, თავის მხრივ, მარკეტინგის ღონისძიებების განხორციელებასთანაა დაკავშირებული და მოიცავს სამ ძირითად ფაზას [1, 480]:

1. ბაზრის შესწავლა მოთხოვნის, კონკურენციის, შუამავლების, მარკეტინგის გარემოს ანალიზის საფუძველზე;

2. სასაქონლო და ფასების პოლიტიკის შემუშავებისა და გარკვეული კავშირების დამყარების საფუძველზე შერჩეული მიზნებისა და ბაზარზე სასურველი მდგომარეობის შესაბამისი კომერციული წინადადებების განსაზღვრა;

3. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია სარეკლამო და გასაღებითი პოლიტიკის გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარკეტინგის ღონისძიებების რეალიზაცია, ჩვეულებრივ, საგარეო ბაზრის კვლევით იწყება. საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ევროპული საზოგადოების მიერ 1974 წელს მიღებული მარკეტინგის კვლევითი სამუშაოების საერთაშორისო კოდექსის თანახმად, ასეთი სამუშაოები მოიცავენ მომხმარებელთა ბაზრების, საქონლისა და მომსახურების შესახებ ნებაყოფლობით მიღებული ინფორმაციის ობიექტურ შეგროვებასა და ანალიზს [2,48].

მარკეტინგული კვლევის მიზანი ჩვეულებრივ დამოკიდებულია საბაზრო სიტუაციაზე, გამომდინარეობს მარკეტინგის სფეროში ფირმის სტრატეგიული მიზანდასახულობიდან და მიმართულია განუსაზღვრელობის (რისკის) დონის შემცირებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობაში მარკეტინგის როლი გამოიხატება უცხო ქვეყნის ბაზარზე გასვლისას სხვადასხვა მიზეზებით განპირობებული რისკის შემცირებასა და მოგების მაქსიმალური დონის უზრუნველყოფაში.

საერთაშორისო მარკეტინგული კვლევა რთული და ძვირადღირებული საქმიანობაა, რომლის განხორციელება საკუთარი ძალებით მცირე და საშუალო ფირმებისათვის შეუძლებელია. განსაკუთრებით რთულია ამ სამუშაოთა ჩატარება საქართველოს ფირმებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ მარკეტინგული კვლევის გამოცდილება, კვალიფიციური სპეციალისტები, სახსრები და ა. შ. ამიტომ მათ დასახმარებლად მიზანშეწონილია საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსთან საერთაშორისო მარკეტინგის ცენტრის შექმნა. მის ფუნქციაში უნდა შევიდეს საგარეო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, ინფორმაციული ბანკის შექმნა, ქართველი ექსპორტიორების უცხოელ პოტენციურ მყიდველებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება, ქართული საქონლის პროპაგანდა, ქვეყნისათვის საჭირო საქონლის იმპორტირებაში ხელშეწყობა და ა. შ. ამასთან, ამ ცენტრს უნდა მიენიჭოს სპეციალური იურიდიული პირის უფლება და ნაწილობრივ მაინც დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მისი საქმიანობა უნდა გახდეს ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების პროგრამის შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფო ხარჯებით საგარეო ბაზრების კვლევა და დაინტერესებული ფირმებისათვის ამ ინფორმაციის უფასოდ მიწოდება ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენებას.

ლიტერატურა

1. А. Дайан, Ф. Букерель и др. Академия рынка. Маркетинг, М., 1993.
2. А. Н. Романов, Ю. Ю. Корлюгов и др. Маркетинг, М., 1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჩხარტიშვილი

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პრიორიტეტები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკა ამჟამად მწვავე საინვესტიციო შიმშილს განიცდის. სამამულო საინვესტიციო რესურსების უაღრესად დაბალი დონის პირობებში საჭირო ფინანსური რესურსების ძირითად წყაროდ უცხოური ინვესტიციები გვევლინება. სწორედ მათი მოზიდვა წარმოადგენს დღევანდელ ეტაპზე ეკონომიკის ვამოცოცხლების ერთ-ერთ მთავარ პირობას და ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული ყველა საშუალება.

უცხოური კაპიტალის, განსაკუთრებით პირდაპირი რეალური ინვესტიციების სახით, დაჩქარებული და მსხვილმასშტაბიანი მოზიდვისათვის მრავალ ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება თავისუფალი ეკონომიკური ზონები (თეზ.) უკანასკნელ წლებში თეზ-ის შექმნის იდეა ფართოდ განიხილება საქართველოშიც. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, მიღებულია სხვადასხვა რეგიონებში თეზ შექმნის დადგენილებებისა და ბრძანებულობების მთელი რიგი. ასე, 1994 წლის 15 აგვისტოს განკარგულებით დაიწყო ქ. რუსთავის თეზ შექმნისათვის მუშაობა; 1994 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებით დაისახა ქ. ფოთის თავისუფალი სავაჭრო ზონის მოწყობა და ქალაქის ოფშორულ ტერიტორიად გამოცხადება; მთავრობის 1994 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით თეზ-ი შექმნილია ბათუმშიც; ნავარაუდევია ასეთი ზონების შექმნა საქართველო-თურქეთის საზღვარზეც. მაგრამ ამ პროექტების რეალურ განხორციელებამდე საქმე ჯერჯერობით ვერ მივიდა. თეზ-ების შექმნა უდიდეს მოსამზადებელ ეტაპს მოითხოვს, რომელიც მოიცავს ზონის ფუნქციონირების სამართლებრივ უზრუნველყოფას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, ზონის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობების მოწესრიგებას, ზონის ადმინისტრაციული რეჟიმის განსაზღვრას და სხვა მრავალ კომპონენტს. ყოველი მათგანი მოითხოვს დაწვრილებით შესწავლას საქართველოს რეალიებისა და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით. აქ ჩვენ გვიხდა გავამახვილოთ ყურადღება საქართველოში თეზ-ების შექმნის პრობლემის ზოგიერთ ასპექტზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია როგორც თეზ-თან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების, ისე კონკრეტული პროექტების რეალიზაციის დროს.

თეზ-ის შექმნისას, როგორც წესი, გამოიყენება ორი მიდგომა: ტერიტორიული და ფუნქციური. ტერიტორიული მიდგომის შემთხვევაში ქვეყნის გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეულ ტერიტორიაზე იქმნება განსაკუთრებული ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა პირობები. ამასთან, ტერიტორიის არჩევა ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ზონის შექმნის მიზნებიდან გამომდინარე. განვითარებულ ქვეყნებში ეს, როგორც წესი, დეპრესიული, ჩამორჩენილი რეგიონებია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი, პირიქით, ინფრასტრუქტურის, კვალიფიციური კადრების, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ყველაზე უფრო განვითარებული რაიონებია. ფუნქციური მიდგომისას პრიორიტეტი ენიჭება რაიმე დარგის, დარგთა კომპლექსის ან მიმართულების დაჩქარებული განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას. ამ შემთხვევაში თეზ-ის განლაგება ნებისმიერ ხელსაყრელ ადგილას ხდება.

საქართველოს ეკონომიკური რეალობა ზონების შექმნისას ფართო მანევრის საშუალებას არ იძლევა. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის უთანაბრო 'განვითარების, მათ შორის განვითარებული სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და სხვა კავშირების უქონლობის, აგრეთვე მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სიძნელეების გამო, ზონების შექმნა ფუნქციური ნიშნით თითქმის შეუძლებელია. უპირატესობა, როგორც ჩანს, ტერიტორიულ პრინციპს უნდა მიენიჭოს. ამასთან, ამ შემთხვევაშიც პრობლემების მთელი რიგი ამოტივტივდება, რაც უსათუოდ ანგარიშგასაწევია.

კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე ტერიტორიის მიხედვით შედარებით მსხვილი ზონების შექმნა, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია. ჯერ ერთი, საქართველოში არ არსებობს ბუნებრივად გამოყოფილი ტერიტორიები, მაგალითად, რუსეთის, კალინინგრადისა ან სახალინის მსგავსად. ზონის ტერიტორიის განცალკევების აუცილებლობა კი შეიძლება მის ირგვლივ სოციალური დაძაბულობის ზრდის მიზეზი აღმოჩნდეს, ვინაიდან სხვა რეგიონებიდან სამუშაო ძალის დაშვება ზონებში, როგორც წესი, შეზღუდულია, მაშინ, როდესაც ზონაში მომუშავე მოსახლეობის ხელფასი, მაგალითად, ჩინეთში, საშუალოდ 2-3-ჯერ მეტია, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიებზე [1]. მეორეც, მსხვილი ზონების მოწყობა მსხვილ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ასე, ჩინეთის ზონებში მათი ფუნქციონირების საწყის ეტაპებზე ყოველი უცხოური დოლარის მოსაზიდად სახელმწიფომ საშუალოდ 4—5 დოლარი საბიუჯეტო ინვესტიციები დახარჯა, ხოლო აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში შედარებით პატარა (1—2 კმ²) ზონის მოსაწყობად მინიმუმ 30—50 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა [3]. ესოდენ მნიშვნელოვანი ინვესტიციები საჭიროა, პირველ რიგში, უცხოელი ინვესტორებისათვის მისაღები პირობების შესაქმნელად, კერძოდ, სატრანსპორტო და საფინანსო ინფრასტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, წყლით, საწვავით და ელექტროენერგიით ზონის შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის, პოტენციური უცხოელი სპეციალისტებისათვის ბინების ასაშენებლად და ა. შ. ამჟამად ამ დანახარჯთა დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამორიცხულია, ხოლო უცხოური „კომერციული ხასიათის" კრედიტების გამოყენებით ინფრასტრუქტურის განვითარება ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია.

მესამეც, საკითხის სადავოობის მიუხედავად, ჩვენი აზრით, იქმნება სეპარატიზმის განვითარების საფუძვლები. ტერიტორიის მიხედვით მსხვილი თეზ-ის ორგანიზაციის შემთხვევაში, როგორც წესი, წესდება შესვლა-გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი, ზონის ადმინისტრაციას მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილებანი, მრავალი საერთო-სახელმწიფოებრივი კანონი ზონის ტერიტორიაზე არ მოქმედებს ან სახეშეცვლილია, იქმნება ზონის ცენტრალური ბანკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბიუჯეტის შექმნის, ვალუტის მიმოქცევის განსაკუთრებული რეჟიმის აუცილებლობა და ა. შ. [2] გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობა ადმინისტრაციულ ძალაუფლებასთან ერთად მაშინვე პოლიტიკურ ამბიციებს ბადებს. ამავე დროს, იმავე რუსეთის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ზონის ფუნქციონირების ეფექტიანობა პირდაპირ დაკავშირებულია მისი დამოუკიდებლობის დონესთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის მიხედვით მცირე ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ზონების შექმნას დაუსახლებელ ტერიტორიებზე (მაგალითად, საზღვაო პორტებში, საბაჟოს ტერიტორიაზე, აეროპორტებში და ა. შ.).

ზონათა ტიპების მთელი მრავალსახეობიდან საქართველოსათვის თანამედროვე პირობებში მისაღებს მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის ზონები (თვზ) წარმოადგენს. შესაძლებელია სავაჭრო-სამრეწველო მიმართულების ელემენტების არსებობაც. ასეთი ზონების შექმნა ყველაზე უფრო ნაკლებად ძვირადღირებულია და მათზე დანახარჯების ამოგების ვადა შედარებით მოკლეა. თვზ, როგორც წესი, მცირე ტერიტორიას იკავებენ, რამოდენიმე კვადრატული კილომეტრის ფარგლებში. მათ მთავარ ფუნქციას საწყობებში საქონლის ჩაწყობა, მისი გადახარისხება და საბოლოო დამუშავება, გასასაღებლად მომზადება წარმოადგენს. რეალურად გვეჩვენება ასეთი ზონების შექმნის პერსპექტივა ბათუმისა და ფოთის პორტებში, საქართველოს სახმელეთო საზღვრებზე, აგრეთვე თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე. სამრეწველო-საწარმოო ან სერვისული ზონების შექმნა დღეისათვის ნაადრევად მიგვაჩნია.

თეზ-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდების დონეზეა ცნობილი. ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია თავიდან მხოლოდ ერთი რომელიმე ზონის შექმნა. ამ ზონის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესში დაგროვილი გამოცდილება შემდგომ შეიძლება გადატანილ იქნეს ქვეყნის სხვა რეგიონებში მსგავსი პროექტების რეალიზაციისათვის. პირველი ზონის შექმნის საუკეთესო ვარიანტად ჩვენ ფოთის პორტი მიგვაჩნია. ფოთი საკმაოდ კარგად არის დაკავშირებული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონთან როგორც საავტომობილო, ისე სარკინიგზო ტრანსპორტით; მას ფართო კავშირები აქვს ევროპის მრავალ პორტთან. შემთხვევითი არ არის, რომ ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიერ სწორედ ფოთი იქნა არჩეული ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო ტვირთების მთავარ მიმღებ პორტად. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ფოთში ზონის შექმნისას გამოყენებული იქნება ცენტრალური ხელისუფლებისა და ზონის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობების უფრო მარტივი მოდელი, ვიდრე, მაგალითად, ბათუმისათვის.

განსაკუთრებით აქტუალურია თვზ-ის უპირატესობათა დაკავშირება საქართველოს სატრანზიტო სპეციალიზაციასთან. ე. წ. „დერეფნის" ბოლო პუნქტებში ზონების ფუნქციონირება არა მხოლოდ სასურველად, არამედ აუცილებლადაც მიგვაჩნია. ქვეყნის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ტრანზიტის დაწყებამდე თეზი უკვე უნდა ფუნქციონირებდეს. ფოთის პორტის რეკონსტრუქციისა და ინფრასტრუქტურის შექმნისათვის უცხოური კაპიტალების მოზიდვის ზომები მიზანშეწონილია მიღებულ იქნენ უკვე რეალურად არსებული ზონის ჩარჩოებში. კაპიტალის დაბანდებისას უცხოელ ინვესტორებს უკვე უნდა ჰქონდეთ ზონის ფუნქციონირების მტკიცე გარანტიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან გამომდინარე, საჭიროა დაჩქარდეს თეზ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის შექმნის პროცესი. ამასთან, აუცილებელი არ არის ერთიანი, უნიფიცირებული კანონის მიღება. მოსალოდნელი ზონების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით მართებული იქნებოდა ყოველი ზონისათვის ცალკე კანონისა და ნორმატიული აქტების პაკეტის მიღება, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული ამა თუ იმ ტერიტორიის თავისებურება, მისი უპირატესობები.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე საქართველოში უკვე მომწიფდა თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის აუცილებლობა. ასეთი ზონები უთუოდ უცხოური კაპიტალების მოზიდვის ცენტრები გახდება, რის შედეგადაც მოსდება უცხოური კომპანიების მოზიდვა ქვეყნის სხვა რეგიონებშიც. ამჟამად კი საჭიროა ზონების შექმნის რეალური ღონისძიებების დაჩქარება, რათა დროულად და რაც შეიძლება სრულად იქნეს გამოყენებული საქართველოს გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი.

ლიტერატურა

1. ზ. არჩუაძე. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები. ჩინური გამოცდილება. — გაზეთი „ბანკები და ფინანსები", 1995, № 3, გვ. 20,
2. ე. ლორთქიფანიძე. თავისუფალი ეკონომიკური ზონების პერსპექტივები. — გაზეთი „ბანკები და ფინანსები", 1996, № 17, გვ. 21.
3. Смородинская Н., Капустин А, СЭЗ: мировой опыт и российские перспективы. — Журнал «Вопросы экономики», 1994. № 12, с. 126—140.

მ. მაჭავარიანი

საბანკო სისტემის სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტები

საბანკო სისტემის სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა საკითხისადმი ორგვარ მიდგომას გულისხმობს: როგორც ბანკის, ასევე კლიენტის პოზიციიდან. ორივე მხარისათვის დამახასიათებელია ქცევის ფსიქოლოგიის გაორება, რამეთუ საზოგადოდ ადგილი აქვს მათ ფუნქციურ შენაცვლებას. მხედველობაში გვაქვს დამოკიდებულებათა სისტემა, რომელიც ყალიბდება შემდეგ ურთიერთობებში: ბანკი (კრედიტორი) — კლიენტი (დებიტორი) და ბანკი (დებიტორი) — კლიენტი (კრედიტორი).

იმის მიხედვით, თუ საბანკო ბალანსის რომელ მხარეს ვიხილავთ, ბანკი ერთ შემთხვევაში გამოდის როგორც დებიტორი, აგენტი (ბალანსის პასივი), ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც მიმნდობი, ანუ კრედიტორი (ბალანსის აქტივი). ანალოგიური პროცესი მეორდება კლიენტის შემთხვევაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ბანკების საქმიანობა ფრიად მრავალფეროვანია, მათგან ძირითადი მაინც დეპოზიტების მოზიდვა და კრედიტის გაცემაა. აღნიშნულის საფუძველზე წარმოქმნილ ურთიერთობებში სოციალ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რთული და მრავალფეროვანი პრობლემები იკვეთება. სახელდობრ, ჩვენი აზრით, მათგან საკვანძო საკითხებია:

1. ბანკების მიერ კლიენტურის მოზიდვა;
2. კლიენტის მიერ ბანკის შერჩევა;
3. ბანკი-აგენტი;
4. ბანკი-კრედიტორი;
5. კლიენტი-კრედიტორი;
6. კლიენტი-აგენტი.

საგულისხმოა, რომ გარდა ამ ურთიერთობათა სპეციფიკური ხასიათისა, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა სააგენტო, ანუ საშუამავლო თეორია (Agency theory), მაკროეკონომიკურ ჭრილში — ეს საზოგადოებრივი ურთიერთობებია (Public relations) [1].

ბანკი თავისი შინაგანი კონსტიტუციით არ უპირისპირდება საზოგადოებას, იგი თავიდანვე საზოგადოებრივი მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშვა და მისი დაკვეთით ეწევა საქმიანობას. ეს მნიშვნელოვანი თეზისია, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურებში ბანკი ყალიბდება როგორც კომერციული საწარმო და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს საქველმოქმედო ორგანიზაცია. უფრო მეტიც, ბანკის წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებული კომერციული საქმიანობის შედეგები აისახება მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე, ეკონომიკური პროცესების აქტივიზაციასა და ეფექტიანობაზე. შედეგად, იგებს ბანკი და იგებს საზოგადოებაც, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბანკის საქმიანობის ხასიათს პარტნიორულ საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკში მოქმედებს კლიენტის პრივილეგირების მოტივი პრინციპით „ბანკი კლიენტისათვის", მათი პარტნიორული ურთიერთობა ვითარდება მხოლოდ ურთიერთდაინტერესების პრინციპზე დაყრდნობით. ურთიერთდაინტერესება გულისხმობს ნებაყოფლობითობას, ინტერესთა თანხვედრას. თუმცა, ეს არ არის სწორხაზოვანი, მარტივი დამოკიდებულება. თუ ბანკისათვის დეპოზიტების მოზიდვა და კრედიტის გაცემა სასიცოცხლო ფუნქციებია, კლიენტისათვის ეს ჯერ კიდევ არ არის მამოძრავებელი მოტივი. უპირველეს ყოვლისა, მან უნდა დაძლიოს ფსიქოლოგიური ბარიერი, მიეჩვიოს ბანკთან ურთიერთობას.

გარდამავალ ეტაპზე აღნიშნული პრობლემა უფრო გართულებულია, რადგან საზოგადოების უდიდესი ნაწილი მაკროეკონომიკური პროცესების მიღმა რჩება. ეკონომიკური თეორია უფრო მეტად ორიენტირებულია ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდასა და სტაბილიზაციაზე, ვიდრე სოციალური პროექტების რეალიზაციაზე. ლოგიკურია, რომ ბანკი საზოგადოებრივი ფსიქიკის მიღმა რჩება, რადგან იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ატრიბუტი.

ვფიქრობთ, განვითარებადი სამყაროს საბანკო სისტემის სრულყოფისა და საბანკო პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენის თვალსაზრისით უპირველესი ამოცანა კლიენტურაზე მუშაობაა. ამ თვალსაზრისით, ბანკის მიერ გაწეული მუშაობის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს კლიენტის ფსიქიკაში შეტანილი კორექტივით, რომლის საფუძველზეც იგი ფულის სახლში შენახვას საბანკო პროცენტის მიღებას ამჯობინებს. ბანკისა და კლიენტის ურთიერთობაში ჩნდება ნდობის ელემენტი, რომელიც შემდგომ საქმით უნდა განმტკიცდეს.

როგორც კომპეტენტური სპეციალისტები თვლიან, კომერციული კრედიტის გაცემა არ წარმოადგენს წმინდა მექანიკურ აქტს. პირიქით, ეს არის რთული პროცედურა და მასში მნიშვნელოვანია როგორც მხარეებს შორის ადამიანური ურთიერთობები, ასევე ტექნიკური ასპექტების სწორი გაგება. ამიტომ საგულისხმოდ მიგვაჩნია აზრი, რომ სანამ მკვლევარები არ ისწავლიან თეორიულ და ემპირიულ მოდელებში პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გათვალისწინებას, თეორია და პრაქტიკა ყოველთვის ერთმანეთისგან მოწყვეტილი იქნება.

ბაზრის შეცნობის მიზნით საბანკო საქმიანობა მარკეტინგული პროცესების ღრმა ანალიზს გულისხმობს. ასეთი სახის კვლევითი სამუშაოების ჩატარება, უპირველეს ყოვლისა, ადეკვატური ინფორმაციის მოპოვება-შეკრებას საჭიროებს, რომლის მიზანია ბანკის რეალური, უკვე ათვისებული ბაზრისა და პოტენციური ბაზრის განსაზღვრა, საბაზრო მოთხოვნილებების გათვალისწინება და შემდგომი პროგნოზირება.

აღნიშნულის საფუძველზე კომერციული ბანკი იმუშავებს საკუთარ სტრატეგიას კლიენტურასთან მუშაობის საკითხში. სტრატეგია შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის. სახელდობრ, უკვე კარგად ათვისებული მომსახურების გაყიდვა ძველ, საიმედო პარტნიორებზე, შეღწევის სტრატეგია (ტრადიციული მომსახურების გაწევა ახალი კლიენტებისთვის), განვითარების სტრატეგია (ტრადიციული მომსახურების დანერგვა ახალ ბაზარზე), მომსახურების ახალი სახეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრატეგია (ახალი მომსახურების დანერგვა ათვისებულ ბაზრებზე), დივერსიფიკაციის სტრატეგია (ახალი მომსახურების დანერგვა ახალ ბაზრებზე).

ეჭვს არ იწვევს, რომ საბანკო სტრატეგიის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის განპირობებული „ბანკი-კლიენტის" სოციალ-ფსიქოლოგიური ურთიერთობების სისტემით. როგორც ახლო წარსულის ეკონომიკური პროცესების ანალიზმა ცხადყო, გარდამავალ ეტაპზე აუცილებელია საზოგადოების ელემენტარული საბანკო განათლება. უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრების სწორი გაგება. სოციალისტური მენტალიტეტის ადამიანები რთულად აღიქვამენ სიახლეებს და გარდაქმნებს. მიმდინარე ეტაპზე საზოგადოებას ჯერ მხოლოდ მოთხოვნილებები უჩნდება, ხოლო ის ფაქტორი, რომ მოთხოვნილება გულისხმობს ვალდებულებას და პასუხისმგებლობას, მისი ფსიქიკის გარეთ რჩება. მას სურს საკუთრებრივი რეგულირების საკითხი კვლავ გარეშე პირს, რომელიღაც მესამეს, გადააბაროს. ანალოგიური პროცესები იკვეთება ბანკისა და კლიენტის ურთიერთობებშიც.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე საბანკო სისტემას ნდობის ვოტუმის მოპოვება ესაჭიროება. ამ ამოცანის გადაჭრა ბანკისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რათა მოიპოვოს უფლება მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკურ რეფორმებში მისი პოზიციების შემდგომში გამყარებისა და სერიოზული კონკურენტის სტატუსის ბაზაზე. ნდობის მოსაპოვებლად საჭიროა საბანკო პოტენციალის მექანიზმის ამოქმედება, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს შესაბამისი გარემო პირობები. აქ იგულისხმება პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში მთლიანად და მის ცალკეულ რეგიონებში, ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა, ადეკვატური საკანონმდებლო ბაზა, ფულადი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობა. ეს არის პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური ფაქტორების კომპლექსი, ანუ ბანკის პოტენციალის რეალიზაციისათვის აუცილებელი ატმოსფერო. რაც შეეხება საკუთრივ შიდა საბანკო ფაქტორებს — ეს არის ბანკის რესურსები და მათი ეფექტიანი გამოყენება.

ყოველივე აღნიშნული ქმნის წინაპირობებს ბანკისა და კლიენტის ურთიერთობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისათვის. მოცემულ პროცესში ორივე მხარე დაინტერესებულია მოგების მიღებით. მაგრამ მოგება რისკის ფაქტორს უკავშირდება ორივე მხრიდან. როდესაც კლიენტი ეწევა რისკს, ბანკი კისრულობს პასუხისმგებლობას მის მოგებაზე, ახორციელებს რა პრინციპს: „ყველაფერი კლიენტისათვის". თუმცა ეს არ არის ბანკის ერთადერთი პრინციპი — ეს მხოლოდ საფუძველია საბანკო მოგების მისაღებად.

კლიენტთან ურთიერთობაში ბანკი ყოველთვის პარტნიორული დაწესებულებაა. ერთი მხრივ, ეს არის კლიენტის ინტერესებს დაქვემდებარებული ორგანო, ხოლო მეორე მხრივ, ყოველივე ეს არც თუ ისე სწორხაზოვანი დამოკიდებულებაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. პარტნიორული ურთიერთობა დაფუძნებულია ორივე მხრიდან ნებაყოფლობითობის პრინციპზე. სწორედ აქ ხდება მათი ინტერესების თანხვედრა.

გარეგნულად ბანკის წმინდა ეგოისტური მიზნობრივი მოტივაციის განეიტრალება მისი საქმიანობის საზოგადოებრივი არსის გააზრებას საჭიროებს. ბანკი თავისი შინაგანი კონსტიტუციით არ უნდა დაუპირისპირდეს საზოგადოებას, რამეთუ იგი თავიდანვე წარმოიშვა საზოგადოებრივი მოთხოვნილების საფუძველზე.

ბანკების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მომენტი, ჩვენი აზრით, მთელი ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთი წინაპირობაა. ბანკებისადმი უნდობლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც საზოგადოების პროტესტი მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მიმართ.

კრედიტის აღების ფაქტით კლიენტი აფიქსირებს მის მზადყოფნას მაკროეკონომიკურ სივრცეში შესვლისათვის, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია იმ თვალსაზრისით, რომ იგი აცხადებს მისი საქმიანობის ლეგალიზაციის შესახებ, შესაბამისად ფართოვდება სახელმწიფო რეგულირების საზღვრები.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკის საპროცენტო განაკვეთი მაკროეკონომიკური რეგულირების უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს. გარდამავალი ეტაპისათვის დამახასიათებელია სიტუაცია, როდესაც ურთიერთუნდობლობის ნიადაგზე საზოგადოების თავისუფალი სახსრების მიზერული რაოდენობა ხვდება საბანკო მეთვალყურეობის ქვეშ, ისევე როგორც მეწარმეთა დიდი ნაწილი მხოლოდ საკუთარი სახსრებით ცდილობს განავითაროს წარმოება. ორივე შემთხვევაში რაიმე სერიოზული საინვესტიციო პროექტის განხორციელება არარეალურია, ანუ ბანკების შესახებ ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი გარკვეულწილად ამუხრუჭებს და ხელს უშლის ეკონომიკის წინსვლას. სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია ვერ სწვდება ფულის მიმოქცევის პროცესების ზედამხედველობას, იგი კარგავს კონტროლის ინსტრუმენტებს, გარდა ამისა, ფერხდება სერიოზული საინვესტიციო საქმიანობა.

აღნიშნულის საფუძველზე, თვით სახელმწიფოს ინტერესებში შედის ბანკების ირგვლივ წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი აზრის განეიტრალება და მისი ეკონომიკური პროპაგანდა. მიგვაჩნია, რომ ეს არ არის მხოლოდ ბანკების პრეროგატივა. როგორც აღნიშნავს პ. სამუელსონი თავის ცნობილ ნაშრომში „ეკონომიკა", დღეს ამერიკული ბანკი ბევრად უფრო საიმედოა, ვიდრე 20-იან წლებში იყო. ეს მოხდა მაშინ, როდესაც საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბანკო სისტემის ზურგის გამაგრება. მისი აზრით, ბანკების გაკოტრების ეპიდემია, რომელმაც მოსახლეობაში დათესა შიში და პანიკა, აღარ განმეორდება, რადგან მთავრობა, კონგრესი და ფსს მზად არიან საჭირო მომენტში ყველა ძალის მობილიზაციისთვის მოსალოდნელი კრიტიკული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად [2]; შევნიშნავთ, რომ ეს აღარ არის მხოლოდ ეკონომიკა, ეს უკვე დიდი პოლიტიკაა, რომელმაც შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს გარდამავალი ეტაპიდან შემდგომი განვითარების მიმართულების არჩევის მოტივები.

ამ კუთხით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უკვე განახორციელა რიგი ღონისძიებები, როგორიცაა ბანკების შექმნა და რეგულირება ლიცენზირებისა და სერთიფიკაციის საფუძველზე, რეალურად ამოქმედდა სარეზერვო ნორმების სისტემა. მიუხედავად ამისა, კვლავ აქტუალურია საბანკო დეპოზიტების სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის შექმნა. ეს კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს როგორც სახელმწიფოს როლის, ასევე ბანკების საიმედოობის რეაბილიტაციის პროცესზე.

ლიტერატურა

1. Джозеф Ф. Синки, мл. Управление финансами в коммерческих банках. М.: Catallaxy, 1994, с. 161.
2. Самуэлсон П. Экономика, т. 1., М.: «Алгон», 1992, с. 273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ზაუტაშვილი

კლიენტის კრედიტუნარიანობის შესწავლა კაპიტალისტური ქვეყნების ბანკების მიერ

გასცემს რა კრედიტებს, კომერციულმა ბანკმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს ის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ კრედიტების დაუფარაობა. ამგვარ შესწავლას საბანკო პრაქტიკაში უწოდებენ კრედიტუნარიანობის ანალიზს (credit analyses).

კრედიტუნარიანობის ანალიზის ძირითადი მიზანია — განსაზღვროს მსესხებლის უნარი და მზადყოფნა დააბრუნოს სესხი საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ყველა ცალკეულ შემთხვევაში კომერციულმა ბანკმა უნდა დაადგინოს რისკის ხარისხი, რომელსაც იგი იღებს თავის თავზე და კრედიტის მოცულობა, რომელიც შეიძლება გაიცეს მოცემულ პირობებში. კლიენტის კრედიტუნარიანობაზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორი საერთოდ არ ექვემდებარება შეფასებას, მიუხედავად ამისა, ბანკის მუშაკმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ყველა ის მოვლენა, რომელიც გავლენას ახდენდა ან შეიძლება მოახდინოს კრედიტის დაბრუნებაზე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი ევალება კომერციული ბანკის სადისკონტო-სასესხო განყოფილებას, რომელიც ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ახორციელებს ინფორმაციის შეგროვებას კლიენტის შესახებ, ამ ინფორმაციის დამუშავებას და ანალიზს და, ბოლოს, მის განზოგადებას და შენახვას სამომავლოდ. ზოგიერთ ბანკში სადისკონტო-სასესხო განყოფილებები მხოლოდ დასკვნებს იძლევიან საკრედიტო განცხადებაზე, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ღებულობს ერთი რომელიმე თანამდებობის პირი ან დირექტორთა საბჭოს სასესხო კომიტეტი.

I. კრედიტუნარიანობის ანალიზის წყაროები და მათი შეფასება

მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოიყენება შემდეგი წყაროები: გასაუბრება მსესხებელთან, ბანკის საკუთარი კარტოთეკა, გარეგანი ინფორმაცია, ადგილზე ინსპექცია და ფინანსური ანგარიშგება.

გასაუბრება მსესხებელთან გულისხმობს პირად კონტაქტს ფირმის წარმომადგენელთან, რომელმაც შემოიტანა საკრედიტო განაცხადი. ბანკის სადისკონტო-სასესხო განყოფილების თანამშრომელმა ჯერ უნდა გაარკვიოს, თუ რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწვია სესხის აღების აუცილებლობა, შემდეგ განსაზღვროს, რამდენად პასუხობს საკრედიტო განაცხადი ბანკის მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ მისი საკრედიტო პოლიტიკიდან. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს, ბანკის თანამშრომელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ფირმის სტრატეგიის, მისი პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების, კონკურენტული პოზიციებისა და ხელმძღვანელობის შესახებ. მიღებული ინფორმაცია ადვილად მოწმდება სხვა წყაროებით. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო განაცხადი არ აკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს, ბანკის თანამშრომელი აძლევს კლიენტს რჩევას ფინანსური რესურსების მიღების სხვა შესაძლებელი გზების შესახებ.

ყველა ბანკს აქვს საკუთარი კარტოთეკა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მის დეპოზიტორებსა და მსესხებლებზე. კარტოთეკაში შეიძლება ინახოს მასალა იმის შესახებ, თუ როგორ ფარავდა მსესხებელი კრედიტს წარსულში, როგორია მისი ნაშთი მიმდინარე ანგარიშებზე, ახასიათებს თუ არა მას ჩვევა დაუშვას ოვერდრაფტი (გადახარჯვა).

გარდა საკუთარი წყაროებისა, ბანკს შეუძლია მიმართოს ინფორმაციის გარეგან წყაროებს, კერძოდ, კრედიტუნარიანობის შემსწავლელ სპეციალიზებულ ფირმებს, როგორიცაა, მაგალითად, მთელ მსოფლიოში ცნობილი „დან ენდ ბრედსტრიტი". იგი უშვებს კატალოგებს, რომლებიც შეიცავენ დაწვრილებით ინფორმაციას ცალკეული ფირმების ფინანსური ანგარიშგებების შესახებ. მათგან ყველაზე გავრცელებულია ე. წ. „ინფორმაცია საქმიანი საწარმოს შესახებ". ეს კატალოგი შედგება ექვსი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოცემულია ფირმის დასახელება და მისამართი, აგრეთვე დარგის და საწარმოს კოდი, წარმოების პროფილი, საკუთრების ფორმა, კრედიტუნარიანობის განზოგადებული შეფასება („რეიტინგი"), ფირმის მიერ ანგარიშების განაღდების სიჩქარე, გაყიდვათა მოცულობა, საკუთარი კაპიტალი, დასაქმებულთა რაოდენობა, ფირმის საერთო მდგომარეობა და განვითარების ტენდენცია.

„რეიტინგი" შედგება ორი ნაწილისაგან — ორი ასოსა (ან ციფრისა და ასოს) და ციფრისაგან. პირველი ორი ნიშანი მიუთითებს ფირმის ფინანსურ მდგომარეობაზე, ბოლო კი მის კრედიტუნარიანობაზე. მაგალითად, „რეიტინგი" DDI უჩვენებს, რომ ფირმის საკუთარი კაპიტალი 35—50 ათასი დოლარია, ხოლო კრედიტუნარიანობა მოცემულ მომენტში მაღალია.

კატალოგის მეორე განყოფილება შეიცავს ცნობებს, რომლებიც მიღებულია ფირმის მომწოდებლისაგან და წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ რამდენად აკურატულად ანაღდებს ფირმა თავის ანგარიშებს. მესამე განყოფილებაში მოცემულია საბოლოო ბალანსი და ინფორმაცია ფირმის გაყიდვებისა და რენტაბელობის შესახებ, აქვე შეიძლება იყოს მასალები ფირმის ქონების დაზღვევის, არენდის, აგრეთვე გაყიდვათა დინამიკის, ფირმის მიერ უკანასკნელ ხანებში აქტივების შეძენისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. მეოთხე განყოფილება უჩვენებს ფირმის ნაშთის მოცულობას დეპოზიტურ ანგარიშზე და გადახდებს აღებულ სესხებთან დაკავშირებით. მეხუთე განყოფილება შეიცავს ფირმის მფლობელების (ძირითადი აქციონერების) და მაღალი რანგის მენეჯერების ბიოგრაფიულ ცნობებსა და მათ საქმიან კონტაქტებს წარსულში. მასალის ბოლო განყოფილებაში დაწვრილებით არის განხილული ფირმის საქმიანობის სფერო, მისი კლიენტურა და საწარმოო სიმძლავრეები.

ზემოაღნიშნული კატალოგების გარდა კომპანია „დან ენდ ბრუდსტრიტ" აქვეყნებს სხვა სახის დოკუმენტებსაც. აშშ-ში და დასავლეთ ევროპაში ფუნქციონირებენ მთელი რიგი სხვა კომპანიებიც, რომლებიც დაინტერესებულ ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციებს, მათ შორის პირველ რიგში ბანკებს, ამარაგებენ ინფორმაციით ამა თუ იმ ფირმის შესახებ. არსებობს სპეციალიზებული კომერციული საგენტოებიც, რომელთა კომპეტენცია ვრცელდება ერთ ან რამდენიმე მომიჯნავე დარგის ფირმების შესახებ ინფორმაციაზე. გარდა აღნიშნული წყაროებისა, კლიენტის კრედიტუნარიანობის შესახებ ინფორმაციას ღებულობენ სხვა ბანკებისა და, აგრეთვე, საკრედიტო განაცხადის შემომტანთან დაკავშირებული ფირმებისა და ორგანიზაციებისაგან.

II. ფინანსური ანგარიშგებების შემოწმება

ფინანსური ანგარიშგებების წარდგენას ბანკი მხოლოდ მაშინ სთხოვს კლიენტს, როდესაც ამ უკანასკნელს დიდი მოცულობის კრედიტზე შემოაქვს განაცხადი. კრედიტორი ფინანსურ ანგარიშგებებს იყენებს ფულად რესურსებზე მსესხებლის მოთხოვნილების და სესხის ალბათობის შესაფასებლად, აგრეთვე გადაუხდელობის შემთხვევაში დანაკარგების განსაზღვრისა და სესხის გაცემის პირობების დადგენისათვის. ფინანსური ანგარიშგებების შესწავლის დროს აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც გასული წლების და მიმდინარე პერიოდის მონაცემები, ასევე წინასწარი ფინანსური გაანგარიშებანი, რომლებიც მეტყველებენ მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე მომავალში. წინა წლების მონაცემები საშუალებას იძლევა მეფასდეს კლიენტის პროგნოზების სისწორე. თუ მაგალითად, მოგების წილი მსესხებლის შემოსავალში გადასახადების გადახდამდე ბოლო წლებში 5 პროცენტს არ აღემატებოდა, მაშინ მსესხებლის პროგნოზი, რომელიც 8 პროცენტს უტოლდება, ბუნებრივია, ეჭვს იწვევს. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ შეიძლება ბალანსი შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ყველა პრინციპის დაცვით, თუმცა გაანგარიშებაში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს. ამიტომ, ბანკის თანამშრომელმა დაწვრილებით უნდა შეამოწმოს ფინანსური ანგარიშგების ყველა მუხლი.

კლიენტების აქტივების შესწავლის დროს ბანკების განსაკუთრებული ინტერესის საგანია დებიტორული დავალიანება, რამდენადაც იგი წარმოადგენს მოკლევადიანი სესხების დაფარვის ძირითად წყაროს. თუ საქმე ეხება რამდენიმე მსხვილ დებიტორს, სესხის დაუფარაობის ალბათობა მეტია, ვიდრე მრავალი წვრილი დებიტორის შემთხვევაში. ზოგჯერ მიზანშეწონილია, შესწავლილი იქნეს დებიტორის ფინანსური მდგომარეობა და საგადამხდელო დისციპლინა. დებიტორული დავალიანების ანალიზის დროს საინტერესოა, გადასცა თუ არა ფირმამ სხვას დებიტორული ანგარიშებიდან თანხების მიღების უფლება. ჩვეულებრივ, ამას უშვებენ ყველაზე აკურატული გადამხდელების მიმართ. ხშირია შემთხვევა, როცა საკუთარი დებიტორებისაგან თანხების ამოღების უფლებასთან ერთად, ფირმები სხვებს გადასცემენ ე. წ. უკუ პრეტენზიის (with recourse) უფლებასაც, რაც გულისხმობს ფირმის მიერ ანგარიშების ანაზღაურებას, თუ მისი დებიტორი არ დაფარავს ამ ანგარიშებს.

ბანკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსესხებლის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ასაკს, ლიკვიდურობას და ფასების სტაბილურობას, მათი დაზღვევის საკმარისობას და აღრიცხვის მეთოდს, რომელსაც კლიენტი იყენებს. უნდა გაირკვეს, აგრეთვე, ტარდებოდა თუ არა ინვენტარიზაცია და რა მეთოდით. თუ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს განვიხილავთ სესხის უზრუნველყოფის საშუალებად, უნდა შეფასდეს მათი სტრუქტურა. მაგ. ნედლეული უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ადვილად რეალიზდება, ვიდრე მზა პროდუქცია. რაც შეეხება ნახევარფაბრიკატებსა და დამხმარე მასალებს, მათი გასაღების შესაძლებლობები შეზღუდულია.

კლიენტის ძირითად კაპიტალს ბანკები უმეტეს შემთხვევაში არ მიიჩნევენ სესხების დაფარვის წყაროდ. მაგრამ როცა საქმე ეხება საშუალო და გრძელვადიან კრედიტს, ძირითადი კაპიტალის როლი იზრდება შემოსავლის მოტანის თვალსაზრისით. ბანკის თანამშრომელი უნდა დარწმუნდეს, რომ ფირმა რიცხავს შესაბამის ამორტიზაციას, სათანადოდ უვლის შენობას და მოწყობილობას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძირითადი კაპიტალი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სესხის უზრუნველყოფის საშუალება. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მათი პროფილი, ის თუ რამდენად სპეციალურია მოწყობილობა და შენობა-ნაგებობანი, რაზეცაა დამოკიდებული მათი სალიკვიდაციო ღირებულება.

არამატერიალური აქტივები (საავტორო მარკა, საავტორო უფლებები, პატენტები, სპეციალური პრივილეგიები და სხვა) ბანკებს ნაკლებად აინტერესებთ, რადგან მათ არ გააჩნიათ რაიმე განსაკუთრებული ღირებულება.

მსესხებლის ვალდებულებათა შესწავლის დროს ბანკის თანამშრომელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს კრედიტორების ტიპებზე, კერძოდ, კრედიტორებზე, რომლებმაც მიიღეს უზრუნველყოფა, პრივილეგირებულ კრედიტორებზე და ჩვეულებრივ კრედიტორებზე. ფირმის დავალიანების მათზე განაწილების სტრუქტურამ შეიძლება გავლენა იქონიოს სესხის მოცულობაზე, რომელსაც ბანკი გასცემს ფირმაზე. ფირმის კრედიტორებს, რომლებმაც მიიღეს უზრუნველყოფა, უფლება აქვთ განკარგონ ფირმის გარკვეული ქონება. მაგალითად, საწარმოო შენობები და ნაგებობები. პრივილეგირებულ კრედიტორებს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც კანონის შესაბამისად სარგებლობს უპირატესობით. ამგვარ ვალდებულებებს განეკუთვნება დავალიანება გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით, ან კიდევ მუშა-მოსამსახურეებისათვის გადაუხდელი ხელფასი. რაც შეეხება ჩვეულებრივ კრედიტორებს, ისინი კრედიტებს იძლევიან უზრუნველყოფის გარეშე და არავითარი პრივილეგიებით არ სარგებლობენ.

კომერციულ ბანკებს ძალიან აინტერესებთ საკრედიტო განაცხადის შემომტანის მიერ ვალდებულებების განაღდებასთან დაკავშირებული გადახდების მოცულობა და ვადები. ჩვეულებრივ დაწვრილებით შეისწავლება მომწოდებლის ანგარიშებზე გამოწერილი თამასუქები, რომელთა არსებობა ადასტურებს, რომ მსესხებელი დროულად არ ანაზღაურებდა თავის ვალდებულებებს კონტრაჰენტების მიმართ და ეს უკანასკნელნი იძულებულნი შეიქნენ არსებულ დავალიანებაზე მიეღოთ თამასუქი. ან კიდევ, საკუთარი აქციონერების მიმართ დიდი დავალიანების შემთხვევაში, ბანკი აიძულებს საკრედიტო განაცხადის შემომტანის მიერ გაცემულ კრედიტს მიანიჭოს პრიორიტეტი ზემოაღნიშნული დავალიანების მიმართ.

დეტალურ ანალიზს ექვემდებარება საკრედიტო განაცხადის შემომტანის გრძელვადიანი დავალიანება, რომელსაც განეკუთვნება სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით, ობლიგაციები, თამასუქები და სხვა სავალო ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია. ბანკის თანამშრომელი არკვევს ვალდებულებათა ხასიათს, მათზე გადახდების ვადებს, სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრულებო პირობებს ვალის დაუფარაობის შემთხვევაში და სხვა. თუ მაგალითად, არ არის გადახდილი პროცენტები ობლიგაციებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მოვა ვალის მთელი გადაუხდელი ნაწილის გადახდის დრო და დაფარვა სასწრაფოდ უნდა მოხდეს.

ლიტერატურა

1. Вестник исследовательского центра японских методов управления. Серия «Японские банки», № 1, 2, М., 1991.
2. ამერიკის ეკონომიკა. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, 1991.
3. ე. რ ო დ ე, ბანკები, ბირჟები და ფასიანი ქაღალდები კაპიტალისტურ ქვეყნებში. ქართული თარგმანი, თბ., 1993.

3. სვანაძე

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ანალიზი და ღონისძიებები

საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის საშუალებათაგან უპირველესსა და უმთავრესს წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა. ცივილიზებულმა მსოფლიომ ინვესტიციების მოზიდვის მრავალ პრაქტიკულ საშუალებათა შორის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან საშუალებად ფასიანი ქაღალდები აღიარა, ვინაიდან მათი მეშვეობით თანაბრად სტიმულირებადია როგორც შიდა, ასევე ქვეყნის გარეთა ინვესტიციების მოზიდვა.

საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მსხვილი ინვესტიციების უმოკლეს ვადებში მოზიდვა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. საფონდო ბაზრის განვითარება აუცილებლად გამოიწვევს მოსახლეობის დანაზოგებისა და საწარმოთა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციას ეროვნულ ეკონომიკაში, დიდი მოცულობით უცხოური კაპიტალის მოზიდვას და მათ განვითარებას საწარმოთა სფეროში.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ამჟამად აწყდება მრავალ სერიოზულ სუბიექტურ და ობიექტურ პრობლემას, რომელთა შორის უმთავრესია საქართველოში საფონდო ბაზრის განვითარების სახელმწიფო კონცეფციის არარსებობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია დღეისათვის უკვე გატარებულმა და მომავალში გასატარებელმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღოს. სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება, თავის მხრივ, უნდა გულისხმობდეს: 1) არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზის ჩატარებას; 2) სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას და 3) განვითარების ღონისძიებათა პროგრამის შემუშავებას.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მდგომარეობის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ჭრილში: ა) საკანონმდებლო ბაზა, ბ) სახელმწიფო რეგულირების ორგანოები, გ) სახელმწიფო და კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ემისია, დ) პრივატიზაცია, ე) ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა.

საფონდო ბაზრის განვითარებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა საქართველოში დღეისთვის არ არსებობს. ხოლო არსებული კანონები და საკანონმდებლო აქტები ვერ პასუხობენ განვითარების მოთხოვნათა მკაცრ კრიტერიუმებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ძირითადად რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

— კანონები „მეწარმეთა შესახებ", „თამასუქის შესახებ", „ჩეკის შესახებ", „უცხოური ინვესტიციების შესახებ".

— დებულებები: „საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და საფონდო ბირჟების შესახებ", „სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდების შესახებ" და „საინვესტიციო ფონდების შესახებ".

აღნიშნული კანონები და კანონქვემდებარე აქტები მომზადებულია სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ და მათ შორის კოორდინაციის არარსებობის პირობებში ხშირია ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებები. აღნიშნული პრობლემა იკვეთება მეორე, არანაკლები მნიშვნელობის პრობლემასთან, რასაც წარმოადგენს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთიანი მარეგულირებელი ორგანოს არარსებობა. დღეისათვის საფონდო ბაზარს საქართველოში ძირითადად არეგულირებს სამი სახელმწიფო ორგანო: 1. ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების სახელმწიფო ინსპექცია. 2. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და 3. ეროვნული ბანკი. ამ სახელმწიფო ორგანოებს ბევრ პრინციპული მნიშვნელობის საკითხში გააჩნიათ განსხვავებული პოზიციები, რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

საქართველოში გამოშვებული სახელმწიფო და კორპორაციული ფასიანი ქაღალდები არ არის მრავალფეროვანი. დღეისათვის, ქვეყნის მოსახლეობის ნაწილს გააჩნია შემდეგი სახის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები:

ა) 1990 წ. ყოფილი სსრ კავშირის მიერ გამოშვებული მიზნობრივი სასაქონლო უპროცენტო ობლიგაციები;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული 1992—2002 წლების შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები;

გ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის მიერ 1992 წელს გამოშვებული სერთიფიკატი.

1995—96 წლებში მიმოქცევაში იყო საპრივატიზაციო ბარათი—ვაუჩერი.

ამჟამად ამ ფასიანი ქაღალდებით არავითარი ოპერაციები არ წარმოებს და არც მეორად ბაზარზე ხდება მათი მიმოქცევა, ხოლო მუნიციპალური ფასიანი ქაღალდები საქართველოში არ გამოშვებულა.

რაც შეეხება კორპორაციულ ფასიან ქაღალდებს, 1991 წლიდან საქართველოში 52 ემიტენტის მიერ განხორციელებულია 70 ემისია. ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება მოხდა ნორმატიული ბაზისა და ბაზრის რეგულირების ფაქტიური არარსებობის პირობებში, რამაც შესაძლებელი გახადა ბაზარზე ისეთი ემიტენტების გამოჩენაც, რომელთაც არ გააჩნდათ რეალური აქტივები მათ მიერ გამოშვებული ე. წ. „ფასიანი ქაღალდების" უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, დღემდე არ არის გადაწყვეტილი 1993 წლის 1 მარტისთვის სახელმწიფო კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრებზე და ობლიგაციებზე რიცხული თანხების ინდექსაციის საკითხი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება საფინანსო ინსტრუმენტებისადმი, კერძოდ, ფასიანი ქაღალდებისადმი.

არც პრივატიზაციის მასშტაბი აღმოჩნდა საკმარისი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამოქმედებისათვის. პრივატიზაციის პროცესში სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბდა 1000-ზე მეტი საწარმო, რომელთა მიერ გამოშვებულია საერთო მოცულობით 1156,7 მლნ-ზე მეტი აქცია, მათგან 135,1 მლნ აქცია (11,68%)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყიდულია საკონტროლო პაკეტების კოლექტივებისათვის პირდაპირი მიყიდვის და ვაუჩერული პრივატიზაციის პროცესში. გამოშვებული აქციების 88,32% სახელმწიფოს ხელშია, მათ შორის 450-ზე მეტი სააქციო საზოგადოების აქციათა საკონტროლო პაკეტები, ისეთი საწარმოებისაც, რომლებიც არ არის სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების სფეროში. დიდია ისეთი საწარმოების რიცხვი, რომელთა აქციები საერთოდ არ გაყიდულა, თუ არ ჩავთვლით უფასო და შეღავათიანი აქციების დარიგების შედეგად გაცემულ აქციებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა საქართველოში ჩანასახის სტადიაშია. ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი ფუნქციონირებას იწყებს 1991 წლის დასაწყისიდან. ს/ს „კავკასიის ბირჟაზე" 1992—1993 წწ. მიმღინარეობდა საქართველოსა და რუსეთის ემიტენტების ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. შემდგომ პერიოდში საბირჟო და არასაბირჟო საფონდო ბაზარი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. გამონაკლისს წარმოადგენდა ვაუჩერებით ვაჭრობა. 1995 წლის სექტემბერ-დეკემბერში ს/ს „კავკასიის ბირჟა" და „თბილისის საფონდო ბირჟა" შეთანხმების საფუძველზე ერთობლივად აწარმოებდნენ ვაუჩერებით და სპოტურ ვაჭრობას, ხოლო 1996 წლის იანვარ-მაისში „საქართველოს მთავარ საფონდო ბირჟაზე" მიმდინარეობდა ვაუჩერებზე ფიუჩერსული კონტრაქტებით საცდელი ვაჭრობა.

დღეისათვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოქმედ და პოტენციურ მონაწილეებად გამოდიან: 62 კომერციული ბანკი, 9 სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდი (რომლებიც ვაუჩერული პრივატიზაციის დამთავრებასთან დაკავშირებით უნდა გარდაიქმნან საინვესტიციო ფონდებად), ბირჟები, დეპოზიტარიუმები, საბროკერო ფირმები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სხვა ინსტიტუციონალური მონაწილეები.

1993 წელს შეიქმნა „რეგისტრირებულ ბროკერთა გილდია", ხოლო 1997 წელს — „ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა ასოციაცია", რომლებიც წარმოადგენენ მომავალში თვითრეგულირებადი ორგანიზაციების ჩამოყალიბების საფუძველს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა ძირითადად გულისხმობს: 1. ბაზრის მოდელის არჩევას; 2. სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების განსაზღვრას; 3. საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებას.

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილი ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამი არსებული მოდელიდან („გერმანული" — საბანკო, „ამერიკული" — არასაბანკო და „შერეული") აუცილებელია არჩეულ იქნეს არსებული მდგომარეობისათვის ყველაზე მისაღები. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი მიზანშეწონილია განვითარდეს ე. წ. „შერეული" მოდელით, რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო ინსტიტუტებთან ერთად ბაზარზე ბანკების თანაბარუფლებიან მონაწილეობას, რაც სავსებით შესაძლებელია საქართველოში საბანკო ბიზნესის განვითარების შედარებით მაღალი დონიდან გამომდინარე. ამასთან, მეანაბრეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა ბანკებს განესაზღვროს ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებში საკუთარი აქტივების გამოყენების ნორმატივები.

საფონდო ბაზრის განვითარების მსოფლიო პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია და თანამიმდევრულად არის დაცული სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპები, რომელთა შორის აღსანიშნავია: ა) ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის პრინ-

ციპი; ბ) სახელმწიფოს მინიმალური ჩარევისა და მაქსიმალური თვითრეგულირების პრინციპი; გ) თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი, რაც გულისხმობს: კონკურენციის სტიმულირებას, სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცალკეული მონაწილეებისათვის პრივილეგიების მინიჭების აღკვეთას, სახელმწიფოს ორგანოების მიერ საფონდო ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა საჯარო შეფასების აკრძალვას.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ წარმოადგენს საქართველოსათვის უკვე ჩამოყალიბებული და ტრადიციული საქმიანობის სფეროს, ამიტომ მის განვითარებას სჭირდება დამატებითი სტიმულები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის შემუშავება. უფრო მეტიც, საფონდო ბაზრის მნიშვნელობისა და მისი განვითარების სტიმულირებისათვის საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია ფასიანი ქაღალდებისა და მათთან დაკავშირებული ოპერაციების სრული განთავისუფლება ყოველგვარი გადასახადებისა და ბაჟისაგან.

სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება ეფექტის მომტანია მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უმოკლეს ვადაში სერიოზული ღონისძიებების გატარების პარალელურად. ეს ღონისძიებებია: 1. საკანონმდებლო ბაზის შემუშავება; 2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა; 3. საფონდო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება; 4. აღრიცხვა-ანგარიშების სისტემის სრულყოფა; 5. სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვება; 6. საწარმოთა გადახდისუნარიანობის ამაღლება თამასუქების მექანიზმის გამოყენებით; 7. ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 8. პრივატიზაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალურად შეცვლა; 9. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ ცოდნის პოპულარიზაცია და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

ჩამოთვლილ ღონისძიებათა შორის უმნიშვნელოვანესს უეჭველად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო უზრუნველყოფის ღონისძიებები, რაც გულისხმობს არსებული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების სრულყოფას და ახლის მიღებას. უმოკლეს ვადაში უნდა იქნეს მიღებული: კანონები — „სააქციო საზოგადოებების შესახებ", „ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების შესახებ", „საინვესტიციო ფონდების შესახებ", „არასახელმწიფო საპენსიო ფონდების შესახებ"; დებულებები — „დეპოზიტური ორგანიზაციების შესახებ", „აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორების შესახებ", „ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა თვითრეგულირებადი ორგანიზაციების შესახებ", „საანგარიშსწორებო-საკლირინგო ორგანიზაციების შესახებ".

აუცილებელ და რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს კანონები „მეწარმეთა შესახებ", „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ", სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები.

მსოფლიოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება წარმოუდგენელია ერთიანი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს გარეშე, რომლის მეშვეობითაც გატარდება სახელმწიფო პოლიტიკა ფასიანი ქაღალდების სფეროში. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, მიზანშეწონილია ასეთი ორგანო იყოს ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების სახელმწიფო კომისია, რომელიც იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო. კომისიის ძირითად ფუნქციებს უნდა შეადგენდეს: ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კანონმდებლობის დაცვის კონტროლი; ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ისეთი წესების შემუშავება, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც უზრუნველყოფენ მისი ყველა მონაწილის ინტერესების დაცვას; მოსახლეობისა და საზოგადოების ინფორმირება; ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების შემუშავება; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებადი ნორმატიული და სხვა აქტების მომზადება და მიღება.

კომისიის საქმიანობის ხელშეწყობისა და ნორმატიულ საკანონმდებლო ბაზის შემუშავება-ექსპერტიზისათვის მიზანშეწონილია მასთან საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოს—ფასიანი ქაღალდების ბაზრის ექსპერტთა საბჭოს შექმნა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფასიანი ქაღალდების ბაზრის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას.

ბაზარზე ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მოძრაობის აღრიცხვის, ე. ი. რეესტრის წარმოების სრულყოფისა და ემიტენტების, ინვესტორების, პროფესიონალ მონაწილეთა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის გარანტიების გაზრდის მიზნით აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელ რეგისტრატორთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

ინფრასტრუქტურის განვითარების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს დეპოზიტარიუმების, საფონდო ბირჟების, სავაჭრო სისტემებისა და საანგარიშსწორებო-საკლირინგო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ამის პარალელურად უნდა მოხდეს საკონსულტაციო და საანდერრაიტინგო ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ამავე დროს აუცილებელია შეიქმნას ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების სისტემა, ჩამოყალიბდეს სარეიტინგო სააგენტოები, რომლებიც, თავის მხრივ, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავებენ შეფასების საკუთარ მეთოდებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე ქმედითს წარმოადგენს სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვება. სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებათა გამოშვება და ბრუნვა მიზნად უნდა ისახავდეს: სახელმწიფო ბიუჯეტის არაინფლაციურ დაფინანსებას; კონკრეტული სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებას; სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საწარმოების დაფინანსებას, ეროვნული ბანკის მიერ მიზანმიმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, საპროცენტო განაკვეთების რეგულირების საშუალებით; დაბეგვრის თვალსაზრისით გამჭვირვალე საინვესტიციო კლიმატის შექმნას.

ინვესტიციების დაცვის მიზნით აუცილებელია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის სისტემის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს შემდეგს: ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზის საყოველთაოდ მიღებულ მაჩვენებელთა სისტემის შექმნა; კომერციული საიდუმლოების, კონფიდენციალური და არაკონფიდენციალური ინფორმაციის მკაფიო გამიჯვნა; ემიტენტების მიერ ინფორმაციის სავალდებულო გამოქვეყნება იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მათი ფასიანი ქაღალდების კურსზე; ინფორმაციის მოთხოვნის, გაცემის და მიღების წესებისა და ნორმების დადგენა; ემიტენტის მიერ ანგარიშგების სავალდებულო გამოქვეყნება მარეგულირებადი ორგანოს დადგენილი წესის შესაბამისად; არასწორი ინფორმაციის განზრახ გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარება თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი პრაქტიკულად განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში მნიშვნელოვანი და ქმედითი ღონისძიებების ფონზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. შენგელია

ცალკეული ნაკლოვანებები ეკონომიკური ტრანსირების ამოცანების ამოხსნაში

ეკონომიკური ტრანსირების ამოცანას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი პირველად წამოყენებულ იქნა ლამესა და კლაპეირონის მიერ, რაც მათ პირველებმა 1827 წელს გამოაქვეყნეს თავიანთ ნაშრომში სახელწოდებით „სტატიკის დანართის შესახებ უმცირესი მანძილების თეორიაში შემავალ ამოცანების გადაწყვეტაზე" [1].

ამოცანა შინაარსობრივად გულისხმობს, რომ ყოველგვარი საწარმოო საქმიანობა ხორციელდება საწარმოებში — ქარხნებში, ნედლეულის ფაბრიკატებად და ნახევარფაბრიკატებად გარდაქმნის პუნქტებში, ე. წ. ცენტრალურ დანადგარებში და სხვ. ასეთი ტვირთთავმოყრისა და სხვადასხვა მოხმარების პუნქტებში მიწოდების ოპერაციები ხორციელდება სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციით. ეს კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან ტვირთზიდვებთან, რაც, თავის მხრივ, დიდ ხარჯებს იწვევს. ასეთ ადგილებს (პუნქტებს) სატრანსპორტო კვანძს უწოდებენ. აქ, ერთი მხრივ, ადგილი აქვს ნედლეულის მიღებას და გადამუშავებას ნახევარფაბრიკატებად და, მეორე მხრივ, ასეთ ნაკეთობათა მიწოდებას მომხმარებლებთან. ეს ოპერაციები სატრანსპორტო გზებზე ხორციელდება. იმის მიხედვით, თუ რა პირობებში განხორციელდება ასეთი გადაზიდვები, სატრანსპორტო ხარჯები მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევს პროდუქციის თვითღირებულებაში. მოთხოვნა საქარხნო ნაკეთობათა თვითღირებულების შემცირებაზე ვრცელდება სატრანსპორტო ხარჯების მიმართაც, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რამდენიმე ძირითად ფაქტორზე, სახელდობრ: საგზაო ტრასების სისტემაზე, გამოყენებული ტრანსპორტის სახეობაზე, რელიეფზე, არახელსაყრელი უბნების რაოდენობა-განლაგებაზე, ტონა-კილომეტრის ღირებულებაზე, გზების მდგომარეობაზე, ტრასის ცალკეული უბნების სიგრძივ განფენილობაზე და სხვ.

დღეისათვის ყველა რეალურად არსებული საგზაო ტრასა (როგორც ულიანდაგო, ისე სალიანდაგო) ორ სისტემადაა განხორციელებული: რადიუსული და არარადიუსული. პირველ შემთხვევაში ტვირთზიდვა ხორციელდება სატრანსპორტო კვანძსა და ტვირთმიმღებ თუ ტვირთმომწოდებელ პუნქტს შორის ჰორიზონტალური სწორხაზოვანი ტრასით, მეორე სისტემისას კი ეს პუნქტები ურთიერთთან დაკავშირებულია ნებისმიერი მრუდე, ქანობებიანი, ურთიერთმკვეთი, სხვადასხვაგვარი სავალნაწილიანი საფარის მქონე უბნებით. ჩვეულებრი-

ვად, რადგანაც ორ პუნქტს შორის უმოკლეს მანძილად აღიარებულია სწორი ხაზის მონაკვეთი, ამიტომ დღემდე ამ დარგში მომუშავე ყველა მკვლევარი ისაზღვრება მხოლოდ გზების სწორხაზოვანი რადიუსული სისტემისათვის დასმული ეკონომიკური ტრასირების ამოცანის გადაწყვეტით. რეალურ პირობებში კი ასეთი შემთხვევის შესაძლებლობა იშვიათადაა. ამგვარად, ეკონომიკური ტრასირების ამოცანების ამოხსნა გზების არარადიუსული სისტემისათვის ჯერჯერობით ხელუხლებელი რჩება.*

ლამე და კლაპეირონი განიხილავენ რა ამოცანას ტრანსპორტის ეკონომიკურ ტრასირებაზე, საფუძვლად იღებენ გზების რადიუსულ სისტემას და მიუთითებენ, რომ სატრანსპორტო კვანძის ადგილმდებარეობის შერჩევა უნდა წარიმართოს ისეთი M წერტილის მოძებნაში, რომლის მიმართაც გაწონასწორდება ძალები $\overline{q_i}$ გამომავალი Ai პუნქტებიდან მოსაზიდი (თუ A_i პუნქტებში მისაწოდებელი) ოდენობით. აქ მიღებულია, რომ გადაზიდვის საერთო ღირებულების განსაზღვრისათვის ტვირთის გადატანის მიმართულებას ერთნაირი ნიშანი აქვს. აქედან გამომდინარე ამოცანა ანალიზურად ასე აისახება:

$$S=\sum_{1}^{n} q_i s_i l_i ,$$

სადაც q_i ტვირთმიღების სიდიდეა A_i პუნქტში, s_i — ერთეული ტვირთის ერთეულ მანძილზე გადატანის ღირებულება, ხოლო l_i—M კვანძიდან A_i პუნქტამდე მანძილი. მოითხოვება, რომ მოიძებნოს M კვანძის ისეთი მდებარეობა, რომლის მიმართაც ფუნქცია s მინიმალურ მნიშვნელობას მიიღებს.

ასეთი ამოცანის ამოხსნაზე მომდევნოდ მუშაობდნენ მკვლევარები: შტეინერი, ცინგერი, შტურმი და სხვები, მაგრამ დადებითი შედეგები უმცირესი ღირებულების პუნქტის განსაზღვრაზე მიღებული არ ყოფილა [4]. შემდეგ 1890—1980 წლების პერიოდებში ქვეყნდება ანალოგიური შრომები ლაუდჰარტისა და ფორჰეიმის, ინჟ. ე. ლვოვის, პროფ. ლ. დ. შევიაკოვის, პროფ. ა. ო. სეგალის, ინჟ. ა. ფ. ფადეევის, პროფ. მ. კ. გრებენჩას, პროფ. ა. ვ. ბარანოვსკის და დოცენტ ბ. ნ. რატნერის და სხვათა კვლევა-ძიებით დასაბუთებული ცალკეული სტატიები. აღსანიშნავია, რომ ყველა ჩამოთვლილი ავტორი ვერ სცილდება მხოლოდ და მხოლოდ რადიუსული სისტემის ფარგლებს და საბოლოოდ პრაქტიკული გამოყენებისათვის გვერდს ვერ უვლიან საყოველთაოდ ცნობილ თანდათანობით მიახლოებით გაანგარიშების არაკანონზომიერი და არაზუსტი ხერხის გამოყენებას.

მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნეს პროფ. მ. კ. გრებენჩას შრომა* [1], სადაც ავტორი იყენებს საკმაოდ რთულად მიღებულ მათემატიკური ანალიზის მეთოდს. ავტორის აზრით საძიებელი მინიმუმის პუნქტის ადგილმდებარეობა უნდა განსაზღვრულიყო განტოლებათა სისტემით:

$$\left.\begin{aligned}\sum_{1}^{n}\frac{k_i(x-x_i)}{\sqrt{(x-x_i)^2+(y-y_i)^2}}&=0\\ \sum_{1}^{n}\frac{k_i(y-y_i)}{\sqrt{(x-x_i)^2+(y-y_i)^2}}&=0\end{aligned}\right\}\quad(1)$$

---

* აქ იგულისხმება ამ ავტორის შრომები [2], [3] და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც n მომხმარებელთა რიცხვია, k_i სატრანსპორტო მახასიათებელი $(k_i=q_i s_i)$ გადასაზიდი q_i ტვირთის ნამრავლი, ერთეული ტვირთის ერთეულ მანძილზე გადატანის ღირებულება s_i -ზე ნამრავლი, x და y საძიებელი m პუნქტის კოორდინატები x_i და y_i ცალკეული მომხმარებლის (A_i) კოორდინატები.

ავტორი ასკვნის, რომ სისტემის რაციონალური ამოხსნა საკმაოდ ძნელია და წინადადებას იძლევა პრაქტიკული ანგარიში ჩატარდეს იტერაციის მეთოდის გამოყენებით, ანუ სასინჯი წერტილების გამოყენებით, რაც სიბრტყეზე წერტილთა უსასრულო რაოდენობის პირობებში ცალსახა პასუხის მიღებას გამორიცხავს. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფუნქცია წყვეტადია და შესაკრებთა შორის ჩნდება მათემატიკური განუზღვრელობა $\frac{0}{0}$-ს სახით.

1980 წელს ქვეყნდება მათემატიკოს ე. ს. ვენცელის ახალი შრომა, სადაც განხილულია საკითხი სატრანსპორტო ამოცანის ხაზოვანი პროგრამირებით გადაწყვეტაზე. ავტორი ეკონომიკური ტრასირების სატრანსპორტო ამოცანას შემდეგნაირად აყალიბებს: მოცემულია ტვირთმარაგის m პუნქტი $A_1, A_2,..., A_m$, რომლებშიც თავმოყრილია ტვირთები $a_1, a_2,..., a_m$ და ტვირთმიმღები n პუნქტი $B_1, B_2,..., B_n$ თითოეულში შესაბამისად $b_1, b_2,...,b_n$ ტვირთების ოდენობით. ცნობილია, რომ მოთხოვნათა ჯამი ტოლია მარაგთა ჯამის: $\sum_1^m a_i = \sum_1^n b_i$. ასევე ცნობილია, რომ ერთეული ტვირთის მოთხოვნის პუნქტიდან ცენტრალურ დანადგარამდე და აქედან მოთხოვნის პუნქტისაკენ ერთეულ მანძილზე გადატანის ღირებულება c_0 მუდმივია $(c_0=const)$ მოითხოვება ისეთი გეგმის შედგენა გადაზიდვებზე, რომლითაც დაკმაყოფილდება ყველა მოთხოვნა და გადაზიდვის ხარჯები (სატრანსპორტო ხარჯები) იქნება მინიმალური [5].

საკითხის ამგვარი დასმა ჩათვლილია ხაზობრივი პროგრამირების ამოცანად. თეორიული ძიების შემდეგ განხილულია კერძო ამოცანა 4 მომწოდებელსა და 4 მომხმარებელზე. აქ სხვა შეზღუდვები არ განიხილება. გზები ჰორიზონტალურ სწორხაზოვნადაა ჩათვლილი და ტრანსპორტის სახეობაც ერთი და იგივეა ყველა მიმართულებით. ამიტომ ეს იგივე ამოცანაა, რასაც ზემოაღნიშნული ავტორები განიხილავდნენ სატრანსპორტო კვანძის ოპტიმალური ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე.

ავტორი ამ ამოცანის ამოხსნას უთმობს 10 ნაბეჯდ გვერდს და ბოლოს ასკვნის: „ამგვარად სატრანსპორტო ცხრილში იძებნება თავისუფალი უჯრედები ციკლის უარყოფითი ფასით და გადაიტანება ეს მაჩვენებლები ამ ციკლის მიხედვით ტვირთის შესაძლო უდიდეს რაოდენობაზე. ამ გზით ჩვენ შევძლებთ შევამციროთ გადაზიდვების ღირებულება. ღირებულების დაუსრულებელი შემცირება საჭირო არ იქნება (იგი შეიძლება იყოს ყოველთვის 0-ზე მეტი). მაშასადამე, ადრე თუ გვიან ჩვენ მივალთ ოპტიმალურ გეგმამდე“.

ცხადია, რომ ასეთი ხერხით დასმული ამოცანის გადაწყვეტა დიდი სიძნელეებისა და შრომატევადობის გარდა, ახალს არაფერს იძლევა. ეს იგივე თანდათანობით მიახლოებითი ხერხია, რომლის დროსაც შემდეგი მომდევნო სინჯი არაფრით არის განპირობებული, რომ უკეთესი იქნება წინამდებარესთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკურ-ეკონომიკურ ყველა არსებულ შრომაში განიხილება ცენტრალური დანადგარის ადგილმდებარეობის განსაზღვრის ამოცანის კერძო შემთხვევა, რომელიც ითვალისწინებს ნახევარფაბრიკატის გადამუშავება-დამზადებას წარმოებისათვის. მკვლევარების ერთი ნაწილი განსაზღვრავდა ცენტრალური დანადგარისათვის მანძილის მინიმუმის ამოცანის ამოხსნას, მეორე ნაწილი მუშაობის მინიმუმის და მესამე — სატრანსპორტო გადაზიდვების ღირებულების მინიმუმის უზრუნველყოფას.

ჩატარებული ანალიზით დასტურდება, რომ ამოცანა ეკონომიკურ ტრასირებაზე, დასმული პირველად ლამესა და კლაპეირონის მიერ, დღემდე ამოხსნილი არ არის. ის კერძო შემთხვევები, რომლებსაც მკვლევარები აქამდე განიხილავდნენ, არც თეორიული დასაბუთებით და არც პრაქტიკული გამოყენების მაჩვენებლებით და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ასეთი დასკვნის სამართლიანობა დასტურდება იმით, რომ:

1. ავტორების მიერ სატრანსპორტო გზების სისტემად მიღებულია მხოლოდ გზების რადიუსული სისტემა. ასეთი გზები პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება და მას მასობრივი გავრცელება არც დღემდე ჰქონდა და არც მომავლისათვის აქვს რაიმე პერსპექტივა. გზების სისტემა, როგორც წესი, არარადიუსულია სწორ თუ მრუდხაზოვანი უბნებით, აღმართ-დაღმართებით, სხვადასხვა საექსპლუატაციო მახასიათებლებით და სხვა, რაც მხედველობაში არ არის მიღებული;

2. ამოცანის ამოხსნის მათემატიკური მეთოდებით შედგენილი განტოლებათა სისტემები ვერ ითვალისწინებენ ყველა იმ რეალურ ფაქტორს, რომლებიც ძირეულად ცვლიან მოვლენის ფიზიკურ შინაარსს, რის გამოც საანგარიშო განტოლებათა სისტემები ფუნქციური შინაარსობრივობით წყვეტადია და სწორ პასუხს ვერ იძლევა. ამას თვალნათლივ ადასტურებს გრებენჩას, ცაპლინისა თუ ვენტცელის მიერ ჩატარებული ძიებები;

3. გზის ტრასირების ამოცანის ამოხსნისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს გეოგრაფიულ ზონაში სხვადასხვა ადგილებზე არსებული აშკარად უვარგისი უბნები, სადაც არც გზის გაყვანაა შესაძლებელი-მომგებიანი და არც სატრანსპორტო ცენტრალური კვანძი შეიძლება მოეწყოს;

4. არარეალურია ავტორების მიერ მუდმივი მნიშვნელობის მინიჭება ტონა-კილომეტრის ღირებულების მაჩვენებლისათვის, სადაც იგი (c_0), როგორც წესი, ცვლადი სიდიდეა დამოკიდებული გზის სიგრძის, აღმართ-დაღმართის, მოსახვევების, ტრანსპორტის სახეობისა და სხვა ფაქტორებისაგან;

5. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამოცანის არსი ტექნიკურ-ეკონომიკური ხასიათისაა, რაც მოითხოვს მისი თითოეული ეტაპის განხილვისას გამოყენებულ იქნეს ერთდროულად მოვლენის როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიკური მახასიათებლები. ეს ერთგვარად, როგორც ჩანს, თავის დროზე შენიშნა ცნობილმა მექანიკოსმა ვარინიონმა, რომელმაც ლამესა და კლაპეირონის კვლევის საფუძველზე შექმნა ამოცანის ამოხსნის მექანიკური ინტერპრეტაცია — წარმოადგინა მექანიკური ხელსაწყო გზების რადიუსული სისტემისათვის. ასეთი გადაწყვეტა, მართალია პრაქტიკული გამოყენებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა, მაგრამ აქ თვალნათლივ წარმოსდგა ასეთი ხერხის არასაკმარისობა.

ასეთ გარემოებათა გათვალისწინებით საჭიროა ამოცანა დაისვას შემდეგი სახით: გზების სისტემები — რადიუსული და არარადიუსული დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული. პირველ შემთხვევაში, როცა ცნობილია გეგმაზე

ტვირთმოხმარების პუნქტების ადგილმდებარეობები (კოორდინატები სიბრტყეზე) საძიებელი სატრანსპორტო კვანძის ადგილმდებარეობა შეიძლება თავისუფლად იცვლებოდეს სიბრტყის ფარგლებში ტვირთების სიდიდეთა და განლაგების გავლენით ყველა მასზე მოქმედი ფაქტორის ცვლადობის გათვალისწინებით.

გზების არარადიუსული სისტემის (რეალურად უმრავლეს) შემთხვევაში კი სატრანსპორტო კვანძის ადგილმდებარეობა შეზღუდულია ფაქტობრივად არსებული საგზაო ტრასებისა და ტვირთების ამ ტრასებზე განლაგებისა და სიდიდეთა გავლენით ყველა მასზე მოქმედი ფაქტორის ცვლად მნიშვნელობათა ზემოქმედების პირობებში.

ლიტერატურა

1. Ламе и Клапейрон. О приложении статики к решению задач, входящих в теорию наименьших расстояний. Десятая книга журнала Путей сообщения, 1827.
2. И. Д. Шенгелия. Способ сил для определения мест расположения транспортных узлов на стройгенпланах строительств при нерадиальной системе путей. Труды ТБИИЖТа, выпуск XXV, 1952.
3. И. Д. Шенгелия. Решение задачи о точке минимальной стоимости транспортных работ при наличии ограничении в ее расположении. Сообщения Академии Наук Груз. ССР, том XII, № 8, 1951.
4. А. А. Гармаш. Теория строительных процессов. Труды Днепропетровского инженерно-строительного института, раздел II. Равновесие транспортного узла. Сообщение 25. Днепропетровск, 1939.
5. Е. С. Вентцель. Исследование операций, М., «Наука», Главная редакция физмат. литературы. 1980.
6. ვანო შენგელია. სამშენებლო წარმოების საკითხები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.
7. Л. Д. Шевяков. Основы теории проектирования угольных шахт. Углетехиздат. Москва, 1958.
8. Lauthart, Fachgeimer. "Zeitschriffd. Vereiner Deutscher ingenierung",
9. Д. Н. Оглоблин. Графическое решение задачи о выборе пункта минимума работы. Горный журнал, № 7, 1931.
10. А. В. Фадеев. О пункте минимума работы доставки. Горный журнал, № 4 и 5, 1934.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. გ ე ნ ა შ ვ ი ლ ი

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების თავისებურებანი საქართველოში

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში ძირეულ ეკონომიკურ გარდაქმნათა რიგს განეკუთვნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვის პროცესი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კრებსითი ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემას, რომელიც ახასიათებს ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებას (საბოლოო გამოყენებას), მატერიალური და ფინანსური ნაკადების მოძრაობას, დარგთა და სამეურნეო ერთეულთა შორის კავშირურთიერთობებს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ჩვენს პრაქტიკაში ინერგება როგორც მსოფლიო მასშტაბით ინტეგრირებული ეკონომიკური პროცესების ასახვისა და მონაცემთა ურთიერთშედარების ერთიანი სისტემა. იგი მოიცავს მაჩვენებელთა მთელ ერთობლიობას. ჩვენს ამოცანას შეადგენს მათი დახასიათება-გაანალიზება, იმ მაჩვენებელთა შესწავლა, რომლებიც გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენისას და დადგენილია ეკონომიკაში ერთობლივი წარმოების გაზომვის მიზნით. ეს საჭირო და აუცილებელია იმისათვის, რათა ვაჩვენოთ, რომ საზოგადოებრივი ანგარიშწარმოება მთელი ეკონომიკისთვის იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც საბუღალტრო აღრიცხვა ცალკეული საწარმოსთვის.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საშუალებით მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება ეკონომიკური პროცესების მართვა-რეგულირება. მასში შემავალი სხვადასხვა მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს გავზომოთ წარმოების მოცულობა დროის კონკრეტულ მომენტში და გამოვავლინოთ ეკონომიკის ფუნქციონირების უშუალოდ განმსაზღვრელი ფაქტორები. დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ეროვნული შემოსავლის დონეთა შედარებით ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ სპეციალური მრუდი, რომელიც დაახასიათებს ეკონომიკის ფუნქციონირებას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. მისი აღმავლობა ან დაქვეითება აისახება ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელში. უფრო მეტიც, ინფორმაციები, რომელსაც ეროვნული შემოსავლის ანგარიშები გვაძლევს, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფორმირებისა და ცხოვრებაში გატარების საფუძველია, რომელიც მიმართულია ეკონომიკის ფუნქციონირების გაუმჯობესებისკენ. ასეთ გაანგარიშებათა გარეშე ეკონომიკური პოლიტიკა ინტუიციას დაეყრდნობოდა. ამდენად, ეროვნული შემოსავლის ანგარიშები საშუალებას იძლევა შევადგინოთ საზოგადოების ეკონომიკური სიჯანსაღის ცხრილები და გონივრულად განვსაზღვროთ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარების მიღწეული დონის გაუმჯობესებას [1].

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელთა კომპლექსიდან ჩვენ გამოვყოფთ ისეთ ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

მთლიანი და წმინდა შიდა პროდუქტი, მთლიანი და წმინდა ეროვნული პროდუქტი, მთლიანი და წმინდა შიდა შემოსავალი, მთლიანი და წმინდა ეროვნული შემოსავალი.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები გვაძლევენ ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე უფრო განზოგადებულ დახასიათებას. სწორედ ამიტომ დავისახეთ ისინი ჩვენი შესწავლისა და გამოკვლევის მიზნად. რა თქმა უნდა, გარდა დასახელებული მაჩვენებლებისა, გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვა მაჩვენებლებიც, რომლებიც მრავალგვარია და რომელთაც, ასე ვთქვათ, დამხმარე ფუნქცია ეკისრებათ, მაგრამ მათ გარეშე წარმოუდგენელია ეკონომიკის ფუნქციონირება. ისინი ძირითადად გამოიყენება შედარებით ვიწრო ოპერაციების განსახორციელებლად. მათ მიეკუთვნება: დამატებული ღირებულების, ტრანსფერტების, დაგროვების, დივიდენდების, საკუთრებიდან შემოსავლების, საბრუნავ საშუალებათა მარაგების, სუბსიდიების და ა. შ. მაჩვენებლები [2].

თითოეული მათგანი კიდევ იყოფა რამდენიმე სახეობად, რომელთა განხილვა შორს წაგვიყვანდა. ყველა ისინი მონაწილეობენ ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ფორმირებაში.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ცალკეულ სამეურნეო ერთეულებში შექმნილი საბოლოო პროდუქტის ფიზიკური მოცულობების მაჩვენებლები ან საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის ცალკეული დასრულებული ციკლების ფარგლებში გამოშვებული საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების მოცულობა. ამდენად, იგი განისაზღვრება, როგორც დროის მოცემულ მონაკვეთში, ჩვეულებრივ წლის განმავლობაში, წარმოებული საბოლოო პროდუქტისა და გაწეული მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთელი რაოდენობა.

საბოლოო პროდუქტად ითვლება ყველა ის საქონელი, რომელსაც შეიძენენ ბაზარზე საბოლოო გამოყენების მიზნით (მოხმარება, ინვესტირება და სხვა) და არა გასაყიდად ან შემდგომი გადამუშავებისთვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ მთლიან შიდა პროდუქტში არ შეიტანება შუალედური პროდუქტის არც ერთი ელემენტი.

მთლიანი ეროვნული პროდუქტის მისაღებად მთლიან შიდა პროდუქტს უნდა დავუმატოთ უცხოეთში ჩვენი ქვეყნის საკუთრების (კაპიტალი და სხვა) ფუნქციონირებასთან და მოქალაქეთა სამეწარმო და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების მოცულობა და გამოვაკლოთ ანალოგიურად ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების საკუთრების ფუნქციონირებასთან და უცხოელ მოქალაქეთა სამეწარმო და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების სიდიდე.

წმინდა შიდა და წმინდა ეროვნული პროდუქტი მიიღება მთლიანი შიდა და მთლიანი ეროვნული პროდუქტებიდან ძირითადი კაპიტალის მოხმარების ღირებულების გამოკლებით.

საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებამ განაპირობა ცნებათა მთელი სისტემის შეცვლა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, გამოდის რა წარმოების ფართო კონცეფციიდან, ე. ი. მოიცავს რა როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ სფეროს, ასევე საბაზრო ოპერაციებს და რიგ დამოუკიდებელ არასაბაზრო ოპერაციებს, მნიშვნელოვნად ცვლის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა შინაარსსა და გაანგარიშების მეთოდიკას [3].

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეროვნული შემოსავალი. არის აზრთა სხვადასხვაობა მისი ცნებისა და გაანგარიშების მეთოდიკის შესახებ.

ეროვნული შემოსავალი არის ეკონომიკაში წარმოების ფაქტორების მფლობელთა მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი [4]. იგი განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის საერთო თანხის იმ ნაწილით, რომელიც რჩება შუალედური მოხმარების გამოკლების შემდეგ (ე. ი. დამატებული ღირებულებით) და რომელსაც ეკონომიკის სექტორების მიხედვით ანაწილებენ წარმოების ფაქტორთა დანახარჯების სანაცვლოდ, ძირითადი კაპიტალის მოხმარების, ხელფასის, რენტისა და მოგების სახით. თუ ამ შემოსავლების საერთო მოცულობას გამოვაკლებთ არაპირდაპირი გადასახადების სიდიდეს და დავუმატებთ სახელმწიფო სუბსიდიებს, მივიღებთ მთლიანი შიდა შემოსავლის მოცულობას. ამ უკანასკნელიდან უცხოეთში საკუთრებისა და მოქალაქეთა საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების სიდიდის გამოკლებით და ანალოგიურად ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების საკუთრებისა და მოქალაქეთა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მოცულობის დამატებით ვღებულობთ მთლიან ეროვნულ შემოსავალს.

წმინდა შიდა და წმინდა ეროვნული შემოსავალი მიიღება მთლიანი შიდა და მთლიანი ეროვნული შემოსავლიდან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით.

საქართველოში მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშებას გააჩნია თავისებურებანი, რაც გამომდინარეობს მისი ეკონომიკის სპეციფიკიდან.

საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში მიღებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელთა გაანგარიშების სამი მეთოდი:

1. წარმოების, ანუ ხარჯების მეთოდი;
2. შემოსავლების, ანუ განაწილების მეთოდი;
3. საბოლოო მოხმარების მეთოდი [5].

ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ჩვენს მიერ აღიარებულ მეთოდიკას საფუძვლად უდევს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი. თუ ამ უკანასკნელს დავუმატებთ საზღვარგარეთიდან მიღებულ საკუთრებიდან შემოსავალს და გამოვაკლებთ საზღვარგარეთ გაცემულ საკუთრებიდან შემოსავალს, მივიღებთ მთლიან ეროვნულ შემოსავალს. აქედან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით ვღებულობთ წმინდა ეროვნულ შემოსავალს, ხოლო ამ უკანასკნელზე საზღვარგარეთიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერტების დამატებითა და საზღვარგარეთ გაცემული მიმდინარე ტრანსფერტების გამოკლებით საბოლოო ჯამში მიიღება ქვეყნის განკარგულებაში დარჩენილი ეროვნული შემოსავალი.

საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენში არსებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდიკის სრულყოფა-განვითარება. იგი გულისხმობს არა ხელაღებით უცხოური გამოცდილების გადმოღებას, არამედ საკუთარი გამოცდილებისა და ეროვნული ეკონომიკის თავისებურებათა გათვალისწინებას.

ლიტერატურა

1. კემპბელ რ., მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ, ეკონომიქსი, ნაწილი I, „საქპროფგამი", თბილისი, 1993.
2. Национальные счета в переходный период, М., 1993.
3. Петер фон дер Липпе, Экономическая статистика, Йена, 1995.
4. С. Фишер, Р. Дорнбуш, Р. Шмалензи, Экономика, «Дело», Москва, 1993.
5. National accounts, Manufactured in United States of America Copyright, 1993.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. გიორგობიანი

ბულალტრული და სტატისტიკური აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემებში ეკონომიკური ცოდნის წარმოდგენის ალგორითმული და ლინგვისტური ფორმები

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც ორიენტირებული არიან ხელოვნური ინტელექტის, ცოდნის ბაზების, ექსპერტული და პარტნიორული სისტემების მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებაზე, პოულობენ სულ უფრო ფართო გამოყენებას ისეთ ეკონომიკურ სისტემებში, როგორიცაა ფინანსური ანალიზი, აუდიტი, დაგეგმვა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება. ბუღალტრული აღრიცხვისა და სტატისტიკის ავტომატიზაციის სისტემებში მოცემულმა მეთოდებმა და საშუალებებმა ჯერ ვერ ნახეს თავიანთი ქმედითი გამოყენება, მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების მჭიდრო ურთიერთკავშირს ანალიზის, სტატისტიკის, დაგეგმვისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სისტემებთან, ამ უკანასკნელთა მხრივ ეკონომიკური ცოდნის ფორმალიზებული წარმოდგენისა და დამუშავების მეთოდების გამოყენების ორიენტაციის შეცვლის პირობებში გვაიძულებს ახლებურად შევხედოთ ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის სისტემებში ინფორმაციისა და ცოდნის ფორმალიზაციის პრობლემას. გვესახება არაკანონზომიერად სიტუაცია, როდესაც ნაცვლად იმისა, რომ ინტელექტუალური სისტემების თანამედროვე პროექტებიდან ავტომატურად იქნეს მიღებული ინფორმაცია და ცოდნა, საწინააღმდეგო პროცესთან გვაქვს საქმე და მასში როგორც ერთი, ასევე მეორე შეგვაქვს მომხმარებლის დამქანცველი დიალოგით. შედეგად უნდა მივისწრაფოდეთ იმისკენ, რათა მოცემული სისტემები ერთობლივად აგროვებდნენ და იყენებდნენ ცოდნის ისეთ სახეებს, რომლებიც აუცილებელია მათი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

რამდენიმე კომპიუტერული სისტემიდან ცოდნის ერთობლივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილია ცოდნის წარმოდგენის დამოუკიდებლობა იმ პროგრამებისაგან, რომლებიც ახდენენ გამოყენებითი ფუნქციების რეალიზაციას. აქედან გამომდინარე, ნაშრომში განხილული გვაქვს ეკონომიკური ცოდნის წარმოდგენის ისეთი ფორმები და ხერხები, რომლებიც დაკავშირებულია ალგორითმულ ფორმაში პროცედურული ცოდნის წარმოდგენასთან სპეციალური ენობრივი საშუალებების გამოყენებით. ამასთან ენობრივი საშუალებები ორიენტირებულია უკანასკნელ მომხმარებელზე — ბუღალტერზე. ეს საშუალებები გვეხმარება აღვწეროთ ახალი სააღრიცხვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცედურები ანდა მოვახდინოთ სისტემაში უკვე ჩადებული პროცედურების მოდიფიცირება. როგორც წესი, მოცვის ფუნქციების ნაკრები მოცემულ შემთხვევაში იზღუდება სააღრიცხვო ოპერაციის ფიქსაციით, პირველადი დოკუმენტების დამუშავებითა და გამომავალი ანგარიშების მიღებით. მოცემული საშუალებები წარმოადგენენ დაპროგრამების პრობლემურ-ორიენტირებულ პროცედურულ ენებს და მათი ათვისება მოითხოვს იმ სპეციალისტების გარკვეულ მომზადებას, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ისარგებლონ ამ საშუალებებით. დასამალი არ არის, რომ პროფესიონალი-ბუღალტერი უმრავლეს შემთხვევაში არ წარმოადგენს სპეციალისტს დაპროგრამებისა და პროგრამული სისტემების დაპროექტების სფეროში. ამიტომ უპრიანი იქნება მოცემული საშუალებების ათვისება მოხდეს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით.

მაგრამ არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ განსახილველი სფეროს ყველა ცოდნის გამოსახვა შესაძლებელია ალგორითმული ფორმით. არაალგორითმული, ანუ როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ სუსტად ან ცუდად ფორმალიზებული ცოდნის წარმოდგენისათვის არსებობს სრულიად სხვაგვარი მეთოდები და საშუალებები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ ნახეს ფართო გავრცელება და გამოყენება ბუღალტრულ სისტემებში.

ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების თანამედროვე დონე ხასიათდება იმით, რომ მასში ჩადებული საგნობრივი ცოდნა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული ამოცანების ამოსახსნელად, წარმოდგენილია ალგორითმულად. ყველა თანმხლები ცოდნა მონაცემთა სტრუქტურები, მენიუ, სერვისული ფუნქციები, ასევე მკაცრადაა ფორმალიზებული, ისინი მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ ძირითადი ალგორითმების მუშაობა. ცოდნის წარმოდგენის მკაცრი ფორმების გარდა არის იმის რეალური მოთხოვნა და საფუძველი, შემოტანილ იქნეს ცოდნის ისეთი ფორმები, რომლებიც ფლობენ რიგ ისეთ უპირატესობებს, რომლებიც საჭიროა სააღრიცხვო სისტემებისათვის. არსებობს აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის ავტომატიზაციის სისტემის რეალიზაციის ზოგიერთი პრობლემა. მათი ეფექტიანი გადაწყვეტა შესაძლებელია ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემების ახალი თაობების გამოყენების პირობებში.

ბუღალტრის საქმიანობის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს მომხდარი სამეურნეო ოპერაციების ამსახველი ბუღალტრული ჩანაწერების ფორმირება წარმოადგენს. ამასთან, სამეურნეო ოპერაციამ შეიძლება წარმოქმნას არა ერთი, არამედ რამდენიმე ჩანაწერი, ზოგიერთი წინასწარ განსაზღვრული ალგორითმებით. ამ ალგორითმებში ჩადებულია ცოდნა აღრიცხვაში მოცემული სამეურნეო სიტუაციის ამსახველი მეთოდიკის შესახებ. ბევრ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი და იმავე სიტუაციის მრავალვარიანტულ ასახვას, რაც უნდა აიხსნას კანონმდებლობის თავისებურებებით და მისი ცვლილებებით, შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის თავისებურებებით, სააღრიცხვო პერსონალის ტრადიციებითა და გამოცდილებით. ალგორითმების ნაკრები, რომლითაც ხდება ბუღალტრული გატარებების ფორმირება, შეიძლება იყოს მკაცრად განსაზღვრული ბუღალტრული პროგრამის შემდგენელის მიერ და იყოს მასში ჩაშენებული. ამგვარად, შენდება (იქმნება) ფუნქციური ხასიათის ბუღალტრული პროგრამები. სხვა გზა მდგომარეობს პროგრამისაგან განკერძოებულ ბუღალტრული გატარებების ფორმირების ალგორითმების წარმოდგენისა და შენახვის ხერხებში. ასეთი წესი გამოიყენება ინსტრუმენტული ხასიათის ბუღალტრულ პროგრამებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარაა, რომ მეორე მიდგომისას აუცილებელია მომხმარებელს მივცეთ უბრალო და მისთვის გასაგები ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც აღწერს ბუღალტრული ჩანაწერების ფორმირების რიგს და წესს და მოიყვანს მათ სამეურნეო სიტუაციების შესაბამისობაში. რამდენადაც ცოდნის მოცემული სახე პროცედურულია (მკაცრია), იგი შეიძლება გამოისახოს ალგორითმის ცნების გამოყენების საშუალებით. ამ შემთხვევაში ალგორითმი წარმოადგენს საწყისი მონაცემების ნაკრების გარდაქმნის პროცედურას, წარმოდგენილს გარკვეული სტრუქტურით, გამომავალი მონაცემების ნაკრებით, რომელსაც აქვს განსხვავებული სტრუქტურა. მოცემული პროცესი სქემატურად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:



ცოდნის წარმოდგენის ასეთ სისტემაში ალგორითმი მკაცრად აკავშირებს გამოყენებულ მონაცემებს. ცოდნის ალგორითმული წარმოდგენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამმუშავებელი აანალიზებს ინფორმაციულ მოთხოვნებს, ავლენს მათი ფორმირების პროცედურას და ახდენს მის ფორმალიზებას, ლინგვისტური საშუალების ზოგიერთი ნაკრების გამოყენებით, ანუ ბუღალტრის ცოდნა გამოისახება შესაბამის პროცედურაში. ასეთ ფორმაში წარმოდგენილი ცოდნა ორიენტირებულია მის შემდგომ მრავალჯერად გამოყენებაზე. თუ სისტემის ექსპლოატაციის პროცესში ცნობილი გახდება, რომ ინფორმაციული მოთხოვნები შეიცვალა ან თავდაპირველად არასწორად იყო განსაზღვრული, თუ სააღრიცხვო პროცედურების წარმოდგენაში დაშვებული იქნა შეცდომები, მაშინ აუცილებელია ადრე გაკეთებული აღწერების მოდიფიცირება. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პრობლემურ სფეროში სრულ (ზუსტ) ცოდნას ფლობს ალგორითმის დამმუშავებელი, ხოლო პროგრამა, რომელიც ახდენს მოცემული ალგორითმის რეალიზებას, წარმოადგენს დამუშავებული ცოდნის არმოფიქრალ შემსრულებელს.

ფუნქციური მიმართულების ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებითი პროგრამების პაკეტის საბოლოო მომხმარებელი აღიქვამს მხოლოდ პროცესის გარე მხარეს და არაფრით არ შეუძლია მასზე ზემოქმედება, რადგანაც ალგორითმები იწერება დამპროგრამებლის პროფესიულ ენაზე და შეიძლება მათი მოდიფიცირება მხოლოდ სპეციალისტის საშუალებით. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ასეთი სისტემების დამუშავების მნიშვნელოვანი შრომატევადობის და შემქმნელთა გავლენის სფეროს გარეთ მათი დაბალი სიცოცხლისუნარიანობის შესახებ.

ინსტრუმენტული მიმართულების ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებში საბოლოო მომხმარებლის ხელში გადადის ლინგვისტური საშუალებების ისეთი ნაკრები, რომელიც საშუალებას იძლევა დამოუკიდებლად აღწეროს და მოდიფიკაცია გაუკეთოს სააღრიცხვო პროცედურების შემსრულებელ ალგორითმებს. აშკარაა, რომ ლინგვისტური საშუალებების ნაკრები, რომელსაც ფლობს ბუღალტერი ჩანაწერების ფორმირების ალგორითმების ჩასაწერად, თავის შემადგენლობაში უნდა მოიცავდეს გამოსახულების საშუალებებს შემავალი მონაცემების სტრუქტურის, მათი დამუშავების ალგორითმებისა და გამომავალი სტრუქტურების აღსაწერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც წესი, ლინგვისტური საშუალებები, რომელიც ჩართულია ინსტრუმენტული ხასიათის ბუღალტრული კომპლექსების შემადგენლობაში, შეიცავენ:

— დოკუმენტების შემავალი ფორმების აღწერის ენებს;

— გაანგარიშებითი სქემების ან გატარებების ფორმირების წესების აღწერის ენებს;

— დოკუმენტების გამომავალი ფორმების აღწერის ენებს.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ლინგვისტური საშუალებები გასაგები იყოს ბუღალტრისთვის და გამოსადეგი მისი ყოველდღიური პროფესიონალური საქმიანობისათვის.

გ. პარკაძე

გამოყენებით პროგრამათა პაკეტების შემუშავება სტატისტიკაში

ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესების საკითხებს. სტატისტიკური ინფორმაცია ამ მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაცია თანამედროვე კომპიუტერებით და კომპიუტერული ქსელებით თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას. ახალი პროგრამული კომპლექსების შემუშავება აუცილებელი იქნება დიდი ზომის სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისათვის.

ახალი პროგრამული კომპლექსების შემუშავება, ექსპლოატაცია და განვითარება საჭიროებს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაციის, დაპროექტებისა და პროგრამირების დარგში. გამოცდილების გაზიარება ამ დარგში, მიგვაჩნია, რომ ხელს შეუწყობს პროგრამული კომპლექსების დაპროექტების მაღალ დონეს.

მაღალი დონის ალგორითმული ენების გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს პროგრამისტების შრომის ნაყოფიერებას. ამ დროს შრომატევადობა 1,6—2,5-ჯერ მცირდება, მაგრამ სიძნელეების გადალახვისას საკმარისი არ არის ალგორითმული ენების ფართო დანერგვა, ალგორითმული ენის საფუძვლიანი ათვისება ძნელი და შრომატევადი პროცესია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არაპროფესიონალი გამომყენებლისათვის საჭიროა 200 საათი ენის თეორიული და პრაქტიკული ათვისებისათვის.

პროგრამისტების შრომის ნაყოფიერების ამაღლების დამატებით საშუალებად ითვლება გამოყენებითი პროგრამების სისტემური ორგანიზაცია. ასეთი სახის პროგრამათა კომპლექსებს ეწოდება გამოყენებითი პროგრამათა პაკეტები (გპპ). პროგრამათა პაკეტებმა უნდა დააკმაყოფილონ როგორც პროფესიონალი პროგრამისტები, ისე არაპროფესიონალი გამომყენებლები.

იმისათვის, რომ მომხმარებელმა, მაგალითად სტატისტიკოსმა, გამოიყენოს პროგრამათა პაკეტები, უნდა იცოდეს მანქანასთან მუშაობის ელემენტარული წესები. უნდა იცოდეს, როგორ მოუმზადოს პროგრამას საწყისი ინფორმაცია, როგორ მიიღოს შედეგები და როგორ გამოიყენოს მანქანოგრამა ან ვიდეოგრამა თავისი საჭიროებისათვის. გამომყენებელმა პროგრამისტმა კი უნდა იცოდეს პროგრამათა პაკეტის მორგება კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე პროგრამათა პაკეტის გამოყენება ახალი პროგრამათა პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეტის შესაქმნელად. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ პროგრამათა პაკეტი ისე უნდა იყოს აგებული, რომ შესაძლებელი იყოს მისი ჩაძირვა სხვა პროგრამათა პაკეტში.

გპპ ურთიერთდაკავშირებული გამოყენებითი პროგრამების კომპლექსია, რომელთაც აქვთ სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც განკუთვნილია გარკვეულ ამოცანათა კლასის გადასაწყვეტად. ამოცანათა კლასს განსაზღვრავს პაკეტის საგნობრივი ნაწილი. საგნობრივი ნაწილის აღწერა ხდება საგნობრივი ნაწილის გრაფით. საგნობრივი ნაწილის მიხედვით გპპ შეიძლება დაიყოს: მეთოდ-ორიენტირებული და პრობლემურ-ორიენტირებული გამოყენებითი პროგრამათა პაკეტები. მეთოდ-ორიენტირებული პაკეტის მაგალითია მათემატიკური პროგრამირების პროგრამათა პაკეტი, რომელიც განკუთვნილია წრფივი პროგრამირების ამოცანების გადასაწყვეტად.

პრობლემურ-ორიენტირებული გამოყენებითი პროგრამათა პაკეტები განკუთვნილია ცალკეული ამოცანების გადაწყვეტისათვის; ეს ამოცანები კომპლექსურად განიხილება; საერთო ამ ამოცანების არის ის, რომ ისინი განკუთვნილია ერთი პრობლემის გადასაჭრელად. საწარმოს მართვის ავტომატიზებულ სისტემაში გამოყენებული პროგრამათა პაკეტები და სახელმწიფო სტატისტიკის მართვის ავტომატიზებულ სისტემაში გამოყენებული პაკეტები პრობლემურ-ორიენტირებული პროგრამათა პაკეტებია.

თვითეულ პროგრამათა პაკეტს გააჩნია გარკვეული შესაძლებლობები: მონაცემთა წარმოდგენის წესები, რაც ექსპლუატაციის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული. რთული სტრუქტურის პროგრამათა პაკეტებს მორგების საშუალებებიც გააჩნია. მორგება ხდება სპეციალური შესასვლელი ენის საფუძველზე. პროგრამათა პაკეტების შემუშავება რთული და შრომატევადი პროცესია. პაკეტების შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ამოცანების ალგორითმიზაცია და პროგრამირება, საგულისხმოა, რომ როცა სპეციალისტი ორივე დარგში გამოცდილია, მიიღწევა მნიშვნელოვანი ეფექტი. დიდი და რთული პროგრამების შემუშავება მოითხოვს ინტელექტუალურ დაძაბვას, გაჩნდა საზღვარგარეთ ტერმინი „მთავარი პროგრამისტი". რთული პროგრამული კომპლექსების შექმნისათვის საჭიროა ამოცანათა კომპლექსის გადაწყვეტას ხელმძღვანელობდეს მთავარი პროგრამისტი. ამ მიზნით იქმნება ბრიგადა ასევე გამოცდილი სპეციალისტების. დაპროექტებისა და პროგრამირების დარგში უმჯობესია მუშაობდეს სპეციალისტთა მცირე ჯგუფი მაღალი კვალიფიკაციით. პროგრამისტთა რაოდენობის გაზრდა ხშირად უარყოფითად მოქმედებს პროგრამათა კომპლექსის შემუშავებაზე.

ერთიანი სისტემების ეგმ-ის სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა გვთავაზობს გადავიდეთ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ინდუსტრიულ მეთოდებზე. რა ნაკლი ჰქონდა ადრე პროგრამათა შემუშავების ტექნოლოგიას? ხშირად ხდებოდა უნიკალური პროგრამების შემუშავება ცალკეული პროგრამისტების მიერ, რაც ართულებდა მოცემული პროგრამის შესწავლას სხვა პროგრამისტის მიერ, ართულებდა მის ექსპლოატაციას მომავალშიც. ხშირად ამ დროს არ იყო გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება.

იმისათვის, რომ ამაღლდეს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ეფექტიანობა, საჭიროა გამოყენებულ იქნეს ინდუსტრიული მეთოდები; ამასთანავე, უნდა გათვალისწინებულ იქნეს ტრადიციული მეთოდებიც. საჭიროა აღინიშნოს, რომ უნიკალური პროგრამების შექმნა ახლაც არ არის გამორიცხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გამოწვეულია იმით, რომ რთული ამოცანების ფორმალიზებული აღწერა და ისეთი ალგორითმის ჩამოყალიბება, რომლის საფუძველზეც აიგება გპპ, ყველა სპეციალისტს არ შეუძლია. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ძირითადი პრინციპებია:

1. პროგრამათა პაკეტების არქიტექტურის სტანდარტიზაცია;
2. პროგრამათა პაკეტების დოკუმენტაციის სტანდარტიზაცია;
3. პროგრამათა პაკეტების რაციონალიზაცია;
4. თვითეულ პროგრამათა პაკეტის ორიენტაცია კონკრეტულ მომხმარებლებზე.

აგებულების მიხედვით არსებობს მარტივი და რთული სტრუქტურის პროგრამათა პაკეტები. სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების პროგრამათა პაკეტებს აქვს თავისებურებანი. ძირითადი თავისებურება ის არის, რომ დამუშავებაში მონაწილეობს დიდი ზომის ინფორმაციული მასივები. პაკეტის გამოყენების დროს საჭიროა პაკეტში შემავალი თვითეული მოდულის დანიშნულების ცოდნა, როგორ უნდა მივცეთ მას საწყისი ინფორმაცია და როგორ უნდა წავიკითხოთ და გამოვიყენოთ შედეგები, როცა ცალკეული მუშა-პროგრამა ორგანიზებულია მოდულის სახით და მას უნდა გადაეცეს პარამეტრები. მარტივი სტრუქტურის პროგრამათა პაკეტის მოდულების ამუშავება უნდა მოხდეს დავალებით, რომელიც იქმნება დავალების მართვის ენაზე. ამ დროს დავალებაში შეიძლება იყოს ერთი ბიჯი ან რამდენიმე, იმის მიხედვით, რა მუშა პროგრამები მიიღებს მონაწილეობას ერთ დავალებაში. მარტივი სტრუქტურის პროგრამათა პაკეტს მიეკუთვნება ქსელური დაგეგმვის პროგრამათა პაკეტი. დღევანდელ პირობებში ასეთი პაკეტების ექსპლუატაცია მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს.

რთული სტრუქტურის პროგრამათა პაკეტების ექსპლუატაციის დროს პაკეტის მორგება კონკრეტულ მოთხოვნაზე ხორციელდება შესასვლელი ენის საფუძველზე. პაკეტი შესასვლელი ენით ითვლება რთული სტრუქტურის პროგრამათა პაკეტად. რთული იმიტომ, რომ ის თავისი სტრუქტურით რთულია. მისი განხორციელებისათვის ენის ტრანსლიატორია საჭირო ყველა სხვა ატრიბუტით. რთული სტრუქტურის პაკეტი გამოყენების დროს უნდა იყოს მარტივი. თუ ეს ასე არ არის, ეს არის პროგრამათა პაკეტის დამპროექტებლით გამოწვეული. ხშირად მთავარი პროგრამისტი აგებს ისეთ პაკეტებს, რომ მისი ექსპლუატაციისათვის საჭირო ხდება პროგრამათა პაკეტის დოკუმენტაციის საფუძვლიანი შესწავლა. ამით რთულდება პაკეტის ექსპლოატაცია.

პროგრამათა პაკეტების აგების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა პაკეტების აგება დიალოგის რეჟიმში. მანქანური დროის ხარჯვის შემცირების მიზნით დიდი რაოდენობის ამოცანების გადაწყვეტა მიზანშეწონილია პაკეტური დამუშავების რეჟიმში. უნდა გამოვიყენოთ ტრადიციული ოპერაციების ციკლი ეგმ-ზე ინფორმაციის დამუშავებაში.

ცნობილია ამჟამად ახალი მიმართულება — ეგმ უფრო მისაწვდომი უნდა გახდეს ფართო მომხმარებლისათვის. ამისათვის უნდა შეიქმნას ავტომატიზებული სამუშაო ადგილები ეკონომისტის, სტატისტიკოსის, ბუღალტრისა და სხვა სპეციალისტებისათვის. ავტომატიზებული სამუშაო ადგილების შექმნა რთული და შრომატევადი პროცესია. ეს ახალი ეტაპი იქნება გამოყენებითი პროგრამათა პაკეტების შემუშავებასა და დანერგვაში. სამუშაო ადგილის ავტომატიზაცია ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას. ცალკე უნდა გამოიყოს მანქანასა და ადამიანს შორის ურთიერთობის საკითხი. ამ დროს ხდება მანქანური ენის შემუშავება, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

�ადვილებს მანქანასთან ურთიერთქმედების საკითხს. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის გამოტანას პროგრამების მსვლელობის, მისი ნორმალური და არაკორექტული მუშაობის დროს. ვგულისხმობთ, რომ ძირითადი მიზეზი იქნება საწყისი ინფორმაციის მომზადებასთან დაკავშირებული. არის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც პროგრამის მიზეზითაც იქნება გამოწვეული. არის შემთხვევები, როცა პროგრამის დეფექტი გამოვლენილია პროგრამათა პაკეტის მუშაობის რამდენიმე თვის შემდეგ. ეს მოხდება მაშინ, თუ პროგრამათა გამართვის დროს არ იქნება გათვალისწინებული ყველა შესაძლო განშტოების ანალიზი პროგრამაში. ამ დროს საჭიროა პროგრამაში გამართვისათვის გამოვიყენოთ სპეციალური საშუალებანიც და, გარდა ამისა, საჭიროა გამართვისას გამოვიყენოთ საწყისი ინფორმაციის ანალოგების შექმნა ტესტირებისათვის მონაცემთა გენერატორების საშუალებებით.

სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების პროგრამათა პაკეტები აგებული უნდა იქნეს ფუნქციური პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენებიან რთული პროგრამული კომპლექსების კონსტრუირების დროს, ესენია: პარამეტრული უნივერსალობა, ფუნქციური სიჭარბე, ფუნქციური არჩევითობა.

პარამეტრული უნივერსალობის პრინციპი მნიშვნელოვანი პრინციპია, ამ დროს პროგრამების მორგება ხდება პარამეტრებით. ეს პროგრამები უზრუნველყოფენ გამოთვლით პროცესებს შეცვლილ ოპერაციულ გარემოში.

ფუნქციური სიჭარბის პრინციპი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გათვალისწინებული უნდა იყოს რამდენიმე ისეთი მოთხოვნა, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ესენია, მაგ., მეხსიერების ეკონომია და დამუშავების მინიმალური დროის მიღწევა.

ფუნქციური არჩევითობის პრინციპი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ დროს შეიძლება არჩეული იქნეს სხვადასხვა პროგრამა მანქანის მუშაობის ეფექტიანი მუშაობისათვის.

პაკეტების აგების სტრუქტურულ პრინციპებს მიეკუთვნება მოდულურობის პრინციპი, იერარქიულობისა და განვითარების პრინციპი.

მოდულურობის პრინციპი ერთ-ერთი მთავარი პრინციპია პროგრამათა აგების დროს. მოდულში იგულისხმება ლოგიკურად დასრულებული ოპერატორების ერთობლიობა, რომელიც ახდენს წინასწარ დასახული ფუნქციის რეალიზაციას. მოდულს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე შესასვლელი და გამოსასვლელი წერტილი. მისი ფუნქციური ჩაკეტილობის მიზნით უმჯობესია ჰქონდეს ერთი შესასვლელი და ერთი გამოსასვლელი წერტილი.

პროგრამათა პაკეტების აგების მოდულურ პრინციპს გააჩნია რიგი უპირატესობანი. მათ რიცხვში გამოირჩევა დიდი პროგრამის ფორმირება ცალკეული მოდულების საშუალებით. უნდა ვეცადოთ, რომ მოდულში განხორციელებული ალგორითმი მანქანისაგან დამოუკიდებელი იყოს. მოდულურობის პრინციპის მე-2 დადებითი მხარე ის არის, რომ ერთი და იგივე მოდული შეიძლება გამოვიყენოთ სხვა პროგრამაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტივდება პროგრამათა გამართვა, მარტივდება პროგრამათა კორექტირებაც. მოდულთა თანამიმდევრობის შეცვლით მარტივად ფორმირდება ახალი პროგრამათა მოდულები. მოდულები შეიძლება გავაერთიანოთ ბლოკებად, რომელთა დახმარებით მოხდება მუშა პროგრამების ფორმირება.

რთული სტრუქტურის პროგრამათა პაკეტში შემავალი პროგრამები იყოფა ორ ჯგუფად. პირველს მიეკუთვნება მმართველი პროგრამები, მეორეს—მუშა პროგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამები, რომლებიც ახორციელებენ საჭირო ალგორითმებს საგნობრივი ნაწილის მიხედვით.

შემუშავდა შემავალი ენა დინამიკური მწკრივების მოსწორებისათვის. გათვალისწინებულია ქვეპროგრამები ათი მოდელის მიხედვით. მასში შედის წრფივი, ლოგარითმული, პარაბოლური, მაჩვენებლიანი, ექსპონენციალური და სხვა სახის მოდელები. ლოგარითმული მოდელები ხუთი სახისაა. მათი აღნიშვნისათვის გამოიყენება იდენტიფიკატორები.

პროგრამათა პაკეტების შემუშავების დროს წარმოიშვება პაკეტის შემუშავების ვადების განსაზღვრის საკითხი. შემუშავების ვადების განსაზღვრა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. პროექტის ხელმძღვანელობა, შესრულებული სამუშაოების დაგეგმვა მეცნიერულად შემუშავებულ მეთოდებს უნდა ემყარებოდეს.

ლიტერატურა

1. Гурова Л. И., Сахаров С. С. Прикладные программы, М., «Статистика», 1979.
2. Брябрин В. М., Программное обеспечение персональных ЭВМ. М., «Наука», 1988.

ს. გელაშვილი

ექსპერტული პროგნოზების ხარისხის შეფასების სტატისტიკური მეთოდები

ექსპერტული შეფასების საფუძველზე მიღებული პროგნოზების ხარისხის ცნება საკმაოდ პირობითია. ამ შემთხვევაში უმეტესად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ არ უნდა არსებობდეს ძლიერი დაპირისპირება ინდივიდუალურ ექსპერტულ პროგნოზებს შორის, ასევე განზოგადებულ პროგნოზსა და ინდივიდუალურ პროგნოზულ შეფასებებს შორის. ამის შესაბამისად განზოგადებული ექსპერტული პროგნოზის ხარისხის ანალიზი ემყარება ინდივიდუალური ექსპერტული პროგნოზების შესაბამისობის შეფასებას, მათ შორის განსხვავების სიდიდის დადგენას და სხვა მახასიათებლების განსაზღვრას [იხ. 1, 2, 5], რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ცალკეული ექსპერტული პროგნოზული შეფასებების ერთგვაროვნების ან წინააღმდეგობრიობის შესახებ მსჯელობა.

ექსპერტული პროგნოზების ხარისხის შეფასებისათვის, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებული იქნეს ვარიაციული სტატისტიკის მაჩვენებლები: ვარიაციის გაქანება, ანუ არე, საშუალო წრფივი გადახრა, დისპერსია, ვარიაციის კოეფიციენტი, ანუ დონე.

ვარიაციის გაქანება ახასიათებს მოცემულ ინდივიდუალურ ექსპერტულ პროგნოზებში პოლარულ განსხვავებათა სიდიდეს. იგი განისაზღვრება როგორც სხვაობა ინდივიდუალური (ან ჯგუფური) პროგნოზების მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის, ე. ი.:

$$R = y_{max} - y_{min}, \tag{1}$$

სადაც y_{max} პროგნოზის მაქსიმალური შეფასების სიდიდეა;

y_{min} — პროგნოზის მინიმალური შეფასების სიდიდე.

პროგნოზის მნიშვნელობის საშუალო გადახრის შეფასებისათვის მისი საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობიდან გამოიყენება საშუალო კვადრატული გადახრის ფორმულა [იხ. 4], რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$A = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n} q_i (y_i - \overline{y})^2}{\sum_{i=1}^{n} q_i}}, \tag{2}$$

სადაც y_i პროგნოზული შეფასების i-ური ვარიანტია ($i=1, 2, \ldots, n$);

$\overline{y}$ — პროგნოზულ შეფასებათა საშუალო მნიშვნელობა;

q_i — პროგნოზის i-ური ვარიანტის სიხშირე.

ამავე მიზნისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს დისპერსიის მაჩვენებელიც [იხ. 6], ე. ი.:

$$D = A^2, \tag{3}$$

სადაც A წარმოადგენს საშუალო წრფივ გადახრას.

ექსპერტული პროგნოზების განსხვავების სიდიდის დასადგენად შეიძლება გამოყენებული იქნეს ვარიაციის დონის მაჩვენებელი [იხ. 4], რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$V = \frac{A}{y} \cdot 100\% , \tag{4}$$

ვარიაციის კოეფიციენტი ახასიათებს ინდივიდუალური პროგნოზული მაჩვენებლების ცვლილების ხარისხს.

ხშირად ინდივიდუალურ ექსპერტულ პროგნოზებს შორის ძლიერი განსხვავების გამო განზოგადებული პროგნოზული მაჩვენებელი არ წარმოადგენს ერთ განსაზღვრულ სიდიდეს. ასეთ შემთხვევაში საბოლოო პროგნოზული გადაწყვეტილება მიიღება გარკვეული ინტერვალური სიდიდის სახით, ე. ი.

$$\bar{y} - \Delta \leqslant y \leqslant \bar{y} + \Delta , \tag{5}$$

სადაც

$$\Delta = \frac{tA}{n^{0,5}} .$$

აქ იგულისხმება საშუალო პროგნოზული შეფასების მნიშვნელობების ნორმალური, განაწილება, ხოლო t არის სტიუდენტის კრიტერიუმი $n-l$ თავისუფლების ხარისხით. t-ს რიცხვითი მნიშვნელობები მოცემული p ალბათობით შეიძლება აღებული იქნეს სტიუდენტის სტანდარტული განაწილების ცხრილებიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტული პროგნოზის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ფაქტორის (ნიშნის) გავლენა, რომელთა მნიშვნელობების განსაზღვრა რაოდენობრივად შესაძლებელია, მაშინ მიღებული პროგნოზული შეფასებების შესაბამისობის დონის გამოსავლენად შეიძლება კორელაციური ანალიზის მეთოდების გამოყენება. ამასთანავე, ამ მეთოდებით შესაძლებელია დადგინდეს დაპირისპირების ხარისხი როგორც სხვადასხვა ნიშნებს შორის, ისე ფაქტორულ და პროგნოზულ მაჩვენებლებს შორის. პირველ შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$r_{jm} = \frac{\sum_{i=1}^{n} (x_{ij}^k - \bar{x}_j^k)(x_{im}^k - \bar{x}_m^k)}{(A_j - A_m)} , \tag{6}$$

სადაც, x_{ij}^k სისტემის k-ური ელემენტის i-ური ექსპერტის მიერ j-ური ფაქ-
ტორის ტორის გათვალისწინებით მიღებული მაჩვენებელია;

$\bar{x}_j^k$ — სისტემის k-ური ელემენტის j-ური ფაქტორის საშუალო მნიშ-
ვნელობა;

x_{im}^k და $\bar{x}_m^k$ — m-ური ფაქტორის ანალოგიური მაჩვენებლები;

Aj და Am შესაბამისად j-ური და m-ური ფაქტორების მიხედვით გა-
ანგარიშებული საშუალო კვადრატული გადახრებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$r_j^k = \frac{\sum_{i=1}^{n} (x_y^k - \bar{x}_j^k)(y_i^k - \bar{y}^k)}{(A_j - A_k)}, \qquad (7)$$

სადაც, y_i^k და $\bar{y}^k$ — შესაბამისად პროგნოზული შეფასების i-ური და საშუალო მნიშვნელობებია.

ზოგად შემთხვევაში მოცემული კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობები მოთავსებული იქნება —1-დან +1-მდე ინტერვალში, ე. ი. $-1 \leqslant r \leqslant +1$. იმ შემთხვევაში, როდესაც $r_j^k \geqslant 0{,}6$, მაშინ ადგილი აქვს პროგნოზის შეთანხმებულ შეფასებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემული პროგნოზის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, ხოლო თუ $r_j^k \geqslant 0{,}8$, მაშინ პროგნოზული შეფასება მაღალი ხარისხით ხასიათდება (იხ. 3).

იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტული პროგნოზების აგება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გავლენის გათვალისწინებით, შეფასების შესაბამისობის ხარისხის განსაზღვრა შესაძლებელია მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოისახება [იხ. 4]:

$$R = \sqrt{\frac{r_{y_i x_i}^2 + r_{y_i x_j}^2 - 2 r_{y x_i} \cdot r_{x_i} \cdot r_{x_i x_j}}{1 - r_{x_i x_j}^2}}, \qquad (8)$$

მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობები მოთავსებულია 0-სა და 1-ს შორის ინტერვალში. იმ შემთხვევაში, როდესაც $R \geqslant 0{,}6$, მაშინ ექსპერტული შეფასებები ერთმანეთისაგან ძლიერ არ განსხვავდებიან და ისინი ურთიერთშესაბამისობის კარგი დონით ხასიათდებიან.

ექსპერტული პროგნოზების ხარისხის შეფასება შესაძლებელია აგრეთვე სპირმენის კოეფიციენტის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ამოსავალ პირობებს მიეკუთვნება ის, რომ, ჯერ ერთი, ანალიზის პროცესში გამოიყენება ორი ექსპერტის შეფასებები და მეორეც, ყველა ნიშანს (ფაქტორს) ენიჭება გარკვეული რანგი. ეს კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$S = 1 - \frac{6 \sum_{i=1}^{n} d_i^2}{n(n^2 - 1)}, \qquad (9)$$

სადაც d_i ფაქტორული ნიშნების შეფასებებს შორის მიღებული i-ური სხვაობაა;

n — ფაქტორული ნიშნების რაოდენობა.

სპილმენის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოთავსებულია —1-დან +1-მდე საზღვრებში, ე. ი. $-1 \leqslant S \leqslant +1$. თუ მისი მნიშვნელობა უახლოვდება 1-ს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ მოცემული შეფასებები თითქმის ერთმანეთს ემთხვევა [იხ. 3].

იმ შემთხვევაში, როდესაც ანალიზის პროცესში გამოიყენება სამი და მეტი ექსპერტული შეფასების შედეგები, მაშინ მათი შესაბამისობის დახასიათება შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძლებელია კონკორდაციის კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება:

$$W=\frac{12\Delta}{m^2(n^3-n)}, \tag{10}$$

სადაც,

Δ ცხრილის სახით მოცემული ექსპერტთა შეფასებების მონაცემთა სტრიქონების მიხედვით გამოთვლილი კვადრატების ჯამსა და სვეტების მიხედვით გაანგარიშებული შეფასებებს შორის გადახრების საშუალო ჯამს შორის სხვაობაა. ამ განმარტებიდან გამომდინარე, Δ შეიძლება შეიცვალოს დისპერსიით (D);

m — ნიშანთა შეფასებების რაოდენობა;

n — ექსპერტთა რიცხვი.

იმ შემთხვევაში, თუ უკვე ცნობილია დისპერსია, კონკორდაციის კოეფიციენტი შეიძლება ასე გამოითვალოს:

$$W=\frac{D}{D_{max}}, \tag{11}$$

სადაც,

$$D_{max}=\frac{nm^2(n^2-1)}{2}, \tag{12}$$

მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ის აუცილებელი პირობა, რომ ექსპერტთა შეფასებების შესაბამისობის ხარისხი მაქსიმალურია, რაც პრაქტიკაში ხშირი არ არის.

ყველა განხილული მიდგომა საშუალებას იძლევა დადგინდეს ექსპერტული პროგნოზების ხარისხი მოცემული პროგნოზული შეფასებების შესაბამისობის გამოვლენის გზით. მაგრამ ეს მაჩვენებლები არ იძლევიან იმის განსაზღვრას, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ შეფასებებს შორის არსებულ განსხვავებებს, ასევე რამდენი პრინციპულად განსხვავებული შეფასებაა მოცემული და სხვ. მაგალითად, თუ მოცემული ექსპერტული შეფასებები გაიყო ორ დაპირისპირებულ ჯგუფად, მაშინ მხოლოდ განხილული მაჩვენებლების განსაზღვრა ვერ მოახდენს პროგნოზის ხარისხის შეფასებას. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ორ პროგნოზულ ალტერნატივას და საბოლოო პროგნოზული გადაწყვეტილების მიღება უნდა განხორციელდეს მხოლოდ დამატებითი ანალიზის საშუალებით.

ლიტერატურა

1. Бешелев С. Д., Гурвич Ф. Г., Математико-статистические методы экспертных оценок. М., 1980.
2. Габидзашвили В. С., Экономико-статистические методы прогнозирования производства и потребления чая, Тб., 1981.
3. ს. გელაშვილი., სტატისტიკური მოდელირება და პროგნოზირება. ნაწილი I. თბ., თსუ, 1993,
4. Елисеева И. И., Юзбашев М. М., Общая теория статистики. Учебник. М., 1995.
5. Тейл Г., Экономические прогнозы и принятие решений. Пер. с англ., М., 1971.
6. Четыркин Е. М., Статистические методы прогнозирования, М., 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. მაღრაძე

პროგრამული უზრუნველყოფის აღრიცხვის სრულყოფა

პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს იმ პროგრამათა ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ელექტრონული გამოთვლითი მანქანის (ეგმ) ან სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას მონაცემთა დამუშავების დროს. თანამედროვე ეგმ-სათვის ან სისტემისათვის დამახასიათებელია ისეთი პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის გამოყენებითაც მიიღწევა სხვადასხვა სახის კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტა პროგრამულ მოდულთა ერთობლიობის საფუძველზე. წინამდებარე ნაშრომში არ შევუდგებით პროგრამულ უზრუნველყოფაში შემავალი სახის პროგრამათა გარჩევას. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგი სახის პროგრამებს: სისტემურს და სპეციალურს. სისტემური პროგრამები წარმოადგენენ ოპერაციული სისტემის, სუპერვიზორის, მონაცემების, დავალებებისა და ამოცანათა მართვის პროგრამების, პროგრამირების ენების, ტრანსლიატორების, სერვისული და გენერაციის პროგრამათა ერთობლიობას.

სპეციალური დანიშნულების პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს გამოყენებით პროგრამათა პაკეტებს და მომხმარებლის ამოცანების ამოხსნის პროგრამებს.

ინფორმაციის მანქანური დამუშავების სისტემებში პროგრამების შემუშავებაზე და თანხლებაზე გაწეული დანახარჯები დღითიდღე იზრდება და ზოგჯერ მათი სიდიდე შეადგენს ტექნიკური საშუალებების ღირებულების 60—80% [1, 32]. მაგ., 1987 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამოთვლით დანადგარებში ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიურმა ღირებულებამ შეადგინა 75.8 მილიონი მანეთი. მათ შორის გამოთვლით ტექნიკაზე მოდიოდა 76%. დანარჩენი დანახარჯები მოდიოდა პროგრამულ უზრუნველყოფაზე. პროგრამულ უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯები გაიზარდა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ აღნიშნული სახის დანახარჯების ზრდა შეინიშნება საზღვარგარეთის ყველა ქვეყანაშიც. მაგ., 1980 წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში პროგრამულ უზრუნველყოფაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 40 მილიარდი დოლარი, რაც ამ ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 2%-ს შეადგენს [2, 31]. 1990 წლისათვის გათვალისწინებული იყო პროგრამულ უზრუნველყოფაზე დახარჯულიყო ეროვნული პროდუქტის ღირებულების 13%-ი [2, 32].

ეგმ-ის პროგრამული უზრუნველყოფა ინფორმაციის გადაცემის, გამრავლების, შენობებისა და სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად წარმოადგენს მანქანური ინფორმატიკის საწარმოთა ძირითად საშუალებებს. ის პროგრამული საშუალებები, რომლებიც თან მოჰყვა ეგმ-ს ან გამოთვლით სისტემას, არ შეიძლება ცალკე არ აღირიცხოს, როგორც ძირითადი საშუალებები. მათი ღირებულება შედის ეგმ-ის ან გამოთვლითი სისტემების ღირებულებაში. ასეთ პროგრამულ უზრუნველყოფას მიეკუთვნება ტესტური და დიაგნოსტიკის პროგრამები, ოპერაციული სისტემების პროგრამები, პროგრამა-კომპილატორები, პროგრამა-ტრანსლიატორები, სტანდარტული პროგრამების ბიბლიოთეკა და ა. შ.

პროგრამული უზრუნველყოფიდან ძირითად საშუალებებს შეიძლება მივაკუთვნოთ ის პროგრამები, რომელთა დახმარებითაც წარმოებს ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის ამსახველ ამოცანათა გადაწყვეტა. უმეტეს შემთხვევაში ეს პროგრამები იღებენ სასაქონლო ფორმას და წარმოადგენენ ყიდვა-გაყიდვის ობიექტს.

ძირითადი საშუალებების განსაზღვრებიდან გამომდინარე, პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება ჩაითვალოს ძირითად საშუალებად იმ შემთხვევაში, როდესაც შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ვადა აღემატება ორ წელს და ერთი ერთეული პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება აღემატება მოცემული პერიოდისათვის წინასწარ დადგენილ თანხას, დღეისათვის 300 ლარს. როდესაც საუბარია პროგრამული უზრუნველყოფის აღრიცხვის სრულყოფაზე, საჭიროა დავადგინოთ, თუ რა უნდა იქნეს მიღებული პროგრამული პროდუქტის ზომის ერთეულად (ერთი რომელიმე საშედეგო ფორმის მიღების პროგრამული უზრუნველყოფა, თუ რომელიმე ამოცანის ან კიდევ მთლიანად მართვის ავტომატიზებული სისტემის ქვესისტემის პროგრამული უზრუნველყოფა).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმჯობესია პროგრამული უზრუნველყოფის ანალიზური აღრიცხვა მოხდეს მართვის ავტომატიზებული სისტემების ქვესისტემების გამსხვილებული ამოცანების მიხედვით. ასეთი აღრიცხვა საშუალებას მოგვცემს პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის ანარიცხების გაანგარიშება მოვახდინოთ ისე, როგორც ნივთიერი სახის ძირითად საშუალებებზე. ანალიზური აღრიცხვა უმჯობესია მოვახდინოთ იმ პროგრამული მოდულების მიხედვით, რომლებიც უზრუნველყოფენ ამა თუ იმ საშედეგო ინფორმაციის მიღებას.

როდესაც საქმე ეხება პროგრამული უზრუნველყოფის, როგორც ძირითადი საშუალებების აღრიცხვას, საჭირო ხდება პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ვადის (სასიცოცხლო ციკლის) განსაზღვრა.

რთულია კლასიკური ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის ზუსტად განსაზღვრა, კიდევ უფრო რთული ხდება პროგრამული უზრუნველყოფის, როგორც ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის დადგენა.

პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ შემდეგი: ეგმ-ის მომსახურების ვადის სიდიდე, ეგმ-ის თაობების შეცვლის პერიოდის ხანგრძლივობა, ეგმ-ის პროგრამული და ინფორმაციული თავსებადობა, იმ გადასაწყვეტი ამოცანის ხასიათი, რომლისთვისაც შემუშავებულია პროგრამული უზრუნველყოფა და, ბოლოს, იმ ოპერაციული სისტემის პერსპექტიულობა, რომლის გარემოშიც შემუშავებულია პროგრამული უზრუნველყოფა.

ჩვენს ქვეყანაში ეგმ-ის მომსახურების საშუალო დროა 15 წელიწადი. ეგმ-ის თაობების ცვლილების პერიოდის ხანგრძლივობა სხვადასხვაა სხვადასხვა ქვეყ-

ნისათვის და შეიძლება განსაზღვრული იქნეს ემპირიულად. მაგ., აშშ-ში პირველი თაობის ეგმ-ის სერიული გამოშვება წარმოებდა ხუთი წლის განმავლობაში (1954 წლიდან 1958 წლამდე), მეორე თაობის — 7 წლის განმავლობაში (1958 წლიდან 1964 წლამდე), მესამე თაობის 10—14 წელი (1965 წლიდან 1978 წლამდე) [3,30].

ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი თაობის ეგმ-ის გამოშვება თითქმის 1969 წლამდე ხდებოდა. 1964 წლიდან დაიწყეს მეორე თაობის ეგმ-ის გამოშვება. ეს პერიოდი გაგრძელდა 1972 წლამდე. 1972 წლიდან დაიწყეს მესამე თაობის ეგმ-ის წარმოება. მესამე თაობის ეგმ-ის გამოშვება გაგრძელდა 70-იანი წლების ბოლომდე. 80-იანი წლების დასაწყისში შეუდგნენ მეოთხე თაობის ეგმ-ის გამოშვებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლზე ზემოქმედებს ამოსახსნელი ამოცანის ხასიათი. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ თუ ამოცანის ამოხსნის ალგორითმი უცვლელია დიდი ხნის განმავლობაში, მაშინ აღარ იქნება საჭირო შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის ხშირად გადაკეთება, რაც თავისთავად ზრდის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების დროს. თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების დროის ხანგრძლივობას, მაშინ აღნიშნული დროის სიდიდე შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{მომსახ.}} = (15 + T_{\text{საშ.}}) \cdot K \cdot P_{\text{თავსებ.}}, \qquad (1)$$

სადაც $T_{\text{მომსახ.}}$ არის შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ვადა, ანუ სასიცოცხლო ციკლი; $T_{\text{საშ.}}$ —ერთი თაობის ეგმ-ის გამოშვების პერიოდის ხანგრძლივობა; K — კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს ამოცანის ხასიათს, მისი ამოხსნის ალგორითმის მდგრადობას; $P_{\text{თავსებ.}}$ —ეგმ-ის თავსებადობის კოეფიციენტი.

$T_{\text{საშ.}}$ გაანგარიშება შეიძლება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$T_{\text{საშ.}} = \frac{T_{\text{საერთ.}}}{W}, \qquad (2)$$

სადაც $T_{\text{საერთ.}}$ არის დროის პერიოდი დაწყებული პირველი თაობის ეგმ-ის გამოშვებიდან, მიმდინარე წლის ჩათვლით; W —ეგმ-ის თაობათა რაოდენობა.

K კოეფიციენტმა შეიძლება მიიღოს შემდეგი მნიშვნელობები: 1, როცა გადასაწყვეტი ამოცანის ალგორითმი არ იცვლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში; 0,8 — თუ ამოსახსნელი ამოცანის ალგორითმი ხშირად არ იცვლება და იგი უდრის 0,5 — როცა ამოცანის ამოხსნის ალგორითმი ხშირად იცვლება.

$P_{\text{თავს.}}$ — შეიძლება მიიღოს ორი მნიშვნელობა. 1 — როცა ახალი თაობის ეგმ-ი არ არის პროგრამულად და ინფორმაციულად წინა თაობის ეგმ-თან (იმ მანქანასთან, რომლისთვისაც შემუშავებულია პროგრამული უზრუნველყოფა) და უდრის 2-ს, როცა ადგილი აქვს ეგმ-ის თავსებადობას.

გარკვეული ზომით პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობაზე მოქმედებს აგრეთვე იმ ოპერაციული სისტემის დონე, რომლის გარემოშიც შედგენილია პროგრამული უზრუნველყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი ძირითადი საშუალებები განიცდიან ფიზიკურ და მორალურ ცვეთას, ხოლო რაც შეეხება პროგრამულ უზრუნველყოფას, იგი ძირითადად განიცდის მხოლოდ მორალურ ცვეთას.

პროგრამული უზრუნველყოფის განახლებაზე გაწეული ხარჯები არ შეიტანება ინფორმაციის დამუშავების ღირებულებაში, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ინფორმაციის დამუშავების ღირებულების გადიდებას. განახლების ხარჯები უნდა შევიდეს ამორტიზაციის თანხაში.

ჩვეულებრივი ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის გადიდების მიზნით ზრდიან მათი მუშაობის ცვლიანობას და ამცირებენ ცვლის შიდა მოცდენებს. შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტიანობის გადიდების მიზნით საჭიროა გავადიდოთ პროგრამული უზრუნველყოფით ამოცანების ამოხსნის სიხშირე. აღნიშნული მიუთითებს იმის შესახებ, რომ ოპერატიული, განმეორებადი ამოცანების ამოხსნის პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტიანობა მაღალია. ეს მიიღწევა იმის საფუძველზე, რომ მონაცემთა დამუშავების ღირებულებაში ამორტიზაციის სახით ნაკლები თანხა შეიტანება. ასეთი სახის ამოცანებს მიეკუთვნებიან ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვის ამოცანები.

ჩვეულებრივი ძირითადი საშუალებების მსგავსად, პროგრამული უზრუნველყოფისათვის შეიძლება გავიანგარიშოთ ფონდუკუგებისა და ფონდაღჭურვილობის მაჩვენებლები.

$$\Phi_{\text{უკ.}} = \frac{\Pi}{Q_{\text{საშ. ღ.}}} \tag{3}$$

სადაც $\Phi_{\text{უკ.}}$ არის ფონდუკუგების მაჩვენებელია; Π — წლის განმავლობაში მოცემული პროგრამული უზრუნველყოფით ამოხსნილი ამოცანათა ღირებულება; $Q_{\text{საშ. ღ.}}$ — პროგრამული უზრუნველყოფის საშუალო წლიური ღირებულება. ფონდუკუგების შებრუნებული სიდიდე წარმოადგენს ფონდაღჭურვილობის მაჩვენებელს ($\Phi_{\text{აღჭ.}}$) და მიუთითებს, თუ რა ღირებულების პროგრამული უზრუნველყოფა მოდის მანქანური ინფორმატიკის ერთეულოვან პროდუქციაზე.

$$\Phi_{\text{აღჭ.}} = \frac{1}{\Phi_{\text{უკ.}}} = \frac{Q_{\text{საშ. ღ.}}}{\Pi}, \tag{4}$$

პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით მანქანური ინფორმატიკის საწარმოებში ძირითადი საშუალებების კლასიფიკატორში, რომელიც შემუშავებულია 1970 წელს, უნდა მოხდეს ცვლილებების შეტანა, კერძოდ უნდა დაემატოს ძირითადი საშუალებების ერთი ჯგუფი — პროგრამული უზრუნველყოფა. თავის მხრივ, ამ ჯგუფში გამოყოფილი უნდა იქნეს პროგრამული უზრუნველყოფისათვის ქვეჯგუფები, მაგ., მართვის ავტომატიზებული სისტემების ქვესისტემების ან მართვის ფუნქციების მიხედვით.

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს ინფორმაციული მომსახურების ერთ-ერთ სახეს. პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც ძირითადი საშუალება მანქანური ინფორმატიკის საწარმოებში შეიძლება შემოვიდეს სხვადასხვა გზით: მანქანური ინფორმატიკის საწარმოო დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიმუშავებს ამა თუ იმ სახის პროგრამულ უზრუნველყოფას და ახდენს მის მიყიდვას დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთისადმი სახელშეკრულებო ფასებში. ამ შემთხვევაში შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა მანქანური ინფორმატიკის საწარმოსათვის წარმოადგენს მზა პროდუქციას და იღებს სასაქონლო ფორმას, ხოლო მყიდველისათვის იგი წარმოადგენს ძირითად საშუალებას და უნდა აღირიცხოს როგორც ძირითადი საშუალება, თუ მანქანური ინფორმატიკის საწარმო ახდენს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას საკუთარი ამოცანების ამოსახსნელად, მაგ., მართვის ავტომატიზებული სისტემისათვის, მაშინ ასეთი პროგრამული პროდუქტი არ ღებულობს სასაქონლო ფორმას, იგი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალება. თუ პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა წარმოებს ალგორითმებისა და პროგრამირების ფონდიდან, მაშინ ასეთი პროგრამული უზრუნველყოფა ღებულობს სასაქონლო ფორმას და მყიდველთან იგი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალება. თუ მანქანური ინფორმატიკის საწარმოს მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე წარმოებს დამკვეთის მონაცემების დამუშავება, ამ შემთხვევაში აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალება და დამკვეთის მონაცემთა დამუშავების ღირებულებაში შეიტანება ამ პროგრამული უზრუნველყოფის ცვეთის ღირებულება.

ლიტერატურა

1. საინფორმაციო-გამოთვლითი ქსელების ავების საფუძვლები, დ. გ. ჟიმერინისა და ვ. ი მაქსიმენკოს რედაქციით, მოსკოვი, „სტატისტიკა", 1976 წ. (რუსულ ენაზე).
2. ბ. უ. ბოემი, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრული დაპროექტება, (თარგმანი ინგლისურიდან), მოსკოვი, „რადიო და სვიაზი", 1985 წ. (რუსულ ენაზე).
3. ო. გოლოსოვი, გ. ბედრინი, ე. ჩერნინი, გამოთვლითი სისტემები სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავებისათვის, მოსკოვი, „ფინანსები", 1977 წ. (რუსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. სეთურიძე

ექსპერტული სისტემები და მათი დანიშნულება

გამოთვლითი ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონემ მოითხოვა ინტელექტუალური კომპიუტერების შექმნის აუცილებლობა. ინგლისელმა მეცნიერმა ა. ტიურინგმა ლონდონის მათემატიკოსთა საზოგადოებაში, 1947 წელს მოხსენებით გამოსვლის დროს, იწინასწარმეტყველა: „დავუშვათ, რომ კომპიუტერი ჩვენ მოვამარაგეთ ზოგიერთი პირველადი, ცხრილის სახით ჩაწერილი ბრძანებებით, რომლებიც ისე არიან აგებულნი, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ცხრილების მოდიფიკაცია. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რომ, მას შემდეგ, რაც კომპიუტერი რამდენიმე ხანს იმუშავებს, ბრძანებები შეიცვლება იმის გათვალისწინებით, რომ კომპიუტერი ძველებურად შეასრულებს ყველა საჭირო გამოთვლას. შესაძლებელია ეს ის შედეგებია, რომლებზეც ჩვენ კიდევ უფრო ეფექტიანი ხერხების მიღების იმედი გვქონდა. მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ კომპიუტერის ასეთ მიღწევას, როდესაც მასში ვწერდით პირველად ბრძანებებს, არ ველოდით. ეს შეიძლება შევადაროთ მოსწავლეს, რომელმაც ბევრი აიღო მოძღვრისაგან, მაგრამ უფრო ბევრი შეიცნო დამოუკიდებლად მუშაობის დროს. როდესაც ასეთი მოხდება, უნდა ვაღიაროთ მანქანური ინტელექტი“ [1, გვ. 25].

უკანასკნელ წლებში „ხელოვნური ინტელექტის“ საერთო მიმართულებებიდან გამოიყო პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ექსპერტული სისტემების შექმნასთან. მისი დანიშნულებაა ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა საგნობრივ სფეროებში ამოცანის გადაწყვეტა სიტუაციის ექსპერტული შეფასებით. ექსპერტული სისტემების აგების დროს, ძირითადი პრობლემაა თუ როგორი ცოდნა შეიძლება იყოს მათში წარმოდგენილი და როგორი ფორმით. ცოდნის სტრუქტურა დამოკიდებულია მისი მოხმარების სფეროზე და შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ რთული ხასიათი. სამყაროში ცოდნის კომპიუტერით მანიპულირებისათვის, საჭიროა მისი მოდელირება. ცოდნის წარმოდგენის მოდელის შერჩევისა და დაპროექტებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ერთგვაროვნება და გაგების სიმარტივე, ანუ წარმოდგენილი ცოდნა გასაგებად მარტივი უნდა იყოს. ერთგვაროვნება მოგვცემს საშუალებას გავამარტივოთ ლოგიკური დასკვნების მექანიზმი და მოვახდინოთ ცოდნის მართვა. ცოდნის წარმოდგენა გასაგები უნდა იყოს როგორც ექსპერტისათვის, ასევე მომხმარებლისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში რთულდება ცოდნის შეძენა და მისი შეფასება. უმთავრეს შემთხვევაში მარტივი ამოცანების გადაწყვეტისათ-

ვის გამოიყენება საშუალედო, კომპრომისული ვარიანტი, ხოლო დიდი და რთული ამოცანების შემთხვევაში აუცილებელია ცოდნის სტრუქტურისებური და მოდულური წარმოდგენა. განვიხილოთ ცოდნის წარმოდგენის გავრცელებული ტიპური მოდელები:

— ლოგიკური მოდელი;
— პროდუქტიული მოდელი, ცოდნის წარმოდგენა წესების სახით;
— ფრეიმული მოდელი;
— სემანტიკური კავშირების მოდელი.

ცოდნის წარმოდგენის ყოველ მოდელს თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები აქვს.

თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის ექსპერტული სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესს. დღეისთვის უკვე ფართოდაა გავრცელებული ისეთი ექსპერტული სისტემები, როგორიცაა, MYCIN, PTRANS, ISIS და სხვა.

სისტემა MYCIN შექმნილია სტანფორდის უნივერსიტეტში, სისტემა PTRANS კარნეგი-მელონის უნივერსიტეტში, ხოლო სისტემა ISIS შექმნილია აგრეთვე კარნეგი-მელონის უნივერსიტეტში და გამოიყენება კომპანია „ვესტინგაუზ ელექტრიკ კორპორეიშენ"-ის ქარხანაში.

დღეისთვის პრაქტიკაში ექსპერტული სისტემები წარმატებით გამოიყენება მედიცინაში, სამრეწველო საწარმოების მართვაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა სფეროებში.

ექსპერტულმა სისტემამ შეიძლება შეადგინოს გეგმა სამრეწველო შეკვეთის შესრულებაზე. სისტემა შეარჩევს შეკვეთის შესრულებისთვის აუცილებელი ტექნოლოგიური ოპერაციების თანამიმდევრობას, განსაზღვრავს მათი შესრულების ვადებს. ის იყენებს როგორც შემკვეთის ამოცანის აღწერას, ასევე ინფორმაციას ქარხნის მუშაობაზე. ექსპერტული სისტემა თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ახერხებს პერსონალი გეგმის შესრულებას, გვაძლევს დიაგნოზს სიძნელეებზე, გვთავაზობს მათი დაძლევის ხერხებს, იძლევა პროგნოზს მასალების შესაძლო გადახარჯვაზე ან დეფიციტზე.

ექსპერტულმა სისტემამ შესაძლებელია მოგვცეს მარცვლოვანი კულტურის ავადმყოფობის დიაგნოსტიკა, რომელიც იყენებს აღმოცენების პირობებს და ავადმყოფობის სიმპტომების ცოდნას. სისტემა იყენებს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა ავადმყოფობის აღმოჩენის თვე, ტემპერატურა, მცენარის სიმაღლე, ფოთლების, ღეროებისა და თესლების მდგომარეობა, რათა გადაწყვიტოს ცნობილი ავადმყოფობიდან მიახლოებით რომელია უფრო დასაშვები.

ექსპერტული სისტემა შეიძლება აგრეთვე დაეხმაროს ფერმერებს ვაშლის ბაღების მოვლაში, მოგვცეს რეკომენდაციები ვაშლის მოსავლის თაობაზე. ექსპერტული სისტემა იყენებს სპეციალისტების ცოდნას მცენარეთა პათოლოგიასა და ენტომოლოგიაზე, სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლის მეთოდებზე, ცუდი ამინდით გამოწვეული დაზიანების შემდეგ ვაშლის გამოჯანმრთელებაზე. ცოდნის ბაზა შეიცავს ცნობებს ფუნგიციდებზე, ინსექტიციდებზე, ზარალზე მოყინვის ან დანაკარგზე გვალვის დროს.

განვიხილოთ ცოდნის წარმოდგენის თითოეული მოდელი:

ლოგიკური მოდელი ცოდნის წარმოდგენისთვის იყენებს პრედიკატთა ლოგიკის პირველი რიგის სისტემას და სილოგიზმს (ბერძნულად „Syllogismos" — დედუქციური დასკვნა). ლოგიკური მოდელების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს თეორიული დასაბუთების განუმეორებლობა და ფორმალურად ზუსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზღვრებებისა და დასკვნების სისტემის რეალიზაციის შესაძლებლობა.

პროდუქციულ მოდელებში ცოდნა წარმოდგენილია „თუ A, მაშინ B" სახის წესებით. შესაბამისად, პროდუქტიული სისტემები ისეთი სისტემებია, რომელთა ცოდნის ბაზა შედგება ზემოთ აღნიშნულისაგან. ეს სისტემები ორი დიამეტრულად განსხვავებული სახისაა — პირდაპირი და შებრუნებული დასკვნებით. პირველის ტიპური წარმომადგენელია სისტემა MYCIN, რომელიც გამოიყენებს დიაგნოსტიკური ხასიათის ამოცანებს, ხოლო მეორე სახის სისტემა OPS5 იყენებს დაპროექტების ამოცანებს.

პროდუქტიული სისტემის დადებითი მაჩვენებლებია: ცალკეული წესების შექმნისა და გაგების სიმარტივე, წესების დამატებისა და მოდიფიცირების სიმარტივე, ლოგიკური დასკვნების მარტივი მექანიზმი.

ფრეიმული მოდელი წარმოადგენს ადამიანის მეხსიერებისა და ცნობიერების სისტემატიზებულ ერთიან ფსიქოლოგიურ მოდელს. იმის გამო, რომ არ არსებობს მარტო ამ მეთოდით ცოდნის წარმოდგენის ენის კონკრეტული იდეები, იგი გარკვეულად აბსტრაქტულია. მასში ძირითადი მომენტი არის თვით ფრეიმი, როგორც ზოგიერთი კონცეპტუალური ობიექტის წარმოდგენისთვის გამოყენებული მონაცემთა სტრუქტურა. ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება ამ ფრეიმს, მოთავსებულია მის სტრუქტურულ ელემენტებში და ისინი, თავის მხრივ, ურთიერთკავშირში არიან და ქმნიან ერთიან ფრეიმულ სისტემას.

სემანტიკური კავშირების მოდელი ცოდნის წარმოდგენის ისეთი მოდელია, როცა მონაცემთა სტრუქტურა წარმოდგენილია მათი აზრობრივი ნიშნის მიხედვით შექმნილი ბადის სახით. ბადის კვანძები შეესაბამებიან ობიექტებს და განსაზღვრებებს, ხოლო კვანძების მაკავშირებელ არხებში განსაზღვრავენ კავშირებს ობიექტებს შორის.

ცოდნის ბაზების დაპროექტებისათვის საჭირო ეტაპებია:

1. საგნობრივი სფეროს შერჩევა;
2. საგნობრივი სფეროს შესწავლა;
3. შერჩეულ საგნობრივ სფეროში ფაქტების წარმოდგენა;
4. გადაწყვეტილებათა მიღების ხისმაგვარი სტრუქტურის შექმნა;
5. ექსპერტული სისტემის რეალიზაცია კომპიუტერზე.

პირველ ეტაპზე, საგნობრივი სფეროს შერჩევაზე მოქმედებს ორი ფაქტორი:

1. სფერო უნდა იყოს საკმაოდ დიდი, რათა შესაძლებელი იქნეს მართვადი რაოდენობის ინფორმაციის შეგროვება.

2. ვიდრე დავიწყებდეთ შესაბამისი ლიტერატურის შესწავლას და (ან) სპეციალისტებთან კონსულტაციას, საჭიროა ვიცოდეთ, კონკრეტულად რა გვინდა მივიღოთ, სხვა სიტყვებით — საჭიროა ყოველთვის ვფიქრობდეთ ჩვენს მიზანზე.

მეორე ეტაპზე ხდება:

1. შერჩეულ სფეროში საჭირო ლიტერატურის შეგროვება;

2. შემდეგ ამ სფეროში ცნობილი სპეციალისტებიდან ორი ყველაზე კომპეტენტურის შერჩევა და კონსულტაციის მიღება;

3. მონაცემების დაყოფა და ორგანიზება დამოუკიდებელ კატეგორიებად. კატეგორიების დაყოფა საშუალებას იძლევა გამოვრიცხოთ ის კატეგორიები, რომლებიც არ არიან მნიშვნელოვანი დასახული მიზნისთვის.

მესამე ეტაპზე ხდება:

1. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია, რაც მოიცავს ცოდნის ბაზის მიზნების დაკონკრეტებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მოცემულ საგნობრივ სფეროში ცოდნის გაღრმავებას;

3. ინფორმაციის კლასიფიკაციას.

მეოთხე ეტაპზე ხდება:

სისტემატიზებული ფაქტების საფუძველზე გადაწყვეტილებების ხისმაგვარი სტრუქტურის შექმნა, ექსპერტული სისტემისათვის მოსალოდნელი შეკითხვების დასმის საფუძველზე. გადაწყვეტილებების ხე — ეს არის შეკითხვების ჯგუფი, რომლებსაც გააჩნიათ დამოკიდებულება საგნობრივი სფეროს ფაქტებთან. გადაწყვეტილების ხე საშუალებას იძლევა შევარჩიოთ გადაწყვეტილების მიღების გზა.

მეხუთე ეტაპზე ხდება:

1. ექსპერტული სისტემის რეალიზაციისთვის პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა (პროლოგი, ლისპი, პასკალი, ვიჟუალ ბეისიკი, ACCESS და სხვა);

2. პერსონალური კომპიუტერის კონფიგურაციის შერჩევა. (შიდა მეხსიერების მოცულობა, პერიფერიული მეხსიერების მოცულობა, სწრაფმოქმედება, პერიფერიული მოწყობილობები და სხვა);

3. ცოდნის ბაზის შექმნა;

4. ექსპერტული სისტემის ფუნქციონირების ალგორითმის ჩამოყალიბება (მომხმარებლის ინტერფეისის ალგორითმის შექმნა, გადაწყვეტილებების მიღების ალგორითმების შექმნა).

ლიტერატურა

1. Hayes-Roth, F. Waterman, D. A., and Lentad, D., (eds), Building Expert Systems, Addison-Wesley, 1983.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გიგუაშვილი

განათლების რეფორმის აუცილებლობა და სპეციალისტთა მომზადების ძირითადი პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე

საბაზრო მეურნეობის რელსებზე გადასვლა როგორც მთელ საზოგადოებრივ სისტემაში, ისე განათლების სფეროშიც განაპირობებს რადიკალურ გარდაქმნებს. თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში საბაზრო მექანიზმი რეგულირებადია. როგორც ცნობილია, რეგულირებადი ბაზარი აადვილებს საზოგადოების წინაშე მდგომი სოციალური პრობლემების გადაჭრას, სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარებას და ადამიანის სოციალურ დაცვას, ამიტომ განათლების სფეროში საბაზრო მექანიზმების დამკვიდრების აუცილებლობასთან ერთად, საჭიროა ამ სფეროში სახელმწიფო რეგულირების ახალი მექანიზმების ამოქმედება, განათლების სისტემის იმგვარი შეცვლა, რომ მას სტიქიური საბაზრო განვითარების ნაცვლად, მიზანმიმართული, მართვადი ხასიათი მიეცეს. ამავე დროს, უნდა გამოირიცხოს ადრინდელი სისტემისათვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული, დირექტიული ელემენტები.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე განათლების სფეროს წინაშე დადგა მრავალი პრობლემა. ეს პრობლემები სპეციფიკურია განათლების ყველა საფეხურზე როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ისე სპეციალისტთა მომზადების სისტემაში.

ამით იყო გამოწვეული, რომ განათლება განისაზღვრა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად. მისი რადიკალური სრულყოფისათვის კი საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნა განათლების სისტემის რეფორმის შემმუშავებელი კომისია, რომელმაც დაამუშავა განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი რეფორმა, ჩვეულებრივ, მცირე ხნით ქმნის კრიზისულ ვითარებას, ამიტომ მის განსახორციელებლად არჩევენ შედარებით სტაბილური განვითარების პერიოდს. საქართველოში იგი დაემთხვა უკიდურესი ფინანსური გაჭირვების, ნგრევისა და სრული ეკონომიკური კრიზისის ვითარებას.

ყველა პროფილისა თუ საფეხურის სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა ქსელი, რომელიც განათლების სისტემის ძირეულ ბირთვს შეადგენს, ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრების ბაზაზე ფუნქციონირებს და ვითარდება, ხოლო ქვეყნის საბიუჯეტო შესაძლებლობების ზრდას მისი ეკონომიკური აღმავლობის ტემპები და დონე განაპირობებს. თავის მხრივ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სისტემის მიერ მომზადებული სპეციალისტთა კადრები, როგორც კვალიფიციური სამუშაო ძალა, თვითონ წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელ ნაწილსა და მისი ეფექტიანი გამოყენების აქტიურ ფაქტორს, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის გადიდებასა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე. ასეთია განათლების სისტემის ფუნქციური როლი ქვეყნის ერთიან მაკროეკონომიკურ მოდელში, რაც არსებითად განსაზღვრავს განათლების დარგის დაწესებულებათა ფინანსურ-რესურსული უზრუნველყოფის დამოკიდებულებას კონკრეტულად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ გარემოზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა განათლების სისტემას გააჩნია დაფინანსების სხვა წყაროებიც, კერძოდ, სასწავლო დაწესებულებათა დამოუკიდებელი სამეწარმო საქმიანობიდან მიღებული საკუთარი მოგება, სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარება, საგარეო თუ საშინაო გრანტები, შემოსავლები ფასიანი სწავლებიდან, საქველმოქმედო შემოწირულობანი და ა. შ.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის საწყის სტადიაზე, მართალია, ეროვნულ მეურნეობაში მიღწეულია გარკვეული სტაბილიზაცია, მაგრამ ქვეყნის განვითარების დონე ძალზე დაბალია.

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1996 წელს 730 დოლარს ვერ ასცდა, რაც 37-ჯერ ჩამორჩება აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს, 31-ჯერ იაპონიისას და 6-ჯერ რუსეთისას. რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში განათლების ხარჯების ხვედრით წონას, 1996 წლისათვის იგი საქართველოში 1,3% შეადგენდა. (მათ შორის სახელმწიფო დაფინანსებიდან — 0,9% და სხვა წყაროებიდან — 0,4%), განვითარებულ ქვეყნებში კი — 5—7% შორის მერყეობს [1].

ალბათ, ამიტომ შეაფასა იუნისეფის კონსულტანტმა განათლების რეფორმა, როგორც უფრო „სურვილთა ნუსხა, ვიდრე რეალური გარდაქმნების პროგრამა" [2].

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დარგის ფინანსური უზრუნველყოფის მოგვარება, სახელმწიფო დაფინანსების ხვედრითი წონის გაზრდასთან ერთად, არასაბიუჯეტო დაფინანსების წყაროების გაფართოება.

უნდა შევნიშნოთ, რომ, ერთი მხრივ, საქართველოში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულია განათლების მაღალი პოტენციალი, რომლის რეალიზაციის პირობები უკიდურესად შეიზღუდა ეკონომიკური კრიზისის დროს. მეორე მხრივ, განათლების სფეროში, კერძოდ, სპეციალისტთა მომზადებაში განვითარდა მოვლენები, რომლებიც ახლო მომავალში დიდი დისპროპორციულობის და შრომის ბაზარზე სპეციალისტთა მოთხოვნის დაუბალანსებლობის მიზეზებად გადაიქცევიან. ამავე დროს, ამ პერიოდში საქართველოში აღმავალი ტემპით გაფართოვდა უმაღლესი განათლების ქსელი, რომელიც მრავალი კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებით გამოიხატა; ასეთი სასწავლებლების ფუნქციონირება საბაზრო მეურნეობის აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ მან მიიღო გაუმართლებელი მასშტაბები, აქედან გამომდინარე კი — აბიტურიენტთა პრაქტიკულად უკონკურსო შერჩევა. აბიტურიენტთათვის შეთავაზებული მისაღები ადგილების რაოდენობა სრულ შეუსაბამობაშია საშუალო სკოლადამთავრებულთა კონტინგენტთან. ამას მოჰყვა ბევრი სხვა შეუსაბამობაც, რომელსაც აუცილებლად სჭირდება შეფასება მეცნიერთა მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სამინისტროს მონაცემებით 1995—96 სასწ./წლისათვის საქართველოს 23 სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 82,2 ათასი სტუდენტი. აღნიშნულ წელს სტუდენტთა მიღებამ 13,4 ათასი შეადგინა, გამოშვებული სპეციალისტებისამ კი 15,08 ათასი. 1996 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 264 კერძო უმაღლესი სასწავლებელი, რომელთა 64% თბილისში იყო განლაგებული. ამ სასწავლებლებში ირიცხებოდა 45,3 ათასი სტუდენტი, ე. ი. სახელმწიფო სასწავლებელთა სტუდენტების თითქმის ნახევარი. არადა, მეურნეობის სრული დატვირთვის პერიოდშიც კი სპეციალისტებზე მოთხოვნა 8—9 ათას კაცს არ აღემატებოდა. ამრიგად, ქვეყანაში მწვავედ დგას სპეციალისტთა ჭარბმომზადების პრობლემა, რომელიც მომავალში უმუშევრობის ზრდის გარანტიას იძლევა. შრომის ბაზარზე არც ახლა და არც ახლო მომავალში ამდენ სპეციალისტებზე მოთხოვნა არ შეიძლება იყოს. სპეციალისტთა ჭარბმომზადება უარყოფითად მოქმედებს სპეციალისტთა მომზადების ხარისხზეც, ამიტომ აუცილებელია სტუდენტთა რიცხოვნობის შეზღუდვა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებლებში, რაც რეფორმის განხორციელების ეკონომიკურ უზრუნველყოფასაც შეუწყობს ხელს.

დამაფიქრებელია უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრად განაწილების პრობლემა. საჭიროა სასწავლებლების გადანაწილება შემდგომში სპეციალისტების რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სპეციალისტთა მომზადება მიმდინარეობს მათზე მეტად მცირე დანახარჯებით. „ადამიანური კაპიტალის" თეორიის მიხედვით, განათლების ეფექტიანობა იმის ადეკვატურია, რაც ადამიანის ცოდნის მიღებაში ინვესტირდება. ამიტომ, იმ პირობებში, რომელიც დღეს გააჩნია უმაღლესი განათლების მთელ სისტემას და უფრო მეტად კი კერძო სასწავლებლების უმრავლესობას, სპეციალისტთა მომზადება ვერ მოხდება სათანადო დონეზე. სპეციალისტთა მომზადებაზე მეტისმეტად მცირე ინვესტიციები გამოვლინდება სპეციალისტთა დაბალი ცოდნის დონეში და ახალი მოთხოვნებისადმი სრულ შეუსაბამობაში, რაც საბოლოო ჯამში დიდი საზოგადოებრივი დანაკარგების ტოლფასია.

განათლების სისტემაში სახსრების დაბანდება უნდა გაიზარდოს არა მარტო სახელმწიფოს მხრიდან, არამედ მათ განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავონ კერძო ბიზნესის საქმეშიც.

ამერიკული კორპორაციები თავიანთი პერსონალის განათლებაზე და პროფესიულ მომზადებაზე წლიურად 60 მილიარდ დოლარს ხარჯავენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ სფეროში დანახარჯები უტოლდება თავდაცვითი მრეწველობის ხარჯებს [3, 30].

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1995—96 სასწ./წელს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გადასახადს იხდიდა სტუდენტთა კონტინგენტის მხოლოდ 12,8%. ამ წილის გაზრდა ხელს შეუწყობს დაფინანსების საერთო დონის ზრდას. რაც შეეხება არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს, რომელთა დაფინანსება უმთავრესად სტუდენტთა სწავლის გადასახადით განისაზღვრება, შესაბამის ორგანოებში საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფინანსური უზრუნველყოფის ნორმატივების შემუშავების დროს, საჭიროა განისაზღვროს სწავლების ფასის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინიმალური სიდიდე სპეციალობების მიხედვით, რაც კერძო სექტორის რეგულირების ძირითადი მექანიზმი იქნება. სტუდენტთა მომზადების ხარჯები უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო სტანდარტებს. გარდამავალ პერიოდში ეს შეიძლება ოდნავ შემცირდეს, მაგრამ არა ისე, როგორც ეს დღეს არის. განათლების სამინისტროს მონაცემებით 1996—97 წელს იგი ერთ მოსწავლეზე 83 ლარს, ხოლო ერთ სტუდენტზე მხოლოდ 300 ლარს შეადგენდა.

საქართველოში განათლების რეფორმა ხორციელდება იმ მიმართულებით, რომ არა მარტო გარდამავალ პერიოდში, არამედ შემდგომშიც ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს განათლების დონის სისტემურ ამაღლებას.

როგორც განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამაშია მითითებული, არსებითად გარდაიქმნება სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ზოგიერთი პრინციპი, აღმზრდელობითი მუშაობა, შეიცვლება სახელმწიფო სტანდარტები, განათლების სისტემის კადრები, განსაკუთრებით საჭიროა გარდაქმნები ეკონომიკური უზრუნველყოფის მხრივ, გაძლიერდება საინოვაციო საქმიანობა, გაუმჯობესდება მართვის მექანიზმი [4].

რადიკალური გარდაქმნებისათვის აუცილებელია განათლების ეკონომიკის მთელი რიგი საკითხების ღრმა თეორიული გააზრება და ახლებური მეთოდურ-მეთოდოლოგიური მიდგომა, არსებული სიტუაციის სწორად შეფასება და განსახორციელებელი პროგრამის უფრო მრავალ ასპექტში გააზრება.

სისტემის რეფორმისას, ჩვენი აზრით, უპირველესი მნიშვნელობა აქვს განათლების რაობის, მისი არსისა და მნიშვნელობის ახლებურ გააზრებას, ამავე დროს, ჩვენი პირობებისათვის ისეთი ოპტიმალური სასწავლო პროგრამების შექმნას, რომელიც არ იქნება ასლი დასავლეთის ქვეყნების განათლების პროგრამებისა და გაითვალისწინებს საქართველოს სპეციფიკასაც და შექმნილ განსაკუთრებულ სიტუაციასაც. იგი უნდა ითვალისწინებდეს ეკონომიკის განვითარებას, დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებებს, საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ-ფსიქიკურ თავისებურებებს.

შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სასწავლო დაწესებულებებმა უნდა მოამზადონ სტუდენტები სპეციალობათა მრავალჯერადი შეცვლისათვის, ასწავლონ მათ ახალი ჩვევების სწრაფი ათვისება, უნდა დადგეს საკითხი სპეციალობათა ნომენკლატურის ძირეული შეცვლის შესახებ იმ მიმართულებით, რომ რადიკალურად შემცირდეს ვიწრო სპეციალიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალობათა ნომენკლატურის სრულყოფას კერძო სასწავლებლებში, სადაც შეუზღუდავად ხდება სტუდენტთა მიღება ერთსა და იმავე, ე. წ. პრესტიჟულ სპეციალობებზე.

ამასთან, საქართველოს სამხარეო ცენტრების კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურების ფუნქციის რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესი სასწავლებლების გადაადგილება რაიცენტრებიდან სამხარეო ცენტრებში, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს კერძო სასწავლებლების ლიცენზირებისას.

განათლების სისტემის ფორმირებაში დიდი ეფექტი აქვს განათლების საფეხურებრივი სისტემის შექმნას და სწავლების დროის ოპტიმალურ განსაზღვრას. რეფორმით გათვალისწინებულია განათლების სისტემის არსებითი სტრუქტურული ცვლილებები, ჩვენი აზრით, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად მეურნეობის დარგთა სტრუქტურული ცვლილების პარალელურად, აუცილებელია განათლების სისტემის სტრუქტურული გარდაქმნაც.

განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გარანტიაა „განათლების შესახებ" საქართველოს კანონის რეალიზაცია.

ლიტერატურა

1. გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი", № 22, 1996 წ., რუსულ ენაზე.
2. იუნისეფი—საქართველო. რეფორმისა თუ ნგრევის ზღვარზე? იუნისეფის კონსულტანტის საბოლოო ანგარიში. თბ., 1995 წ.
3. Кольчугина М. Б., Образование и бизнес. Ж. «Мировая экономика и международные отношения», 1990, № 7, с. 30.
4. განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა. თბ., 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ჭიაბრიშვილი

უფროსკლასელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის ექსპერიმენტული — სასწავლო პროცესის მიმართულება

უფროსკლასელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის წარმატება ძირითადად დამოკიდებულია სწავლების შინაარსსა და მიმართულებაზე, იმაზე, თუ რამდენად იძლევა იგი აღმზრდელობითი სწავლების განხორციელების შესაძლებლობას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი მოითხოვს დიალექტიკურ, თეორიულ აზროვნებას. ეს უფროსკლასელს საშუალებას მისცემს დაინახოს თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში ის არსებითი ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს მეწარმის, ბიზნესმენის როლებთან დაკავშირებულ მოლოდინებს შორის, რათა შეეძლოს შეათანხმოს ეს მოლოდინები.

ექსპერიმენტული პროგრამის ფსიქოლოგიურ-დიდაქტიკურ საფუძველს — დ. უზნაძის „აღზრდის ტრაგედიის", „ძალდატანების, სწავლების საერთო წესის დამორჩილების ტრაგედიის" გათვალისწინებით — წარმოადგენს სწავლება მოსწავლეთა შემეცნებით-შეფასებითი საქმიანობის საფუძველზე [1, 58—64].

ასეთი სწავლების დროს მასწავლებელ-მოსწავლეთა საქმიანობის ურთიერთგაპირობებისა და ურთიერთკავშირის ისეთი შესაძლებლობა იქმნება, რომ მოსწავლე ამ პროცესის აქტიური მონაწილე ხდება. იგი თვითონ ახდენს ფაქტებისა და მოვლენების შეფასება-შემეცნებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური მოვლენებისადმი, ქცევისადმი დამოკიდებულების ფორმირებას.

ოჯახში, ისე როგორც სკოლაში, სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, უფროსკლასელი ეცნობა ეკონომიკურ მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ რა დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა მას ეკონომიკური მოვლენებისადმი, კონკრეტული ეკონომიკური ფაქტისა თუ ქცევისადმი, ყურადღება არ ექცევა.

უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებში გახსნილია დამოკიდებულების ცნების შინაარსი და მისი მნიშვნელობა სწავლების, აღზრდის თეორიისა და პრაქტიკისათვის. ნ. დ. ლევიტოვის აზრით, „გარე სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების აღსანიშნავად შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი ცნებებიც, როგორიცაა „იდეალი", „ინტერესები", „მიდრეკილებანი", „მოტივები", „გრძნობები". ამ ცნებათაგან თითოეული წარმოაჩენს პიროვნების მიმართულების ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ მხარეს" [2, 36].

ვ. ი. მიასიშჩევი „დამოკიდებულების" ცნებით ხსნის ადამიანის სულიერი აქტივობის ყველა თავისებურებას. აქედან გამომდინარე, იგი პიროვნებაზე ლა-

პარაკობს, როგორც დამოკიდებულებათა სისტემაზე. დამოკიდებულების ცნებაში იგი გულისხმობს ისეთ ფსიქიკურ ფენომენს, რომელიც ქცევას განსაზღვრავს არა განწყობის მეშვეობით, არამედ მისგან დამოუკიდებლად. მისი აზრით, განწყობა ხასიათდება მზაობით, დამოკიდებულება — არჩევითობით, შეწყნარებით ან უკუგდებით, განზიდულობით [3,9—16].

ჩვენ ვეთანხმებით შ. ა. ნადირაშვილს იმ მოსაზრებაში, რომ განწყობა, რომელიც ადამიანს ექმნება სინამდვილის მოვლენებისადმი, თვითონ შეიცავს შეწყნარებით ან უკუგდებით დამოკიდებულებას შესაბამისი სიტუაციის მიმართ. საგნებისა და მოვლენებისადმი შეწყნარებითი ან უკუგდებითი დამოკიდებულება განწყობის ქვალიტატური თვისებაა. დამოკიდებულებები იქმნება იმ სოციალური განწყობის ფიქსირების შედეგად, რომლებიც ადამიანის კონკრეტულ ქცევებს განსაზღვრავენ [4, 375].

როგორც ცნობილია, განწყობაში მოქმედების ესკიზური გეგმის სახით მოცემულია ამ მოქმედების მიმართულება, რომელიც ადამიანის შეგნებაში აისახება როგორც დამოკიდებულება.

ადამიანის სოციალური არსება თავის გამოვლენას პოულობს დამოკიდებულების საშუალებით. თუ ქცევაში დავინახავთ დამოკიდებულებას, მაშინ მოსწავლის ქცევის ორგანიზაცია სხვა არაფერია, თუ არა მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება. მაგრამ, ვთქვათ, უფროსკლასელი მონაწილეობს საოჯახო შრომით საქმიანობაში, ამით მას უბრალოდ მოქმედებას, ქცევას როდი ვასწავლით, არამედ ისეთი ეკონომიკური ღირებულებებისადმი დამოკიდებულებას ვუყალიბებთ, როგორიცაა შრომა, შრომის შედეგებისადმი მზრუნველად, მომჭირნედ მოქცევა.

აქედან გამომდინარე ეკონომიკური ღირებულებებისადმი დამოკიდებულებების ფორმირების შინაარსში ჩვენ გამოვყავით შემდეგი არსებითი მომენტები:

1. ეკონომიკური მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული მოლოდინების ცოდნა;

2. ამ მოვლენების, მოლოდინების, ეკონომიკური ქცევის შეფასება-გაცნობიერება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის სინამდვილიდან გამომდინარე (ყოველი შეფასება გულისხმობს მოწონებას ან დაწუნებას, რაღაცის მიღებას ან მიუღებლობას, რაც განწყობაში პოულობს გამოხატულებას და ქცევის მოტივაციურ საფუძველს ქმნის).

უფროსკლასელის მიერ იმის ცოდნა, რომ მეწარმეობა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი სფეროა და ისე, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში, ამ სფეროშიც ვლინდება და იშლება ადამიანის არსებობის მთელი სიმდიდრე, „კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს მოსწავლეთა ქცევაზე".

ეკონომიკური შენებისათვის საკმარისი არ არის საბაზრო ეკონომიკის, მეწარმეობის მოთხოვნათა მხოლოდ ცოდნა, საჭიროა ამ მოთხოვნათა გააზრება და შინაგანი მიღება. ეკონომიკური შეგნება ცოდნასთან ერთად მოიცავს ეკონომიკური მოვლენებისა და ღირებულებების შეფასებით-შემეცნებით მხარეს. შესაძლებელია უფროსკლასელმა გოგონამ ან ბიჭმა კარგად იცოდეს, რომ საბაზრო ეკონომიკური საქმიანობა, მეწარმეობა აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, რომ საჭიროა ამ საქმიანობაში ისეთი ეკონომიკური თვისებების გამოვლენა, როგორიცაა ინიციატივა, გერგილიანობა, ინტუიცია, გადაწყვეტილების მიღებისა და რისკის უნარი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკისადმი, მეწარმეობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო ეს ცოდნა ქცევის გამაპირობებელ ძალად შეიძლება ვერ იქცეს. რა თქმა უნდა, თვით ცხოვრება—საბაზრო

ეკონომიკის ამოქმედება ჩვენში გარკვეულ დამოკიდებულებას გამოუმუშავებს ადამიანებს, მაგრამ პიროვნების დამოკიდებულების ხასიათს განსაზღვრავს მისი ემოციურ-ნებელობითი განწყობა, პოზიცია, საბაზრო ეკონომიკასთან, მეწარმეობასთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინების ხარისხი, ძალა, თანაფარდობის გაცნობიერება ამ მოვლენის შეფასებისა და იმას შორის, რაც უნდა იყოს. მაგალითად, ახალგაზრდამ იცის მოლოდინები, რომელიც სიგარეტის მოწევას ან ალკოჰოლიანი სასმელების მიღებას მოჰყვება, მაგრამ ხშირად მოლოდინები მთლიანად არ განსაზღვრავენ ქცევის ხასიათს. მხოლოდ დამოკიდებულების საშუალებით იძენს მოლოდინების გათვალისწინება ძალას და ქცევასაც მისაღები ან მიუღებელი მიმართულება ეძლევა.

საერთოდ ეკონომიკის, მათ შორის საბაზრო ეკონომიკის მრავალი მხარის „აზრობრივი შეპირისპირების, შედარების, შეჯერების", მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიების შესაძლებლობებს იძლევა განმავითარებელი სწავლება. ექსპერიმენტული სწავლება, რომელსაც საფუძვლად ედო მოსწავლეთა შეფასებითშემეცნებითი საქმიანობა, მიმართული იყო პიროვნული ძალების (აზროვნება, ემოციები, პრაქტიკული მოქმედებანი და ა. შ.) აქტივობისა და ამოქმედებისაკენ.

შემეცნებით აქტივობას, როგორც ადამიანის თანდაყოლილ თვისებას, ორმხრივი მიმართება აქვს: მიმართება თავის თავთან (ადამიანმა იცის, რაც თვითონ არის და რაც მასში ხდება) და მიმართება სხვასთან, მეორე ადამიანთან, ყველასთან და ყველაფერთან, ე. ი. ცნობიერების მიმართება მთელ სამყაროსთან (ინტროსპექციის უნარი), ორივე შეთმხვევაში, ამოცანის ამოხსნა თავის თავში ჩახედვას ნიშნავს, მეორე შემთხვევაში — სინამდვილეში (ჩვენს შემთხვევაში— საბაზრო ეკონომიკის სინამდვილეში) ჩახედვას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ცნობიერება მაშინ იჩენს აქტივობას, როცა პრობლემური სიტუაცია იქმნება და მისი გადაწყვეტისათვის საჭიროა ცოდნის გამდიდრება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უფროსკლასელთა ისეთ ფსიქოლოგიურ თავისებურებას, როგორიცაა ცხოვრებისეული მისწრაფებანი და ფიქრი მომავალზე, ცხოვრების მიზნის გაცნობიერება და საკუთარი თავის ძიება და სხვა.

ცხოვრებისეული გამოცდილების უკმარისობისა და იმის გამო, რომ მათ ჯერ კიდევ არ შესწევთ უნარი ობიექტურად შეაფასონ მოვლენები, მომავალში ეძებენ და ხედავენ კიდეც იმას, რაც თვითონ სურთ. ამის გამო უფროსკლასელთა დამოკიდებულება სინამდვილისადმი სუბიექტურ პოზიციაში ვლინდება, რაც გამოიხატება მათი საქმიანობის მოტივებში, ქცევის ფორმალურ ხასიათში და იმაში, რომ ხშირად ერთმანეთს სცილდება შეხედულებები და პრაქტიკული ქცევა.

ამ თავისებურებების გათვალისწინებამ ექსპერიმენტული პროგრამის ისეთი შინაარსით წარმოდგენა და მისი ისეთი ორგანიზაცია მოითხოვა, რომელიც დაეხმარება, უფროსკლასელს, როგორც მომავალ ეკონომისტს, მეწარმეს, ბიზნესმენს გაიცნობიეროს ამ როლებთან დაკავშირებული მოლოდინები, ოცნებასა და სინამდვილეს, მოდელსა და რეალობას, სასურველსა და შესაძლებელს შორის თანაფარდობა, რაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს უფროსკლასელთა მოლოდინების ექსპექტაციას.

შემდეგი პრინციპი ესაა თეორიულ და პრაქტიკულ პლანში ვარჯიში.

თეორიულ პლანში ვარჯიშის ფუნქციებია:

1. კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ ცნებაზე მოსწავლეთა მუშაობა, მათ მიერ ეკონომიკური აზრის ისტორიიდან მასალის შეგროვება, ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი ეკონომისტების, ბიზნესმენების ბიოგრაფიის გაცნობა. ასეთი ვარჯიშები მოსამზადებელი ვარჯიშების სახით და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებლად მუშაობას, თანამიმდევრობას თემის საკითხების გადაწყვეტაში. მეცადინეობის პროცესში მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებზე ყურადღების გამახვილება და მათი ჩართვა ამ პროცესში, ხელს უწყობს აქტივობას და, საბოლოო ჯამში, განაპირობებს სწავლების ეფექტიანობას;

2. ვარჯიში (დავალებები) ცოდნის განმტკიცების (აღდგენის, გამეორების) მიზნით;

3. ვარჯიში (დავალებები) ცოდნის შემოწმების მიზნით.

როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პლანში ვარჯიში შემდეგ პირობებს ითვალისწინებს: 1. ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ვარჯიშის მიზანი, მოსალოდნელი შედეგი; 2. საჭიროა სპეციალურად ყურადღება გამახვილდეს იმ შეცდომებზე, რომელსაც მოსწავლეები უშვებენ, რათა შემდგომ ვარჯიშში ამ შეცდომებზე ვიმოქმედოთ;

4. საჭიროა ვარჯიშები თანდათან გავართულოთ;

5. დავიცვათ ვარჯიშთა შორის დროის გარკვეული ხანგრძლივობა. (ვარჯიშთა შორის დიდი ინტერვალები ხელს უწყობს ფსიქიკურ პროცესთა შესუსტებას, ასევე თუ ჩვევა ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული, დროის ხანგრძლივობის გამო შეიძლება არა მარტო შესუსტდეს, არამედ დაიკარგოს კიდეც).

პრაქტიკულ პლანში ვარჯიშის ფუნქციას ასრულებს თამაში — შეჯიბრი. იგი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მასში მონაწილეობდნენ როგორც ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები და კლასის ხელმძღვანელი, შრომის მასწავლებელი (ეს უკანასკნელნი უნდა მონაწილეობდნენ თამაშის მომზადებასა და ჟიურის მუშაობაში), რაც საშუალებას მოგვცემს შვილები — მოსწავლეები მშობლებმა, მასწავლებლებმა შეაფასონ, სათანადო დასკვნები გამოიტანონ და ჩვენთან ერთად იმოქმედონ.

მშობელთა (როგორც დედების, ისე მამების) აქტიური დახმარება მოითხოვა ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეთა ოჯახებში პედაგოგიურად ორგანიზებული გარემოს შექმნამ. მშობლები „დამალულ ფორმაში" შვილებს აყენებენ ისეთ „განსაკუთრებულ მდგომარეობაში", რომელიც უფროსკლასელთა წინაშე ქმნის რეალური პასუხისმგებლობის სიტუაციას და, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს პრაქტიკულ ქმედებას.

ამრიგად, პრაქტიკულ პლანში ვარჯიში მოითხოვს სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მოქმედების პრინციპით მუშაობას. ამ პრინციპით მუშაობა ითვალისწინებს: ა) იმ ჯგუფში, სადაც ტარდება ექსპერიმენტი, მშობლები უნდა გაეცნონ ექპერიმენტის მიზანს, ამოცანებს; ბ) საცდელ მუშაობაში თანააქტივობისა და მასწავლებელთა როლის ამაღლების მიზნით საჭიროდ უნდა ჩაითვალოს მათი შეხედულებების გათვალისწინება. ამისათვის ექსპერიმენტული პროგრამის აპრობაციის პროცესში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: რა აზრის ხართ ექსპერიმენტული პროგრამის შინაარსზე, რა ცვლილებებს შეიტანდით მასში და სხვა. გ) ექსპერიმენტული ჯგუფის ხელმძღვანელი სისტემატურად უნდა გაეცნოს მოსწავლეთა ნამუშევრებს; დ) მოსწავლეთა ნამუშევრები განსახილველად უნდა იქნეს გატანილი სპეციალურად მოწვეულ მშობელთა კრებაზე. შვილების შეხედულებათა გაცნობა მშობელთა ინტერესს გამოიწვევს.

როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პლანში ვარჯიშმა საშუალება უნდა მოგვცეს: 1)ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეთათვის ისეთი კონკრეტული მიზნის დასახვისა, რომლის მიღწევაც გარკვეული დაბრკოლების დაძლევის ხასიათს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავლისაგან მოითხოვს კონკრეტულ ქცევას; 2) დასახული მიზანი, ამ მიზნის განხორციელების გზები მოსწავლეთათვის მიმზიდველი უნდა იყოს; 3) იმ მოთხოვნებით, რომელთაც პრაქტიკული ვარჯიშები ითვალისწინებს, უნდა მივაღწიოთ მოსწავლეთა აქტივობას; 4) პრაქტიკული ვარჯიშებით გათვალისწინებული მოთხოვნები მოსწავლეებმა იძულებით კი არ უნდა შეასრულონ, არამედ ნებაყოფლობით; 5) ექსპერიმენტული ჯგუფის თითოეული მოსწავლე უნდა ჩავაყენოთ „განსაკუთრებულ მდგომარეობაში", რომელიც რეალური პასუხისმგებლობის გამოვლენის საშუალებას შექმნის. პასუხისმგებლობის შეცნობა ქცევის მოტივაციურ სფეროში იწვევს ცვლილებებს. წამყვან მოტივებად გამოდის ხალხის, ქვეყნის საერთო ინტერესები; 6) რეალური პასუხისმგებლობის სიტუაციაში უნდა გამოვლინდეს მოსწავლეთა დამოუკიდებლობა, აქტივობა.

თეორიული ვარჯიშები ბუნებრივად უნდა შეერწყას პრაქტიკული ვარჯიშების სისტემას და ექსპერიმენტულ მუშაობაში შეასრულოს მოსწავლეთა მიერ გარკვეული ეკონომიკური ცოდნის შეძენის, ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების და მათი განმტკიცებისა და შემოწმების ფუნქცია.

ლიტერატურა

1. დ. უზნაძე. აღზრდის ძირითადი ტრაგედია. ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", № 1, 1980.
2. Левитов Н. Д. Психология характера, М., 1969.
3. Мясищев В. И, О связи проблем психологии отношения и психологии установки. В кн. Понятие установки и отношения в медицинской психологии (Материалы симпозиума), Тб., 1970.
4. შ. ნადირაშვილი. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბ., 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. მარშავა

მარკეტინგის სტრატეგიის ინფორმაციულ-სტატისტიკური უზრუნველყოფა

მარკეტინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება მისი სტრატეგიის შემუშავება, რომელსაც ეფუძნება მარკეტინგის გეგმა და მარკეტინგულ ღონისძიებათა პროგრამა. მარკეტინგის სტრატეგია არის პრინციპებისა და საბაზრო გადაწყვეტილებათა კომპლექსი, პრიორიტეტული მიზნებისა და მოქმედებათა მიმართულებების არჩევა.

მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავების ძირითადი წინაპირობაა ინფორმაცია და მისი ანალიზი, ფირმის საკუთარი შესაძლებლობების დახასიათება და კონკურენტის ქცევისა და განზრახვების გამოვლენა.

ყველა ძირითადი მარკეტინგული მიზანი — ბაზარზე ფირმის წილის ზრდა, საქონლის გასაღების ზრდა, ახალი საქონლის შემუშავება და მისი ბაზარზე გატანა, მარკეტინგული (მიზნობრივი) მოგების მიღება — ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. ბაზრის წილის დაპყრობა შესაძლებელია მხოლოდ საქონლის გარკვეული რაოდენობის გაყიდვით ანუ გასაღების გადიდებით, რაც, თავის მხრივ, იწვევს მოგების ზრდას. როგორც წესი, გაყიდვების მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია ბაზარზე ახალი საქონლის გატანასთან, რომელზეც იქნება დიდი მოთხოვნა. ინფორმაციულ-ანალიტიკური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ფირმის მიერ ბაზარზე დაკავებული ადგილის დახასიათება და საბაზრო სიტუაციის სხვადასხვა ვარიანტებით განვითარებისას ფირმის წილის პროგნოზი. ამასთანაა დაკავშირებული ფაქტობრივი მოგების შეფასება და მისი ზრდის პროგნოზი.

ახალი საქონლის შემუშავება, მისი გასაღების პოტენციურ შესაძლებლობათა განსაზღვრა ხორციელდება პოტენციურ შესაძლებლობათა ორი მიმართულებით: ტექნოლოგიური და მარკეტინგული. პირველი განსაზღვრავს ტექნიკურ წინაპირობებსა და წარმოების პირობებს, მეორე ავლენს, სჭირდება თუ არა საქონელი მომხმარებელს, ანუ იქნება თუ არა მასზე მოთხოვნა, ვინ და რა რაოდენობით იყიდის მას. ახალი საქონლის რეალიზაცია დამოკიდებულია კონკურენტუნარიანობაზე, ამიტომ მისი წინწაწევის სტრატეგიის შემუშავება უნდა ეყრდნობოდეს საქონლის ტესტირებასა და სერტიფიკაციის შედეგებს.

ფირმის საკუთარ შესაძლებლობათა შეფასებაში შედის საქონლისა და მთლიანად ფირმის კონკურენტუნარიანობის დახასიათება, ფინანსური და მატერიალურ-საწარმოო პოტენციალის გამოვლენა, ფირმის მდგომარეობა ბაზარზე კონკურენტთან შედარებით.

გაითვალისწინება, აგრეთვე, ფირმის საქმიანობის ტიპი და სფერო, ფირმის ზომა და სტრუქტურა, სტატისტიკური უზრუნველყოფა მოითხოვს შემდეგი მაჩვენებლების შემუშავებას:

— გასაღების მოცულობა მთლიანად ფირმის მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოცემულ ბაზარზე გასაღების საერთო მოცულობაზე ფირმის კუთრი წილი;

— საწარმოებისა და ფირმის ქვედანაყოფების რაოდენობა და ზომა;

— რეალიზებული საქონლის სტრუქტურა და ასორტიმენტი;

— დანახარჯებისა და შემოსავლების ზომა;

— საბრუნავი საშუალებების ზომა;

— რესურსების არსებობა.

მსხვილი ფირმისათვის აუცილებელია იმ სასაქონლო და რეგიონალურ ბაზართა ნუსხა, რომელზეც ის არის წარმოდგენილი, აგრეთვე მონაცემები კონკურირებადი ფირმების რაოდენობისა და ზომის შესახებ. მცირე, ვიწრო სპეციალიზებული ფირმებისათვის საჭიროა მისი საბაზრო ნიშის დახასიათება, ანუ ბაზარზე მისი მიზნობრივი ადგილი, მისი პოზიციების მდგრადობის ხარისხი, აგრეთვე კონკურენციის არსებობა ან შედარებით უმნიშვნელო როლი, რაც დამახასიათებელია ასეთი სახის საბაზრო საქმიანობისათვის.

მარკეტინგული დაგეგმარებისა და გეგმის შესრულების კონტროლის სტატისტიკური უზრუნველყოფა ითვალისწინებს კონკრეტული ფირმის საქონელზე მოთხოვნის, დანახარჯებისა და მოგების, კონკურენტთა ქცევის პროგნოზირებას. კეთდება სამეურნეო პორთფელის მდგომარეობისა და ცვლილებების შეფასებები. იგება მოცემული ფირმის საქმიანი აქტივების მოდელები. განვითარების ხასიათის გამოსავლენად ანალიზდება ბაზარზე ფირმის მიერ მოპოვებული მდგომარეობა. ფირმის განვითარების ინტენსიურ ტიპად ითვლება:

1. საყიდლების ზრდა და მომხმარებელთა წრის გაფართოება, რაც მიანიშნებს ბაზარზე საქონლის ღრმად შეჭრას;

2. ბაზრის საზღვრების გაფართოება;

3. საყიდლების ზრდა საქონლის სრულყოფის ხარჯზე.

მარკეტინგის პრაქტიკაში ცნობილია ბაზარზე ფირმის პოზიციის შეფასების მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, შესაძლებელი სტრატეგიებიდან ერთ-ერთის არჩევაზე: იერიშის სტრატეგია ხელსაყრელი პოზიციის დროს (c1); დაცვის სტრატეგია საშუალო, გაურკვეველი პოზიციისას (c2); უკანდახევის სტრატეგია არახელსაყრელი პოზიციის დროს (c3). ეს არის ე. წ. სტრატეგიული მატრიცა ან გრაფიკული ბადე, რომელიც წარმოქმნილია ბაზრის სიტუაციისა და ფირმის საკუთარი შესაძლებლობების დამახასიათებელი, ორი ფაქტორის, კოორდინატთა კვეთით. მარკეტინგში სტრატეგიული მატრიცა არის სივრცითი მოდელი, რომელიც ასახავს ბაზარზე ფირმის პოზიციას ორი ფაქტორის მოქმედების კომბინაციასთან დამოკიდებულებით.

სტრატეგიულ მარკეტინგულ დაგეგმარებაში მატრიცების გამოყენება აგრეთვე საჭიროებს სტრატეგიულ უზრუნველყოფას. მატრიცის რიგში ცვლადად გამოდის ფაქტორთა ორი კომპლექსი, რომლებსაც ირჩევენ დასმული მიზნებიდან დამოკიდებულებით. თითოეული მათგანის მიხედვით ხდება მრავალგანზომილებიანი საშუალოს გამოთვლა, რომელიც საშუალებას იძლევა თითოეულ ერთობლიობას მიეცეს დახასიათება. ასე, ბაზარზე სიტუაცია შეიძლება დახასიათდეს საქონლის გაყიდვის საერთო მოცულობის ზრდის ტემპით, სასაქონლო მარაგებით, ფასების მერყეობით, კონკურენციის ინტენსივობის მაჩვენებლით, აგრეთვე, ბაზრის ტევადობით, მოგების საშუალო ნორმით და ა. შ. ფირმის საკუთარი შესაძლებლობები ან მისი კონკურენტუნარიანობა შეიძლება გამოისახოს ბაზარზე ფირმის მიერ დაკავებული წილით, საქონლის კონკურენტუნარიანობის დონით, ფირმის საკრედიტო-საფინანსო პოტენციალით საქო-

ნელბრუნვის ეფექტურობით, მარკეტინგული სამსახურის კვალიფიკაციით, ფირმის იმიჯით და ა. შ. ფაქტორთა ნაკრები შეიძლება იცვლებოდეს ბაზრის ტიპის, საქონლის სახეების, ფირმის ზომისა და ინფორმაციულ შესაძლებლობათა მიხედვით. მრავალგანზომილებიანი საშუალოს გამოთვლა რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიდიდეების ერთობლიობის მიხედვით წარმატებით შეიძლება შეიცვალოს ბალური მრავალგანზომილებიანი შეფასებით: სტრატეგიული ინდექსებით, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$B=\frac{\sum_{i}^{n} B_i W_i}{\sum_{i}^{n} W_i}.$$

სადაც B არის საშუალო ქულა (სტრატეგიული ინდექსი) ფაქტორთა i-ური ერთობლიობის მიხედვით;

Bi—ყოველი i-ური ფაქტორისათვის მისი სიდიდის ან მოქმედების ძალისგან დამოკიდებულებით ექსპერტული გზით მიკუთვნებული ქულა;

Wi — თითოეული ფაქტორის რანგი ან წონა იმ როლისგან დამოკიდებულებით, რომელსაც ის ასრულებს კომპლექსში (განისაზღვრება ექსპერტული გზით).

საბაზრო სიტუაციის სტრატეგიული ინდექსი (A) განსაზღვრავს ორდინატთა ღერძზე განლაგებულ კოორდინატებს, ხოლო ფირმის საკუთარი შესაძლებლობების სტრატეგიული ინდექსი (B) — აბსცისთა ღერძზე განლაგებულს.

თვით სტრატეგიული მარკეტინგული მატრიცის ალგორითმი შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:



საკუთარი შესაძლებლობები, ფირმის კონკურენტუნარიანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებები ბაზარზე ქცევის შესახებ (C) მიიღება იმის საფუძველზე, თუ მატრიცის ფაქტორთა ზემოქმედების კომბინაციით წარმოქმნილ რომელ ველზე მოხვდება პარამეტრების მიხედვით მოცემული ფირმა. კვადრანტთა მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს ოთხი, თუმცა, პრინციპში მატრიცა შეიძლება შეიცავდეს კვადრანტთა ნებისმიერ რიცხვს. კვადრანტების ოპტიმალურ რიცხვად ითვლება 9-16, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგების ინტერპრეტირება რთულდება. გადაწყვეტილების მისაღებად რაოდენობრივი შეფასებები შეიძლება შეიცვალოს ეკვივალენტური ხარისხობრივი შეფასებებით, მაგ., კარგი, მაღალი (I რანგი), ცუდი, სუსტი (II რანგი).

ფირმის პოზიცია მატრიცაში გვკარნახობს ერთ-ერთ სტრატეგიას: იერიშის სტრატეგიას (c1), როცა ფირმას უკავია ძლიერი პოზიცია; დაცვის სტრატეგიას (c2), როცა პოზიცია ფასდება როგორც საშუალო; უკანდახევის სტრატეგიას (c3), როცა პოზიცია არახელსაყრელი, სუსტია.

სტრატეგიული ინდექსების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს ფირმის პოზიციის რეიტინგი: იგი გამოითვლება როგორც ორი სტრატეგიული ინდექსისაგან ნაწარმოები საშუალო გეომეტრიული:

$$C=\sqrt{A:B}.$$

ფირმის პოზიცია ბაზარზე, მისი ოპერაციების კომერციული რისკის დონე და სტრატეგიის არჩევა განპირობებულია ფაქტორთა ორი კომპლექსის კომბინაციით და ექნება შემდეგი ცხრილის სახე:

ფაქტორთა კომბინაცია	რეკომენდებული სტრატეგია	რისკის დონე	პოზიციის რეიტინგი
A1B1→C1	იერიშის სტრატეგია (შეესაბამება ხელსაყრელ საბაზრო სიტუაციას და კარგი საკუთარი შესაძლებლობების კომბინაციას)	PH დაბალი	$\sqrt{A1 \times B1}$
A1B2→C2	დაცვის სტრატეგია (შეესაბამება ხელსაყრელ საბაზრო სიტუაციას და სუსტ საკუთარ შესაძლებლობების კომბინაციას)	PC საშუალო	$\sqrt{A1 \times B2}$
A2B1→C2	დაცვის სტრატეგია (შეესაბამება არახელსაყრელ საბაზრო სიტუაციასა და კარგი საკუთარი შესაძლებლობების კომბინაციას)	PC საშუალო	$\sqrt{A2 \times B1}$
A2B2→C3	უკანდახევის სტრატეგია (შეესაბამება არახელსაყრელ საბაზრო სიტუაციასა და სუსტი საკუთარი შესაძლებლობების კომბინაციას)	PB მაღალი	$\sqrt{A2 \times B2}$

პრაქტიკაში ინტეგრირებული მაჩვენებლის — სტრატეგიული ინდექსების გაანგარიშების ნაცვლად ხშირად შემოიფარგლებიან მხოლოდ ორი ფაქტორით, რომლებიც მეტ-ნაკლებად არსებითად ასახავს დასახასიათებელ საბაზრო მოვლენებსა და პროცესებს.

ფირმის მიერ დაპყრობილი ბაზრის ნაწილი ბაზარზე ფირმის მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. იმისათვის, რომ განისაზღვროს მო-

ცემული ფირმის ბაზრის წილი საჭიროა ბაზარზე გაყიდვების საერთო მოცულობის ცოდნა. ასეთ ინფორმაციას ფირმა ყოველთვის არ ფლობს. მოცემული ფაქტობრივი დახასიათების შეცვლა შესაძლებელია ირიბით, კერძოდ ბაზრის საერთო ტევადობის გაანგარიშებით ან შეფასებითი ექსპერტული მონაცემებით. ბაზრის წილის ხარისხობრივი შეფასებისათვის (მაღალი, დაბალი), რომლის გამოყენება მოხერხებულია მარკეტინგული მატრიცების აგებისას, მიზანშეწონილია მოცემული ფირმის წილის შედარება კონკურირებადი ფირმების წილთან. ამ მიზნით, გაიანგარიშება ბაზრის შეფარდებითი წილის კოეფიციენტი. თუ ეს კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ფირმის წილი ითვლება მაღალი, თუ 1-ზე ნაკლებია — დაბალი.

ამრიგად, მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება ეფუძნება სტატისტიკურ გაანგარიშებებს, მოდელებსა და შეფასებებს.

ლიტერატურა

1. Дж. Р. Эванс, Б. Берман, Маркетинг, Москва, «Экономика», 1990.
2. Ф. Котлер, Основы маркетинга, Москва, изд-во «Прогресс», 1990.
3. В. Е. Хруцкой, Современный маркетинг, Финансы и статистика, 1991.
4. И. К. Беляевский, Статистика рынка товаров и услуг, Москва, Финансы и статистика, 1995.
5. Ю. А. Ковальев, О. Н. Дмитриев, Эффективные технологии маркетинга, Москва, Машиностроение, 1994.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ნ. ცანავა. სამრეწველო რეფორმა საქართველოში 5
ს. დობორჯგინაძე. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პრინციპები და თავისებურებანი საქართველოში 10
ს. ჩოჩოშვილი. ეკონომიკის აღმავლობა ინდუსტრიალიზაციის განვითარებით იწყება . 14
ბ. გილაშვილი. მოქნილი საწარმოო სისტემები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და მათი ეფექტიანობა 19
გ. ერქომაიშვილი. ბიზნესი და მისი როლი ეროვნულ ეკონომიკაში . . . 23
მ. სანიკიძე. მცირე ბიზნესის ძირითადი თავისებურებანი 28
ზ. ღუდუშაური, ნ. ღუდუშაური. მცირე ბიზნესის განვითარებას სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება 33
გ. შუბლაძე. ბიზნესისა და მენეჯმენტის შესახებ 38
თ. შოშიტაშვილი. მართვის ორგანიზაციის ზოგიერთი თავისებურება საქართველოში 43
ე. ჩოხელი. დარგობრივი მართვის რეორგანიზაციის მიმართულებები გარდამავალ პერიოდში 48
ს. მასურაშვილი. სამშენებლო საწარმოთა სტრატეგიული მართვის ძირითადი მიმართულებები 53
ე. ხარაიშვილი. აგრობიზნესის ორგანიზაციული ფორმები და მასზე მოქმედი ფაქტორები 57
ლ. ჯოხაძე. შრომის ბაზრის მდგომარეობა საქართველოში 62
ე. აბუაშვილი. მოსახლეობის დასაქმების პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში 65
ნ. ლაცაბიძე. მინიმალური ხელფასის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საკითხები . 68
ა. ჯულაყიძე. საპენსიო სისტემის რეფორმა: მიმართულებები და მოდელები . . 73
ლ. ფირცხალაიშვილი. ჯანდაცვის მომსახურება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში 80
ლ. ჩაგელიშვილი. ტარიფებისა და ფასების განსაზღვრის მეთოდოლოგიის საკითხები კავშირგაბმულობაში 83
ნ. ღვედაშვილი. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში . . 88
ნ. კირვალიძე. ტელევიზორების მოხმარების ვადის გამოთვლის თავისებურებანი . 91
ე. მაღლაკელიძე. კონკურენტუნარიანობის მარკეტინგული უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხი 94
მ. ლაშხია. მარკეტინგის პროგრამული უზრუნველყოფა 98
ლ. ყორღანაშვილი. მარკეტინგის როლი საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში 101
დ. ჩხარტიშვილი. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პრიორიტეტები საქართველოში 106
მ. მაჭავარიანი. საბანკო სისტემის სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტები . . 110
ი. ზაუტაშვილი. კლიენტის კრედიტუნარიანობის შესწავლა კაპიტალისტური ქვეყნების ბანკების მიერ 114
ვ. სვანაძე. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ანალიზი და ღონისძიებები 119
ი. შენგელია. ცალკეული ნაკლოვანებები ეკონომიკური ტრასირების ამოცანების ამოხსნაში 124
ი. ბენაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების თავისებურებანი საქართველოში . . . 129
მ. გიორგობიანი. ბულალტრული და სტატისტიკური აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემებში ეკონომიკური ცოდნის წარმოდგენის ალგორითმული და ლინგვისტური ფორმები 132

გ. პ ა რ კ ა ძ ე. გამოყენებით პროგრამათა პაკეტების შემუშავება სტატისტიკაში . . . 136
ს. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ექსპერტული პროგნოზების ხარისხის შეფასების სტატისტიკური მეთოდები 141
მ. მ ა ღ რ ა ძ ე. პროგრამული უზრუნველყოფის აღრიცხვის სრულყოფა 145
რ. ს ე თ უ რ ი ძ ე. ექსპერტული სისტემები და მათი დანიშნულება 150
გ. გ ი გ უ ა შ ვ ი ლ ი. განათლების რეფორმის აუცილებლობა და სპეციალისტთა მომზადების ძირითადი პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე . . 154
ქ. ჭ ი ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი. უფროსკლასელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის ექსპერიმენტული-სასწავლო პროცესის მიმართულება 159
ქ. მ ა რ შ ა ვ ა. მარკეტინგის სტრატეგიის ინფორმაციულ-სტატისტიკური უზრუნველყოფა . 164

СОДЕРЖАНИЕ

Н. Цанава. Промышленная реформа в Грузии 5
С. Доборджгинадзе. Принципы и особенности формирования рыночной экономики в Грузии 10
С. Чочошвили. Подъем экономики начинается с индустриализации . 14
Б. Гилашвили. Гибкие производственные системы в условиях рыночных отношений и их эффективность 19
Г. Эркоманишвили. Бизнес и его роль в национальной экономике . . 23
М. Саникидзе. Основные особенности малого бизнеса . . 28
З. Гудушаури, Н. Гудушаури. Развитие малого бизнеса требует поддержки государства 33
Г. Шубладзе. О бизнесе и менеджменте 38
Т. Шошиташвили. Некоторые особенности организации управления в Грузии 43
Е. Чохели. Направления реорганизации отраслевого управления в переходном периоде 48
С. Масурашвили. Основные направления стратегического управления строительными предприятиями 53
Э. Хараишвили. Организационные формы агробизнеса и факторы, действующие на него 57
Л. Джохадзе. Состояние рынка труда в Грузии 62
Е. Абуашвили. Проблемы занятости в условиях рыночной экономики . 65
Н. Лацабидзе. Методологические вопросы определения минимальной заработной платы 68
А. Джулакидзе. Реформа пенсионной системы: направления и модели 73
Л. Пирцхалаишвили. Обслуживание здравоохранения в условиях рыночных отношений 80
Л. Чагелишвили. Методологические вопросы определения тарифов и цен в связи 83
Н. Гведашвили. Перспективы развития туризма в Грузии . . . 88
Н. Кирвалидзе. Особенности расчета срока службы телевизоров . . 91
Е. Маглакелидзе. Некоторые вопросы маркетингового обеспечения конкурентоспособности
М. Лашхия. Программное обеспечение маркетинга 98
Л. Корганашвили. Роль маркетинга в развитии внешней торговли Грузии 101
Д. Чхартишвили. Приоритеты создания свободных экономических зон в Грузии 106
М. Мачавариани. Социально-психологические аспекты банковской системы 110
И. Зауташвили. Изучение кредитоспособности клиентов коммерческими банками капиталистических стран 114
В. Сванадзе. Анализ и мероприятия развития рынка ценных бумаг в Грузии 119
И. Шенгелия. Об отдельных недостатках в решении задач экономического тассирования 124
И. Бенашвили. Основные макроэкономические показатели системы национальных счетов и особенности их расчета в Грузии . . . 129
М. Гиоргобиани. Лингвистические и алгорѣтмѣческѣе формы пред-

ставления экономических знаний в автоматизированных системах бухгалтерского и статистического учета 132
Г. Паркадзе. Разработка пакетов прикладных программ в статистике . 136
С. Гелашвили. Статистические методы оценки качества экспертных прогнозов 141
М. Маградзе. Совершенствование учета программного обеспечения . 145
Р. Сетуридзе. Экспертные системы и их назначение 150
Г. Гигуашвили. Необходимость реформы образования и основные проблемы подготовки специалистов на переходном к рыночной экономике этапе 154
К. Чиабришвили. Направление экспериментально-учебного процесса экономического образования и воспитания старшеклассников . . . 159
К. Маршава, Информационно-статистическое обеспечение стратегии маркетинга 164

გამომცემლობის რედაქტორი რ. ჩიჩგაძე

ტექრედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი

კორექტორი მ. ქუმსიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.06.01
საბეჭდი ქაღალდი 70×108 1/16. პირ. ნაბეჭდი თაბახი 16,77.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 11,19
შეკვეთა № 261 ტირაჟი 120.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.

Ep. 173/1
3—